

ლელა ციხელაშვილი

ქართული
სამწიგნობრო
ენის ისტორიის
საკითხები

I



თბილისი
2025

ლელა ციხელაშვილი
Lela Tsikhelashvili

ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის
საკითხები

Issues of the History of the Georgian
Written (Literary) Language

I



გამომცემლობა „ანკნაშვილი“
თბილისი 2025 TBILISI

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელიც აერთიანებს ავტორის იმ შრომების ნაწილს, რომლებიც ეხება ქართული ენის ისტორიული გრამატიკის, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული ვერსიების თარგმანის ტექნიკისა და ქართული მეტყველების კულტურის საკითხებს.

წიგნი განკუთვნილია დარგის სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისა და სათანადო საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

The book is a collection of the author's works, focusing on the historical grammar of the Georgian language, translation techniques of ancient Georgian versions of biblical books and topics related to Georgian speech culture.

The book is intended for specialists, students, and the general public interested in the relevant issues.

რედაქტორი – პროფ. **დარეჯან თვალთვაძე**

რეცენზენტი – ემერიტუსი პროფ. **დამანა მელიქიშვილი**

© ლ. ციხელაშვილი

ISBN 978-9941-525-32-2 (ყველა წიგნი)

ISBN 978-9941-525-33-9 (წიგნი I)

ყდისთვის გამოყენებულია ხანმეტი ოთხთავის (VII ს.) პალიმფსესტური ფურცლისა და მოქვის ოთხთავის (1300 წ.) მინიატურების (92r) ფოტოები. გამოყენებული მასალა დაცულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები	7
---	---

ISSUES OF THE HISTORICAL GRAMMAR OF THE GEORGIAN LANGUAGE	7
--	---

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემათა გენეზისისათვის	8
--	---

On the Genesis of the Morpheme for the Second Subjective and Third Objective Persons.....	69
--	----

ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში	70
--	----

One Peculiarity of Passive Voice Verbs with i-Prefix in Ancient Georgian	118
---	-----

Why Is There a Tendency to Lose the Marker of the Third Indirect Objective Person in Modern Georgian?	122
--	-----

ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი -ენ სუფიქსის ადგილისათვის ზმნურ ფორმაში ძველ ქართულში.....	136
---	-----

On the Object Plural Suffix -en in the Verb System of Old Georgian.	141
---	-----

კაუზატივის გამოხატვის პერიფრასტული მოდელები ძველსა და საშუალ ქართულში	142
--	-----

Periphrastic Models for Expressing Causative in Old and Middle Georgian	168
--	-----

მორფოლოგიური კაუზატივის -იწ სუფიქსისათვის ძველ სამწერლობო ქართულში.....	173
--	-----

Morphological Causative Suffix -in in the Old Georgian Language...	183
--	-----

ქვემდებარის საკითხი მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ კონსტრუქციებში ძველ სამწერლობო ქართულში.....	186
---	-----

The Issue of the Subject in the Periphrastic Models of Future Tense in Old Georgian	207
--	-----

ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული პერსიების თარგმანის ტექნიკის საკითხები.....	209
---	-----

ISSUES OF THE TRANSLATION TECHNIQUES OF THE OLD GEORGIAN VERSIONS OF BIBLICAL BOOKS.....	209
---	-----

მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების (მიმღებების) გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით).....	210
---	-----

Rendering of the Verbs and Verbals of Saying in the Georgian Versions of the Books of the Minor Prophets.....	255
--	-----

გრამატიკული ცვლილების ერთი ტიპი ბარუქის წიგნის ქართულ ვერსიებში.....	268
---	-----

One Type of Grammatical Change in the Georgian Versions of the Book of Baruch.....	295
---	-----

The Influence of Septuagint Greek on the Means of Expression of the Objective Version in Georgian Biblical Translations	297
--	-----

ბიბლიური აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხები	310
---	-----

The Issue of Transliteration of the Biblical Names of Abraham and Sarah into Georgian	378
--	-----

ქართული მეტყველების კულტურის საკითხები.....	441
ISSUES OF THE GEORGIAN SPEECH CULTURE	441
მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში.....	442
On Marking the Third Indirect Objective Person in the Modern Literary Georgian Language.....	459
კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მივსწერ თუ მივწერ, ვჰკითხავ თუ ვკითხავ?.....	460
Again on One Issue of the Modern Georgian Literary Language Norming: <i>mivsɔr</i> or <i>mivɔr</i> , <i>vhkɪtxav</i> or <i>vkɪtxav</i> ?	478
შენიშვნები	481
ავტორთა საძიებელი.....	485
საბანთა საძიებელი.....	491

ვუძღვნი ჩემი ძვირფასი მასწავლებლის, **კორნელი დანელიას**,
ნათელ ხსოვნას

*Dedicated to the memory of my dear teacher, **Korneli Danelia***

ქართული ენის ისტორიული
გრამატიკის საკითხები

ISSUES OF THE HISTORICAL GRAMMAR
OF THE GEORGIAN LANGUAGE

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემათა გენეზისისათვის

სტატიაში ახლებურადაა წარმოდგენილი S_2 და O_3 პირების მასალობრივ იდენტურ მორფემათა გენეზისის საკითხი ძველი ქართულისა და ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით. ისტორიულად აღნიშნული პოლიფუნქციური პრეფიქსი მიჩნეულია ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად (დაკავშირებულია საერთოქართველურისთვის დამახასიათებელ ფშვინვიერ შემართვასთან), რომლის გრამატიკალიზება და პირის ნიშნის ფუნქციით აღჭურვა მეორეული მოვლენა უნდა იყოს. განხილულია ხანმეტობა-ჰაემეტობის ურთიერთმიმართების საკითხიც.

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულ ენაში ზმნის სამივე პირი მარკირებულია. პირის ნიშანთა ცხრილი ასე წარმოგვიდგება:

სუბიექტური პირის ნიშნები

მხ.რ.	მრ. რ.
1. ვ-, (Ø-)	ვ-, (Ø-) — -თ
2. Ø-, ხ-, (ჰ-, ს-)	Ø-, ხ-, (ჰ-, ს-) — -თ
3. -ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნ, -ნენ, -ეს

ობიექტური პირის ნიშნები

მხ. რ.	მრ. რ.
1. მ-	გვ-
2. გ-	გ- — -თ
3. Ø-, (ჰ-, ს-)	Ø-, (ჰ-, ს-) — (-თ)

ბ- ალომორფი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად დღეს დასტურდება მხოლოდ სამ ძირეულ მორფემასთან: **ბ-**არ, **ბ-**ვალ, **ბ-**ვედ. ესენი გაქვავებული ფორმებია. ყველა სხვა შემთხვევაში გვაქვს **შ-**: ჭამ, წერ, მღერი... **ჰ-**, **ს-** ალომორფები, ფაქტობრივად, ძველი და საშუალო ქართულის კუთვნილებას და არა – თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, მესამე პირდაპირობიექტურ პირს არ მოეპოვება საკუთარი ნიშანი, ირიბობიექტური პირის ალომორფებია: **ჰ-**, **ს-**, **შ-**.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ალომორფების შესახებ დგება რამდენიმე საკითხი:

1. **S₂** და **O₃** პირების მორფემები ფორმოზოგ ერთია. რას უნდა გამოეწვია რომელობისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირების ერთნაირად მარკირება? ხერხდება თუ არა მათ შორის რაიმე საერთოს დაძებნა? ვფიქრობთ, პასუხი ცალსახად უარყოფითია, რაც ართულებს ამ საკითხის ახსნას. **S₂** და **O₃** პირები ფუნქციურად მკვეთრად გამიჯნული, ასე უნდა ყოფილიყო საერთოქართველურშიც.

2. ამ ალომორფებს, სხვა პირების ალომორფებისაგან განსხვავებით, არ აქვთ მკაცრი დისტრიბუცია: ხშირად არ გვხვდებიან იმ შემთხვევაში, რომელშიც, ნორმის მიხედვით, მოსალოდნელია (მაგ., კითხა, ქონდა...), ან რეალიზებიან მაშინ, როცა არ არის მოსალოდნელი (მაგ., მოჰკლა, გასტეხა, ჰყვავის, სჩანდა...). აღსანიშნავია, რომ მათი კლება ან ზედმეტად გამოყენება არ იწვევს მნიშვნელობის დაბნელებას. ენას არ ეუცხოება არც ნორმების მიხედვით მართებული, არც მცდარი ფორმები. ასეთი უსისტემოება ამ ალომორფთა გამოყენებაში იმის მაუწყებელია, რომ ქართული ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე მათ არ მოეპოვებათ მკაცრად განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქცია (ონიანი, 1978, გვ. 97). ეს მოვლენა ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა, რომელმაც

მონოგრაფიულად შეისწავლა აღნიშნული საკითხი: „ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები (S₂ და O₃ პირებისა – ლ. ც.) მკვდარია და მათი გაგებისათვის გრამატიკული ალ-ლო და გრძნობა სრულიად დაჩლუგებულია“ (შანიძე, 1981ა, გვ. 222). გ. ახვლედიანის აზრით, **ჰ-** „სალიტერატურო ქართულში იხმარება იშვიათად და, თუ იხმარება, არა მორფოლოგიური, არამედ ემოციური დანიშნულებით“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 109). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს ელემენტები უფრო ექსპრესიული ფუნქციით გამოიყენება, სტილიზაციისათვის, ვიდრე – მორფოლოგიური ფუნქციით.

ვინაიდან S₂ და O₃ პირების ალომორფები თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან, შეიძლება სინქრონიულ დონეზე ეს პირები პირობითად პირის მიხედვით ოპოზიციის არამარკირებულ წევრებად მივიჩნიოთ და ვისაუბროთ არა ეკვიპოლენტურ, არამედ – პრივატულ ოპოზიციაზე. ლოგიკურად ისმება კითხვა: იდგა თუ არა S₂ და O₃ პირების მარკირების აუცილებლობა ძველსა და საშუალო ქართულში? თუ იდგა, რატომ? რას უნდა გამოენვია ამ მორფემათა ნულთან გათანაბრება? ხომ არ უნდა დავუშვათ, რომ S₂ და O₃ პირების მარკირება ჭარბია არა მარტო სინქრონიულად, არამედ – დიაქრონიულადაც?¹ ამასთან დაკავშირებით ლოგიკურად დგება S₂ და O₃ პირების მორფემების გენეზისის საკითხი. პრობლემის ამგვარად დასმა მოითხოვს საკითხის დიაქრონიულ ჭრილში კვლევას.

რა ვითარებაა პირის ნიშანთა განაწილების მხრივ ძველ ქართულში?

¹ თუ ასეა, O₃^{ind.} პირის გამომხატველად ზმნაში მხოლოდ უ- პრეფიქსი გამოვა.

სუბიექტური პირის ნიშნები

მხ.რ.	მრ. რ.
1. ვ-, ჟ-, (Ø-)	ვ-, ჟ-, (Ø-) — -თ
2. ხ-, ჰ-, ს-, შ-, Ø-	ხ-, ჰ-, ს-, შ-, Ø- — -თ
3. -ს, -ა, -ო, -ნ, -დ	-ეს, -ენ, -ან, -ნ, -ედ

ობიექტური პირის ნიშნები

მხ. რ.	მრ. რ.
1. მ-	მ-, გჟ - — -Ø, ენ (> -ნ)
2. გ-	გ- — - Ø, -ენ (> -ნ)
3. ხ-, ჰ-, ს-, შ-, Ø-	ხ-, ჰ-, ს-, შ-, Ø- — -Ø, -ენ (> -ნ)

ყველა ეს პირის ნიშანი ერთსა და იმავე დროს არ იყო გამოყენებული. განსხვავებულია ვითარება ხანმეტობის, ჰაემეტობისა და ე.წ. სანნარევი¹ დროს, განსაკუთრებით ეს ეხება S₂ და O₃ პირებს.

ხანმეტ ტექსტებში **ხ-** (შესაბამისად, ჰაემეტში – **ჰ-**), გარდა S₂ და მიცემით ბრუნვაში მდგარი O₃ (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის, თუ ე.წ. **ჰყოფს** ტიპისაა) პირების გამოხატვისა, გამოიყენებოდა კიდევ ორი ფუნქციით: ა) **ი-პრეფიქსი**ანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმასთან (ხვყავ, ხიყავ, ხიყო) და ბ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ ხუ- -ფს/-ეს, ხუ- -ო-

¹ ტერმინები: ხანმეტი, ჰაემეტი, სანნარევი – გრამატიკული თვალსაზრისით, გარკვეულ უხერხულობას იწვევს, ვინაიდან **ხანი**, **ჰაე** და **სანი** აღნიშნავს ბგერას და არა მორფემას (იგივე შეიძლება ითქვას ტერმინებზე: ნართანიათი მრავლობითი, ინიანი ვნებითი, დონიანი ვნებითი...). სიცხადისათვის ჩვენ მაინც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინებს გამოვიყენებთ.

დს/-ოს, ჰუ- -ფს/-ეს კონფიქსებში (ხუდიდფსი, ხუფროდსი, ხუფროდს...).

ხანმეტ ტექსტებში **ხ**- პრეფიქსის გამოყენების გამო (შე-საბამისად, ჰემეტში – **ჰ**-ს) ჩნდება რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც ახსნას მოითხოვს, კერძოდ: 1) ასახსნელია S_2 და O_3 პირების ერთნაირად, ერთი და იმავე ნიშნით მარკირების საკითხი; 2) რატომ არ არის ბოლომდე გატარებული O_3^d -ის მარკირების პრინციპი, O_3^{ind} -ის მსგავსად? 3) რა ფუნქციისაა **ხ**-//**ჰ**- ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში? 4) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ კონფიქსებში რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს **ხ**-//**ჰ**-ს? 5) რით იხსნება **ალხუმართე** ტიპის ფორმებში ქართულისთვის დამახასიათებელი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპის“ (გამყრელიძე, 1979, გვ. 48) დარღვევა? 6) ხერხდება თუ არა პოლიფუნქციური **ხ**-//**ჰ**- პრეფიქსისთვის ინვარიანტული, ამოსავალი მნიშვნელობის დაძებნა? შესაძლოა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემამ ნათელი მოჰფინოს S_2 და O_3 პირების მორფემების გენეზისის საკითხს.

პირველ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ოდენ ქართული ენის მონაცემებზე დაყრდნობით არ ხერხდება,¹ მაგრამ ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ის ანომალიები, რომლებიც შეინიშნება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში S_2 და O_3 პირების მარკირების საკითხში. როგორც ცნობილია, ძველი ქართული მკაცრად ნორმირებული ენის შთაბეჭდილებას ტოვებს. S_2 და O_3 პირების მორფემების გამოყენების ნორმები ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში, ერთი შეხედვით, მკაცრადაა დაცული (ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული სკოლები ცდილობენ ამ პრინციპის ბოლომდე გატარებას), მაგრამ ვხვდებით დარღვევებსაც, განსაკუთრებით ეს ეხება O_3 -ის მარკირებას. S_2 -ის

¹ სხვა ქართველურ ენათა ვითარებას ქვემოთ წარმოვადგენთ.

მარკირებაში დარღვევები ნაკლებია: შესაძლოა, ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი ამ პირის მორფემა¹ (ამ ტიპის დარღვევები მხოლოდ ხანმეტ ოთხთავსა და ჰაემეტ ლექციონარში დასტურდება): *შეურაცხ-ყოთ* [მ. 18: 10], *ნუ კლავ, ნუ იპარავ* [მრკ. 10: 19], *უნყითა* [მრკ. 10: 42; ლ. 2: 49], *ისმინი* [ჰაემ. 388: 19], *ისმინე* [ჰაემ. 388: 17], *იხილოთ* [ჰაემ. 386: 6]. ჰაემეტ ლექციონარში S₂-ის ნიშნად **Ø**- მხოლოდ ხმოვნის წინ დასტურდება.

S₂-ის მორფემის გამოყენებაში დარღვევები გაცილებით მეტია IX-XI საუკუნეების ძეგლებში: S₂-ის ნიშნად გვაქვს **Ø**:- *დგა, თქვთ, განთავისუფლდე, ნუ აღტყდებით, შეძრწუნდებით, ცნობ და სხვ.* (სარჯველაძე, 1984, გვ. 383-386); **ჰ**-ს ნაცვლად დასტურდება **ს**:- *სზი, სზრუნავთ და სხვ.* (სარჯველაძე, 1984, გვ. 390-391).

გაცილებით მეტი დარღვევა გვაქვს O₃ პირის მარკირებაში, კერძოდ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში შესაძლოა O₃^{ind.}-ის ნიშნად გვექნოდეს **Ø**:- *მეოხ ეყავ* [ადრნერსე ჯპატოსის წარწ., *უჩუენე* [მ. 8: 4],² *შენირე* [მ. 8: 4], *გამოუცხადე* [მ. 11:

¹ ხანმეტ ლექციონარში S₂-ის ნიშნად **ხ**- პრეფიქსი ხუთ შემთხვევაში ამოფხეკილია: *(ხ)ტირ* [61: 12, 20], *აღ(ხ)იღე* [61: 22-23], *და(ხ)დეე* [61: 23], *შე(ხ)იპყრნეთ* [62: 24]. საინტერესოა, რომ ამოფხეკილი **ხ**-ს ნაცვლად არც **ჰ**- ჩაუნერიათ. როგორც ჩანს, ამის საჭიროება არ მდგარა, ნაკითხვისას უპრეფიქსო ფორმები არ ეუცხოებოდათ.

² ამ ტიპის დარღვევები ხშირია ხანმეტ ოთხთავში.

ხანმეტ ლექციონარში **ხ**- O₃-ის ნიშნად გამოყენების თითქმის ნახევარ შემთხვევაში ამოფხეკილია ნაწილობრივ ან მთლიანად. რაიმე კანონზომიერების დადგენა ამ მხრივ არ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ კითხვის გასაიოლებლად ჩატარებული ეს პროცესი აქ სპონტანურადაა გატარებული: *(ხ)ეტყოდა* [58: 17-18], *(ხ)აცუეს* [60: 25-26], *(ხ)უთხრობდეს* [61: 1], *მი(ხ)ცეს* [60: 23], *შთა(ხ)ხედა* [61: 5], *(ხ)რქუა* [62: 19] და სხვ. როგორც S₂-ის შემთხვევაში, აქაც ამოფხეკილი **ხ**-ს ნაცვლად **ჰ**- არ ჩაუნერიათ.

25], გამოუცხადოს [მ. 11: 27], მიყო¹ [მ. 12: 49], ხედვიდეს [მ. 27: 55], დაუშთეს [მრკ. 12: 19], დაშთა² [მრკ. 12: 20], დაუშთა [მრკ. 12: 21], შემოწირა [მრკ. 12: 44], წამებდეს [მრკ. 14: 56], უკჯრდაცა [მრკ. 15: 5], ემლერდეს [მრკ. 15: 31], შეწირეს [ლ. 21: 4], შეწირა [ლ. 21: 4], ხედვიდეს [ი. 2: 23], შეუწის [ხან. მრავ. 128: 14-15; 129: 5-6; 130: 4, 9-10], შეწირა [ხანმ. მრავ. 129: 6], გაუმხილებ [ხან. მრავ. 139: 1], დაუდვათ [ხან. მრავ. 142: 9-10], უგალობდეთ [ხან. მრავ. 146: 4-5], აღუთქუა [ჰაემ. 368: 3], მოუტდა [ჰაემ. 370: 13], განუკჯრდებოდა [ჰაემ. 371: 5; 378: 20], განუშზადონ [ჰაემ. 374: 24], განუყო [ჰაემ. 379: 15], დაუკჯრდებოდა [ჰაემ. 380: 7, 17], მიუგო [ჰაემ. 381: 12; 388: 11].³

Оз⁴-ის ნიშნად გვაქვს Ø-: განრცხიდეს [ჰაემ. 383: 30], იტყოდა [ჰაემ. 369: 22; 370: 14-15; 386: 22], იტყოდეს [ჰაემ. 371: 23; 376: 19; 378: 20; 380: 17; 382: 3].⁴

ძველ ქართულში შესაძლოა ზმნას ენყობოდეს სუბიექტი და სახელობითში მდგარი პირდაპირი ობიექტი, მაგრამ ფორმაში წარმოდგენილი იყოს, როგორც მიჩნეულია, დაკარგული ირიბობიექტური პირის ნიშანი (შანიძე, 1981ა, 172). საინტერესოა, რომ ყველა ამ ტიპის ფორმა ვერ ერთიანდება ე.წ. **დაჰ-ბადა** ტიპში, რადგან მათი კონვერსიული პასივი არ არის ე-

¹ „...მიყო ჯელი მისი მოწაფეთა თჳსთა...“

² ფორმა ორვალენტიანია: „... და არა **დაშთა** შეილი“.

³ ხანმეტ ოთხთავში დასტურდება ე.წ. **დაჰბადა** ტიპის ზმნა – დაჰსნეს [მ. 5: 19], რომელიც იმით იქცევა ყურადღებას, რომ მოსალოდნელი **ხ-** პრეფიქსი არ ჩანს. ეს ფორმა **ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი (დაჰჰსნეს) ოპიზის, ტბეთის, პარხლისა და ბერთის ოთხთავებში.

⁴ იმ ტიპის ფორმებზე, როცა ზმნას Оз პირთან ერთად ენყობა S₁ პირი და ამ ნიადაგზე ობიექტური პირის მორფემა ზოგიერთ ხელნაწერში არ არის წარმოდგენილი, ქვემოთ ვისაუბრებთ.

პრეფიქსიანი. ზ. სარჯველაძის აზრით, „ძველი ქართულის დონეზე გამართლებულია ამგვარ ზმნათა **ხ-** პრეფიქსის პირდაპირი ობიექტის ნიშნად მიჩნევა“ (სარჯველაძე, 1971, გვ. 117). წარმოვადგენთ ნიმუშებს ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებიდან: *აღხუმართე* [უკანგ. წარწ., *აღხუაგზნე* [ოქსფ. 304: 18-19], *მოხატციოს* [ოქსფ. 305: 13], *დახთესეთ* [კემბ. 36: 8-9], *მეხუძლოთ* [კემბ. 38: 20], *ხუნყოდეთ*¹ [ხანმ. ლექც. 63: 1], *აღხუასრულო* [ხანმ. ლექც. 63: 21], *გამოხცეს* [ხანმ. ლექც. 63: 21], *დახუბეჭდო* [ხანმ. ლექც. 63: 22], *განხუტეო* [პროტ. 17: 26], *დახუფარო* [პროტ. 21: 22], *განჰუტევენე* [ჰაემ. 379: 7], *დაჰთესი* [ჰაემ. 385: 5], *დავჰთესი* [ჰაემ. 385: 10], *გარდაჰუტეო* [ჰაემ. 383: 14]. საკმაოდ ხშირია ამ ტიპის ფორმები ლ. ქაჯაიას მიერ გამოცემულ ხანმეტ ოთხთავში: *მიხიყვანის* [მ. 7: 13-14], *ხაგოს* [მ. 17: 11], *დახკრიბეს* [მ. 21: 36], *გამოხცეს* [მ. 24: 29], *შეხგრაგნა* [მ. 27: 59], *დახფაროს* [ლ. 8: 16], *განხადო* [ლ. 11: 4], *დახასხა* [ლ. 20: 9], *განხუტეოს* [მ. 5: 31; 14: 22], *დახუტეოს* [მ. 5: 32; 18: 12; 19: 29], *განხუტევა* [მ. 14: 23], *დახუტევეთ* [მ. 19: 27], *დახუტევენა* [მ. 21: 17], *ხუტევა* [მ. 24: 43], *ხუტევე* [ლ. 13: 8], *განხუტეო* [ლ. 23: 22], *ხითხოვოს* [მ. 14: 7-8], *შეხასმინონ* [მრკ. 3: 2; ლ. 11: 54], *გამოხადეს* [ლ. 20: 12], *განხუადო* [ი. 6: 37], *ხიბანა* [ლ. 11: 38], *წარხასრულნა* [მ. 7: 28], *დახასრულნა* [მ. 13: 53], *განხმზადნეს* [მ. 11: 10], *დახნერგა* [მ. 15: 13], *განხალოს* [ლ. 2: 23], *მოხმზადნეს* [ლ. 22: 13], *დასთესის*² [მრკ. 4: 26], *დახთესა* [ლ. 13: 19] და სხვ.

შესაძლოა ბრძანებითის მწკრივში წარმოდგენილი იყოს **ხ-** პრეფიქსი, რომელიც, წესით, მოსალოდნელი არ არის,

¹ ზმნა I ბრძანებითის მწკრივშია და, ამდენად, **ხ-**ს S₂-ის მორფმად ვერ მივიჩნევთ.

² ეს არის ხანმეტ ოთხთავში და, საერთოდ, ხანმეტ ტექსტებში დადასტურებული ერთადერთი **ხ-**პრეფიქსიანი ფორმა.

რადგან ზმნა ობიექტს სახელობითში იწყობს, S₂-ის უნიშნობა კი ამ შემთხვევაში მორფოლოგიური აკრძალვის შედეგია: *ხუნყოდეთ*¹ [ხანმ. ლექც. 63: 1], *ხიცხე* [ხანმ. ოთხთ. მ. 10: 11], *გამოხიკითხეთ* [ხანმ. ოთხთ. მ. 10: 11-12], *დახიყარეთ*² [ხანმ. ოთხთ. მ. 10: 14]. საერთოდ, იშვიათია **ხ-//ჰ-** პრეფიქსის გამოვლენა სათავისო ქცევის ფორმებში: *მიხიყვანის* [ხანმ. ოთხთ. მ. 7: 13], *ალხიპყრა* [ხანმ. მრავ. 130: 11], *მიხილო* [ხანმ. მრავ. 148: 20], *სათნო ჰჷყავ* [ჰაემ. 370: 1], *ჰიცოდეს* [ჰაემ. 382: 6], *ჰჷცოდე* [ჰაემ. 388: 18].

ხანმეტ ოთხთავში ზოგჯერ **ხ-** პრეფიქსი ქარბია ერთპირიან ზმნებთან: ა) უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებთან: *შეხცეთეს* [მ. 18: 12], *დახშრტების* [მრკ. 9: 48], *დახცხრა* [ლ. 5: 4; 11: 1]; ბ) საშუალო გვარის ზმნებთან: *ხილოცვიდა* [ლ. 3: 21; 11: 1], *ხილოცვედ* [ლ. 20: 47], *ხისადილნეს* [ი. 21: 15].³ აქვე

¹ მეორე შემთხვევაში **ხ-** ამოფხეკილია: *(ხ)უნყოდეთ* [ხანმ. ლექც. 63: 4].

² სხვა შემთხვევაში ოთხთავში სათავისო ქცევის ზმნა ბრძანებითის მწკრივში **ხ-** ნიშანს არ გამოავლენს, ხანმეტობის ნორმა დაცულია: *აღმოიღე* [მ. 5: 29, 75], *მოიკუთეთე* [მ. 5: 30; 18: 8], *დაიბანე* [მ. 6: 17], *ისმინეთ* [მ. 15: 10, 17: 5]. **ხ-**პრეფიქსიანი სათავისო ქცევის ფორმების არსებობა ბრძანებითის მწკრივში შესაძლოა, **ი-**პრეფიქსიანი ვნებითის ანალოგიით აიხსნას.

³ ხანმეტ ოთხთავში გამოვლენილი დარღვევების სიხშირე, **ხ-** პრეფიქსის უსისტემოდ გამოყენება იმას მოწმობს, რომ ხელნაწერის შექმნისას **ხ-** პრეფიქსის მორფოლოგიური ღირებულების შეგნება საკმაოდ დაჩრდილული უნდა ყოფილიყო. ანგარიშგასაწევია **ს-**პრეფიქსიანი ფორმის გამოვლენაც. ლ. ქაჯაიას აზრით, ი. ჯავახიშვილისა და მის მიერ ამოკითხული ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები V-VI საუკუნეებით თარიღდება (ქაჯაია, 1984, გვ. 303 და შემდგ.). იმ დარღვევათა საფუძველზე, რომლებიც შეინიშნება ძეგლებში, ზ. სარჯველაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს ხანმეტი ოთხთავის VII საუკუნით დათარიღებას (სარჯველაძე, 1995, გვ. 128-129). ეს მოსაზრება გასაზიარებელია.

შეიძლება დასახელდეს ფორმები: *ხიხარებს* [ხანმ. მრავ. 133: 8], *ხიხარებნ* [ხანმ. მრავ. 141: 5-6].

დარღვევათა რაოდენობა მატულობს IX-XI საუკუნეების ძეგლებში. ამ მხრივ აღსანიშნავია O_3^{ind} -ის ნიშნად $\emptyset$ -ის არსებობა: *ებაძვიდეთ, მიეცემ, გაეს, ქონდეს, ვკითხე, მოკიდე, გამოყვებოდა, ჩაყვების, ზრახავნ, სუროდა და სხვ.* (სარჯველაძე, 1984, გვ. 386-389); $\mathfrak{Z}$ -ს ნაცვლად $\mathfrak{s}$ -ს არსებობა: *შესზავებედ, სზრახავნ, შესზლუდაეს და სხვ.* (სარჯველაძე, 1984, გვ. 390-391); პრეფიქსის ზედმეტად გამოყენება: *გამოშნდეს, ჰყონის, დაჰშთეს, ჰზის, განჰრისხნა და სხვ.* (სარჯველაძე, 1984, გვ. 391-393); $\mathfrak{s}$ - და $\emptyset$ - ალომორფებთან $\mathfrak{Z}$ -ს თავისუფალი მონაცვლეობა, ე.წ. ჰაემეტობის გადმონაშთების არსებობა: *ჰთქუ, ჰძინავნ, შეჰძინეს, ჰჯობს, ჰჭამთ, გამოჰჩნდე და სხვ.* (დანვრილებით იხ.: შანიძე, 1981დ, გვ. 294-299; შანიძე, 1959, გვ. 146-147; სარჯველაძე, 1968, გვ. 259-261; სარჯველაძე, 1971, გვ. 140-149).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში S_2 და O_3 პირების მორფემების გამოყენება აღარ ემორჩილება მტკიცე წესს. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული სკოლები აშკარად ცდილობდნენ არსებულ ნორმათა ბოლომდე გატარებას (მიუხედავად დარღვევებისა, ძველი ქართული სალიტერატურო ენისთვის (განსაკუთრებით – ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისთვის) ნორმად უნდა ჩაითვალოს S_2 და O_3^{ind} პირების მარკირება, სახელობითში მდგარი O_3^d -ის უნიშნობა და ერთგვარი სიჭრელე მიცემითში მდგარი O_3^d -ის მარკირების საკითხში), გადამწერთა ენობრივი გარემო მაინც გავლენას ახდენდა ძეგლის ენაზე და „იპარებოდა“ ფორმები, დამახასიათებელი ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის, რომლისთვისაც აღნიშნულ პრეფიქსებს აღარ ჰქონდა გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია (შესაძლოა, არც ოდესმე ჰქონოდა) და შეინიშნებოდა უსისტემოება მათს გამოყენებაში. წერილობით

თად ფიქსირებულ სალიტერატურო ენაში ამ მხრივ არსებულ დარღვევათა სიხშირე გვავარაუდებინებს, რომ იმ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში ამ მოვლენას უფრო მასშტაბური ხასიათი ექნებოდა. სამართლიანად შენიშნავს ზ. სარჯველაძე: „S₂ და O₃ პირების ნიშანთა ხმარების დარღვევები მოუთითებენ, რომ **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები უკვე IX-XI საუკუნეების ცოცხალ მეტყველებაში მკვდარი იყო (გვულისხმობთ ცოცხალ მეტყველებას, რომელსაც ემყარებოდა იმ ეპოქის სალიტერატურო ენა)” (სარჯველაძე, 1984, გვ. 393).

გასაზიარებელია გ. ახვლედიანის დასკვნა, რომელიც მოცემულია მის წერილში „ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში“. ავტორი, განიხილავს რა ა. შანიძის ნაშრომს „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, ასკვნის: „ის მოვლენები, რომლებიც ავტორის კვლევის საგანს შეადგენს, დღევანდელს ქართულში უკვე მკვდარია... გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულშიც კი (საშუალოზე ლაპარაკი ზედმეტია) ეს მოვლენები მკვდარი ყოფილა, რადგან ფორმათა არევა მხოლოდ ამ ფაქტის შედეგი შეიძლება იყოს. ალბათ გაცილებით ადრე დაკარგულა ავტორის პრეფიქსების ბუნების შეგნება, თუ მათი მართლწერაც კი არეულა ძეგლებში. ვინ იცის, ქართულს, როგორც ასეთს, შეიძლება არასოდეს არ ქონია S₂ და O₃-ის პრეფიქსების ხმარება აურეველი“ (ახვლედიანი, 1923, გვ. 100).

ამრიგად, S₂ და O₃ პირების მორფემები მკვდარია არა მარტო ახალ, არამედ საშუალსა და ძველ ქართულშიც კი (გვულისხმობთ ცოცხალ მეტყველებას). ვფიქრობთ, **ამ პირების მორფემების განსხვავებულმა მორფოლოგიურმა ფუნქციამ (სხვა პირების მორფემებთან შედარებით), უფრო სწორად, გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობამ ენის განვითარების ყოველ სინქრონიულ დონეზე, შეიძლება სხვაგვარად**

დასვას ამ პოლიფუნქციური პრეფიქსის გენეზისისა და ისტორიულად მისი ფუნქციის საკითხი.

მეორე საკითხი, რომელიც დგება S_2 და O_3 პირების მორფემებთან დაკავშირებით, ეხება O_3^{ind} და O_3^d პირების დიფერენცირებულ მარკირებას (ცხადია, ვგულისხმობთ არა სხვადასხვა პრეფიქსის არსებობას, არამედ ზმნაში მასალობრივ იდენტური პრეფიქსის გაჩენის განსხვავებულ უნარს).

თ. გამყრელიძის აზრით, მესამე პირდაპირობიექტურმა პირმა თავდაპირველად ნიშანი დაკარგა ისეთ კონსტრუქციებში, რომლებშიც იგი კომბინირებდა მესამე ირიბობიექტურ პირთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო „მძლავრია“ და „მათი კომბინირება წარმოაჩენს ზმნურ ფორმაში მხოლოდ ირიბი ობიექტის პრეფიქსულ ნიშანს“ (გამყრელიძე, 1979, გვ. 46). შემდგომ დაკარგულა იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც ეს პრეფიქსი მესამე ირიბობიექტური პირის გავლენას არ განიცდიდა. ამით დაირღვა სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი, ვინაიდან მანამდე სამივე ობიექტური პირის მარკირება ერთნაირად ხდებოდა. ავტორის აზრით, ხანმეტ ძეგლებში ასახული ვითარებისთვის O_3^d აქტანტისთვის ნორმად უნდა ჩაითვალოს ზმნაში $\emptyset$ - მორფემის გამოყენება, თუმცა ამ ფუნქციით **ხ-** პრეფიქსი ჯერ კიდევ თავს იჩენს გარკვეულ კონსტრუქციებში (გამყრელიძე, 1979, გვ. 47).

თ. უთურგაიძის აზრით, „მსგავსად I და II პირებისა, ობიექტურ მესამე პირთა (O_3^{ind} -ის და O_3^d -ის) **ნიშნებიც იდენტური იყო და არის ძველსა და თანამედროვე ქართულში**“ (2002, გვ. 27). ავტორის აზრით, **ქადაგებს** და **ჰყოფს** ტიპის ზმნები წარმოადგენენ მხოლოდ **მორფონოლოგიური ცვლილების მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს** (2002, გვ. 28). O_3^d -ს ნიშანი მოეპოვებოდა არა მხოლოდ I, არამედ II სერიაშიც. „**ამ პარადიგმებში, სადაც პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი მონაწილეობს, მესამე პირში ხ- პრეფიქსის მიკუთვნება ირიბი ობიექ-**

ტისთვის ემყარებოდა არარეალურ დებულებას, თითქოს პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი არ ჰქონდა – ეს დებულება არაადეკვატურია რეალური ვითარებისა“ (2002, გვ. 29). თ. უთურგაიძის აზრით, „რადგან სვანურში მარკირებულია O_3^{ind} , უთუოდ მარკირებული იქნებოდა O_3^d -ც. მისი მარკირების გაქრობა მორფონოლოგიური პროცესების შედეგია (ეს პროცესი მეგრულში უფრო ინტენსიურად წარმართულა – O_3^{ind} -საც შეეხო)“ (2002, გვ. 45).

როგორც ცნობილია, პირდაპირი და ირიბი ობიექტების დიფერენციაცია მეორეულია, ამიტომ გასაგებია მათი ერთი და იმავე ნიშნებით მარკირება, მაგრამ ახსნას ითხოვს I და II პირებისთვის მარკირების აბსოლუტურად იდენტური წესი რატომ ირღვევა III პირისთვის, სადაც O_3^d , O_3^{ind} -თან შედარებით, განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. ძველ ქართულში O_3^d -ის მარკირების პრინციპი საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის: ე.წ. **ქადაგებს** და **ჰყოფს** ტიპის ზმნების (შანიძე, 1981ა, გვ. 181-191) გვერდით გვაქვს **შერეული** ტიპის ზმნებიც: კაფს/ჰკაფს, გმობს/ჰგმობს, ზრახავს/ჰზრახავს, მოსრავს/მოჰსრავს და სხვ. (შანიძე, 1981ა, გვ. 191-193). ა. შანიძე **ქადაგებს** და **ჰყოფს** ტიპის ზმნების არსებობას დიალექტურად ხსნის – ზმნათა ორი ტიპის არსებობა ორი დიალექტის არევის შედეგად ცხადდება (შანიძე, 1981ა, გვ. 180). ი. იმნაიშვილის აზრით, I სერიაში მდგარი O_3^d -ის მარკირების პრინციპი ზმნისწინზე იყო დამოკიდებული: ზმნისწინიან ფორმებში ყოველთვის იქნებოდა წარმოდგენილი ობიექტური პირის ნიშანი, უზმნისწინოებში – არა (1982, გვ. 163; იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996, გვ. 42). მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება: გვაქვს ზმნები, რომლებიც არ დაირთავენ ზმნისწინს და მუდამ ნიშნით არიან წარმოდგენილი: *ხაგრძნობენ*, *ხპოვებს*, *ხირეკს*, *სტანჯავს*, *ჰყოფს* და სხვ. (იმნაიშვილი, 1982, გვ. 200); არის მცირე ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ზმნისწინის დართვა-დაურ-

თველობას და ყოველთვის მარკირებული არიან: *სდევნის* – *წარსდევნის*, *ჰგმობს* – *განჰგმობს*, *ხითხოვს* – *გამოხითხოვდა* და სხვ. (1982, გვ. 203).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში I სერიაში მდგარი O_3^d -ის მარკირების საკითხში საკმაო სიჭრელე გვაქვს – დადგენილი კანონზომიერება ხშირად ირღვევა. მიცემითი მდგარი O_3^d -ის ალმორფთა გამოვლენის სხვადასხვაგვარი წესი (ე.წ. *ჰყოფს* და *ქადაგებს* ტიპი) არ არის ფონოლოგიურად შეპირობებული – მსგავს ფონოლოგიურ პირობებში ზმნის ძირეული მორფემები სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებს. ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში **ხ-** და **ძ-**, ასევე, **ჰ-** და **ძ¹** ალმორფთა განაწილება მორფოლოგიურად უნდა იყოს შეპირობებული. მაგრამ რატომ უნდა გამხდარიყო აუცილებელი ორი განსხვავებული მორფოლოგიური მოდელის არსებობა? ამ ორი მოდელიდან რომელი უნდა იყოს ამოსავალი ვითარების ამსახველი – O_3^d -ის მარკირება თუ მისი უნიშნობა? ამოსავალ ეტაპზე მარკირებისთვის რა უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი – ობიექტის რაგვარობა თუ მისი ბრუნვა? როგორია ზმნისწინის როლი O_3^d -ის მარკირების საკითხში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შედარებითი რეკონსტრუქციის გარეშე შეუძლებელია. ერთი რამ უდავოა: I სერიაში მდგარი O_3^d -ის მარკირების ის სურათი, რომელიც გვაქვს ძველ ქართულში, მეორეულია, იგი ვერ ასახავს ამოსავალ ვითარებას და შესაძლოა, ენაში მიმდინარე გარკვეულ პროცესებში ლიტერატურული სკოლების ხელოვნური ჩარევისა და სისტემატიზაციის ცდის შედეგი იყოს.

მესამე კითხვა, რომელიც დგება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეხება ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში **ხ-**/**ჰ-**

¹ ჰაემეტ ტექსტებში ხმოვნების წინ **ჰ-**ს თავისუფლად ენაცვლება **ძ-**.

პრეფიქსის კვალიფიკაციას **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში.

ხანმეტ ტექსტებში ნორმას წარმოადგენს **ხ**-ს არსებობა **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში. ხანმეტ ტექსტთაგან **ხ**-ს **Ø**-თან მონაცვლეობის შემთხვევები მხოლოდ ხანმეტ ოთხთავსა და ხანმეტ მრავალთავში დასტურდება:¹ *კიყვენით* [მ. 23: 30], *იყოს* [მ. 5: 32; მრკ. 9: 50], *განიწყუნიან* [მ. 6: 16], *დაიძარილოს* [მრკ. 9: 50], *ალივსნეს* [ლ. 6: 11], *შეიმოსა* [ლ. 12: 27]; *შეინირვის* [ხან. მრავ. 152: 2], *იეცენ* [ხან. მრავ. 134: 1], *გარდაიქცეს* [ხან. მრავ. 142: 2] (მდრ. *ხიქცეოდა* [ხან. მრავ. 148: 1; 151: 5], *ხიქცევინ* [ხან. მრავ. 141: 3-4]...).

ჰაემეტ ლექციონარში, რომელიც, ფაქტობრივად, ე.წ. სანნარეე ძეგლთა პირველ, უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა თითქმის ნახევარი **ჰ**-სეგმენტის გარეშეა წარმოდგენილი: *იბრძანა* [ჰაემ. 365: 25], *იქმნებიან* [ჰაემ. 368: 2], *დაითხიოს* [ჰაემ. 373: 18], *განიკურნა* [ჰაემ. 375: 20], *ითარგმანების* [ჰაემ. 378: 3-4], *იყვენით* [ჰაემ. 378: 7], *იყვნეს* [ჰაემ. 383: 18], *მოიქცა* [ჰაემ. 386: 23] და სხვ.

ხანმეტ მრავალთავში (ასევე, ჰაემეტ ლექციონარში) **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნა I პირში ყოველთვის **ხ**-სეგმენტის გარეშეა წარმოდგენილი: *ვიდიდო* [ხან. მრავ. 130: 6-7], *ვიქცეოდი* [ხან. მრავ. 130: 22], *განვიბანეთ* [ხან. მრავ. 132: 12], *კიყვენით* [ხან. მრავ. 132: 14, 15], *ვიჩუენებით* [ხან. მრავ. 142: 1], *კიყვენთ* [ხან. მრავ. 146: 3]; *ვიყო* [ჰაემ. 370: 10], *მოვივლინე* [ჰაემ. 382: 15].

¹ ხანმეტ ლექციონარში **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმების დაახლოებით ერთ მესამედში **ხ**-ს ამოფხეკილია, რაც მეორეულია. ძეგლის თავდაპირველი ვითარების გათვალისწინებით, არ დასტურდება არცერთი ფორმა, რომელიც **ხ**-პრეფიქსის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი.

ხანმეტი და ჰამეტი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე, ენის განვითარების მოცემულ სინქრონიულ დონეზე **ი**-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში **ბ-//ჰ-** პრეფიქსის კვალიფიკაცია ჭირს. „თუ რატომ იჩენს თავს **ბ-** ამ ტიპის ზმნებში, ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად ახსნილი არ არის“ (სარჯველაძე, 1995, გვ. 125). იგი უფუნქციო ელემენტი გამოდის, ვინაიდან არ ეძებნება სათანადო მორფოლოგიური ფუნქცია. გარკვეული თვალსაზრისით, მეორე პირის ფორმაში **ბ-//ჰ-** პრეფიქსი **S₂**-ის მორფემად კვალიფიცირდება,¹ მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ელემენტი სამივე პირის ფორმაში იჩენს თავს, ჯობს ყველა შემთხვევაში **ბ-** და **ჰ-** სეგმენტებს ერთნაირი კვალიფიკაცია მიეცეს და ერთნაირადვე აიხსნას ამ ფორმებში მათი არსებობა. საერთოდ, აღნიშნული სეგმენტები თავს იჩენს მხოლოდ **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში, სხვა ერთპირიან ზმნებთან, სულ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ რეალიზდება.

ანგარიშგასანვია ის გარემოება, რომ ხანმეტსა და ჰამეტ ტექსტებში **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნა ბრძანებითის მწკრივების II სუბიექტურ პირში ყოველთვის **ბ-//ჰ-** სეგმენტითაა წარმოდგენილი. ეს ნორმა და არა გამონაკლისი. მაშასადამე, **ამ ფორმებში ბ-//ჰ- სეგმენტი S₂-ის მორფემად არ მოიაზრებოდა**, რადგან ბრძანებითის მწკრივებში II სუბიექტური პირის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვა იყო.

ა. ონიანის აზრით, „შეუძლებელი არ არის **/ი-/** ალომორფიან ვნებითში სინქრონიულად (მაგრამ არა – დიაქრონიულად) **/ბ-/** და **/ჰ-/** დავახასიათოთ როგორც ვნებითის ქვემორფემა (დამატებითი მორფემა)“ (ონიანი, 1978, გვ. 116). არის ცდა ამ მოვლენის დიაქრონიული ახსნისა, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმიდან

¹ შანიძე, 1927, გვ. 114; ონიანი, 1978, გვ. 115 და შემდეგ.

მომდინარეობის შესახებ (შანიძე, 1926, გვ. 332-333; შანიძე, 1953, გვ. 354-356). **ი-პრეფიქსი**ან ვნებითებში დადასტურებული **ხ-//ჰ-** სეგმენტი, წარმოშობით, მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნადაა მიჩნეული (გამყრელიძე, 1979, გვ. 47; იმნაიშვილი, 1982, გვ. 203; მაჭავარიანი, 2002, გვ. 86). იგი პასივში უნდა გადასულიყო სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნიდან კონვერსიის დროს. **ი-პრეფიქსი**ან ვნებითებში ამ სეგმენტის ნულთან გათანაბრებას ხელი შეუშალა შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირდამატებიან კონსტრუქციებთან მორფოლოგიური კავშირის განყვეტამ. პასიურ კონსტრუქციებში **ხ-** აღარ გაიგებოდა როგორც O_3^d -ის ნიშანი (გამყრელიძე, 1979, გვ. 47). **ი-პრეფიქსი**ანი ვნებითი გვარის ფორმებში **ხ-//ჰ-**ს არსებობას გ. მაჭავარიანიც მორფოლოგიურად ხსნის და უკავშირებს მაქცევრებს, რომელთა არსებობა ფორმაში ყოველთვის ირიბი ობიექტის პოვნის უკავშირდება. მისი აზრით, **ხიქმნა** ტიპის ზმნები ორპირიანები იყვნენ და რეფლექსურობას გამოხატავდნენ ისევე, როგორც **ხექმნა** ტიპის ზმნები – რელატიურობას, მაშინ **ხ-** პრეფიქსის გამოვლენა ამ ტიპის პასივებში გამართლებულია (2002, გვ. 98-99).

თუ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში **ი-პრეფიქსი**ანი ვნებითი გვარის ფორმათათვის ნორმას წარმოადგენს **ხ-//ჰ-**სეგმენტიანი ფორმები, მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმათათვის ნორმაა ფორმები, რომლებშიც აღნიშნული სეგმენტი წარმოდგენილი არ არის,¹ ამიტომ ამ ტიპის პასივებში **ხ-//ჰ-**ს არსებობას აქტივის სათავისო ქცევის ფორმებით ვერ ავსხნით.

ა. ონიანის აზრით, ვინაიდან **ი-ალომორფი**ანი ვნებითი საერთოქართველურ საფეხურამდე აღის და ყველა ქართველურ ენაში უგამონაკლისოდ ერთპირიანია, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ოდესმე ორპირიანი იქნებოდა,

¹ თითო-ოროლა დარღვევაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

შესაბამისად, **ბ-** და **ჰ-** არ შეიძლება არასავალდებულო **ა** პირის¹ გამოხატვის ნაშთად მივიჩნიოთ. „აღნიშნულ ფორმებში ამ პრეფიქსათვის არ იძებნება შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქცია... **/ი-/** ალმორფიანი ვნებითის პირველი და მესამე პირის ფორმებში² **/ბ-/** (**>/ჰ-/**), როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ისტორიულად არ არსებობდა” (ონიანი, 1978, გვ. 164). ავტორის აზრით, **S₁-ის ბჟ-** მორფემა ამ ტიპის ზმნებთან არქაიზმის სახით შემოგვრჩა **ე-პრეფიქსი-** ანი ვნებითის ანალოგიით, შემდგომ მოხდა პარადიგმის გათანაბრება და ამ ელემენტმა **III** პირშიც იჩინა თავი (1978, გვ. 164-165).

ჩვენი აზრითაც, **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებში **ბ-//ჰ-**ს არ გააჩნია მორფოლოგიური ფუნქცია, იგი უფუნქციო ელემენტია არა მარტო ძველი ქართულის სინქრონიულ დონეზე, არამედ დიაქრონიულადაც. ვფიქრობთ, მისი არსებობა სამივე პირის ფორმაში ერთნაირად უნდა აიხსნას, ოღონდ არა მორფოლოგიურ, არამედ – ფონეტიკურ ნიშნად.

რაც შეეხება ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროსობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ კონფიქსებში (**ბუ-** -**ჭს/-ეს**, **ბუ-** -**ოძს/-ოს**, **ჰუ-** -**ჭს/-ეს**) **ბ-//ჰ-**ს კვალიფიკაციის საკითხს,³ ა. შანიძის აზრით, იგი, წარმოშობით, მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია, ხოლო **უ-** – სასხვისო ქცევისა (1981გ, გვ. 406-407). ამის მიხედვით ავტორი აღადგენს

¹ ირიბი ობიექტური პირის.

² მეორე პირის ფორმებში ამ სეგმენტებს ავტორი **S₂-ის** მორფემად მიიჩნევს (ონიანი, 1978, გვ. 163).

³ უფროსობითი ხარისხის ფორმებში ზოგჯერ **ბ-//ჰ-** ელემენტი წარმოდგენილი არ არის: **ულხინჭს** [ხანმ. ოთხთ. მ. 10: 15], **უმეტჭს** [ხანმ. ოთხთ. მრკ. 14: 31], **უფროძს** [ჰაემ. 378: 20], [უმრავლესა] [ჰაემ. 374: 20].

ფორმებს: *მ-ი-მჯობ-ე-ღს-ი*, *გ-ი-მჯობ-ე-ღს-ი*, რომლებშიც ირიბი ობიექტი I-II პირშია. მისი აზრით, სვანურში შედარებითი ხარისხის მანარმოებელი **ხო-** ა კონფიქსის **ხო-** ელემენტიც ასე იშლება: **ხ-** – O_3^{ind} -ის ნიშანი, **ო-** – სასხვისო ქცევის მანარმოებელი (1981გ, გვ. 408-409). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, დადგება ასეთი საკითხი: როგორც ცნობილია, **უ-** მაქცევარი კონსტრუქციაში ყოველთვის O_3^{ind} -ის არსებობაზე მიუთითებს, ამიტომ იგი ამ პირის ალომორფადაც მიიჩნევა (ონიანი, 2003, გვ. 115). მაშინ ამ და ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როცა ზმნას **უ-** პრეფიქსი მოუდის, **ხ-** მორფოლოგიურად ჭარბი გამოდის, ვინაიდან O_3^{ind} პირის ნიშნის ფუნქციას **უ-** ალომორფი ასრულებს.¹ **ხ-** მორფოლოგიური ფუნქციის გარეშე რჩება, რაც საფუძველს ქმნის ვიფიქროთ, რომ, როგორც **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში, შესაძლოა აქაც ეს ელემენტი არა მორფოლოგიურ, არამედ ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს განვითარებული.

მომდევნო საკითხი, რომელზეც მოგვიწევს პასუხის გაცემა, ეხება **აღხწმართე** ტიპის ფორმების კვალიფიკაციას. როგორც მიჩნეულია, ამ ტიპის ფორმებში ირღვევა ძველი ქართული ზმნის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი (გამყრელიძე, 1979, გვ. 48).

როგორც ცნობილია, ქართული ზმნის სტრუქტურაში ყოველ მორფემას თავისი რანგი აქვს, ყოველი კატეგორია მხოლოდ ერთი რანგითაა წარმოდგენილი, რაც გულისხმობს ერთი კატეგორიის ნიშნების შეუთავსებლობას. პირის პრეფიქსული მორფემები თავსდება ზმნისწინის შემდეგ, ქცევისა და გვარის პრეფიქსების წინ. პირის პრეფიქსულ მორფემათათვის რანგის გამოყოფის საკითხი განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში: თუ პირი ერთი კა-

¹ იხ. დამენია, 1982, გვ. 133.

ტეგორიაა, მისი მორფემები ქართული ზმნის სტრუქტურაში მხოლოდ ერთ უჯრედს დაიკავებენ (ონიანი, 1978, გვ. 157; გამყრელიძე, 1979, გვ. 44); თუ ხერხდება პირის კატეგორიის დიფერენციაცია და მისი დაყოფა ორ (S და O) ან სამ კატეგორიად (S , O^d , O^{ind}), შესაბამისად, ყოველ მათგანს სისტემაში თავისი რანგი ექნება. მაგ., მ. დამენია პირის პრეფიქსულ მორფემათათვის ორ რანგს გამოყოფს: ჯერ არის წარმოდგენილი სუბიექტის რანგი, შემდეგ – ობიექტის (1982, გვ. 46). თ. უთურგაიძე გამოყოფს სამ რანგს, ვინაიდან, მისი აზრით, საქმე გვაქვს არა ერთ, ზოგადად, პირის კატეგორიასთან, არამედ – სამ კატეგორიასთან (S , O^d , O^{ind}). რანგთა სისტემაში ყოველ მათგანს თავისი ადგილი ექნება (2002, გვ. 34). თუ ეს კომბინაციები არ ჩანს ზედაპირულ დონეზე, მორფოფონემატური ცვლილებების შედეგია (2002, გვ. 71). თანამედროვე ქართულში **შე-ვ-ს-წირე**, **მო-ვ-ჰ-გვარე** ტიპის ფორმები არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ზმნის სტრუქტურაში ორი პირის პრეფიქსული მორფემა ერთადაა წარმოდგენილი. ეს ფორმებიც ლოგიკური გაგრძელებაა ხანმეტ-ჰანმეტ ტექსტებში დადასტურებული *შეხუწირვიდეთ* [ხან. მრავ. 127: 11-12], *მოჰუგუარე* [ჰაემ. 370: 4] ტიპის ფორმების რეინტერპრეტაციისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში S_1 -ის მორფემის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთი თვალსაზრისით, ამოსავალია **ჟ-//ვ-** პრეფიქსი (შუხარტი, 1895, გვ. 48; შანიძე, 1925, გვ. 182; დონდუა, 1967, გვ. 280 და შემდეგ.; დეეტერსი, 1930, გვ. 26; თოფური, 1967, გვ. 26; ჩიქობავა, 1946, გვ. 123; სუხიშვილი, 1986, გვ. 58...); მეორე თვალსაზრისის მიხედვით, S_1 -ის მორფემა საერთოქართველურის დონეზე აღდგება ***ხჟ-** არქეტიპის სახით (კლიმოვი, 1964, გვ. 225; ონიანი, 1978, გვ. 159; გამყრელიძე,

1979, გვ. 49; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 695). ამიტომ **მი-ხ-ჟ-ეც** ტიპის ფორმებში **ხ-ჟ-** პრეფიქსის რეინტერპრეტაცია O_3^{ind} -ის **ხ-** და S_1 -ის **ჟ-** პრეფიქსთა კომბინაციად მეორეულია (ონიანი, 1978, გვ. 162; გამყრელიძე, 1979, გვ. 49). ამით დაირღვა ქართული ზმნის პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი (გამყრელიძე, 1979, გვ. 48), რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში ბოლომდეა გატარებული. ვფიქრობთ, ქართული ზმნის სტრუქტურისათვის ბუნებრივი სწორედ პრეფიქსული მონოპერსონალიზმია. **ვსთხოვე** ტიპის ფორმების გვერდით დღეს **ვთხოვეც**¹ გამოიყენება, რაც უფრო მართებულია. ამ ტიპის ფორმებში **ს-//ჰ-** პრეფიქსის გამოყენება აუცილებლობას არც წარმოადგენს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ მოეპოვება გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია).

თ. გამყრელიძეს შემოაქვს პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ ცნება (1979, გვ. 46). იგი სუბიექტურ და ობიექტურ პრეფიქსებს ერთი და იმავე „სიმძლავრის“ ნიშნებს უწოდებს. ავტორის აზრით, ზმნის სტრუქტურაში S_1 ან S_2 პირის მორფემა გამოვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტანტები კომბინირებენ O_3 აქტანტთან (აქტანტებთან),² ხოლო ობიექტური პირის ნიშნები გამოვლინდება O_1 და O_2 აქტანტთა სუბიექტურ (S_1 , S_2) აქტანტებთან კომბინირების შემთხვევაში (1979, გვ. 48-49).³ მაშინ O_1 და O_2 აქტანტები მეტი „სიმძლავრის“ მატარებელნი გამოდიან O_3 -თან შედარებით. S_1 და O_3 პირების კომბინაცია ზმნაში, მართლაც, S_1 -ის მორფემას გამოავლენს

¹ იხ. გიგინეიშვილი, 1986, გვ. 201.

² ჩვენი აზრით, S_2 და O_3 (მიცემითში მდგარი) პირების კომბინაციისას ზმნაში გამოვლინდება პირის ნიშნად გააზრებული O_3 -ის მორფემა (იხ. აგრეთვე: სარჯველაძე, 1997, გვ. 74).

³ პირთა კომბინაციებისას ასეთივე ვითარებაა სვანურში (იხ. ონიანი, 1978, გვ. 161-162).

(რეინტერპრეტაციის გაუთვალისწინებლად). ისმება კითხვა: O_3 პირის ნიშნის ნაკლები „სიმძლავრე“, O_1 და O_2 პირების მორფემებთან შედარებით, მისი მარკერის, გარკვეულწილად, განსხვავებულობა (თუნდაც ერთი ფორმოზივი მონაცემის პოლიფუნქციურობა) და გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობა როგორც სინქრონიულად, ისე, გარკვეულწილად, დიაქრონიულად ხომ არ შეიძლება ავხსნათ ამ ნიშნის განსხვავებული წარმომავლობით, მისი მეორეულობით და ისტორიულად ამ პირის უნიშნობით? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ [ხ] ელემენტის გააზრება O_3 -ის მარკერად მეორეულია არა მარტო **მიხჭეც** ტიპის ფორმებში, არამედ **ხუყოფდა**, **ხესმინ**, **განხასხამს**, **განხაბნევს** ტიპის ფორმებშიც, რომელთაც S_1 პირი არ ეწყობა? მაშინ ახსნას ითხოვს [ხ] ელემენტის ამოსავალი ფუნქცია.

S_1 პირის **ხჭე** პრეფიქსის რეინტერპრეტაციასთან დაკავშირებით დგება კიდევ ერთი საკითხი: ისტორიულად ეს რომ ერთიანი, მონოლითური მორფემა ყოფილიყო და მის ორივე კომპონენტს, მთლიანობაში ალებულს, ჰქონოდა მორფოლოგიური ფუნქცია, მოხდებოდა თუ არა მისი დაშლა? [ხ] ელემენტთან რომ მკაცრად იყოს დაკავშირებული S_1 -ის გამოხატვა (ჭე-სთან ერთობლიობაში), მოხდებოდა თუ არა მისი გადააზრება? ცხადია, არა. S_1 პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქცია **ხჭე** პრეფიქსის მეორე კომპონენტს უკავშირდება, ამ პრეფიქსის პირველ კომპონენტს მორფოლოგიური ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. [ხ] ამ შემთხვევაში ისეთივე უფუნქციო სეგმენტის როლში გამოდის, როგორც ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში. ვინაიდან **ხჭე** პრეფიქსის [ხ] სეგმენტს, ცალკე ალებულს, მორფოლოგიური ფუნქცია არ ეძებნება, პირობითად იგი S_1 პირის მორფემის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოვიზროთ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ ელემენტის არსებობა ისევე ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა აიხსნას.

ხჟ-პრეფიქსის [ხ] ოდენობას არნ. ჩიქობავა სწორედ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევდა (ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევდა **გჟ**-პრეფიქსის **გ**-საც) (1946, გვ. 123). კ. დონდუას აზრით, სვანური **ხჟ**-პრეფიქსის **ხ** ელემენტის ოდინდელი ფუნქცია უცნობი იყო (1967, გვ. 280-285). ვ. თოფურიას აზრით, **ხჟ**-პრეფიქსში (თუნდაც იგი ***ჰჟ**-სგან იყოს წარმომდგარი) ძირითად ელემენტს **ჟ** წარმოადგენდა, ***ჰ-//ხ-** კი სხვა წარმოშობისა უნდა ყოფილიყო (1967, გვ. 7).

ვინაიდან **ს₁** პირის გამოხატვა **ხჟ**-პრეფიქსის პირველ კომპონენტთან არ იყო დაკავშირებული, ენამ ადვილად იგუა ამ ოდენობის გამარტივება: **ხჟ** > **ვ-**. ამ პროცესის შედეგი ძველ ქართულშივე საცნაურია. **ს₁** პირის **ვ-** მორფემა დასტურდება აბსოლუტურ ზმნებში, გარდა **ი**-პრეფიქსიანი ვნებითისა, და იმ რელატიურ ზმნებში, რომელთაც მიცემითში მდგარი **ო₃** არ ეწყობათ. **ხჟ**-პრეფიქსის გამარტივების პროცესი თვით ძველ ქართულშივე გრძელდება. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ანალიზის საფუძველზე ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ ამ პროცესს.

ხანმეტობის ეპოქაში **ხჟ**-პრეფიქსის გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში ლიტერატურული სკოლებისთვის ნორმაა: *აღხუაგ ზნე* [ოქსფ. 304: 18-19], *შეხუძლოთ* [კემბ. 38: 20], *ხუარწმუნოთ* [ხანმ. ლექც. 58: 4], *დახუდვა* [ხანმ. ლექც. 62: 33-34, 35] და სხვ. განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ხანმეტი ოთხთავი¹ და ხანმეტი მრავალთავი (მე-8 ს. I ნახ.). ამ მხრივ საინტერესოა ჰაემეტი ლექციონარის (მე-8 ს. II ნახ.) ვითარებაც.

¹ როგორც აღვნიშნეთ, ლ. ქაჯაია ხანმეტ ოთხთავს V-VI საუკუნეებით ათარიღებს, ზ. სარჯველაძე კი – VII საუკუნით.

ხანმეტ ოთხთავში, ძირითადად, ხანმეტობის ნორმაა გატარებული: *ხჯე* [მრკ. 11: 29], *განხუასხამ* [ლ. 11: 20], *ხუეძი* [ი. 8: 50], *ხუამსგავსო* [მრკ. 4: 30], *შეხუძინე* [მ. 25: 20], *გარდახუჯედ* [ლ. 15: 29] და სხვ. გვხვდება *გახვასხამ* [მ. 12: 28] ფორმაც. **ხჟ**-პრეფიქსიანი ფორმების გვერდით დასტურდება გამარტივებული, ოდენ **ვ**-პრეფიქსიანი ფორმებიც: *განვასხემდით* [მ. 7: 22], *მოველოდით* [მ. 11: 3], *განვასხამ* [მ. 12: 27], *მოვგუარე* [მ. 17: 16], *[ვ]იდიდებდე* [მ. 17: 17], *კიტყჯო* [ი. 3: 11], *ვნამებო* [ი. 3: 11]. როგორც ჩანს, იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისთვის სწორედ ამ ტიპის გამარტივებული ფორმები უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რომლებიც უნებლიეთ „გაეპარა“ გადამწერს.

ხანმეტ მრავალთავში ხანმეტობის ნორმით მოსალოდნელი მხოლოდ ხუთი ფორმა დასტურდება, რომლებიც აშკარად „გაპარული“ უნდა იყოს გადამწერის მიერ ხანმეტი დედნიდან გადაწერისას: *შეხუერდეთ* [127: 6], *ხუმადლობდეთ* [127: 6-7], *შეხუწირვიდეთ* [127: 11-12], *თაყვანის ხუცემდეთ* [131: 9], *ხუემსგავსენით* [142: 10]. საერთოდ, ხანმეტი მრავალთავი იმით იქცევს ყურადღებას, რომ მასში ჰაემეტი ფორმები არ გვხვდება. ძეგლი ხანმეტია, მაგრამ აშკარად არაა ხანმეტობის არქაული ნორმების ბოლომდე გამტარებული. მასში ხანმეტობა, როგორც ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენა, ლიტერატურული სკოლის მიერ აშკარად ხელოვნური, მნიგნობრული გზითაა გატარებული, მაგრამ ისე, რომ შეინიშნება იმ ენობრივი მოვლენის დაკანონება, ნორმად გამოცხადება, რომელიც აშკარად დარღვევას წარმოადგენდა ცოცხალი ხანმეტობისთვის, მაგრამ მიუღებელი და ხელოვნური იყო ხელნაწერის შექმნის პერიოდისთვის. იქმნება იმგვარი ნორმა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს არქაული პერიოდის ვითარებაც და, იმავდროულად, გაითვალისწინოს ენაში მიმდინარე მოვლენებიც. **ხჟ** > **ვ**- პროცესი ხანმეტ მრავალთავში უკვე

ნორმის სახეს იღებს და ისეთ სპონტანურ ხასიათს აღარ ატარებს, როგორც ხანმეტ ოთხთავში: *შევწიროთ* [131: 18], *მივემთხვნეთ* [128: 8], *ვაჩუენოთ* [128: 4-5], *ვექმნეთ* [128: 9], *დავაცადო* [127: 13-14], *შევეახლნეთ* [127: 15-16], *ვევედრებოდით* [125: 13] და სხვ. ეს ფორმები, ფაქტობრივად, ე.წ. სანნარევობისა და თანამედროვე ქართულის ვითარების ამსახველია. ამიტომ ამგვარი ენობრივი ვითარების გაგრძელებად იმ ჰაემეტი მონაცემის მიჩნევა, რომლისთვისაც *აღჰუმართე*, *შეჰუნრო*, *დაჰუაცადო* ტიპის ფორმები იქნება დამახასიათებელი, ვფიქრობთ, გაჭირდება. 616-619 წლებით დათარიღებული წყისის წარწერაში დადასტურებული *აღჰუმართე* ფორმა ხანმეტი მრავალთავის შექმნის ენობრივი გარემოსთვის განვლილ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს. ჩანს, გარკვეული ენობრივი პროცესები ხანმეტსა და ჰაემეტ ენობრივ გარემოში თანადროულად მიმდინარეობდა. ამიტომ რაღაც პერიოდში, თუნდაც სხვადასხვა ტერიტორიაზე, ამ ორი მონაცემის თანაარსებობა უნდა ვივარაუდოთ.

ხანმეტი მრავალთავის შექმნის ჟამს არა მარტო ხანმეტობის, არამედ ჰაემეტობის პოზიციებიც კარგა ხნის შერყეული უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ბევრის მთქმელია თუნდაც ხანმეტ ოთხთავში ს-პრეფიქსიანი ფორმის (*დასთესის* [მრკ. 4: 26]) არსებობა. ჩანს, ე.წ. სანნარევობის ჩანასახი უკვე მე-7 საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა) უნდა გვექონოდა.¹

ჰაემეტ ლექციონარში ორივე წარმოება დასტურდება, თუმცა *ჰჟ*-პრეფიქსიანი ფორმები აშკარად ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს: *ვიტყჳ* [387: 13], *მოვიმკი* [385: 10], *მოველოდეთ* [366: 14], *ვიდებდე* [370: 10], *მოჰუგუარე* [370: 4],

¹ იხ. სარჯველაძე, 1995, გვ. 129.

ჰუყოფ [388: 20], ჰჯცოდე [388: 18], სათნო ჰჯყავ [370: 12].¹ გვხვდება გადააზრებული და სეგმენტირებული პრეფიქსის ახლებური განლაგებაც: **დავჰთესი** [385: 10].

საყურადღებოა **ხჟ-** პრეფიქსის გამარტივების პროცესი **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებში, ვინაიდან **აქ მისი რეინტერპრეტაციის საფუძველი არ არსებობს**. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი იდენტურია აქტივებში მიმდინარე პროცესისა. ამ ფორმებში გამარტივებულ **ვ-** პრეფიქსს ხანმეტ ტექსტთაგან ისევ ხანმეტი ოთხთავი და ხანმეტი მრავალთავი გამოავლენს: *ვიყვენით* [მ. 23: 30],² *ვიქცეოდი* [ხანმ. მრავ. 130: 220], *განვიბანეთ* [ხან. მრავ. 132: 12], *ვიყვენით* [ხან. მრავ. 132: 15] და სხვ. ხანმეტ მრავალთავში **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის I სუბიექტური პირის ფორმები უგამონაკლისოდ [ხ] სეგმენტის გარეშეა წარმოდგენილი. ამ ძეგლისათვის ეს მკაცრად ჩამოყალიბებული ნორმაა. მეორე და მესამე პირის ფორმები **ხ-სეგმენტიანი** (სამიოდე შემთხვევაში იგი არ ჩანს: *შეინირვის* [125: 2], *იქცენ* [134: 1], *გარდაიქცეს* [149: 2]). ეს გვავარაუდებინებს ვიფიქროთ, რომ **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში [ხ] სეგმენტის დაკარგვა I სუბიექტური პირის ფორმებში უნდა დაწყებულიყო და შემდგომ უნდა განზოგადებულიყო მესამე და მეორე პირის ფორმებშიც**.

ჰაემეტ ლექციონარშიც **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის I სუბიექტური პირის ფორმები [ჰ]-ს არ გამოავლენს (*ვიყო* [370: 10], *[მოვივლინე]* [382: 15] ...), მაშინ როცა II-III პირების ფორმებში სიჭრელეა: [ჰ] სეგმენტი ხან რეალიზდება, ხან – არა (*ჰიქმნა* [376: 6], *შდრ. იქმნებიან* [368: 2]; *ჰიქცეს* [388: 7],

¹ ბოლო ორი ფორმა სათავისო ქცევისაა და, ნორმის მიხედვით, **ჰ-**ს არ უნდა მოველოდეთ.

² [ხ] ელემენტის კლების პროცესი ძეგლში **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ზმნათა II-III პირების ფორმებშიცაა გატარებული, თუმცა არა სისტემებრ.

შდრ. მოიქცა [386: 23]; ჰიყვნეს [377: 22], შდრ. იყვნეს [383: 18] და სხვ.).

საინტერესოა, რომ ხანმეტ (ასევე ჰამეტ) ტექსტებში ზოგჯერ დასტურდება **ხჟ**-პრეფიქსიანი რელატიური ფორმები, რომლებშიც მისი სემანტიკისა და რეინტერპრეტაციის საფუძველი არ არსებობს. ამ შემთხვევაშიც **ხჟ**-პრეფიქსი მთლიანობაში S₁-ის მორფემად უნდა კვალიფიცირდეს (მოცემულ სინქრონიულ დონეზე), ვინაიდან, ნორმის მიხედვით, ამ შემთხვევაში O₃ არამარკირებულია.

... მე თათვარაზ **აღხუმართე** ესე ჯუარი... [უკანგ. I წარწ.].

... მე თათვარაზ და მარიამ **აღხუმართეთ** ესე ჯუარი [უკანგ. II წარწ.].

აღხუგზნე ცეცხლი ბჭეთა იწმისათა [ოქსფ. 304: 18-19].

რომელი ჩემდა მოვიდეს, არა **განხუაძო** გარე [ხანმ. ოთხთ., ი. 6: 37].

არა **დახუფარო** სირცხული შენი [პროტ. 33: 27 B].

ხვპოვო განმცემელ სისხლისა უბრალოდსა [პროტ. 30: 22 B].

ესე **აღხუასრულო** [ხანმ. ლექც. 63: 21].

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი რ~ი მე სათნო **ჰყავ** [ჰამე. 370: 1].

მე **ჰვცოდე** რ~ მარადის ისმინი ჩემი [ჰამე. 388: 18].¹

¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზ. სარჯველაძის აზრით, ამგვარ ფორმებში **ხ-//ჰ-** შესაძლოა, პირდაპირი ობიექტის ნიშნად მივიჩნიოთ (1971, გვ. 117).

დღეს S₁ პირის მორფება არქაული სახით მხოლოდ სვანურმა შემოგვინახა. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს იმაზე დაკვირვება, თუ რა სურათს გვიჩვენებს სვანურში S₁ პირის **ხჷ-**, **ხ-**, **-ჷ-**, **Ø-** (ლენტეხურში **მ-**ც დასტურდება) ალომორფების განაწილება. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს S₂ პირის **ხ-**, **Ø-** და O₃^{ind} პირის **ხ-**, **Ø-** ალომორფებზე დაკვირვებაც, ვინაიდან **ხ** ოდენობის (იქნება ის **ხჷ** პრეფიქსის შემადგენელი სეგმენტი თუ S₂ და O₃^{ind} პირების ალომორფი) გამოვლენა ყველა ამ შემთხვევაში ერთ პრინციპს ემორჩილება (ხდება იდენტურ ფონოლოგიურ პოზიციაში).

ზმნისწინები ცვლიან პირის მორფმათა ალომორფების განაწილების სურათს. პირის ნიშანთათვის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური პოზიცია იქმნება: უზმნისწინო ფორმებში პირის პრეფიქსული მორფემები პაუზის მომდევნოდ არის წარმოდგენილი, ზმნისწინიან ფორმებში – ხმოვნის ან თანხმოვნის შემდეგ (ონიანი, 1978, გვ. 75-76).

უზმნისწინო ფორმებში ხმოვნების წინა პოზიციაში (ეს ხმოვნები მეტწილად ქცევის ან გვარის აღმნიშვნელია) დასტურდება S₁ პირის **ხჷ-** ან **ხ-** ალომორფი (ბზ., ბქვ., ლნტ. ხჷ-პრი „ვარ“, ზსვ., ლშხ. ხ-ოსყი „ვუკეთებ“), ხოლო თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან – **-ჷ-** ან **Ø-** (ზსვ., ლნტ. ტ-ჷ-იხე „ვაბრუნებ“, ბზ., ლშხ. ტული „ვიძახი“), ოღონდ **-ჷ-** ალომორფი, ჩვეულებრივ, ინფიქსის სახითაა მოცემული, მოქცეულია ფუძის თავკიდურ თანხმოვანსა და მომდევნო ხმოვანს შორის (ონიანი, 1978, გვ. 76-77), ე.ი. თანხმოვნის წინ ხდება **ხჷ** პრეფიქსის გამარტივება და ინფიქსად ქცევა (/ჷ/ თავკიდურა პოზიციაში სვანურისათვის არაბუნებრივია).

როგორც ვხედავთ, **ხ**-სეგმენტიანი **ხჷ**- ალომორფი (ან ოდენ **ხ-** სეგმენტით წარმოდგენილი ალომორფი) დასტურდება პაუზის მომდევნოდ, პოზიციაში #-V.

უზმნისწინო ფორმებში S_2 პირის **ხ-** ალომორფი გამოვლინდება ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან (**ხ-**პრი „ხარ“), თან-ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან გვაქვს **ღ-** (ტიხე „აბრუნებ“) (ონიანი, 1978, გვ. 78). ამ შემთხვევაშიც **ხ-**ს გამოვლენა ფონოლოგიურადაა შეპირობებული, რეალიზდება $\#-V$ პოზიციაში. „ S_1 /ხჟ-/ და /ხ-/ ალომორფებს S_2 ფორმაში ყოველთვის /ხ-/ ენაცვლება, ხოლო S_1 /-ჟ-/ და / $\emptyset$ / ალომორფებს – S_2 / $\emptyset$ /“ (ონიანი, 1978, გვ. 78).

უზმნისწინო ზმნებში O_3^{ind} ყოველთვის **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, რასაც ისევ და ისევ ფონოლოგიური მოტივაცია აქვს – იგი ყოველთვის ხმოვნის წინ (ქცევის ან გვარის ნიშნების) არის მოქცეული, მაგ., ხ-აჰჟდი „აძლევს“, ხ-ოხტაჟი „უხატავს“, ხ-ეხტაჟი „ეხატება“ (ონიანი, 1998, გვ. 119). თუკი ძველ ქართულში ზმნას O_3^{ind} მორფემა მაქცევრის გარეშეც ერთვოდა (*ხრწმენეს* [ხანმ. მრავ. 142: 1], *ხძლოს* [ხანმ. მრავ. 148: 16], *თავყანის-ხცეს* [ხანმ. ლექც. 58: 15], *ხთხოვდეს* [ხანმ. ოთხთ. მ. 7: 10] და სხვ.), სვანურში ამგვარი რამ გამორიცხულია – **O_3^{ind} პირის მორფემა მაქცევრის გარეშე ზმნას არ ერთვის.**

სვანურში O_3^d ოპოზიციის არამარკირებული წევრია. O_3^d -ის მარკირებისთვის სვანურში განსხვავებული ფონოლოგიური პოზიცია იქმნება: $\#-V$ ან $\#-C$ (შდრ. $O_3^{ind} \#-V$), ამიტომ, წესით, მოსალოდნელი იყო ამ პირის **ხ-** და **ღ-** ალომორფებით წარმოდგენა (ზემოთ შენიშნული კანონზომიერების თანახმად, **ხ-** გამოვლინდებოდა $\#-V$ პოზიციაში). მართალია, სვანურში O_3^d პირისთვის **ხ-**ს შინაგანი რეკონსტრუქცია არ ხერხდება (ონიანი, 1978, გვ. 187), მაგრამ ძველ ქართულ ენაში (ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში) გატარებული O_3^d -ის მარკირების პრინციპი ისტორიულად სვანურშიც უნდა გვავარაუდებინებდეს მსგავს ვითარებას (თანაც მარკირების ერთიანი პრინციპია

საგულვეთელი პირდაპირი და ირიბი ობიექტებისთვის არა მარტო I-II, არამედ III პირშიც). პირუკუ, სვანურში O_3^d -ის მარკირების (ფონოლოგიურად შეპირობებული) დაშვებით ახსნა ეძებნება ძველ ქართულში ამ პირის მარკირებაში არსებულ სიჭრელეს.

ამრიგად, **სვანურში უზმნისწინო ზმნებთან ხ-, ხჟ- პრეფიქსების არსებობა ფონოლოგიურადაა შეპირობებული – იგი რეალიზდება მხოლოდ #-V პოზიციაში (ჟ- აბსოლუტურ დასაწყისში სვანურისთვის არაბუნებრივია).**

ზმნისწინიან ფორმებში პირის მორფმატა ალომორფების განაწილებაზე გავლენას ახდენს მხოლოდ ლა-, ან-, ად-, ეს- ზმნისწინები.

ლა- და ან- ზმნისწინიან ფორმებში, პოზიციაში V-V, S_1 **ხჟ-** ალომორფითაა წარმოდგენილი (ბზ., ბქვ. ო-ხჟ-ჰსყ „გავაკეთე“) ისევე, როგორც უზმნისწინო ფორმებში (პოზიციაში #-V), ხოლო პოზიციაში V-C (როცა სინკოპირებულია S_1 მორფემის მომდევნო ხმოვანი) – **ხჟ-** და **ხ-** ალომორფებით (ბზ. ო-ხჟ-ჰიდე „მოვუტან, მოვუყვან“, ლშხ. ო-ხ-მწრ „მოვამზადე“) (ონიანი, 1978, გვ. 89-90).

ად- და ეს- ზმნისწინიან ფორმებში, ე.ი. თანხმოვნის მომდევნოდ, S_1 წარმოდგენილია **ღ-** ან **ჟ-** ალომორფებით (პოზიციაში C-V ან C-C), **ხ-** სეგმენტი არ ჩანს (ბქვ., ბზ., ლაშხ. ოთ-აბ „მივაბი“, ბქვ., ლშხ. ოთ-შიხი „დავიწვები“, ლნტ. ათ-ჟ-ექდ „შეეცდი“, პთ-ჟ-შიხი „დავიწვები“).

ზმნისწინიან ფორმებში, ხმოვნის მომდევნოდ (ლა-, ან- ზმნისწინიან ფორმებში), S_2 **ხ-** ალომორფითაა წარმოდგენილი (პოზიციაში V-V ან V-C) ისევე, როგორც უზმნისწინო ფორმებში: ბზ., ბქვ., ლნტ. ა-ხ-ჰსყ „გააკეთე“, პ-ხ-შომ „მოისვენე“. თანხმოვნის მომდევნოდ (ე.ი. ად-, ეს- ზმნისწინიან ფორმებში, პოზიციაში C-V ან C-C) იგი წარმოდგენილია **ღ-** ალომორ-

ფით (ბქვ., ლნტ. პთ-ეყჩ „თავი დაანებე“, ლშხ. ეთ-ქადენ „და-ასხი“) (ონიანი, 1978, გვ. 92-93).

ზმნისწინიან ფორმებში O_3^{ind} წარმოდგენილია ორი ალო-მორფით: **ხ-** და **ღ-**. როგორც მოსალოდნელი იყო, ხმოვნის მომდევნოდ რეალიზდება **ხ-** (ლა-ხ-ტის „დაუბრუნა“), ხოლო თანხმოვნის მომდევნოდ – **ღ-** (ათ-ბე „მიაბა“) (ონიანი, 1998, გვ. 140). მართალია, ზმნისწინიან ფორმებში, უზმნისწინოთა-გან განსხვავებით, ქცევის პრეფიქსები ზოგჯერ არაა წარმოდგენილი, როცა მათთვის სარედუქციო პოზიცია იქმნება, მაგრამ ეს მეორეული უნდა იყოს. საინტერესოა ლენტეხური დიალექტის ვითარება, რომელშიც ქცევის ნიშნები ზოგჯერ წარმოდგენილია იმ შემთხვევებში, რომლებშიც სხვა დიალექტებში მათი რედუქცია ხდება, მაგ., ა-ხ-ო-სყე „გაუყვითა“, ა-ხ-ო-ჟიდ „მოუტანა“. შდრ. სხვა დიალექტები: ო-ხ-სყე, ო-ხ-ჟიდ (ონიანი, 1978, გვ. 247).

ამრიგად, **ზმნისწინიან ფორმებში ხ- (ხჟ-) პრეფიქსის არსებობა ფონოლოგიურადაა შეპირობებული – იგი რეალიზდება ხმოვნის მომდევნოდ** (პოზიციაში V-V ან V-C. გარკვეულ შემთხვევებში საცნაურია V-C პოზიციის მეორეულობა).

ცნობილია, რომ „პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (ზმნისწინი + სუბიექტური ან ობიექტური პირის მორფემა) თანამედროვე სვანურში თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია“ (ონიანი, 1998, გვ. 126), ამიტომ, თუ ან-, ად-, ეს- ზმნისწინთა მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია O_1 მ- ~ მგ-, O_2 ჯ- ~ ჯგ-, S_1 ლ- ~ ლგ-, O_i გჟ- ~ გუ- ან O_e ნ- ~ ნგ-, მაშინ ნულთან მუდამ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტია გათანაბრებული (მაგ., ან-ზმნისწინიანი: ბზ. ა-მ-ჟიდ „მომიყვანა“; ად-ზმნისწინიანი: ა-ჯ-შის „დაგინვა“; ეს-ზმნისწინიანი: ე-ლ-ყად „მიყვავართ“ და სხვ.), ხოლო, **თუ ად-, ეს- ზმნისწინებს მოსდევს S_1 ხჟ- ~ ხ-, S_2 ხ-, O_3 ხ-, ნულთან გათანაბრებულია პირის**

ნიშნები (და არა ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტები): ბქვ. ოს-აგჟმ „დავასხი“, ლშხ. ათ-აბ „მიაბი“, ათ-ბე „მიაბა“ და სხვ. ად- და ეს- ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება S_1 ჟ- (ონიანი, 1998, გვ. 126-128).

ეს წესი გვიჩვენებს, რომ ენა განსხვავებულად ექცევა პირის მორფემებს: ნულს ადვილად უთანაბრდება **ხ**, რასაც სხვა მორფემებზე ვერ ვიტყვით. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ **ამ შემთხვევაში ხდება არა ხ-ს დაკარგვა, არამედ შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციის უქონლობის გამო მისი არსებობა არცაა საგულელებელი?** თუ დავუშვებთ, რომ S_2 და O_3 პირების **ხ**-მორფემა (ასევე, S_1 პირის **ხჟ**-მორფემის **ხ** სეგმენტი) ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარდა და მისი მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა, პირის მორფემად გააზრება (შესაბამისად, **ხჟ**-პრეფიქსის ერთიან ოდენობად აღქმა) მეორეულია, მაშინ ახსნას ითხოვს ის ფონეტიკური ნიადაგი, რომლის საფუძველზეც [ხ]-ს (ან [ჰ] > [ხ]) არსებობაა საგულელებელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ [ხ]-ს არსებობისთვის ბუნებრივი პოზიციაა #-V, ხოლო მიუღებელი – #-C, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ანლაუტში, ხმოვნის წინ, [ხ]-ს (ან [ჰ] > [ხ]) არსებობა შესაძლოა ისტორიულად ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას, ასპირაციას, უკავშირდებოდეს?¹ ვფიქრობთ, ამის დაშვება შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ხმოვანთა შემართვა-დამართვა ენების (resp. დიალექტების) მიხედვით განსხვავებულია. არსებობს ხმოვანთა მაგარი, ანუ ძლიერი, რბილი, ანუ ნელი, და ფშვინვიერი შემართვა. საერთოქართველურს ისტორიულად ახასია-

¹ ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ზმნისწინიანი ფორმები ასეთ დაშვებას არ ეწინააღმდეგება.

თეზა ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა. „ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები“ (ჟლენტი, 1965ბ, გვ. 112). „როგორც ჩანს, ძველ ქართულს იგი მეტად ახასიათებდა, ვიდრე ე.წ. ჰაემეტობის პერიოდში“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 109). ქართველური ენებიდან ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ხელშესახებ მასალებს იძლევა დღეს სვანური ენის ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოები და ჭანურის ვიწურ-არქაბული კილოკავი (ჟლენტი, 1965ბ, გვ. 112). ასპირაცია არ ახასიათებს ლაშხურსა და ლენტეხურს (თუმც სპორადულად იქაც ვხვდებით), მაგ., ჩხხ. ჰასჟიმ, ლშხ. ასუშ, ლნტ. ასვიშ „ასული“... (ჟლენტი, 1965ა, გვ. 21-22).

ქვემოსვანურსა და ნაწილობრივ ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში ფშვინვიერი შემართვის [ჰ] ან [ღ]-დ არის დასუსტებული (ზს. ჰებ > ქს. ეებ „ბალი“...), ან მთლიანად გაუჩინარებულია (ზს. ჰაგვ > ქს. აგვ „ქუსლი“...).

ანლაუტის ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის უქონლობა მეორეული მოვლენა ჩანს (ქალდანი, 1959, გვ. 96). ამაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა სხვა ქართველურ ენათა (ქართულისა და ზანურის) გავლენასაც (ქალდანი, 1959, გვ. 95). ამიტომ ასპირაციის შენელება-გაქრობა სწორედ ქვემოსვანურშია უფრო გამოხატული.

ქართულში ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა გაცილებით ადრე მოიშალა, ვიდრე სვანურში. აქ გვაქვს ერთი ჯგუფი ქართულიდან შესული სახელებისა, რომლებთანაც ქართულში ფშვინვიერი შემართვა არ ჩანს, სვანურში კი იგი ამჟამადაც მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა, მაგ.:

ქართული	სვანური
არაყი	ბზ. ჰარწყ
აბჯარი	ბზ., ბქ. ჰაბჯარ
ეჭვი	ბქ. ჰეჭუ
ავეჯი	ბზ. ჰავეჯ
აბედი	ბზ. ჰაბედ, ბქ. ჰობედ „იარალი, თოფი“
ელდა, ალი	ზს. ჰელ და სხვ.

სვანურში ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის შემდგომი განვითარებისას [ჰ] > [ხ], მაგ., ბზ. ჰარწყ//ხარწყ, ჰასაკ//ხასაკ, ჰაქდურ//ხაქდურ „სრულიად, მთლიანად“... (შდრ. ჰაერი//ხაერი, ჭან. ჰალალ//ხალალ „ხელიკი“, ჰამამი//ხამამი „აბანო“, ჰავა//ხავა და სხვ.). ბზ. ხეხვ < *ჰეხვ „ცოლი“, შდრ. უშგ. დეხვ (ჟლენტი, 1965ა, გვ. 22).

სინქრონიულ დონეზე მეგრულ-ლაზურში ასპირაცია გამეორალია. გადმონაშთის სახით იგი შემორჩენილია მხოლოდ ლაზურის ვინურ-არქაბული კილოს ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში, მაგ., ვინ.-არქ. ჰადა // ხოფ. ადა „ეს“, ვინ.-არქ. ჰეა // ხოფ. ია „ის“, ვინ.-არქ. ჰამუქ // ხოფ. ამუქ „ამან“, ვინ.-არქ. ჰაშო // ხოფ. აშო „ასე“, ვინ.-არქ. ჰასთერი // ხოფ. ასთერი „ასეთი“, ვინ.-არქ. ჰაქოლე // ხოფ. აქოლე „აქეთ“, ვინ.-არქ. ჰანი // ხოფ. ანი და სხვ. (ჟლენტი, 1965ა, გვ. 22).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულს, ფაქტობრივად, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა აღარ ახასიათებს. გამონაკლისის სახით გვხვდება შორისდებულებში, მაგ., ჰა, ჰე,¹

¹ აქ „მისი შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყოს იმ რთული ემოციური გრძნობის ინტენსიურობას, რომელსაც შორისდებულთა წარმოთქმისას აქვს ადგილი“ (ჟლენტი, 1965გ, გვ. 181).

ასევე, ნასესხებ სიტყვებში, მაგ., ჰაერი, ჰანგი, ჰიმნი, ჰომე-როსი და სხვ. (ახვლედიანი, 1998, გვ. 109).

ქართულის დიალექტთაგან ინგილოურში შეინიშნება [ჰ] ბგერის განვითარება ანლაუტში /ო/, /უ/ ხმოვნების წინ. ზმნურ ფორმებში სინქრონიულ დონეზე **ჰ**- O_3^{ind} პირის მორფემად კვალიფიცირდება ფორმებში: ჰუყვარს, ჰუხარიან, ჰუმღერის, ჰუყივის, ჰუფიქრი, ჰუჭამი, ჰუქნი, ჰუთქომ (შანიძე, 1981ბ, გვ. 265). მაგრამ, თუ ფორმა ზმნისწინიანია, ანუ /უ/ ხმოვანი ანლაუტში აღარაა წარმოდგენილი, მოსალოდნელი **ჰ**- არ ჩანს: დაჟნახი, დაჟზახნი, ჩამოჟგდო, აჟყონი და სხვ. გვაქვს, ერთი მხრივ, ჰუტნავ, მეორე მხრივ, მოუტნავ; ჰუზახნი და დაჟზახნი; ჰუნახი და დაჟნახი და სხვ. შესაძლოა ამავე პოზიციაში [ჰ] განვითარდეს სახელურ ფორმებშიც, მაგ., ჰჟრ „ვირი“. ეს ბგერა ვითარდება S_1 პირის მორფემასთანაც:¹ ჰჟც „ვიცი“, ჰჟტყჟ „ვიტყვი“, ჰჟქეიფებ „ვიქეიფებ“ და სხვ. (შანიძე, 1981ბ, გვ. 266). ა. შანიძის აზრით, „ჰაეს წარმოშობას თავკიდურის უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა იმგვარადვე, როგორც იმავე ჰაეს გაჩენა უნისა და ონის წინ ანლაუტში და, მაშასადამე, ლაპარაკი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ, ინგილოური მასალების მიხედვით, შეუძლებელია“ (1981ბ, გვ. 266). ვფიქრობთ, სინქრონიულ დონეზე დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს **ჰ**- პრეფიქსის O_3^{ind} პირის მორფემად გააზრება, თუმცა ისტორიულად იგი, უდავოდ, ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული ჩანს. ს. ჟღენტიც ანლაუტში განვითარებულ [ჰ]-ს ასპირაციას უკავშირებს და მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული ინგილოური ტექსტებიდან მოჰყავს ფორმები: ჰელვა, ჰაკაკ, ჰალავ, გუთან ჰაჩიჩად, ეემ ჰარაკიმ,

¹ ანალოგიური ვითარებაა სვანურშიც.

ჰუნდ, ჰეგი, ჰაგუბად, ჰაბად, ჰამფავ, ჰუქნი, ჰუფიქრი და სხვ. (ჟღერტი, 1965ა, გვ. 23).

ინგილოურში ასპირაციის მოშლის ფაქტის ამსახველი უნდა იყოს /ა/, /ე/ ხმოვნებით დაწყებული ზმნური ფორმების ანლაუტში [ჰ]-ს კლება: აქ, აქონდა, აკოცა, ეყურებ, ეზახიან, ექნა და სხვ. (მანიძე, 1981ბ, გვ. 266).

თავად სვანურში პირის **ხ**- ალომორფის (ასევე **ხჟ**- ალომორფისა და **ი**-პრეფიქსიანი ვნებითის [ხ] სეგმენტის) ასპირაციასთან დაკავშირებისთვის, ერთი შეხედვით, დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს ამ ელემენტის არსებობა ზმნისწინიან ფორმებშიც, რომლებშიც მისი არსებობისათვის მოსალოდნელი **#-V** პოზიცია არ არსებობს¹ (**ხ**- ინლაუტშიც შენარჩუნებულია). სვანურში ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული [ხ]-ს (< [ჰ]) ამ პოზიციაში არსებობა რომ საესებით შესაძლებელია, არაერთი მაგალითით მტკიცდება, კერძოდ, სვანურში გვაქვს ერთი ჯგუფი ქართულიდან შესული სახელებისა, რომლებშიც ანლაუტში /ა/, /ე/ ხმოვნების წინ ასპირაციის ნიადაგზე გაჩენილი [ჰ] ინლაუტშიც შენარჩუნებულია [ჰ]-ს და [ფ]-ს სახით ([ფ] მიღებულია [ჰ]-ს დასუსტებით).

ქართული	სვანური
ასული	ჰას'ჟუმ, ლა-მსუმა „ასულები“
ალი	ჰელ, ბქ. ლი-ჰელვე > ლშხ. ლი-ფელვე „ალში გატარება“ ბქ. მგ-ჰელვე > ლშხ. მგ-ფელვე „ალში გამტარებელი“
არაყი	ზს. ჰარწყ, ბს. ლი-ჰრწყი > ბქვ. ლი-ფრწყი, ლშხ. ლრ-ფრწყი „არყის გამოხდა“

¹ შდრ. ამ მხრივ ინგილოურის ვითარება.

	ბზ. ლა-ჰრანყინ ცხვად, ბქ. ლა-მრაც ზამ//ზამ, ლშხ. ლა-მრაც ცხვად „საარყე ქვაბი“.
არაკი	ჰარანკ, ბქვ. ლა-ჰრაც > ლშხ. ლა-მრაც „საარაკო“
აბედი	ბზ. ჰაბედ, ბქ. ლა-ჰბედი > ლშხ. ლა- მბედი „საბეგვი იარალი“ ბქ. ჰობედ, ბქ. ლა-ჰბედი > ლშხ. ლა- მბედი „დაბეგვა, აბედად ქცევა“ (ქალ- დანი, 1959, გვ. 93).

„თავკიდური ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის ნიადაგზე გაჩენილი **ჰ** სისტემატურად გადადის **მ**-ში“ (ქალდანი, 1959, გვ. 92). ფშვინვიერი შემართვის მქონეა ბქ. ჰანდურ „წვიმის წყალი“, აქედან: ბქ. ლი-ჰანდვრე, ლშხ. ლი-მენდრე „ნანვიმარი წყლის წვეთებად დენა სახურავიდან“. ამავე ტიპისაა:

ზს. ჰანში „მსუბუქი“; აქედან: ბქ. ლი-ჰმე//> ლი-მმე, ლშხ. ლა-მმე „შემსუბუქება“
ზს. ჰაჯ „ძალა“; აქედან: ბქ. ლი-ჰჯინე > ლშხ. ლა-მჯინე „ბოძება, მომადლება“
ზს. ჰერ „ხმა“; აქედან: ბქ. ლი-ჰრი > ლშხ. ლა-მრი „მოხმობა, თხოვნა“
ხეხვ (<*ჰეხვ) „ცოლი“; აქედან: ლა-ხხვა (< ლა-ჰხვა), ბქ. ლა-მხვა „ცოლები“ და სხვ.¹

¹ ამ ტიპის მაგალითებისთვის იხ. ქალდანი, 1959, გვ. 93-94.

მეტიც, მ. ქალდანის აზრით, სიტყვებში /ა/-ის (< /ჰ/) არსებობა იმის მაუწყებელია, რომ ამ სახელთა ანლაუტის ხმოვანს ფშვინვიერი შემართვა უნდა ჰქონოდა, მაგ., ლილი („ლარტყის დაგება“) უნდა მომდინარეობდეს არა ალ, არამედ ჰალ („ლარტყა“) ფორმისგან (ქალდანი, 1959, გვ. 96).

თუ სვანურის S₂ და O₃^{ind} პირების ხ- პრეფიქსს (ასევე [ხ]-ს გამოყენების შემთხვევებს S₁ პირის ხჟ- პრეფიქსის შემადგენელ სეგმენტად, ი-პრეფიქსიან ვნებითებსა და უფრობითი ხარისხის ფორმებში) ისტორიულად ასპირაციას დავუკავშირებთ, ლოგიკურად ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი თავდაპირველი სახე იქნებოდა *[ჰ] (> [ხ]), ვინაიდან ფშვინვიერი შემართვისას სწორედ ეს ბგერა ისმის, ამ პროცესის შემდგომი „განვითარების“, ანუ [ჰ] სპირანტის უფრო ღრმად გამოთქმის შედეგია [ჰ] > [ხ]. მაშასადამე, *ჰჟ-ასყი > ხჟ-ასყი „ვაკეთებ“, *ჰ-აჰნი > ხ-აჰნი „ხნავ“, *ჰ-აყა > ხ-აყა „ჰყავს“ და ა.შ. როგორც ცნობილია, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა საერთოქართველურის კუთვნილებაა, ამიტომ ზემოაღნიშნული ხ- ჰ-ს სახით აღდგება არა მარტო სვანურში, არამედ საერთოქართველურის დონეზეც.

უდავოა, ასპირაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვისაც, ვინაიდან ეს მოვლენა ახასიათებს ძველ ქართულს და გადმონაშთის სახით დასტურდება ლაზურის ვინურ-არქაულ კილოში. ქართველურ ენათაგან ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო. S₂ და O₃ პირების მორფემების გენეზისის საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ (ამ პირთა ალმორფების ასპირაციასთან დაკავშირებით), ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს სინქრონიულ დონეზე მეგრულ-ლაზურში ამ პირების უნიშნობა.

S₂ და O₃ (ასევე, S₁) პირების მარკირების საკითხში ისტორიულ ვითარებას ყველაზე უკეთ სვანური უნდა ასახავდეს (თუმცა O₃^d პირის მარკირების საკითხში, როგორც აღვნიშ-

ნეთ, ძველი ქართული უფრო ახლოს დგას საერთოქართველურის ვითარებასთან: არსებული სიჭრელე ისტორიულად ფონოლოგიურად იქნებოდა შეპირობებული). ძველი ქართულის ვითარება ამ მხრივ მეორეულია: **მოხდა პირის მორფემად გადააზრებული და გრამატიკალიზებული პრეფიქსის განზოგადება თანხმოვნის წინაც.**¹ ეს მოვლენა აიხსნება ენის მიდრეკილებით უნიფიკაციისადმი. მოხდა პარადიგმის „გასწორება“, ვინაიდან სხვა პირის მარკერთა გამოვლენა ფონოლოგიურად არ იყო შეპირობებული. შესაძლოა, ამ პროცესისთვის ლიტერატურულ სკოლებსაც შეეწყო ხელი. **ქართულში დამწერლობის არსებობა განაპირობებდა პირის ნიშანთა გამოყენებაში ერთიანი პრინციპის ჩამოყალიბების მოთხოვნას.** ჩანს, იყო ცდა O_3^d პირის ნიშნის გამოყენების სისტემატიზაციისა, რისი დასტურიც უნდა იყოს ორი მორფოლოგიური მოდელის შემუშავება (**ჰყოფს** და **ქადაგებს** ტიპი), მაგრამ ბოლომდე ეს პროცესი ვერ გატარდა – მაინც დარჩა ერთგვარი სიჭრელე ამ პირის მარკირების საკითხში.²

¹ ფონეტიკურად ეს წარმოადგენს თანხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას (ჰფარავს, ჰგავს და მისთ.). გ. ახვლედიანი მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც ამ შემთხვევაში იჩენს თავს: „**ჰ** თანხმოვანი კარგავს ფონემურობას (ე.ი. დამოუკიდებელი სამეტყველო ბგერის ხასიათს) და იქცევა მომდევნო ჩქამიერი თანხმოვნის ფშვინვიერ შემართვად (ამ კანონის ძალით, ჰკ-, ჰქ-, ჰგ-ში გვაქვს არა ორ-ორი თანხმოვანი, არამედ თითო ფშვინვიერშემართვიანი, და ს//ჰ გვევლინება ს//ნულის სახით, ან კიდევ უფრო რთული სახით „ს-ზ, შ-ჟ, ჯ//ნული“-ს სახით)“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 250). საინტერესოა, რომ გ. ახვლედიანი ცალსახად პირის მორფემის ფუნქციას არ ანიჭებს **ჰ**-ს: „**ჰ**-მ დაკარგა ფონემის ღირებულება გრამატიკული ფუნქციის დაკარგვასთან ერთად“ (1999, გვ. 290).

² სვანურში ეს პროცესი არ განხორციელებულა, ვინაიდან, იქ მოქმედი უგამონაკლისო წესის თანახმად, „უზმნისწინო ფორმებში (ე.ი. პაუზის მომდევნოდ) პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია“ (ონიანი, 1998, გვ. 115). ეს აკრძალვა ქართულში არ მოქმედებს.

ლოგიკურად, ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული ბგერის გადაზრება პირის მორფმად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი არამარკირებულია. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ S_2 და O_3 პირების მარკირება აუცილებლობას არ წარმოადგენდა არა მარტო სინქრონიულად, არამედ დიაქრონიულადაც. ისტორიულად S_2 და O_3 პირები ოპოზიციის არამარკირებული წევრები უნდა ყოფილიყო.¹ საქმე უნდა გვეჩონოდა არა ეკვიპოლენტურ, არამედ პრივატულ ოპოზიციასთან (ამ შემთხვევაში S_2 თავისი უნიშნობით დაუპირისპირდებოდა მარკირებულ S_1 და S_3 პირებს, ხოლო არამარკირებული O_3 – მარკირებულ O_1 და O_2 პირებს). ამასთან დაკავშირებით დგება ერთი პრობლემა: როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში S_3 პირის სუფიქსთა საერთო არქეტიპამდე აყვანა არ ხერხდება. მიჩნეულია, რომ ამ პირის ნიშნად სუფიქსთა გამოყენება „გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე გაჩენილი ინოვაციაა ქართველურ ენებში“ (ონიანი, 1978, გვ. 171). თანაც S_3 პირის ალომორფები ისტორიულად ამ ფუნქციის მატარებელი არ უნდა ყოფილიყვნენ – მათი განაწილება დაკავშირებული უნდა იყოს დროის, კილოსა და ჯერობის გამოხატვასთან, ამასთანავე, S_3 პირის ნიშნები სუფიქსებია, ყველა სხვა პირისა – პრეფიქსები. ეს ხელს მაინც არ გვიშლის ისტორიულად S_2 პირის უნიშნობა დავუშვათ. საქმე ის არის, რომ სვანურში განსაზღვრულ ზმნურ ძირებთან დასტურდება

¹ ძველ ქართულში S_2 პირის უნიშნობა წართყმითი ბრძანებითის მწკრივებში ისტორიულად შეიძლება ისევ ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნას. ბრძანებითი კილოს დროს მოსალოდნელია ძლიერი შემართვა, რაც ლოგიკურად გამოიწვევს [ჰ]-ს არსებობას. ეს ვითარება ქართულმა S_2 პირისთვის გვიანობამდე შეინარჩუნა, მას შემდეგაც, რაც ჰ - (> ხ)-ს დაეკისრა ამ პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქცია (ბრძანებითის მწკრივების მოშლამდე). S_2 პირის უნიშნობა ისტორიულად ბრძანებითის მწკრივებში ამ პირის ფორმების ხშირი გამოყენებითაც შეიძლება ავსხნათ.

ლ- პრეფიქსი, რომელიც სხვადასხვა მწკრივის, დროის, გვარისა და კილოს ფორმაში გვხვდება, თანაც მის გამოვლენას არც ფონოლოგიური პოზიცია განსაზღვრავს. სწორედ ეს **ლ-** პრეფიქსია მიჩნეული სვანურში S_3 მორფემის ნაშთად (თოფურია, 1967, გვ. 2; ონიანი, 1978, გვ. 182). „ქართველურ ენებში ერთადერთი მორფოლოგიური ერთეული, რომელიც მესამე სავალდებულო პირის მორფემის თავდაპირველ წარმომადგენლად შეიძლება იქნეს მიჩნეული, არის სვან. /ლ-/“ (ონიანი, 1978, გვ. 183). მისი შესაძლო შესატყვისი დაიკარგა ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. ა. ონიანი საერთოქართველურის დონეზე ახდენს S_3 /*ს₁-/-ის რეკონსტრუქციას (1978, გვ. 185). თუ ისტორიულად S_3 პირის მარკერად პრეფიქსულ მორფემას ვივარაუდებთ, მაშინ S_2 პირის უნიშნობის დაშვებას წინ ალაზრადფერი ელობება.

ძველ ქართულში უფუნქციო [ხ] (< [ჰ]) სეგმენტის არსებობა **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებში ისტორიულად, ასევე, ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას უნდა უკავშირდებოდეს.¹ თავდაპირველად [ჰ] (> [ხ])-ს არსებობა # -V პოზიციაში უნდა ვივარაუდოთ, შემდგომ უნდა მომხდარიყო მისი განზოგადება ზმნისწინიან ფორმებშიც.² **ქართ. ხვყავ (ხჷ-ი-**

¹ ქართულის მსგავსად, ისტორიულად სვანურში III პირის ფორმებშიც უნდა გვექნოდა **ხ-** სეგმენტი (II პ. ხ-ი-შხ-ი, III პ. *ხ-ი-შხ-ი), რომლის დაკარგვა უნდა მომხდარიყო არა ფონეტიკურ, არამედ მორფოლოგიურ ნიადაგზე, ფორმობრივი დამთხვევის თავიდან ასაცილებლად (მაჭავარიანი, 2002, გვ. 98).

² სათავისო ქცევის ფორმებში **ხ-//ჰ-**ს ნულთან გათანაბრება O_3^d -ს უნდა უკავშირდებოდეს – II სერიაში მისი უნიშნობა სათავისო ქცევის ფორმებშიც ბოლომდე გატარდა (თითო-ოროლა დარღვევაზე სათანადო ადგილას უკვე გვექონდა საუბარი, მაგ., *ალხიპყრა* [ხანმ. მრავ. 130: 11], *სათნო ჰყავ* [ჰაემ. 370: 1] და სხვ.). შესაძლოა, **ხ-//ჰ-**ს ნულთან გათანაბრებაში გარკვეულ როლს თამაშობდეს II სერიაში **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ზმნებთან ფორმობრივი დამთხვევის

ყავ), სვან. ხჷ-ი-შხ-ი „ვინვი“ ტიპის ფორმებში ხ- სეგმენტი შე-
საძლოა S₁ პირის მორფემის შემადგენელ ელემენტად ვცნოთ
(მეორე პირის ფორმებში ხ-//ჰ-ს S₂ პირის მორფემად გააზრე-
ბისათვის დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი,
რომ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში ბრძანებითის მწკრივე-
ბის II სუბიექტურ პირში ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნა
ნორმის სახით გამოავლენს ხ-//ჰ- სეგმენტს, ანუ არ ხდება
მისი გააზრება S₂ პირის მორფემად). ზემოაღნიშნულიდან გა-
მომდინარე, ბუნებრივია, რომ ხ-//ჰ- სეგმენტს ვერ ვპოუ-
ლობთ სხვა აბსოლუტურ ზმნებში (მაგ., შევიდის [ხანმ. მრავ.
125: 14], განმდიდრდა [ხანმ. მრავ. 132: 4-5], გალობენ [ხანმ.
მრავ. 126: 15-16] და სხვ.).

ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხა-
რისხის ფორმებში #-V პოზიციაში (ქართ. #-უ,¹ სვან. #-ო) ხ-
//ჰ-ს გამოვლენა, ასევე, ასპირაციას უნდა უკავშირდებოდეს.
ხ-//ჰ-ს O₃^{ind} პირის ნიშნად მიჩნევა (შანიძე, 1981გ, გვ. 406-
407) ამ შემთხვევაში დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს,
ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული პირის მორფემა
ისტორიულად ასპირაციის ნიადაგზე გაჩენილი [ჰ]-ს გადააზ-
რების, პირის ნიშნად გრამატიკალიზების შედეგია.

თავიდან აცილების ტენდენცია (მაგ., ჰჷყავ მე, სათნო ჰჷყავ მე
იგი).

¹ ისტორიულად სავარაუდოა ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული
ბგერის არსებობა უარყოფითი უ- ნაწილაკის წინა, თუმცა ეს ვი-
თარება ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებში არაა ასახული. ამ მხრივ საინტე-
რესოა ი. ჯავახიშვილის მიერ შენიშნული ხურჯულო (ხ. #737, გვ.
325) ფორმა, რომელიც ნათლად წარმოგვადგენინებს არქაულ ვითა-
რებას. ი. ჯავახიშვილის აზრით, „უკუთქმითი ნაწილაკის თავსართა-
ვადაც მაშინ ხუ უხმარიათ“ (1996, გვ. 287). ა. შანიძის აზრით, „ხანი
აქ ანალოგიურად განვითარებული ჩანს“ (1981დ, გვ. 289). ქართულ-
ში სავარაუდოა ფშვინვიერშემართვიანი /რ/ სონორის არსებობაც:
ჰრული, ჰრულოვა.

როგორც აღვნიშნეთ, S_1 პირის მორფემის არქაული სახე (ფშვინვიერშემართვიანი **ხჟ** < ***ჰჟ**) დღეს ყველაზე კარგად სვანურმა შემოგვინახა. **ხჟ** რეალიზდება უზმნისწინო ფორმებთან $\#-V$ პოზიციაში (ასევე, ზმნისწინიან ფორმებში ხმოვნის მომდევნოდ). როგორც უკვე მივუთითეთ, /ჟ/ ანლაუტში სვანურისთვის არაბუნებრივია.¹ მსგავს მოვლენას სხვა ქართველურ ენებშიც ვხვდებით:

1) მეგრულისათვის $ვ+C$ არაკანონიკურია, ამიტომ S_1 -ის **ვ**-პრეფიქსის დართვა თანხმოვნით დაწყებულ ფუძეზე ინვეს **ვ**-ს შეცვლას ლაბიალური ჩქამიერი თანხმოვნით (გამყრელიძე, გუდავა, 1981, გვ. 216).

2) მეგრულში ხშირია **ვ**-ს (/ბ-//პ-//ფ-) გაინფიქსების შემთხვევები (ქაჯაია, 2001, გვ. 51).

3) სვანურში თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან S_1 პირის **-ჟ**-ალომორფი ინფიქსის სახითაა მოცემული (თოფურია, 1967, გვ. 4).

4) S_1 პირის **ვ**-პრეფიქსი ინფიქსად გვევლინება თუშურშიც (მაგ., ტ-ვ-ირი) (შანიძე, 1981ა, გვ. 237).

5) ქართულში S_1 პირის **ვ**-პრეფიქსი იკარგება /ო/, /უ/ ხმოვნების წინ, მეგრულში სასხვისო ქცევის **უ**-ხმოვნის წინ, ხოლო სვანურში S_1 პირის მორფემა **ხ**-ალომორფითაა წარმოდგენილი (იკარგება ჟ) /ო/ (და /ო/) ხმოვნის წინ (ონიანი, 1978, გვ. 76).

¹ შდრ. ძველ ბერძნულში /ხ/-ს სიტყვის ანლაუტში მუდამ ძლიერი ფშვინვა ახლავს: *ἔμπα* „წყალი“, *ἔπιος* „ძილი“ და სხვ. (ურუშაძე, 1987, გვ. 13).

ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე S_1 პირის მორფემა აღდება *ჰჟ-//ჟ- არქეტიპის სახით.¹ ფშვინვიერშე-მართვიანი *ჰჟ- (> ხჟ-) აღდება შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციისთვის (#-V).

ვეფქრობთ, საკითხის ასე დასმა ნათელს ხდის, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ფუნქციურად მკვეთრად გამიჯნული S_2 და O_3 პირების ერთი და იმავე ნიშნით მარკირება – ორივე შემთხვევაში პირის მორფემა მიღებულია ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული [ჰ] ბგერის რეინტერპრეტაციისა და პირის ნიშნად გრამატიკალიზების შედეგად. დაბოლოს, პოლიფუნქციური ხ-//ჰ- პრეფიქსისთვის საერთოქართველურის დონეზე ხერხდება ამოსავალი (ინვარიანტული) მნიშვნელობის დადგენა, რომელიც მისი გამოვლენის ყველა შემთხვევას აერთიანებს.

S_2 და O_3 პირების მორფემების გენეზისის საკითხი ბუნებრივად უკავშირდება და ხსნის ხანმეტობა-ჰაემეტობის ურთიერთმიმართების საკითხს ჰაემეტობის სასარგებლოდ. ვეფქრობთ, ამ შემთხვევაში დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ ქართველურ ენათა კონსონანტურ სისტემაში /ჰ/ ფონემის პოსტულირების საფუძველი არ არსებობს (მაჭავარიანი, 1965, გვ. 11). მართალია, /ჰ/ არ მონაწილეობს ძირეულ მორფემებში და მეორეულია ქართულის ბგერითი სისტემისთვის, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა ენას /ჰ/, როგორც დამოუკიდებელი ფონემა და, შესაბამისად, ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემაც არ მოეპოვებოდეს, მაგრამ ეს ბგერა ენაში არსებობდეს ფშვინვიერი

¹ შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 695; ონიანი, 1978, გვ. 159 და სხვ. ჩვენი აზრით, იმ პოზიციებში, რომლებშიც სვანურში დასტურდება S_1 პირის მორფემის ჰ-, -ჰ- და ღ- ალომორფები (ად-, ეს- ზმნისწინების მომდევნოდ და ძირეულ მორფემათა თანხმოვნის წინ) [ხ] (< [ჰ]) სეგმენტის არსებობა არ ივარაუდება, შესაბამისად, ვერ მოხერხდება ხჟ- (<*ჰჟ-) ვარიანტის აღდება.

შემართვის სახით. ამის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ძველი ბერძნული, რომელსაც /ჰ/ ფონემა და ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემა ანბანში არ მოეპოვებოდა, მაგრამ ეს ბგერა [ჰ] ისმოდა ასპირაციის დროს და წერისას მისი აღნიშვნა¹ ხდებოდა სპეციალური ნიშნით: *ჰ* (ჰაგოს) „წმინდა“, *ჰ* (ჰემერა) „დღე“ და სხვ. (ურუმაძე, 1987, გვ. 12-13). რომელი გრამატიკოსები მას უწოდებდნენ არა ასოს (litera), არამედ – ნიშანს (nota aspirationis). საშუალო ბერძნულში ასპირაცია (შესაბამისად, [ჰ]) საერთოდ გაქრა.

როგორც ცნობილია, ძველი ქართულის თავისებურება ის არის, რომ წერდნენ ისე, როგორც გამოთქვამდნენ, ამიტომ **დამწერლობის შექმნის შემდეგ ასპირაციისას წარმოთქმული ბგერის ჩანერის აუცილებლობაც დადგებოდა.** /ჰ/ ფონემის პოზიციის განმტკიცებისათვის ძველი ქართულის ნასესხებ ლექსიკასაც უნდა შეეწყო ხელი (მაგ., ჰამბავი, ჰასაკი, ჰურია, გეჰენია და სხვ.).

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ **ე.წ. ჰაემეტობა არა მარტო ქრონოლოგიურად უსწრებს ხანმეტობას, არამედ ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებობს მასთან, ანუ ივარაუდება მისი არსებობა ხანმეტობის პარალელურად.** ე.წ. სანწარევობამდე ჰაემეტობა ქართულ ენაში არსებულ უწყვეტ ენობრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ IX საუკუნის შემდგომდროინდელი სალიტერატურო ქართული და ყველა ქართული დიალექტი ჰაემეტობიდან გამოიყვანება, ჰაემეტობის უშუალო მემკვიდრეა. თანაარსებობაში ჩვენ არ ვგულისხმობთ მაინცდამაინც ჰაემეტი და ხანმეტი დიალექტების არსებობას. თ. გონიაშვილმა სამართლიანად მიუთითა, რომ,

¹ რუსული ენის ბგერითი სისტემისთვისაც უცხოა /ჰ/ ფონემა, ამიტომ ნასესხებ სიტყვებში ხდება მისი ჩანაცვლება /ხ/-თი, თუმცა შორისდებულებში ეს ბგერა მაინც ისმის (ოჰ!).

„თუ ხანმეტ-ჰამეტ ტექსტებს ერთმანეთს შევუფარდებთ, მათ შორის **დიდ მსგავსებას, თითქმის ენობრივ იგივეობას და-ვინახავთ**, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსურად, ისე ლექსიკის მხრივ“ (1938, გვ. 140). ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ მარტოოდენ პრეფიქსებში განსხვავება არაა საკმარისი სადიფერენციაციო ნიშანი ხანმეტი და ჰამეტი დიალექტების არსებობისათვის. წესით, ეს უნდა იყოს არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი (1938, გვ. 140-141).

ჩვენ ვუშვებთ **ჰ-** და **ხ-**პრეფიქსიანი ფორმების თანაარსებობას სხვადასხვა ტერიტორიულ არეალში, კერძოდ, ჩვენი აზრით, ისტორიულად ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული [ჰ] ბგერა უფრო ღრმად უნდა გამოთქმულიყო აღმოსავლეთ საქართველოში, რაც იძლეოდა [ხ] სპირანტის შთაბეჭდილებას¹ (შესაბამისად, ხდებოდა მისი ჩანერა **ხ** გრაფემით), ხოლო დასავლეთ საქართველოში ეს პროცესი ასე ღრმად არ უნდა წასულიყო (ამიტომ აღინიშნებოდა **ჰ** გრაფემით). ამ მხრივ საინტერესოა, რომ სინქრონიულ დონეზეც აღმოსავლური დიალექტები განირჩევიან დასავლურისაგან **S₂** და **O₃** პირების გამოხატვით. უდავოა, რომ, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური დიალექტები ე.წ. ჰამეტობის გაგრძელებას წარმოადგენს ისევე, როგორც ხანმეტობა – ჰამეტობისას, მაგრამ მსგავსებას მაინც ვხედავთ. **ხანმეტობის ეპოქაში S₂ და O₃ პირების ხ- მორფემას და თანამედროვე დონეზე დიალექტებში ხ- ალომორფს (ჰ-, ს-, ზ-, შ-, ყ-, ლ- ალომორფებთან ერთად) აღმოსავლეთ საქართველოში ვხვდებით, ხოლო ჰამეტობის ჰ- მორფემას და სინქრონიულ დონეზე დიალექტებში ღ- (< ჰ-) ალომორფს ამ პირთა გამომხატველად – დასავლეთით.**

როდესაც ვსაუბრობთ ძველ ქართულში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, **ხ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობა-

¹ იხ. როგავა, 1956, გვ. 289.

ზე, არ ვგულისხმობთ მაინცდამაინც ხანმეტ ხელნაწერებს, ვინაიდან ცნობილია, რომ აქ არსებული „ხანურობა მართლაც „ხანმეტობაა“ და როგორც ცოცხალი მორფოლოგიური მოვლენა ენობრივად მკვდარია ამ ტექსტებში და ცოცხალი სამეტყველო კომუნიკაციის ელემენტი აღარ არის“ (გონიაშვილი, 1938, გვ. 145), მაგრამ წარწერებში (ნეკრესის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგორის) **ხ**-პრეფიქსიანი ფორმების გამოვლენა, უდავოდ, ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ვითარების ამსახველია. ყოველ შემთხვევაში, III-VI¹ (ნაწილობრივ VII) საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში **ხ**-პრეფიქსიანი ფორმების არსებობა რეალური ფაქტია. თავის მხრივ, წყისის 616-619 წლებით დათარიღებული ჰაემეტი წარწერა ამ რეგიონში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმების გავრცელებულობაზე მეტყველებს.

ხანმეტ ტექსტებში, კერძოდ, იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ნაწყვეტებსა და ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილი **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმები (*ჰასწავეს* [კემბ. 37: 18-19], *დაჰიდვა* [კემბ. 36: 6], *განჰირყუნა* [კემბ. 36: 9-10], *ჰიხილოთ* [ხანმ. ლექც. 59: 21; 63: 3-4], *ჰიცილობთ* [ხანმ. ლექც. 60: 10], *მიჰეხების* [ხანმ. ლექც. 63: 5], *ჰეტყებდენ* [ხანმ. ლექც. 63: 23-24], *ჰეჰიდრნენ* [ხანმ. ლექც. 63: 21], *ჰიყოს* [ხანმ. ლექც. 64: 6-7]), ჩვენი აზრით, **ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების თანარსებობაზე უნდა მიუთითებდეს, ოღონდ სხვადასხვა არეალში**. შესაძლოა, ამ ძეგლების იმ ნაწილთა გადამწერები, რომლებშიც **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმები გვხვდება, ე.წ. ჰაემეტი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ და „გაჰპარვოდათ“ თავიანთი მეტყველებისთვის ბუნებრივი ფორმები, თუმცა აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

¹ ლ. ჭილაშვილი ნეკრესში აღმოჩენილ ხანმეტ წარწერას ახ.წ. I-II საუკუნეებით ათარიღებს (2000, გვ. 21-22), ზ. ჭუმბურიძე კი მაქსიმალურ ზღვრად III საუკუნეს მიიჩნევს (2001, გვ. 128).

შორის არსებული ბუნებრივი კონტაქტების გათვალისწინებით (მაგ., პოლიტიკური, სავაჭრო, მოსახლეობის მიგრაცია...), არ არის გამორიცხული და, პირიქით, სავსებით მოსალოდნელია **ჰ-პრეფიქსიანი ფორმების არსებობა ე. წ. ხანმეტი მეტყველების გავრცელების რეგიონშიც (გგულისხმობთ პარალელური ჰ-//ხ-პრეფიქსიანი ფორმების არსებობას: ჰასწავეს//ხასწავეს, დაჰიდვა//დახიდვა და სხვ.)**; უბრალოდ, **ჰ-პრეფიქსიან ფორმებს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში არ ექნებოდა სალიტერატურო ენობრივი (ორთოგრაფიული) ნორმის სახე**. ფაქტია, ცოცხალ მეტყველებაში არსებული ფორმები მაინც „იპარებოდა“ მკაცრად ნორმირებულ ხანმეტ ტექსტებში.

ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და ნორმირება მჭიდროდ უკავშირდება ლიტერატურული სკოლებისა და მწერლობის ცენტრების არსებობას. ხანმეტი ხელნაწერების შექმნა, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ ცენტრებშია საგულებელი, რომელთაც **ხ-პრეფიქსიანი ფორმები ენობრივ ნორმად უნდა მიეჩნიათ. ხანმეტსა და ჰამეტ ტექსტებში ლიტერატურული ნორმოტემის სხვადასხვა ნორმა უნდა ვივარაუდოთ (ჟღენტი, 1965ბ, გვ. 107).**

VIII საუკუნიდან, არაბობის დამყარების შემდეგ, ლიტერატურული ცენტრების გადმოტანა და აყვავება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა ვივარაუდოთ.¹ სავარაუდოა, ლიტერატურულ სკოლებს ნორმის სახე **ჰ-პრეფიქსიანი ფორმებისთვის მიეცათ**. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა როგორც ენობრივ გარემოს, ისე დასავლეთ საქართველოში არსებულ ლიტერატურულ ტრადიციებს. სამწუხაროდ, ამ ტრადიციებზე დაბეჯითებით საუბარი დღეს გაგვიჭირდება ჩვენამდე მოღწეული ჰამეტი ტექსტების სიმცირის გამო (დღეს ჩვენს ხელთაა მხოლოდ წყისის წარწერა და ჰამე-

¹ ამის შესახებ იხ. შანიძე, 1923.

მეტი ლექციონარის ფრაგმენტები), მაგრამ IX-X საუკუნეთა ხელნაწერებში გამოვლენილი ჰაემეტობის გადმონაშთები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ჰაემეტი ძეგლების კორპუსი საკმაოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო. არაერთი ქართული ხელნაწერი გვავარაუდებინებს ჰაემეტი დედნის არსებობას.¹ ჰაემეტი ლიტერატურის არსებობა სავარაუდებელია, თუ უფრო ადრე არა, იმ დროს მაინც, როცა შეიქმნა ხანმეტი ლიტერატურა.

ვფიქრობთ, აუცილებლობას არ წარმოადგენს **ხ-** და **ჰ-** პრეფიქსიანი ფორმების არსებობა და მათი ურთიერთმიმართება უთუოდ ქრონოლოგიურად ავხსნათ.² ერთ ენობრივ არეალში (თუნდაც დიალექტში) პარალელური **ჰ-**/**ხ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობის შესაძლებლობას მხარს უჭერს სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი, რომელშიც გვაქვს: ჰოკერ//ხოკერ „ძირი, ძირს, ბოლო, ბოლოს, ქვეშ“, ჰნდურდ//ნდურდ „სულ“ (თოფურია, 1967, გვ. 5), ჰარწყ//ხარწყ, ჰასაკ//ხასაკ, ჰამეჰა//ხამეჰა „როგორც“, ჰაჰედი//ხაჰედი „აძლევს“, ჰწყბაჟი//ხწყბაჟი „ლოყაზე“ და სხვ. ასევე, გვაქვს ქართ. ჰაერი//ხაერი, ჭან. ჰალალი//ხალალი „ხელიკი“, ჰამამი//ხამამი „აბანო“, ჰავა//ხავა და სხვ. (ჟღენტი, 1965ა, გვ. 22). როგორც გ. ახვლედიანი შენიშნავს, ხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში [ჰ] იხმარება საყოველთაოდ გავრცელებულ მხოლოდ ორ სიტყვაში (ჰაერი და ჰავა) და ამ ფორმებშიც მტკიცედ არ არის [ჰ]. დიალექტებში გვხვდება: ხაერი, აერი, ხავა (1999, გვ. 289). ჩვენს მეტყველებაში, შორისდებულებსა და მიგებით ნაწილაკებში (რომლებშიც უნდა გვექნოდა ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა-დამართვა), [ჰ]/[ხ] დღესაც თავისუფლად მონაცვლეობს: ჰო//ხო, ოჰ//ოხ, უჰ//უხ, ეჰ//ეხ, ვაჰ//ვახ და სხვ.

¹ ამის შესახებ იხ. შანიძე, 1981დ; შანიძე, 1959.

² დანვრილებით იხ. ონიანი, 1978, გვ. 121-141.

მიჩნეულია, რომ S_2 და O_3 პირების მორფმატა არქეტი-
პად *ჰ-ს მიჩნევის შემთხვევაში ახსნა არ ეძებნება ჰაემეტ
ტექსტებში დადასტურებულ ხარ ფორმას და თანამედროვე
ქართულის ხარ, მოხვალ, მოხვედი ფორმებს. თუ ასპირაციის
ნიადაგზე განვითარებული [ჰ] ფუძისეულად გაიაზრება (შესაძ-
ლოა, ამ პროცესში გარკვეულ როლს თამაშობდეს ამ ფორმა-
თა ხშირი გამოყენებაც), ანუ ხდება ამ ელემენტის ფორმის
გაქვავება, [ჰ] იქცევა უფრო მყარ [ხ] სპირანტად (როგავა, 1956,
გვ. 293). მაგ., ცნობილია, რომ ბალსზემოურში ხეხჷ < *ჰეხჷ
„ცოლი“ (მდრ. დეხჷ) (თოფურია, 1967, გვ. 5; ჟღენტი, 1965ა,
გვ. 22). ასეთ გაქვავებულ ფორმებს ქართულში წარმოადგე-
ნენ: ხუცესი,¹ ხერთვისი.² ჩვენ სავსებით ვიზიარებთ გ. როგა-
ვას მოსაზრებას: „არ გვეჩვენება დამაჯერებლად, თითქოს ნა-
აფიქსარი ხ- ამ შემთხვევებში ნავარაუდევია ხანმეტი კილოს
გადმონაშთი იყოს. ხ- ამ მაგალითებში საერთო ქართულის ჰ-
პრეფიქსისგან უნდა იყოს მიღებული“ (როგავა, 1956, გვ. 293).
ასეთსავე გაქვავებულ ფორმებს წარმოადგენენ: ხარ,³ მოხვე-
დი, მოხვალ, რომლებიც არ უნდა მივიჩნიოთ მაინცდამაინც
ხანმეტობის გადმონაშთად. მათი არსებობა, როგორც გაქვა-
ვებული ფორმებისა, ჰაემეტ ენობრივ გარემოშიც სავსებით
შესაძლებელია. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ
ტოპონიმი ხერთვისი გვხვდება არა მარტო სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთ საქართველოში, სადაც ა. შანიძის მიერ ხანმეტი კილოს

¹ ეს სიტყვა უკვე ხანმეტ ტექსტებში გაიაზრება არა როგორც ზედ-
სართავი სახელის უფრობითი ხარისხის ფორმა, არამედ – რო-
გორც არსებითი სახელი (სასულიერო პირის გამომხატველი).

² აქვე შეიძლება მოვიყვანოთ საკუთარი სახელი ხახარე (როგავა,
1956, გვ. 293).

³ ხარ ფორმის გაქვავებისათვის შესაძლოა იმ გარემოებასაც შეენყო
ხელი, რომ ეს ზმნური ძირი ბრძანებითის მწკრივებში არ გამოიყე-
ნება, ე.ი. ყოველთვის ფშვინვიერი შემართვით წარმოითქმოდა, ამ-
დენად, [*ჰ] ამ ძირთან მოუცილებელ ელემენტად იქცა, რამაც და-
აჩქარა [ჰ] > [ხ] პროცესი (*ჰარ > ხარ).

არსებობაა ნავარაუდები, არამედ ამ რეგიონის გარეთაც (ჯავახეთში, ფოცხოვში, კლარჯეთში, აჭარაში, მთიულეთში), სადაც ხანმეტობა არ ივარაუდება. ჩანს, **ხ-პრეფიქსიანი გაქვავებული ფორმები ჰაემეტობის ნიალშიც შეიძლება წარმოშობილიყო და ეარსება.**

ყურადღებას იქცევს მცხეთის ჯვრის 626-634 წლებით დათარიღებული ადრნერსე ჯპატოსის წარწერა, როგორც **ხ-პრეფიქსის** კლების ამსახველი ფაქტი (*მეოხ ეყავ*). ამასთან დაკავშირებით დგება კითხვა: რამდენად რეალურია მყარი /ხ/ სპირანტის დაკარგვა? ამ მოვლენას, ჩვენი აზრით, შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: ა) **ხ-პრეფიქსიან ფორმებში** [ჰ] > [ხ] პროცესი ბოლომდე არ წასულა, ეს რაღაც შუალედური ბგერა უნდა ყოფილიყო [ჰ]-სა და [ხ]-ს შორის (როგავა, 1956, გვ. 289), რომელიც უფრო [ხ] სპირანტის შთაბეჭდილებას ტოვებდა¹ (ამიტომაც მოხდა მისი ჩანწერა **ხ** გრაფემით). აქედან გამომდინარე, შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ მისი დაკარგვა ხმოვნის წინა პოზიციაში; ბ) ამ რეგიონში **ხ-პრეფიქსიანი ფორმების** პარალელურად, როგორც აღვნიშნეთ, გამოირიცხული არაა **ჰ-პრეფიქსიანი ფორმების** არსებობაც. *მეოხ ეყავ* ფორმაში შესაძლოა სწორედ [ჰ] მივიჩნიოთ დაკარგულად, მაგრამ მცხეთის ჯვრის დემეტრე ჯპატოსის წარწერის *მეოხ ხეყავ* ფორმა დაკარგულად **ხ-** პრეფიქსს გვავარაუდებინებს.

მეოხ ეყავ ფორმა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ აქ არა მარტო **ხ-** პრეფიქსის კლება შეინიშნება, არამედ მის **ნაცვლად ჰ-საც ვერ ვადასტურებთ, რაც სავსებით მოულოდნელი იქნებოდა, ხანმეტობის გაგრძელებად ჰაემეტობა რომ მიგვეჩნია**

¹ აქ არ ვგულისხმობთ გაქვავებულ ფორმებს **ხუცესი** ტიპისას. /ჰ/ ფონემა ხანმეტ ტექსტებში **ჰ** გრაფემით გამოიხატება (ჰურია, იოჰანე, ჰებრაელები, ევჰად და სხვ.). ფაქტობრივად, იგი წასესხებ ლექსიკაში დასტურდება, მაგრამ საკუთრივ ქართულია **აჰა**, რომელიც ყველა ხანმეტ ხელნაწერში გვხვდება.

(მეოხ ეყავ ფორმა ხომ, ფაქტობრივად, ე.წ. სანნარეობის ვი-თარების ამსახველია). ხანმეტ ლექციონარში (VII ს. II ნახ.) გარკვეულ შემთხვევებში (უფრო სპონტანურად) ამოფხეკილი **ხ-** პრეფიქსის ნაცვლად არც **ჰ-** ჩაუნერიათ. ჩანს, **ჰ-**პრეფიქსიანი (ხანმეტ ლექციონარში შვიდი ასეთი ფორმაა) ფორმების გვერდით უპრეფიქსო ფორმები არ ეუცხოებოდათ.

ხანმეტ ტექსტებში ვხვდებით, ფაქტობრივად, ე.წ. სანნარე-ობისთვის დამახასიათებელ ფორმებს ყოველგვარი შუალედუ-რი საფეხურის (ჰაემეტობის) გავლის გარეშე, რაც აუხსნელი იქ-ნებოდა, ჰაემეტობა ხანმეტობის მომდევნო ქრონოლოგიურ სა-ფეხურად რომ მიგვეჩნია. ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში და-დასტურებული მსგავსი ფონეტიკური პროცესები ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების თანაარსებობაზე უნდა მიგვითითებდნენ (თუნდაც გარკვეულ ქრონოლოგიურ ჭრილში, სხვადასხვა ტე-რიტორიაზე):

ა) **ჰ- პრეფიქსი იკარგება ჰაემეტ ტექსტებში:** *ისმინი* [ჰაემ. 388: 19], *იხილოთ* [ჰაემ. 386: 6], *განრცხიდეს* [ჰაემ. 383: 3], *იტყოდა* [ჰაემ. 369: 22; 370: 14-15; 386: 22], *იბრძანა* [ჰაემ. 356: 25], *იქმნებთან* [ჰაემ. 368: 2], *დაითხიოს* [ჰაემ. 373: 18] და სხვ.

ხანმეტ ტექსტებშიც იკარგება ხ- პრეფიქსი (რაც გამო-რიცხავს ხ- > ჰ- > Ø- პროცესის არსებობას): *მეოხ ეყავ* [მცხეთის ჯვრის ადრნერსე ჯპატოსის წარწ.], *ნუ კლავ, ნუ იპარავ* [ხანმ. ოთხთ. მრკ. 10: 19], *უნყითა* [ხანმ. ოთხთ. მრკ. 10: 42; ლ. 2: 49], *უჩუენე* [ხანმ. ოთხთ. მ. 8: 4], *ხედვიდეს* [ხანმ. ოთხთ. მ. 27: 55], *იყოს* [ხანმ. ოთხთ. მ. 5: 32; მრკ. 9: 50], *შეინირვის* [ხანმ. მრავ. 152: 2], *იქცენ* [ხანმ. მრავ. 134: 1] და სხვ.

ბ) **ჰაემეტ ტექსტებში ხდება S1 პირის ალომორფის გამარ-ტივება (ჰჟ- > ვ-):** *ვიყო* [ჰაემ. 370: 10], *მოვივლინე* [ჰაემ. 382:

15], *ეიტყვ* [ჰაემ. 387: 13], *მოვიმკი* [ჰაემ. 385: 10], *მოველო-*
დეთ [ჰაემ. 166: 14].

ს₁ პირის ხჟ-პრეფიქსი მარტივდება ხანმეტ ტექსტებშიც:
ვიდიდო [ხანმ. მრავ. 130: 6-7], *ვიქცეოდი* [ხანმ. მრავ. 130: 22], *განვიბანეთ* [ხანმ. მრავ. 132: 12], *ვიყვენით* [ხანმ. მრავ. 132: 14-15], *განვასხემდით* [ხანმ. ოთხთ. მ. 7: 22], *მოველო-*
დით [ხანმ. ოთხთ. მ. 11: 3], *შევწიროთ* [ხანმ. მრავ. 131: 18]
და სხვ.

სათანადო ადგილას უკვე მივუთითეთ, რომ ხანმეტ ოთხთავსა და ხანმეტ მრავალთავში დადასტურებული **შევწირო** ტიპის ფორმები, ფაქტობრივად, ე.წ. სანწარევობისა და თანამედროვე ქართულის ვითარების ამსახველია და **ამგვარი ენობრივი ვითარების გაგრძელებად ვერ მივიჩნევთ იმ ჰაემეტ მონაცემს, რომლისთვისაც შეჰწირო ტიპის ფორმები იქნება დამახასიათებელი** (თავისთავად გამოირიცხება ხჟ- > ჰჟ- > ვ- პროცესი. სავარაუდოა ხჟ- > ვ-, შუალედური, ე.წ. ჰაემეტი საფეხურის გავლის გარეშე). ხანმეტი ოთხთავისა და ხანმეტი მრავალთავის შექმნის დროისათვის წყისის წარწერაში დადასტურებული **აღჰუმართე** ტიპის ფორმები უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენდა.

გ) **ცოცხალ მეტყველებაში ს-პრეფიქსიანი ფორმების არსებობაზე მიუთითებს ჰაემეტ ლექციონარში დადასტურებული სამი ჰს-კონტამინაციურპრეფიქსიანი ფორმაც.** სამივე შემთხვევაში ფუძე იწყება /ც/ თანხმოვნით: *მიჰსცემდა* [ჰაემ. 377: 15; 379: 19], *დაჰსცხრა* [ჰაემ. 383: 8]. როგორც ჩანს, გადამწერმა ვეღარ შეძლო ჰაემეტი დედნის გრამატიკული ნორმების ბოლომდე გატარება და ბევრი რამ შეცვალა ცოცხალი სასაუბრო მეტყველების გავლენით (გადამწერის ენობრივი გარემო, როგორც ჩანს, ე.წ. სანწარევი უნდა ყოფილიყო).

ჰაემეტ ლექციონარში უშუალოდ **ს-ალომორფიანი** არცერთი ფორმა არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანმეტ

ოთხთავში დასტურდება ერთი ასეთი ფორმა: დასტესის [მრკ. 4: 26]. ცხადია, დასტესის < *დაჰტესის, ვინაიდან [ს] [ჰ]-ს პო-ზიციური ვარიანტია, მიღებული რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ხანმეტ ტექსტებში დასტურდება არა მარ-ტო ჰ-პრეფიქსიანი ფორმები, არამედ ისეთი ფორმებიც, რომ-ლებიც მხოლოდ ჰაემეტი ფორმებიდან გამოიყვანება და ხ-პრეფიქსიანი ფორმების გავრცელების არეალში პარალელუ-რად ჰ-პრეფიქსიანი ფორმების არსებობასაც გვაგარაუდები-ნებს (მაგ., ხანმეტ ოთხთავში გამოვლენილი დასტესის ფორ-მის არსებობას სხვაგვარად ვერ ავხსნით).

ამრიგად, ე.წ. ჰაემეტობა ქრონოლოგიურად უსწრებს ხანმეტობას. ქართული ენის განვითარების გარკვეულ ქრონო-ლოგიურ საფეხურზე (ყოველ შემთხვევაში, III-VI საუკუნეებში მაინც, თუ უფრო ადრე არა) უნდა დავუშვათ ჰ- და ხ-პრეფიქსია-ნი ფორმების თანაარსებობა (თუნდაც სხვადასხვა ტერიტორია-ზე) იმ სახით, რომ ხ-პრეფიქსიანმა ფორმებმა¹ მოიპოვა სალიტერატურო ენობრივი ნორმის უფლება (შესაძლოა, იმ რე-გიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო) გავრცელებუ-ლობის გამო, სადაც მწერლობისა და კულტურის კერები არ-სებობდა და იქმნებოდა დიდძალი ლიტერატურა). ე.წ. სანნა-რეგობამდე ჰაემეტობა ქართულ ენაში არსებულ უწყვეტ ენო-ბრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. დაახლოებით VIII საუკუნი-დან სანნარევი ლიტერატურის შექმნამდე ლიტერატურული ნორმის უფლება ჰაემეტ ფორმებს უნდა მოეხვეჭა.

¹ როგორც მივუთითეთ, ამ შემთხვევაში ჰ- > ხ- პროცესი ბოლომდე არ უნდა წასულიყო (გარდა ხარ, ხუცესი, ხერთვისი ტიპის გაქვავე-ბული ფორმებისა). ეს რაღაც შუალედური ბგერა უნდა ყოფილიყო [ჰ]-სა და [ხ]-ს შორის, რომელიც უფრო [ხ] სპირანტის შთაბეჭდილე-ბას ტოვებდა და, შესაბამისად, ხ გრაფემით ჩაიწერებოდა.

ვფიქრობთ, მომავალში ხანმეტი და, განსაკუთრებით, ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენა უფრო გააიოლებს ამ საკითხის კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი, გ. (1923). ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, *ჩვენი მეცნიერება*, №1, 97-106. თბილისი.

ახვლედიანი, გ. (1999). ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამყრელიძე, თ. (1979). ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, *საენათმეცნიერო კრებული*, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას, 33-51. თბილისი: „მეცნიერება“.

გამყრელიძე, თ., გუდავა, ტ. (1981). თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, *აკაკი შანიძეს: სტატიების კრებული*, 202-243. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გიგინეიშვილი, ი. (1986). ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში, *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, პირველი კრებული, 191-202. თბილისი: „მეცნიერება“.

გონიაშვილი, თ. (1938). დიალექტიზმებისათვის ჰადიმის ძეგლში, *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, IV₂.

თბილისი: მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის
გამომცემლობა.

დამენია, მ. (1982). ქართული ზმნური მორფემების სტრუქ-
ტურული მოდელები. თბილისი: „მეცნიერება“.

დეეტერსი, გ. (1930). Deeters, G. *Das Kharthwelische Verbum*.
Leipzig.

დონდუა, კ. (1967). Дондуа, К. Категория инклюзива в сванском
и её следы в древнегрузинском. *რჩეული შრომები*, I.
თბილისი: „მეცნიერება“.

თოფურიი, ვ. (1967). *შრომები*, I, სვანური ენა, ზმნა. თბილი-
სი: „მეცნიერება“.

იმნაიშვილი, ი. (1982). ქართული ენის ისტორიული ქრესტო-
მათია, ტ. I, ნაწ. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტე-
ტის გამომცემლობა.

იმნაიშვილი, ი., იმნაიშვილი, ვ. (1996). *ზმნა ძველ ქართულში*,
I. მაინის ფრანკფურტი.

კლიმოვი, გ. (1964). Климов, Г. А. *Этимологический словарь
картвельских языков*. Москва: Издательство Академии
Наук СССР.

მაჭავარიანი, გ. (1965). საერთო-ქართველური კონსონანტუ-
რი სისტემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გა-
მომცემლობა.

მაჭავარიანი, გ. (2002). *ქართველურ ენათა შედარებითი გრა-
მატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომ-
ცემლობა.

- ონიანი, ა. (1978). *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*. თბილისი: „განათლება“.
- ონიანი, ა. (1998). *სვანური ენა*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ონიანი, ა. (2003). *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჟღენტი, ს. (1965ა). ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში, *ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*, 18-23. თბილისი: „განათლება“.
- ჟღენტი, ს. (1965ბ). ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი, *ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*, 103-131. თბილისი: „განათლება“.
- ჟღენტი, ს. (1965გ). შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, *ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*, 177-186. თბილისი: „განათლება“.
- როგავა, გ. (1956). ხანმეტობისა და ჰემეტობის საკითხისათვის, *ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, XV, 285-293. ქუთაისი: ინსტიტუტის გამოცემა.
- სარჯველაძე, ზ. (1968). ჰემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 52 (1), 159-262. თბილისი.

- სარჯველაძე, ზ. (1971). *ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები*. თბილისი: „მეცნიერება“.
- სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.
- სარჯველაძე, ზ. (1995). კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ, *ფილოლოგიური ძიებანი*, ეძღვნება გ. კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს, 125-131. თბილისი: „მეცნიერება“.
- სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სუხიშვილი, მ. (1986). სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXV, 52-59. თბილისი: „მეცნიერება“.
- უთურგაიძე, თ. (2002). *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში*. თბილისი: „ქართული ენა“.
- ურუშაძე, ა. (1987). *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი: „განათლება“.
- ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. (2000). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ქალდანი, მ. (1959). იოტას გენეზისისათვის სვანურში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, I, 81-88. თბილისი: „მეცნიერება“.

- ქაჯაია, ლ. (1984). *ხანმეტი ტექსტები*, ნაკვეთი I, ტექსტი გა-
მოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურ-
თო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: „მეცნიერება“.
- ქაჯაია, ო. (2001). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, I. თბილი-
სი: „ნეკერი“.
- შანიძე, ა. (1923). ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა
ქართული ენის ისტორიისათვის, *ტფილისის უნივერსი-
ტეტის მოამბე*, III, 358-362. თბილისი: სსმუ საბჭოს
პირველი სტამბა.
- შანიძე, ა. (1926). ქართული ზმნის საქცევი, *ტფილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე*, VI, 312-338. თბი-
ლისი: სსმუ საბჭოს პირველი სტამბა.
- შანიძე, ა. (1927). ხანმეტი მრავალთავი, *ტფილისის უნივერსი-
ტეტის მოამბე*, 7, 98-159. თბილისი: სსმუს პოლიგრაფ-
ტრესტის 1-ლი სტამბა.
- შანიძე, ა. (1953). *ქართული გრამატიკის საფუძვლები*, 1,
მორფოლოგია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1981ა). სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და
ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში,
თხზულებანი თორმეტ ტომად, II, *ქართული ენის
სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, 113-261. თბი-
ლისი: „მეცნიერება“.
- შანიძე, ა. (1981ბ). ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქ-
სის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, *თხზუ-
ლებანი თორმეტ ტომად*, II, *ქართული ენის სტრუქტუ-*

რისა და ისტორიის საკითხები, 265-279. თბილისი: „მეცნიერება“.

შანიძე, ა. (1981გ). პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, *თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, 402-409. თბილისი: „მეცნიერება“.

შანიძე, ა. (1981დ). უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, II. ჰაემეტობა ადიშის სახარებაში, *თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, 294-299. თბილისი: „მეცნიერება“.

შანიძე, მ. (1959). ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში, *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, I, 145-148. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შუხარტი, ჰ. (1895). Schuchardt, H. *Über den Passiven Charakter des Transitivs in den Kaukasischen Sprachen*. Wien.

ჩიქობავა, არნ. (1946). მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, I, 91-130. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭილაშვილი, ლ. (2000). წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან, *ქართველოლოგი, თსუ ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის ბიულეტენი*, 7, 16-24. თბილისი.

ჭუმბურიძე, ზ. (2001). ნეკრესის წარწერების გამო, *მნივნობარი*, 01, 120-128. თბილისი: „ფავორიტი“.

ჯავახიშვილი, ი. (1996). ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX, 263-301. თბილისი: „მეცნიერება“.

შემოკლებათა განმარტება

კემბ. (1937). ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, II₁, 29-42. თბილისი: მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

ოქსფ. (1996). ი. ჯავახიშვილი, წინასწარმეტყველება იერემიასი (ოქსფორდის პალიმფსესტი), *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX, 304-305. თბილისი: „მეცნიერება“.

პროტ. (1977). ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 20, 7-36. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხანმ. ლექც. (1944). ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, *ძველი ქართული ენის ძეგლები*, I, 07-064. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ხანმ. მრავ. (1927). ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, VII, 98-159. თბილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

- ხანმ. ოთხთ. (1984). *ხანმეტი ტექსტები*, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია და-ურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჰაემ. (1923). ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, III, 358-362. თბილისი: სსმუ საბჭოს პირველი სტამბა.

On the Genesis of the Morpheme for the Second Subjective and Third Objective Persons

Summary

The article presents a new approach to the question of the genesis of the morpheme for the second subjective and third objective persons. Considering all the variants of usage, the research aimed to state the initial, invariant meaning of the prefix in question. It is argued that the prefix *x-//h-* has no distinct morphological function. It is the result of phonetic development, and its morphological function is a secondary phenomenon. The prefix is the result of the process of aspiration, which was typical of Common Kartvelian.

The approach gives a logical explanation to the problem of the relationship between [h] and [x] prefixes in favour of [h].

ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში

ხანმეტ-ჰაემეტ წერილობით ძეგლებში ნორმას წარმოადგენს **ხ-//ჰ-** პრეფიქსის არსებობა ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში (**ხ/ჰ-ჯემენ**, **ხ/ჰ-იქმენ**, **ხ/ჰ-იქმნა**). სამეცნიერო ლიტერატურაში დამაკმაყოფილებლად არ არის ახსნილი **ხ-//ჰ-** პრეფიქსის ფუნქცია ამ ტიპის ფორმებში. ნაშრომში მოცემულია ამ საკითხის ახლებური ახსნა, რომლის თანახმად, აღნიშნულ პრეფიქსს ძველი ქართული ენის დონეზე არ ეძებნება მორფოლოგიური ფუნქცია. ისტორიულად მისი გაჩენა ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმასთან, ისევე როგორც N_2 და O_3 პირების ნიშნებისა, საერთოქართველურისთვის დამახასიათებელ ასპირაციასთანაა დაკავშირებული. უფრო მეტ ემპირიულ მასალაზე დამყარებული აღნიშნული კვლევა ერთგვარი გაგრძელებაა წინა ნაშრომში განხილული პრობლემებისა.

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტებში **ხ-** პრეფიქსი (შესაბამისად, ჰაემეტში **ჰ-**) გამოიყენებოდა რამდენიმე ფუნქციით: ა) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური (როგორც ირიბის, ისე მიცემით ბრუნვაში მდგარი პირდაპირის, თუ ზმნა ე.წ. **ჰყოფს** ტიპისა იყო) პირების მარკერად (**ხუნყი**, **ხესმინ**, **ხიტყჳს...**); ბ) ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის¹ სამივე პირის ფორმაში (**ხჯემენ**, **ხიქმენ**, **ხიქმნა...**); გ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმებში (**ხუმჯოობჳსი**/**ხუმჯოობესი**, **ხუფროდს** // **ხუფროს...**). ამ უკანასკნელში, ა. შანიძის აზრით, **ხ-//ჰ-**, წარმოშობით, მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია (1981, გვ. 406-407). აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აღნიშნული პრეფიქსის კვალიფიკაციის საკითხი ი-პრეფიქსიანი ვნებითი

¹ ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ხ-** O_3^{ind} პირის მარკერია.

გვარის ფორმებში. ჩვენ შევეცდებით ახსნა მოვუძებნოთ **ხ-//პ-**პრეფიქსის არსებობას ამ ტიპის ფორმებში.

მართალია, ხანმეტ ტექსტებში ნორმას წარმოადგენს **ხ-**პრეფიქსის არსებობა **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში, მაგრამ გვაქვს დარღვევებიც. ხანმეტ ტექსტთაგან **ხ-**ს ნულთან მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება მხოლოდ ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ უძველეს ტექსტებში, „წმიდა ქრისტინას წამებაში“, ხანმეტ ოთხთავსა და ხანმეტ მრავალთავში: იყოს [უძვ. 346: 3], ვიყავ [ქრისტ. 50: 23-24], ვიყვენით [მ. 23: 30], განირყუნიან [მ. 6: 16], ვიქცეოდი [მრავ. 130: 22-1], იქცენ [მრავ. 134: 1] და სხვ. სანამ უშუალოდ პასუხს გავცემდეთ ჩვენ მიერ დასმულ პრობლემას, შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ამ მხრივ ხანმეტ და ჰაემეტ ხელნაწერთა¹ ვითარება.

ქართული ბიბლიის ხანმეტი ტექსტის, კერძოდ, **იერემიას წინასწარმეტყველების** ნაწყვეტების შემცველი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის **ოქსფორდულ** და **კემბრიჯულ ფრაგმენტებში**² (VI-VII საუკუნეების მიჯნა) (შანიძე, 1937, გვ. 32) დასტურდება 17 ხანმეტი და 3 ჰაემეტი ფორმა. **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები (სულ 9) წარმოდგენილია **ხ-** ან **პ-** (2 შემთხვევაში) პრეფიქსით. **ხ-**ს ნულთან მონაცვლეობა ამ სამ ფურცელზე არ დასტურდება.

I პირი. ძეგლში დასტურდება **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის მხოლოდ ერთი ფორმა

¹ ხანმეტ (ნეკრესის, ბოლნისის, უკანგორის, მცხეთის) და ჰაემეტ (წყისის) ეპიგრაფიკულ ძეგლებში **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები არ დასტურდება (აღდგენილ ფორმას არ ვითვალისწინებთ).

² ოქსფორდული ფრაგმენტი გამოსცა ი. ჯავახიშვილმა (1996, გვ. 304-305), ხოლო კემბრიჯული – ა. შანიძემ (1937, გვ. 29-42).

[*ხეშე*]ევ [კემბ. 39: 19], მაგრამ, რადგან, გამომცემლის სიტყვებით, „კავებში ჩასმულია ის ასოები, რომლებიც ჩამოფლეთილ ნაწილებს გაჰყოლია“ (შანიძე, 1937, გვ. 32), ამ ფორმას ვერ დავეყრდნობით.

II პირი. მეორე პირის ფორმები ფრაგმენტებში არ დასტურდება.

III პირი. მესამე სუბიექტური პირის ფორმები **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ბიყოს* [კემბ. 37: 10], *ბიყავნ* [კემბ. 39: 17, 39: 5], *ნუ ბიყოფ(ინ)* [კემბ. 39: 3], *შეხიმუსრა* [ოქსფ. 305: 3], *ბიყო* [ოქსფ. 305: 5]. დასტურდება ორი **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმაც: *დაჰიდვა* [კემბ. 36: 6], *განჰირყუნა* [კემბ. 36: 9-10].

როგორც ვხედავთ, ხანმეტი იერემიას ფრაგმენტებში **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები ყველა შემთხვევაში **ბ-**/**ჰ-**პრეფიქსითაა წარმოდგენილი. არ დასტურდება **ბ-**ს ნულთან მონაცვლეობის არცერთი შემთხვევა, რასაც უკვე მცხეთის ჯვრის წარწერაში ვხვდებით.¹ თუ ხანმეტი იერემიას ფრაგმენტებს ცოცხალი ხანმეტობის ეპოქისად მივიჩნევთ, შესაძლოა, მცხეთის ჯვრის ადრნერსე ჯპატოსის წარწერას უსწრებდეს კიდევც.

ინტერესს იწვევს ფრაგმენტებში **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობა. ზოგადად, ხანმეტ ტექსტებში არსებულ ჰაემეტ ფორმებზე საუბრისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმები ოდენ ჰაემეტი ვითარების ამსახველია, თუ შეიძლება მათი მიჩნევა ე.წ. საწარწევი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმებადაც. სხვაგვარად, რომელიმე *დაჰიდვა* ფორმა ბუნებრივია

¹ მცხეთის ჯვრის დემეტრე ჯპატოსის წარწერაში (VI საუკუნის მიწურული) (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 161) იკითხება „*მეოხ ბეყავ*“ ფორმა, იგივე ზმნა ადრნერსე ჯპატოსის წარწერაში (VII საუკუნის I ნახ.) (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 160) **ბ-**ს გარეშეა წარმოდგენილი: „*მეოხ ბეყავ*“.

მხოლოდ ჰაემეტოზისთვის, რადგან სანნარევობისას ხმოვნის წინა პოზიციაში **ჰ**-იკარგება და ამ შემთხვევაში დაიდგა ფორმაა მოსალოდნელი. სხვა შემთხვევაში რომელიმე **ჰ**კლავ ფორმა ნორმაა როგორც ჰაემეტი, ისე სანნარევი მეტყველებისთვისაც და თავისუფლად შეიძლება მისი მიჩნევა სანნარევი მეტყველების კუთვნილებადაც, მით უმეტეს, თუ ძეგლში დასტურდება **ს**-პრეფიქსიანი ფორმა/ფორმები და პირის ნიშნის ნულთან მონაცვლეობის შემთხვევები. ამდენად, **უნდა გაიმიჯნოს ცნებები: ზოგადად, ჰ-პრეფიქსიანი ფორმა და ჰაემეტი ფორმა.**

ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ფრაგმენტში¹ გამოვლენილი სამი **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმა (**ჰასნავეს** [კემბ. 37: 18-19], დაჰიდვა [კემბ. 36: 6], განჰირყუნა [კემბ. 36: 9-10]), მართლაც, ჰაემეტოზის ვითარების ამსახველია. „გაპარული“ ჰაემეტი ფორმების არსებობა ამ შემთხვევაში შესაძლოა ავხსნათ გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით.

„წმიდა ქრისტინას წამების“ ხანმეტი ტექსტი (V საუკუნის I ნახ.), ლ. ქაჯაიას აზრით, „ენობრივი თვალსაზრისით სავსებით იცავს კლასიკური ქართული ენის ნორმებს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ხ“ გრაფემა დასმულია სწორედ იქ, სადაც ის მოსალოდნელია, ნორმიდან გადახვევას ადგილი არ აქვს“ (ქაჯაია, 2006, გვ. 41).

I პირი. ხელნაწერში დასტურდება **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები: *ვიყავ* [ქრისტ.¹ 50: 23-24], *ხჳქმენ* [ქრისტ.¹ 55: 22], *ხჳყავ* [ქრისტ.² 6-69: 2(2)].² ყურადღებას იპყრობს **ვიყავ** ფორმა, რომელიც **ხ**-

¹ ოქსფორდულ ფრაგმენტში ჰაემეტი ფორმები არ დასტურდება.

² ლ. ქაჯაიას მიერ გამოსაცემად მომზადებული „წმიდა ქრისტინას წამებიდან“ ფორმებს ვიმოწმებთ ორი გამოცემის მიხედვით: პირველი დაიბეჭდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (პირობითად, აღვნიშნავთ **ქრისტ.**¹), მეორე, შედარებით სრული ვარიანტი

პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი და **მიუთითებს ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისზე**, რაც, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს ასეთი ადრეული პერიოდის ძეგლისთვის. საინტერესოა, რომ იგივე ზმნა მეორე შემთხვევაში **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, ამასთანავე, სხვა რელატიურ ფორმებში, როცა ზმნას **ს**-თან ერთად ეწყობა **ო**, **ხ-** პრეფიქსი ყოველთვისაა წარმოდგენილი: *ხუცე* [ქრისტ.¹ 47: 24; 48: 8], *მი[ხუ]ართუა* [ქრისტ.¹ 48: 14-15], *ხუმსახურო* [ქრისტ.¹ 50: 13], *მიხუცნე* [ქრისტ.¹ 52: 22], *თავყანის-ხუცემდ* [ქრისტ.² 6-75: 10(10)] და სხვ.

II პირი. მეორე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა დაცულია: *მოხივლინე* [ქრისტ.¹ 49: 20], *მო<ხიქ>ე* [ქრისტ.² 6-86: 7(7)], *ხიყავ* [ქრისტ.¹ 50: 7].¹

III პირი. მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა ბოლომდეა გატარებული: *ხიდიდოს* [ქრისტ.¹ 50: 8-9], *ხიყო* [ქრისტ.¹ 50: 22], *მოხინია* [ქრისტ.¹ 53: 31], *მიხიქცა* [ქრისტ.² 6-79: 13(2)] და სხვ.

არის თუ არა „წმიდა ქრისტიანას წამება“ ხანმეტობის ნორმის ბოლომდე გამტარებული ძეგლი? როგორც ჩანს, გარკვეულ შემთხვევებში ეს ნორმა ირღვევა. შესაძლოა, ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი: *აჩუენე* [ქრისტ.² 6-70: 6(6)], *შენირე* [ქრისტ.² 6-83: 4(4)], ან, პირიქით, **ხ-** ზედმეტად იყოს ზმნურ ფორმაში: *ხილოცვიდა* [ქრისტ.² 6-68: 2(2); 6-70: 1(1), 6-78: 12(1), 6-79: 23(12)], *<ხი>წყო* [ქრისტ.² 6-82: 5(5)], *დახუტევე* ² [ქრისტ.² 6-84: 20(9)].

– ი. გაპერტის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში “Monumenta Palaeographica Medii Aevi” (აღვნიშნავთ **ქრისტ.²**).

¹ **ხიყავ** ფორმა II ბრძანებითის მწკრივშია, მაგრამ **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი.

² ზმნას სუბიექტი პირველ პირში ეწყობა: „დახუტევე მე ზეცისა უფალი“.

როგორც ვხედავთ, ტექსტში უიშვიათესად, მაგრამ მაინც შეინიშნება დარღვევები **ბ-** პრეფიქსის გამოყენებაში. თუ ხელნაწერის აღნიშნულ დათარიღებას გავიზიარებთ, გამოვა, რომ ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისი უკვე V საუკუნის I ნახევარშია საგულებელი მაშინ, როდესაც ეპიგრაფიკული ძეგლები, კერძოდ, მცხეთის ჯვრის ადრნერსე ჯპატოსის წარწერა, **ბ-** პრეფიქსის დაკარგვას VII საუკუნის I ნახევრიდან გვაგვარაუდებინებს. აღნიშნული დარღვევები და, განსაკუთრებით, **კიყავ** [ქრისტ.¹ 50: 23-24] ფორმის **ბ-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ არ არის გამო-რიცხული, ხელნაწერი უფრო გვიანდელიც იყოს.¹

„წმიდა ქრისტინას წამების“ ხანმეტი ტექსტი დაცულია თბილისურ (A 737) და ვენურ (Georg. 2) ფრაგმენტებში. ორივე ერთი მთლიანი ხელნაწერის ნაწილია. ვენურმა ხელნაწერმა შემოგვინახა აგრეთვე „**კპრიანეს წამება**“ (მას უშუალოდ მოსდევს „წმიდა ქრისტინას წამება“), რომელიც, ასევე, V საუკუნით თარიღდება (გიპერტი, 2007, გვ. 5-27).

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები ყველა შემთხვევაში **ბ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხქემნე* [კვპრ. 6-3: 7(7)], *ხყავ* [კვპრ. 6-11: 6(6); 6-11: 10(10)], *მიხვ<ლტო>დე* [კვპრ. 6-15: 6(6)], *ხქემენ* [კვპრ. 6-15: 18(6)], *ხწრაფი* [კვპრ. 6-17: 23(11)].

II პირი. ტექსტში დადასტურებული მეორე პირის ფორმა **ბ-**პრეფიქსიანია: *ხიქმნები* [კვპრ. 6-19: 11(11)].

III პირი. მესამე პირის ფორმებში უგამონაკლისოდ ხანმეტობის ნორმაა გატარებული: *ხიქმნა* [კვპრ. 6-3: 22(10)], *ხიყო* [კვპრ. 6-5: 7(7)], *ალხივსო* [კვპრ. 6-9: 16(4)], *განხიპო* [კვპრ.

¹ ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ოდენ ენობრივ და არა პალეოგრაფიულ ანალიზს.

6-25: 19(7)], *დახინერა* [კვპრ. 6-28: 3(3)] და სხვ. არ დასტურდება **ხ**-პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობის არცერთი შემთხვევა.

ზოგადად, აღნიშნული ტექსტი მყარად იცავს ხანმეტობის ნორმებს, თუმცა ყურადღებას იპყრობს **ხ**-პრეფიქსის ზედმეტად გამოყენება აქტივთა II სერიის ფორმებთან: <გან>ხარინა [კვპრ. 6-3: 3(3)], *განხუტევ<ნა>* [კვპრ. 6-12: 15(3)], *შეხუძლო* [კვპრ. 6-13: 5(5)], *ხყუნა* [კვპრ. 6-22: 3(3)], *ხიხილო* [კვპრ. 6-24: 22(10)].

საინტერესოა ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული უძველესი ხანმეტი ტექსტების ვითარებაც (V-VI სს.) (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 285).¹

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმა **ხ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხვეტოდეთ*² [უძვ. 350: 11].

II პირი. ანალოგიური ვითარებაა მეორე სუბიექტური პირის ფორმებშიც: *დახისაჯნეთ* [უძვ. 312: 3], *ხისაჯნეთ* [უძვ. 312: 5].

III პირი. მესამე პირის ფორმებშიც, ძირითადად, ხანმეტობის ნორმაა გატარებული: *ხიყო* [უძვ. 302: 5], *ხიყუნეს* [უძვ. 302: 2], *ხიეცეოდა* [უძვ. 339: 2], *მოხინია* [უძვ. 339: 5] და სხვ. საინტერესოა *იყოს* [უძვ. 346: 3] ფორმა, რომელიც **ხ**-პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი.

ფრაგმენტებში შეინიშნება დარღვევები **ხ**-პრეფიქსის გამოყენებაში, კერძოდ, აღნიშნული პრეფიქსი ზედმეტია აქ-

¹ ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს ვიმონებთ ლ. ქაჯაიას გამოცემიდან (1984) და ამჯერად აქ არ განვიხილავთ.

² ზმნა I კავშირებითის მწკრივისაა, ამიტომ, წესით, მოსალოდნელი იყო *ხვეტოდით* ფორმა.

ტივთა II სერიის ფორმებში: *დახუტევოს*¹ [უძვ. 347: 11], *მიხილე*² [უძვ. 348: 8-9], *ალბტყორცა* [უძვ. 349: 2-3]... **ხ-** არაა წარმოდგენილი *მიუგოს* [უძვ. 348: 10] ფორმაში.

ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ და ჰაემეტ ხელნაწერებს შორის მხოლოდ **ხანმეტი ლექციონარი** (VII საუკუნის II ნახევარი) (შანიძე, 1944, გვ. 019) არ წარმოადგენს პალიმფსესტს.

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმა ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში არ დასტურდება.

II პირი. მეორე სუბიექტური პირის ფორმა **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიქმნები* [ლექც. 062: 18].

III პირი. მესამე პირისთვის ნორმაა **ხ-**პრეფიქსიანი ფორმები. ძეგლში ამ მხრივაც ხანმეტობის ნორმაა გატარებული ისევე, როგორც მისი გამოყენების ყველა სხვა შემთხვევაში: *ხიქმნა* [ლექც. 058: 26; 060:15], *განხითქუა* [ლექც. 058: 10], *ხიყო* [ლექც. 059: 10; 060: 3; 060: 7; 062: 8] და სხვ. ყურადღებას იპყრობს ხელნაწერში ჰაემეტი ფორმების არსებობა, კერძოდ, ორ შემთხვევაში **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნა წარმოდგენილია **ჰ-** პრეფიქსით: *შეჰიძრნენ* [ლექც. 063: 23], *ჰიყოს* [ლექც. 064: 6].

საზოგადოდ, **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმების ვითარება** (*ხჟყავ/ხჟიყავ*) იდენტურია იმ რელატიურ ზმნათა ვითარებისა, რომელთაც S₁-თან ერთად ეწყობა, როგორც წესი, მიცემითში მდგარი O₃ (*ხუარნმუნო, ალხუასრულო...*). ორივე შემთხვევაში პირველი სუბი-

¹ სასხვისო ქცევის ფორმის ამ ტიპის ზმნებში **-ხ** დაკარგული O₃^{ind}. პირის ნიშნადაა მიჩნეული (იმნაიშვილი, 1982, გვ. 342-343).

² ზმნა II ბრძანებითის მწკრივშია, ამიტომ, წესით, S₂ არამარკირებული უნდა იყოს.

ექტური პირის ფორმებში თავს იჩენს **ხჟ**¹ კომპლექსი. თუ **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმებში დასტურდება **ხ**-ს ნულთან მონაცვლეობა, სხვაგვარად, **ხჟ**- კომპლექსის გამარტივება (**ხჟ** > **ვ**), იდენტური პროცესი იჩენს თავს რელატიურ ფორმებშიც (**ხჟყავ** > **ვიყავ**, შდრ. **ხუარწმუნო** > **ვარწმუნო**). ამიტომ საკვლევ ხანმეტ თუ ჰაემეტ ტექსტში **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმების დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაძლოა, **ზემოაღნიშნულ რელატიურ ფორმათა საფუძველზე ვიმსჯელოთ პასივთა მოსალოდნელი ფორმების შესახებ**. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, ხანმეტ ლექციონარში არ დასტურდება **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი პირის ფორმა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ **ხუარწმუნოთ** [ლექც. 058: 4], **ხუეხილვო** [ლექც. 062: 23], **ხურნმენე** [ლექც. 062: 24], **აღხუასრულო** [ლექც. 063: 23], **დახუბეჭდო** [ლექც. 063: 23-24] ტიპის რელატიურ ფორმებში არ დასტურდება **ხჟ**- კომპლექსის გამარტივების (**ხჟ** > **ვ**) არცერთი შემთხვევა, მოსალოდნელი იქნებოდა **ხჟყავ** ტიპის ფორმები. **ხუარწმუნოთ** ტიპის ფორმების არსებობა ამ ხელნაწერის სიძველეზე მეტყველებს.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი სპეციფიკურია იმ კუთხითაც, რომ პალიმფსესტს არ წარმოადგენს. ბედად, მან სხვა „დრომოჭმულ“ ხანმეტ-ჰაემეტ ძეგლთა ბედი არ გაიზიარა და მეორეული გამოყენებისათვის საპალიმფსესტე მასალად არ გაუწირავთ (შანიძე, 1944, გვ. 017), მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ხანმეტობის მოშლის შემდეგ ამ ტიპის ხელნაწერი ყოველდღიური გამოყენებისთვის აღარ გამოდგებოდა. ალბათ, ამიტომაც კითხვის გაიოლების მიზნით თვალში საცემი „მეტი“ ხანები ამოუფხეკიათ (სრულად ან ნაწილობრივ),

¹ ზმნურ ფორმებთან უმარცვლო უ დიაკრიტიკული ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

მაგრამ – უსისტემოდ და ალაგ-ალაგ (შანიძე, 1944, გვ. 013). ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების დადგენა ჭირს.¹ ძეგლის თავდაპირველი ვითარების გათვალისწინებით, არ დასტურდება არცერთი ფორმა, რომელიც **ხ-/(ჰ-)** პრეფიქსის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი. ეს ფაქტი ხელნაწერის სიძველეზე მეტყველებს. საინტერესოა, რომ ამოფხეკა შეეხო მხოლოდ „მეტ“ **ხ-** პრეფიქსს და არა ჰაემეტ ფორმებს.² თანაც ამოფხეკილი **ხ-**ს ნაცვლად არც **ჰ-** ჩაუნერიათ. ეს შესაძლოა, იმაზე მეტყველებდეს, რომ ამოფხეკის ჟამს როგორც ხანმეტობა, ისე ჰაემეტობა ცოცხალი მეტყველებისთვის განვლილ ეტაპს წარმოადგენდა, იმ პერიოდის ენობრივი გარემო ე.წ. სანწარევი უნდა ყოფილიყო (შესაბამისად, არც **ს-** ალომორფი ჩაუნერიათ). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოგვიანო პერიოდის ჩარევის შედეგია. ა. შანიძის აზრით, თავად ხელნაწერი „ისეთ დროსაა გადაწერილი, რომ ხანმეტობა მკვიდრი

¹ ზოგადი სურათი ასე წარმოგვიდგება: **მეტწილად ხ- ამოფხეკილია ხმოვნების წინა პოზიციაში, თანხმოვნების წინ ერთეული შემთხვევებით**. სიხშირის მიხედვით თუ განვიხილავთ, /ი/ ხმოვნის წინა პოზიციაში **ხ-** ამოფხეკილია 15 შემთხვევაში, /ე/-სა და /უ/-ს წინა პოზიციაში დაახლოებით 12-12 შემთხვევაა, /ა/-ს წინ – 4, /რ/-ს წინ – 11 (ყველა მოდის **რქუმა** ზმნაზე, ერთადერთი გამონაკლისია **(ხ)რწმენა** [ლექც. 061, გვ. 35]), /ჟ/-ს წინ – მხოლოდ ერთი. საინტერესოა, რომ, თუ ზმნას ეწყობა **ს₁** და **ო₃** პირები, /ჟ/-ს წინ **ხ-** ამოფხეკილი არაა, გარდა ერთი შემთხვევისა: **(ხ)უესავთ** [ლექც. 060: 26]. თანხმოვანთაგან /ხ/-ს წინ დასტურდება **ხ-** პრეფიქსის ამოფხეკის 3 შემთხვევა, /დ/, /ტ/ თანხმოვნების წინ – ორ-ორი, ხოლო თითო-თითო – /ბ/, /ც/, /მ/ თანხმოვნების წინ. მაგრამ აღნიშნულ ფონოლოგიურ პოზიციაშიც ეს პროცესი ბოლომდე გატარებული არ არის: **ხ-** ხან ამოფხეკილია, ხან – არა. გამოცემულ ტექსტში მთლიანად ან ნაწილობრივ ამოფხეკილი ხანები ფრჩხილებშია ჩასმული (შანიძე, 1944, გვ. 025). სანიშნოდ წარმოვადგენთ თითო-თითო მაგალითს: **(ხ)იყვნედ** [ლექც. 059: 27], შდრ.: **ხიყვნეს** [ლექც. 059: 8].

² შესაძლოა, იმ პერიოდისთვის ამ უკანასკნელთ ლიტერატურული ნორმის სახე ჰქონოდათ.

მოვლენაა სალიტერატურო ენაში: მართლაც, რომ ის მხოლოდ მნიგნობრული გზით შემონახული მოვლენა ყოფილიყო და სასაუბრო ენაში მცირეოდენი საყრდენი მაინც არ ჰქონოდა, არ შეიძლება ცოცხალ ფორმას (უხანოს) სადმე თავი არ ეჩინა“ (შანიძე, 1944, გვ. 020).

ხანმეტი ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის (27 ფურცელი) წინა ერთი ფურცელი, რომელიც გამოსცა ბერნარ უტიემ, აღმოჩნდა პარიზში.¹ საინტერესოა, რომ ამ ფურცელზე სულ ხუთი ხანმეტი ფორმაა. აქედან ოთხ შემთხვევაში **ხ-** ან დაუფარავთ, ან ამოუფხეკიათ ((*ხ*)*იქმნეს* [მ. 28: 4], *მი(ხ)უგო* [მ. 28: 5], (*ხ*)*რქუა* [მ. 28: 5], (*ხ*)*ეძიებთ* [მ. 28: 5]), მეხუთეს გამსწორებლის ხელი არ შეხებია (*ხუთხართ* [მ. 28: 7]) (უტიე, 1973, გვ. 174–175).

ხანმეტი ლექციონარი იმ მხრივაც იქცევს ყურადღებას, რომ დასტურდება შვიდი **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმა: *ჰიხილოთ* [ლექც. 059: 23; 063: 3–4], *ჰიცილობთ* [ლექც. 060: 9], *ჰეტყებდენ* [ლექც. 063: 25–26], *მიჰეხების* [ლექც. 064: 5], *შეჰიძრნენ* [ლექც. 063: 23], *ჰიყოს* [ლექც. 064: 6]. შვიდივე შემთხვევაში **ჰ-** დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში და, ამდენად, ჰაემეტობის (და არა სანნარეობის) ამსახველია. ამ შემთხვევაშიც ჰაემეტი ფორმების არსებობა შესაძლოა, გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით ავხსნათ. ჩვენს შეხედულებას ამყარებს ერთი გარემოებაც: როგორც ა. შანიძე შენიშნავს, ხანმეტი ლექციონარის გადამწერი ორი პირია. ამის თქმის საფუძველს იძლევა როგორც ხელნაწერის განსხვავებული ხელი, ასოთა მოხაზულობა, ისე სხვა პალეოგრაფიული თუ ენობრივი ნიშნები.² ხელნაწერის პირველ ნაწილში დასტურდება *ხიხილოთ* [ლექც.

¹ ფრაგმენტის ბოლო, 29-ე ფურცელს, რომელზეც მოთავსებულია იოვანე ზოსიმეს ანდერძი, მიაკვლია ჟ. გარიტმა და ქართულად დაბეჭდა ჟურნალ „მაცნეში“ (1973, გვ. 170–182).

² ამის შესახებ დანვრილებით იხ. შანიძე, 1944, გვ. 018–019.

058: 9] ფორმა. იგივე ზმნა მეორე გადამწერის მიერ შესრულებულ ნაწილში ორჯერ გვხვდება და ორჯერვე – **ჰ**-პრეფიქსით: *ჰიხილოთ* [ლექც. 059: 23; 063: 3-4]. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მეორე გადამწერი საქართველოს იმ რეგიონის (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რომლისთვისაც ე.წ. ჰაემეტი მეტყველება იყო დამახასიათებელი.¹

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ფრაგმენტსა და ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილ ჰაემეტ ფორმებში **ჰ**-რეალიზდება მაღალი (/ი/) და საშუალო (/ე/) ანეულობის ხმოვნების წინ, ხოლო კემბრიჯულ ფრაგმენტში – დაბალი ანეულობის /ა/ ხმოვნის წინაც (1944, გვ. 023). ამ ორი ხელნაწერის მონაცემთა შეჯერება ასეთ სურათს გვიჩვენებს: ყველაზე მეტი სიხშირით **ჰ**-გამოვლინდება მაღალი ანეულობის /ი/ ხმოვნის წინა პოზიციაში (სულ 7 შემთხვევა), შემდეგ – საშუალო ანეულობის /ე/ ხმოვანთან (2 შემთხვევა) და, ბოლოს, დაბალი ანეულობის /ა/ ხმოვანთან (1 შემთხვევა). საინტერესოა, რომ ამ ძეგლებში **ჰ**-პრეფიქსი გამოვლინდება მხოლოდ წინა რიგის ხმოვნებთან. არ დასტურდება უკანა რიგის ხმოვნებისა (/უ/, /ო/) და თანხმოვნების წინ მისი გამოვლენის არცერთი შემთხვევა.

ამრიგად, ძეგლის წარმოდგენილმა ენობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ხანმეტი ლექციონარი უძველესი თუ არა, ერთ-ერთი ძველი ხანმეტი ხელნაწერია (შინაარსობრივადაც იგი ლექციონარის ადრინდელ რედაქციას წარმოადგენს, რომელსაც სიმარტივე ახასიათებს (შანიძე, 1944, გვ. 022)). ლექციონარში არ დასტურდება ცოცხალი მეტყველების გავლენით „გაპარული“ არცერთი უხანო ფორმა, ამდენად, შესაძლოა, ეს

¹ არ გამოვრიცხავთ ხანმეტ ენობრივ გარემოში ჰაემეტი ფორმების არსებობის შესაძლებლობასაც.

ხელნაწერი „ცოცხალი“ ხანმეტობის ამსახველადაც ჩავთვალოთ და ქრონოლოგიურად მცხეთის ჯვრის ადრნერსე ჯპატოსის წარწერის წინმსწრებადაც მივიჩნიოთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ VII-VIII საუკუნეთა ისეთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც **ხ**-პრეფიქსს გამოავლენდეს, არ მოგვეპოვება, „ცოცხალი“ ხანმეტობის ამსახველად მიჩნეული ხანმეტი ლექციონარის შექმნის თარიღი შესაძლოა, ნახევარი საუკუნით მაინც წინ გადავნიოთ და VII საუკუნის დასაწყისში გადაწერილად მივიჩნიოთ.¹

იაკობის პირველსახარების ხანმეტ ნაწყვეტებში (VII ს.) (ბერდზოლი, 1969, გვ. 108-112) ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები სამივე პირში **ხ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი:

I პირი. *ხჟემნე* [იაკ. 12: 9], *ალხჟნერო* [იაკ. 20: 13-14], *ხჟპოვო* [იაკ. 17: 19].

II პირი. *ხიყო* [იაკ. 12: 1], *ალხიზარდე* [იაკ. 18: 14].

III პირი. *ხიქმნა* [იაკ. 15: 23-16: 1], *ხიპოვა* [იაკ. 19: 13], *ხიკურთხა* [იაკ. 19: 5], *მოხიქცა* [იაკ. 20: 10], *მოხინიოს* [იაკ. 13: 2-3], *ხიყო* [იაკ. 13: 9-10], *ხიყოს* [იაკ. 20: 10], *ალხიტყუა* [იაკ. 14: 17], *ხიშუეს* [იაკ. 15: 1].

ხელნაწერში **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმები არ დასტურდება. იაკობის პროტოევანგელეს სიძველეს მხარს უჭერს ი-პრეფიქსიანი ვნებითებში **ხ**-ს ნულთან მონაცვლეობის შემთხვევების არარსებობა, ამასთანავე, პირველი პირის ფორმების **ხ**-პრეფიქსით წარმოდგენა. პროტოევანგელეში **ხჟ**-კომპლექსი დასტურდება რელატიურ ზმნათა პირველი სუბიექტური პირის ფორმებშიც, როცა მას ეწყობა, როგორც წესი, მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირი: *ხუ(ხედავ)* [იაკ. 17: 2], *მიხუხედე* [იაკ. 21: 21], *დახუფარო* [იაკ. 21: 20].

¹ სწორედ ასე ათარილებს მას ბერნარ უტიე (1973, გვ. 173).

იაკობის პირველსახარებაში **ხ-** პრეფიქსის გამოყენების ნორმები დაცულია არა მარტო ი-პრეფიქსიან ვნებითებთან, არამედ სხვა შემთხვევებშიც, მაგრამ ჩანს, ხელნაწერი იმ ვითარების ამსახველია, როცა **დანყებულა ხანმეტობის რღვევის პროცესი**.¹ სხვაგვარად ვერ ავხსნით ერთ შემთხვევაში შეაგონა [იაკ. 16: 19-20], ხოლო მეორეში (შე)ხაგინა [იაკ. 17: 27-28] ფორმების არსებობას (შანიძე, 1977, გვ. 11).

საინტერესოა **ჯონ ბერდზოლის მიერ ამოკითხული** და გამოცემული **ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები** (ბერდზოლი, 1971, გვ. 124). ტექსტი VII საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი (დანელია, სარჯველაძე, 1997, გვ. 124).

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში არ დასტურდება. სამწუხაროდ, ვერც იმ ტიპის რელატიური ფორმები დავადასტურეთ, რომლებშიც **ხჴ-** კომპლექსი იქნებოდა მოსალოდნელი.

II პირი. დადასტურდა მეორე პირის ერთადერთი ფორმა, რომელიც **ხ-** პრეფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: <ხიყ>ენით [მრკ. 9: 50].

III პირი. მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმა დაცულია. მართალია, შემთხვევათა ორ მესამედში **ხ-** პრეფიქსი სრულად ან ნაწილობრივ ამოფხეკილია, მაგრამ ეს მეორეულია. ჩანს, ლიტურგიკულ პრაქტიკაში ხელნაწერს მოგვიანებითაც იყენებდნენ (ბერდზოლი, 1971, გვ. 63) და ეს პროცესი კითხვის გაიოლების მიზნით ჩატარდა.²

¹ ამის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული ხელნაწერის VII საუკუნის I ნახევრით დათარიღება.

² ზოგადი სურათი ასეთია: **ხ-** შემთხვევათა უმეტესობაში ამოფხეკილია, მაგრამ – სპონტანურად. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ **ყოფა** ზმნა, რომელიც ხელნაწერში საკმაოდ ხშირად გვხვდება. გამოყენების 15 შემთხვევაში **ხ-** ამოფხეკილია, 7 შემთხვევაში – არა. მეტიც,

ბ- პრეფიქსის გამოყენების სხვა შემთხვევების გათვალისწინებით, ყურადღებას იპყრობს მისი კლება ხმოვნის წინა პოზიციაში: ასწავებდა [მრკ. 10: 1], შეერთოს [მრკ. 10: 11], აქუს [მრკ. 10: 23], ევედრებოდა [ლ. 7: 36], აღესრულა [ლ. 4: 21]. ამ მხრივ **ხელნაწერი ასახავს ხანმეტობის რღვევის პროცესს**. გარკვეულ შემთხვევებში **ხ-** ჭარბია: [ხ]ინყო [მრკ. 10: 28], და[ხ]უტევნა [მ. 26: 44], აღხასრულნა [ლ. 4: 13], გან[ხ]ხეთქის [ლ. 8: 29]. **ხ-** ნორმით მოსალოდნელი არ არის მედიალურ ზმნათა I ბრძანებითის მეორე სუბიექტური პირის ფორმებშიც: [ხ]იღვძებდით [მ. 26: 38; 26: 41], [ხ]ილოცევდით [მ. 26: 41] (შდრ. II ბრძანებითის ფორმები: დაიძინეთ, განისუენნეთ [მ. 26: 45]).¹

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტებში დადასტურებულ ერთადერთ **ს-პრეფიქსიან** ფორმას წარმოადგენს **დასთესის** [მრკ. 4: 26], რომელიც ლ. ქაჯაიას მიერ გამოცემულ ხანმეტ ოთხთავში გვხვდება (1984). ამ ფორმას შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ბერდხოლის მიერ გამოცემულ ტექსტში დადასტურებული ზმნა **<ხსტი>როდეთ** [ლ. 7: 32]. თუ ეს წაკითხვა სწორია და ასახავს ხელნაწერის რეალურ ვითარებას, ენის

ეს ზმნა ერთი მუხლის ფარგლებში ერთ შემთხვევაში შეიძლება **ს-**პრეფიქსით იყოს წარმოდგენილი, მეორეში კი ამოფხეკილი იყოს: „სადაცა აღზრდილ **ხიყო** და შევიდა ვითარცა ჩუეულ **[ხ]იყო...**“ [ლ. 4: 17]; „და **[ხ]იყო** დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი **ხიყო** ცოდვილ“ [ლ. 7: 37]. სიჭრელა სხვა ზმნებთანაც, თუმცა ხელნაწერის შექმნისას **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის მესამე პირის ყველა ფორმა **ხ-**პრეფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

¹ ინტერესს იწვევს ფორმა **გან[ხ]ვმზადენით**: „ხიტყვს კმაღ ლაღადე-ბისაღ ოჯდაბნოსა: **გან[ხ]ვმზადენით** გზანი ოწისანი და წრფელ ყვე-ნით ალაგნი მისინი...“ [ლ. 3: 4]. კონტექსტით, აქ II ბრძანებითის II სუბიექტური პირი იგულისხმება, შდრ. **განვმზადენით** FGHIK. როგორც ჩანს, აქ გადამწერის მექანიკურ შეცდომასთან უნდა გვეკონდეს საქმე, მაგრამ მაინც საყურადღებოა **ხ-**ს მომდევნოდ **სი-**ის **ვ-**პრეფიქსის არსებობის ფაქტი (მოსალოდნელი **ჟ-**ს ნაცვლად).

ისტორიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ფაქტთან გვექონია საქმე. ესაა ე.წ. კონტამინაციური დანერილობა, რომელიც ასახავს როგორც ხანმეტი დედნის ვითარებას, ისე იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისას, რომელშიც **ს-პრეფიქსიანი** ფორმები უკვე უნდა გვექონოდა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ხელნაწერი ერთ-ერთ გვიანდელ ხანმეტ ტექსტად უნდა მივიჩნიოთ და **გამართლებული უნდა იყოს მისი VII საუკუნით დათარიღება**.

ჯ. ბერდზოლმა იმავე ხელნაწერში, რომელიც შეიცავდა ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს, მიაგნო **ეზრა პირველის ხანმეტ ნაწყვეტებსაც**. გამომცემელი ტექსტს VII საუკუნით ათარიღებს (1972, გვ. 97).

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი პირის ფორმა ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში არ დასტურდება. სამწუხაროდ, I პირისთვის ვერც ისეთი რელატიური ფორმები დავადასტურეთ, რომლებშიც **ხჟ-** კომპლექსი იქნებოდა მოსალოდნელი.

II პირი. დადასტურდა ერთადერთი ფორმა, ისიც II ბრძანებითის მწკრივისა. ძველი ქართულის ნორმებიდან გამომდინარე, იგი **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიქმნე[ნ]ით*¹ [ეზ. 99: 2].

III პირი. მესამე სუბიექტური პირის ფორმებში ხანმეტობის ნორმაა დაცული: *ხიქმნეს* [ეზ. 98: 9-10], *ხიყავნ* [ეზ. 99: 8], *ხიქ<მნა>* [ეზ. 101: 4].

ენობრივი თვალსაზრისით, საინტერესოა მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნად **ხ-**ს ზედმეტად წარმოდგენა II სერიის ფორმებში: *გამოხარჩინეს* [ეზ. 100: 2-3], *ხიყვან[ნეს]*² (ცოლნი) [ეზ. 101: 8], *ხ<იყვან>[ნეს]* (ცოლნი) [ეზ. 101: 16]. მე-

¹ გამოცემაშია *ხიქმნეით*.

² გამოცემაშია *ხიყვან*.

სამე ირიბობიექტური პირის ნიშნად **ხ-** აკლია ფორმაში: გარდაქდა [ეზ. 98: 1].

ხანმეტი ოთხთავის (VII ს.)¹ ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში, ძირითადად, ხანმეტობის ნორმაა დაცული, თუმცა გვაქვს დარღვევებიც.

I პირი. პირველი სუბიექტური პირის ფორმებში პარალელური წარმოებაა: დასტურდება როგორც **ხ-**პრეფიქსიანი (*მოხველინე* [ლ. 4: 43] ²), ისე უპრეფიქსო (*ვიყვენით* [მ. 23: 30]) ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო პერიოდის ტექსტებისთვისაა ნიშანდობლივი, რადგან ასახავს ხანმეტობის რღვევის პროცესს. **ი-**პრეფიქსიანი ვნებითები ტექსტში ამ მხრივ განყენებულად არ დგას, მათ მხარს უჭერს აქტივთა პირველი სუბიექტური პირის ფორმებიც, როცა ზმნას, როგორც წესი, მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირიც ეწყობა. ამ შემთხვევაშიც პარალელური წარმოებაა, გვაქვს, ძირითადად, ხანმეტობის ნორმით მოსალოდნელი ფორმები (*ხვემ* [მრკ. 11: 29], *განხუასხამ* [ლ. 11: 20], *შეხუძინე* [მ. 25: 20] და სხვ.), თუმცა მათ გვერდით დასტურდება **ხჴ-** კომპლექსის გამარტივებით მიღებული ოდენ **ვ-**პრეფიქსიანი ფორმებიც (*განვასხემდით* [მ. 7: 22], *მოვგუარე* [მ. 17: 16], *ვითყვით* [ი. 3:11] და სხვ.). როგორც ჩანს, იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისათვის სწორედ ამ ტიპის გამარტივებული ფორმები უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რომლებიც უნებლიეთ „გაეპარა“ გადამწერს.

II პირი. მეორე სუბიექტურ პირში ზმნა **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *მოხიქცეთ* [მ. 18: 3].

¹ ლ. ქაჯაია ი. ჯავახიშვილისა და მის მიერ ამოკითხულ ხანმეტ ოთხთავს V-VI საუკუნეებით ათარილებს (984, გვ. 303), ზ. სარჯველაძე კი – VII საუკუნით (1995, გვ. 128-129).

² ვიმონებთ ლ. ქაჯაიას გამოცემის მიხედვით (1984).

III პირი. მესამე პირში ხანმეტობის ნორმა, ძირითადად, დაცულია (*განხიურნებოდეს* [მ. 15: 31], *ხიქმნა* [მ. 28: 11], *ხიქცეოდა* [მ. 21: 17], *დახირღუეს* [ლ. 21: 6] და სხვ.), თუმცა დასტურდება ნორმიდან გადახვევის შემთხვევებიც (*იყოს* [მ. 5: 32; მრკ. 9: 50], *დაიმარილოს* [მ. 5: 32], *განიწყუნიან* [მ. 6: 16], *ალივსნეს* [ლ. 6: 11], *შეიმოსა* [ლ. 12: 27]).

როგორც ვხედავთ, ი-პრეფიქსიან ვნებითა წარმოებაში დარღვეულია ხანმეტობის ნორმები. ხანმეტ ოთხთავში **ხ**-პრეფიქსი არ ჩანს სხვა შემთხვევებშიც: **ა)** მეორე სუბიექტური პირის ნიშნად (*შეურაცხ-ყოთ* [მ. 18: 10], *უნყითა* [მრკ. 10: 42]); **ბ)** მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირის ნიშნად (*უჩუენე* [მ. 8 :4], *გამოუცხადე* [მ. 11: 25], *ხეღვიდეს* [მ. 37: 55], *უკჯრდაცა* [მრკ. 15: 5] და სხვ.); **გ)** უფრობითი ხარისხის ფორმებში ორ შემთხვევაში: *ულხინშს* [მ. 10: 15], *უმეტშს* [მ. 14: 31]. დასტურდება საპირისპირო ტიპის დარღვევებიც, **ხ**-ზედმეტია: **ა)** ორპირიანი გარდამავალი ზმნების II სერიის ფორმებში: *მიხიყვანის* [მ. 7: 13-14], *ხაგოს* [მ. 17: 11], *დახკრობეს* [მ. 21: 35], *ხითხოვოს* [მ. 14: 7-8], *შეხასმინონ* [მრკ. 3: 2; ლ. 11: 54] და სხვ.; **ბ)** უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებთან (*შეხცოთეს* [მ. 18: 12], *დახშრტების* [მრკ. 9: 48], *დახცხრა* [ლ. 5: 4; 11: 1]); **გ)** მედიალურ ზმნებთან (*ხილოცვიდა* [ლ. 3: 21; 11: 1], *ხისადილნეს* [ი. 21: 15]).

როგორც ვხედავთ, ხანმეტ ოთხთავში, ზემოთ განხილულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, საკმაოდ ხშირია **ხ**-პრეფიქსის გამოყენების ნორმათა დარღვევა (**ხ**-უმეტესად იკარგება ხმოვნის წინა პოზიციაში). ამ დარღვევათა ნაწილი წარმოადგენს გადამწერის მიერ უნებლიეთ „გაპარულ“ შეცდომებს, მოტივირებულს ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით, ხოლო მეორე ნაწილი – განზრახ, შეგნებულად დაწერილ ე.წ. ფსევდოგრამატიზებულ ფორმებს, რომლებიც უკავშირდება გადამწერისთვის **ხ**-პრეფიქსის გამოყენების ნორმების დაბინ-

დვას, ამიტომ ანალოგიით წერს იქაც, სადაც მოსალოდნელი არ არის.¹

სალიტერატურო ენის ისტორიისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ხანმეტ ოთხთავში **ს**-პრეფიქსიანი ფორმის არსებობის ფაქტი: „**ესრჭთ არს სასუფეველი ღ~ ე~ იგი კაცმან დასთესის**“ [მრკ. 4: 26]. სხვა შემთხვევაში ეს ზმნა **ხ**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი (**დახთესი** [მ. 25: 24], **დახეთესის** [მრკ. 4: 31], **დახთესა** [ლ. 13: 19], **ხთესვენ** [ლ. 12: 24]). გადამწერის მიერ ეს უნებლიეთ „გაპარული შეცდომა“ ნათელს ხდის, რომ ხელნაწერის შექმნის ჟამს სავარაუდებელია არათუ ხანმეტობის რღვევის პროცესის დასაწყისი, არამედ ცოცხალ მეტყველებებში (იმ რეგიონში მაინც, სადაც გადაიწერა ხელნაწერი) უკვე **ს**-პრეფიქსიანი ფორმების არსებობაც. აქედან გამომდინარე, „ექვექვეშ დგება **ს**-პრეფიქსიანი ფორმების IX საუკუნიდან არსებობის ფაქტი“ (სარჯველაძე, 1995, გვ. 129). ეს პროცესი ორი საუკუნით ადრე მაინცაა საგულებელი. ხანმეტი ოთხთავის გადანერისას ცოცხალი მეტყველებისთვის ხანმეტობა უკვე აღარ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, ამიტომ ძეგლში იგი უფრო მნიგნობრული გზით გატარებული ნორმის შთაბეჭდილებას ტოვებს და აიხსნება ლიტერატურული ტრადიციისა და ხანმეტი დედნის არსებობით. **ხელნაწერის შექმნისას სანწარევი მეტყველების არსებობაა სავარაუდებელი** (ჩანასახის სახით მაინც).

ხანმეტი ოთხთავი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ჰაემეტი ფორმა მასში, ფაქტობრივად, არ დასტურდება. მართალია, ოთხ ადგილას ხანმეტი ფორმის ნაცვლად **ჰ**-პრეფიქსიანი ფორმა გვხვდება (**ჰკლავ** [მრკ. 10: 19], **ჰრქუა** [მრკ. 3: 5; ლ. 15: 31; 16: 2]), მაგრამ ეს გაცხოველების შედეგია, **ჰ**-ს ქვეშ

¹ ფსევდოგრაფიზებული დაწერილობათა გამომწვევ მიზეზს სალიტერატურო ენის ნორმათა ცოცხალი მეტყველებისგან დაშორება წარმოადგენს.

გარკვევით ჩანს **ხ**-ს გრაფიკული მონახაზი. როგორც ტექსტის გამომცემელი ლ. ქაჯაია აღნიშნავს, ეს ცვლილება რედაქტორის ხელს უნდა მივაკუთვნოთ: „ეს პროცესი მოგვიანო პერიოდში უნდა ჩატარებულიყო, როდესაც ხანმეტი ფორმა სალიტერატურო ენაში ჰაემეტით შეიცვალა, ე.ი. არა უადრეს VIII ს. და არა უგვიანეს XI საუკუნისა“ (1884, გვ. 301).

რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრების შესახებ? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ზოგადად, ჰ-პრეფიქსიანი ფორმა და ჰაემეტი ფორმა**. კემბრიჯულ ფრაგმენტსა და ხანმეტ ლექციონარში დადასტურებული **ჰ-პრეფიქსიანი ზმნები** თვისობრივად განსხვავდება ოთხთავში დადასტურებულ ფორმათაგან: პირველ შემთხვევაში ყველა ზმნურ ფორმაში **ჰ**-რეალიზდება ხმოვნის წინა პოზიციაში და, ამდენად, მხოლოდ ჰაემეტ ფორმებს შეიძლება წარმოადგენდნენ; მეორე შემთხვევაში კი მისი პოზიცია განისაზღვრება სონანტისა და თანხმოვნის წინ, ამდენად, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ჰაემეტი, ისე სანნარევი მეტყველების კუთვნილებად. იმის გათვალისწინებით, რომ ხელნაწერის შექმნის ჟამს უკვე ივარაუდება სანნარევი მეტყველების არსებობა, მოგვიანებით ან თუნდაც ოთხთავის გადანერის მახლობელ ხანებში რედაქტორის ხელით ჩასწორებული **ჰ-პრეფიქსიანი ზმნები** შესაძლოა ე.წ. სანნარევი მეტყველების ამსახველ ფაქტად მივიჩნიოთ და არა ჰაემეტი მეტყველების კუთვნილებად.¹

დასასრულ, გვინდა შევეხოთ ხანმეტი ოთხთავის დათარიღების საკითხს. იმ დარღვევათა საფუძველზე, რომლებიც შეინიშნება ტექსტში, საეჭვო უნდა იყოს მისი V-VI საუკუნეებით დათარიღება (ამ პერიოდის ეპიგრაფიკული ძეგლები არ გამოავლენს **ხ**-პრეფიქსის მოშლის ფაქტს), როგორც ამას

¹ ჩვენთვის საეჭვოა ჰაემეტობის ხანმეტობის მომდევნო ქრონოლოგიურ საფეხურად მიჩნევა.

გვთავაზობს ლ. ქაჯაია (1984, გვ. 303). ვფიქრობთ, უფრო გასაზიარებელია ზ. სარჯველაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები VII საუკუნით უნდა დათარიღდეს (1995, გვ. 128). **ზემოთ განხილულ ხანმეტ ხელნაწერთა შორის იგი ყველაზე გვიან გადანერილი ტექსტი ჩანს** (ხანმეტ მრავალთავს არ ვგულისხმობთ). ამასთან დაკავშირებით კვლავ დგება ერთი საკითხი: **რამდენად გამართლებულია ხანმეტობის ნორმების მყარად ამსახველი ხანმეტი ლექციონარისა¹ და ხანმეტი ოთხთავის ქრონოლოგიურად ერთ სიბრტყეზე მოთავსება?** ვფიქრობთ, ტექსტის ენობრივ ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის სხვაობას ნახევარი საუკუნე მაინც უნდა წარმოადგენდეს. ამის გათვალისწინებით, **გამართლებული უნდა იყოს ხანმეტი ლექციონარის შექმნის თარიღის მინიმუმ ნახევარი საუკუნით წინ გადანევა.**

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს **ხანმეტი მრავალთავი**, რომელსაც ა. შანიძე პალეოგრაფიული ნიშნებით VIII საუკუნის I ნახევრით ათარიღებს (1927, გვ. 109).

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები **ხ-** პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: *ვიქცეოდი* [მრავ. 130: 22], *განვიბანეთ* [მრავ. 132: 12], *ვიყვენით* [მრავ. 132: 15]. ეს ამ ძეგლში უკვე მკაცრად გატარებული ნორმაა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.²

როგორც მოსალოდნელი იყო, ანალოგიური ვითარებაა რელატიურ ზმნათა პირველი სუბიექტური პირის ფორმებშიც: *დავატადო* [მრავ. 127: 13-14], *ვაჩუენოთ* [მრავ. 128: 4-5], *შეწიროთ* [მრავ. 131: 18], *ვიტყოდი* [მრავ. 134: 3] და სხვ. ეს

¹ როგორც აღვნიშნეთ, ხანმეტ ლექციონარს ა. შანიძე VII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს (1944, გვ. 019).

² შდრ. ამ მხრივ ხანმეტი ოთხთავი, რომელშიც დასტურდება როგორც *მოხველინე* [ლ. 4: 43], ისე *ვიყვენით* [მ. 23: 30] ტიპის ფორმები

ფორმები, ფაქტობრივად, სანნარეგობისა და ახალი ქართულის ვითარების ამსახველია და ნათლად გვიჩვენებს იმ პერიოდის მეტყველების რეალურ სურათს. ამიტომ ამგვარი ენობრივი ვითარების გაგრძელებად იმ ჰაემეტი მონაცემის მიჩნევა, რომლისთვისაც *აღჰუმართე, შეჰუნრო, დაჰუცადო* ტიპის ფორმები იქნება დამახასიათებელი, ვფიქრობთ, გაჭირდება. **616–619 წლებით დათარიღებულ წყისი წარწერაში დადასტურებული აღჰუმართე ტიპის ფორმები ხანმეტი მრავალთავის შექმნის ეპოქისთვის განვლილ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს. ჩანს, გარკვეული ენობრივი პროცესები ხანმეტსა და ჰაემეტ ენობრივ გარემოში თანადროულად მიმდინარეობდა. ამიტომ რაღაც პერიოდში, თუნდაც სხვადასხვა ტერიტორიაზე, ამ ორი მონაცემის თანაარსებობა უნდა ვივარაუდოთ. ამიტომ ჩვენთვის საეჭვოა ჰაემეტობის ხანმეტობის მომდევნო ქრონოლოგიურ საფეხურად მიჩნევა (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 278) და ა. შანიძის მოსაზრება უფრო მისაღები ჩანს (1923, გვ. 461).**

ხანმეტ მრავალთავში დასტურდება რელატიურ ზმნათა ძველი ტიპის **ხ**-პრეფიქსიანი ფორმების ერთეული შემთხვევებიც: *ხუმადლობდეთ* [მრავ. 127: 6-7], *შეხუნრივდეთ* [მრავ. 127: 11-12], *თავყანის ხუცე(მდე)თ* [მრავ. 131: 9], *ხუმესგავსენით* [მრავ. 142: 10], რომლებიც გაპარული უნდა იყოს ხანმეტი დედნიდან. ძეგლისთვის ნორმად მაინც ოდენ **ვ**-პრეფიქსიანი ფორმები უნდა ჩაითვალოს. ხელნაწერის ამ თავისებურებას ა. შანიძე მოკლედ ასე აყალიბებს: „პირველ სუბიექტურ პირში ხანმეტობა ვერ ხარობს“ (1927, გვ. 115).

ჩვენი აზრით, **პირველი სუბიექტური პირის ვითარება ერთ-ერთ ძირითად ენობრივ კრიტერიუმად** (სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში) **უნდა მივიჩნიოთ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ქრონოლოგიზაციისათვის. ვ**-პრეფიქსიანი ფორმების **რაოდენობრივი სიჭარბე (ხჟ- წარმოებასთან შედარებით) და, მით უმეტეს, ოდენ ამ ტიპის ფორმების არსებობა საკვლევი ძეგლის გვიანდლობაზე უნდა მეტყველებდეს. განხილულ ხანმეტ ხელ-**

ნაწერთა შორის ხანმეტი მრავალთავი, მართლაც, ყველაზე გვიანდელია.

II პირი. მეორე სუბიექტური პირის ფორმები უგამონაკლისოდ **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი: *ხიყენეთ* [მრავ. 143: 3], *ხიე(ცეოდით)* [მრავ. 145: 18-19], *ხიქმნნეთ* [მრავ. 145: 19]. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში **ხ-**ს დაკარგვას ხელი შეუშალა მორფოლოგიურმა ფაქტორმა: ჩანს, იგი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გააზრებული.

III პირი. მესამე სუბიექტური პირის ფორმებიც **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, სამიოდე გამონაკლისის გარდა: *შეინირვის* [მრავ. 125: 2], *იქცენ* [მრავ. 134: 1], *გარდაიქცეს* [მრავ. 149: 2] (თანაფარდობა ასეთია: 32: 3).

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ხანმეტ მრავალთავში მეორე სუბიექტური და მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი წარმოდგენილია ყველგან, სადაც ხანმეტობის ნორმითაა მოსალოდნელი. გამონაკლისია რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი წარმოდგენილი არაა (*გაუმხილებ* [მრავ. 139: 1], *შენირა* [მრავ. 129: 6], *შუენის* [მრავ. 128: 14-15; 129: 5-6; 130: 9-10; 130: 4], *უგალობდეთ* [მრავ. 146: 4-5], *დაუდვათ* [მრავ. 142: 9-10]¹), თუმცა იმავე ფონოლოგიურ გარემოცვაში სხვა ზმნებთან **ხ-** დასტურდება (*ხუყოფდა* [მრავ. 152: 17], *ხნოვედ* [მრავ. 142: 8]² და სხვ.).

ძეგლი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მასში არცერთი ჰაემეტი ფორმა არ არის „გაპარული“. ეს შესაძლოა, იმით ავსხნათ, რომ მრავალთავის გადაწერის დროისთვის არა მართო ხანმეტობა, არამედ ჰაემეტობაც განვლილ ეტაპს წარმოადგენდა. VII საუკუნიდან ცოცხალ მეტყველებაში უკვე სანარევობა ივარაუდება (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი

¹ ბოლო ორ შემთხვევაში არც S₁-ის ნიშანია წარმოდგენილი.

² /მ/-თი დაწყებული სხვა ზმნის ფუძე ვერ დავადასტურეთ.

რეგიონისთვის მაინც). მაშ რატომ უნდა შექმნილიყო ამ ეპოქაში ხანმეტი ხელნაწერი? შესაძლოა, ეს ყოფილიყო დამკვეთ-მომგებლის ნება, რომელიც გადამწერს უნდა შეესრულებინა, ან სამწერლობო ტრადიციით შეპირობებული მოთხოვნა. ხანმეტ მრავალთაგანში ხანმეტობა ოდენ ლიტერატურული ტრადიციით შეპირობებული ხელოვნური, მნიგნობრული გზით გატარებული ენობრივი მოვლენაა და არა „ცოცხალი“ პროცესის ამსახველი ფაქტი (შანიძე, 1927, გვ. 116). ძეგლის გადამწერი არ არის ოდენ გადამწერი, ის საკმაოდ დაკვირვებული რედაქტორ-გადამწერია (ამიტომ „გაპარული შეცდომები“ ხელნაწერში, ფაქტობრივად, არაა), რომელიც **ქმნის იმ ეპოქაზე მორგებულ ახალ ორთოგრაფიულ ნორმებს, რაც გულისხმობს ძველისა და ახლის სინთეზს**. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი იმ ენობრივი მოვლენის დაკანონებას, ნორმად გამოცხადებას, რომელიც აშკარად დარღვევას წარმოადგენდა „ცოცხალი“ ხანმეტობისთვის და რომელიც სპონტანურადაა გატარებული ხანმეტ ოთხთავში. ესაა, ზოგადად, პირველი სუბიექტური პირის ფორმებში ვ-პრეფიქსიანი ფორმების ორთოგრაფიულ ნორმად გამოცხადება (*ხჳყვენი*ით>*ვიყვენი*ით, *შეხჳწიროთ* > *შეეწიროთ*). ამ ნორმით აღდგა ქართულისთვის ბუნებრივი პრეფიქსული მონოპერსონალიზმის (გამყრელიძე, 1979, გვ. 46) პრინციპი.

ჰაემეტ ლექციონარში, რომელსაც ა. შანიძე VIII საუკუნით ათარიღებს (1923, გვ. 358) და, ფაქტობრივად, სანნარევ ძეგლთა უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა თითქმის ნახევარი **ჰ**-პრეფიქსის გარეშეა მოცემული.

I პირი. ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის პირველი სუბიექტური პირის ფორმები **ჰ**-პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი (*ვიყო* [ჰაემ. 370: 10], *მოვივლინე* [ჰაემ. 382: 15]). ამ მხრივ იგი გვერდში უდგას ხანმეტ მრავალთავს.

ჰაემეტ ლექციონარს, ზოგადად, პირველი სუბიექტური პირის ფორმებში **ჰჲ-** კომპლექსი, ფაქტობრივად, აღარ ახასიათებს: ვიტყუ [ჰაემ. 387: 10], მოვიმკი [ჰაემ. 385: 60], მოველოდეთ [ჰაემ. 366: 14], ვიდიდებდე [ჰაემ. 370: 10]. რამდენიმე ძველი ნორმის ამსახველი ფორმა უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჰაემეტი დედნის არსებობით იხსნება და საერთო ტენდენციას ვერ ცვლის: ჰოჯყოფ [ჰაემ. 388: 15], ჰჯცოდე [ჰაემ. 388: 13], სათნო ჰჯყავ [ჰაემ. 370: 12].¹ ხელნაწერში გვხვდება ერთი ფორმა, რომელიც გამოავლენს **ჰ-** და **ვ-** (< **ჲ-**) პრეფიქსების ახლებურ რანგებას: და**ჲ**შთესი [ჰაემ. 385: 10].²

II პირი. მეორე სუბიექტური პირის ფორმა ორ შემთხვევაში **ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, მესამედ – მის გარეშე: ჰიყოფი [ჰაემ. 387: 12], ჰიყავ [ჰაემ. 376: 13], იყვენით [ჰაემ. 378: 2-3]. ეს უკანასკნელი II ბრძანებითის მწკრივისაა, შესაძლოა, **ჰ-** მეორე სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გააზრებული და ამანაც განაპირობა მისი დაკარგვა,³ თუმცა წინა შემთხვე-

¹ ბოლო ორ მაგალითში **ჰ-**, წესით, მოსალოდნელი არ არის, რადგან ზმნას არ ეწყობა მიცემითში მდგარი **О₃**.

² ერთი შეხედვით, და**ჲ**შთესი ამ ძეგლისთვის მოულოდნელი ფორმა ჩანს: ჰაემეტ ლექციონარში და, განსაკუთრებით, ხანმეტ მრავალთავში ნათლად გამოიკვეთა ენის განვითარების კანონზომიერი პროცესი: ენის მიდრეკილება პირველი სუბიექტური პირის ფორმებში გამარტივებული, ოდენ **ვ-**პრეფიქსიანი ფორმების დამკვიდრებისა (**ხჲ-** > **ვ-**, **ჰჲ-** > **ვ-**). ეს ეხება როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური აგებულების ზმნებს. ამ ფორმით კი ენის კურსი, კვლავ აღედგინა მისთვის ბუნებრივი პრეფიქსული მონოპერსონალიზმის (გამყრელიძე, 1979, გვ. 46) პრინციპი, ერთგვარად შეფერხდა (ამ ფორმის ლოგიკური გაგრძელებაა **ვსთხოვ**, **ვჰკითხავ** ტიპის ფორმები).

³ ცნობილია, რომ ბრძანებითის მწკრივებში **S₂**-ის უნიშვნობა მორფოლოგიური აკრძალვაა.

ვაზე ამას ვერ ვიტყვით (*ჰიყავ* ზმნაც ამავე მწკრივის ფორმას).

III პირი. დასტურდება **ჰ-ს 0-**თან მონაცვლეობის შემთხვევები, კერძოდ, მესამე სუბიექტური პირის ფორმათა თითქმის ნახევარი **ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, ნახევარი – მის გარეშე (შდრ.: *ჰიქმნა* [ჰაემ. 376: 7], *იქმნებიან* [ჰაემ. 368: 2-3]; *ჰიქცეს* [ჰაემ. 388: 14], *მოიქცა* [ჰაემ. 386: 7]; *ჰიყვნეს* [ჰაემ. 377: 9], *იყვნეს* [ჰაემ. 383: 8] და სხვ.). ერთი უნდა შევნიშნოთ, **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმების უმეტესობა *ყოფა* ზმნაზე მოდის, სხვა ზმნები, ძირითადად, უპრეფიქსოდ რეალიზდებიან (*იბრძანა* [ჰაემ. 365: 15], *დაითხიოს* [ჰაემ. 373: 4], *ითარგმანების* [ჰაემ. 387: 10-11] და სხვ.).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად **ჰ-** თანხმოვნის წინ ყოველთვისაა წარმოდგენილი, ხმოვნის წინ **ჰ-** პრეფიქსის დაკარგვა ბოლომდე გატარებული არ არის (შდრ.: *ჰიცოდე* [ჰაემ. 385: 3-4], *იხილოთ* [ჰაემ. 386: 5]; *ჰიტყოდა* [ჰაემ. 376: 15], *იტყოდა* [ჰაემ. 369: 7]; *მიჰუგო* [ჰაემ. 369: 2], *მიუგო* [ჰაემ. 381: 5] და სხვ.). დასტურდება სამი **ჰს-**კონტამინაციურპრეფიქსიანი ფორმა (*მიჰსცემდა* [ჰაემ. 377: 2; 379: 7], *დაჰსცხრა* [ჰაემ. 383: 14]), რომლებიც ასახავენ როგორც ცოცხალი მეტყველების (რომელშიც ეს ზმნები **ს-**პრეფიქსით გამოითქმოდა), ისე ჰაემეტი დედნის ვითარებას.

ჰაემეტი ლექციონარის ენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ გადამწერმა ველარ შეძლო ჰაემეტი დედნის გრამატიკული ნორმების ბოლომდე გატარება და ბევრი რამ შეცვალა ცოცხალი სასაუბრო მეტყველების გავლენით, რომელიც ხელნაწერის შექმნისას სანნარევი უნდა ყოფილიყო. მართალია, ტექსტში, ხანმეტი ოთხთავისგან განსხვავებით, ასიმილაციის საფუძველზე მიღებული **ს-**პრეფიქსიანი ფორმა საერთოდ არ დასტურდება, მაგრამ **ჰს-**კონტამინაციურპრეფიქსიანი ფორმები იმის მაჩვენებელია, რომ იმ პერიოდის ცოცხალ მეტყვე-

ლებაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ერთ-ერთ ალომორფად **ს-** უკვე უნდა გვექნოდეს.

ამრიგად, ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტთა ენობრივი ანალიზი საფუძველს გვაძლევს, თვალი გავადევნოთ **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმათა გამარტივებისა და **ს-//ჰ-** პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობის პროცესს, რომელიც სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

	I პირი	II პირი	III პირი
ოქსფ., კემბრ.	(ხჟ-)	—	ს-//ჰ-
ქრისტ. წამება	ხჟ-//ვ-	ს-	ს-
კჰპრიან. წამება	ხჟ-	ს-	ს-
უძვ. ტექსტ. (ჯავახ.)	ხჟ-	ს-	ს-//0
ხანმ. ლექც.	—	ს-	ს-//ჰ-
იაკ. პროტ.	ხჟ-	ს-	ს-
ხანმ. ოთხთ. (ბერდზ.)	—	(ს-)	ს-
ეზრა I (ბერდზ.)	—	ს-	ს-
ხანმ. ოთხთ. (ქაჯ.)	ხჟ-//ვ-	ს-	ს-//0
ხანმ. მრავ.	ვ-	ს-	ს-//0
ჰაემ. ლექც.	ვ-	ჰ-//0	ჰ-//0

ცხადი ხდება, რომ **ი-პრეფიქსიანი** ვნებითებში **ს-** პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობა უნდა დაწყებულიყო I-III პირის ფორმებში. ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართა I სუბიექტური პირის ფორმებში, რის საფუძველზეც მივიღეთ გამარტივებული, ოდენ **ჰ-პრეფიქსიანი** ფორმები (ეს ერთადერთი ნორმაა ხანმეტი მრავალთავისა და ჰაემეტი ლექციონარისათვის). III პირის ფორმებში **ს-**ს დაკარგვა ბოლომდე არ არის გატარებული. II სუბიექტური პირის ფორმებში მისი და-

კარგვისთვის ხელი უნდა შეეშალა მორფოლოგიურ ფაქტორს: როგორც ჩანს, **ხ-//ჰ-** S₂-ის მორფემად იქნა გააზრებული. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა სანნარევე წერილობით ძეგლებში.

დასასრულ, გვინდა შევეხოთ მთავარ პრობლემას: რა ფუნქციისაა **ხ-//ჰ-** პრეფიქსი **ი-პრეფიქსი**ანი ვნებითი გვარის ფორმებში და რატომ იჩენს იგი თავს სამივე პირში? ძველი ქართულის სინქრონიულ დონეზე, გარკვეული თვალსაზრისით, მეორე პირის ფორმებში **ხ-//ჰ-** პრეფიქსი მეორე სუბიექტური პირის მორფემად შეიძლება იქნეს მიჩნეული (შანიძე, 1927, გვ. 114; ონიანი, 1978, გვ. 115; სარჯველაძე, 1997, გვ. 74), ხოლო პირველი სუბიექტური პირის ფორმებში **ხჟ-** ერთიანად უნდა იქნეს კვალიფიცირებული ამ პირის ერთ-ერთ ალომორფად (ონიანი, 1978, გვ. 162; გამყრელიძე, 1979, გვ. 49; სარჯველაძე, 1997, გვ. 74). **ი-პრეფიქსი**ანი ვნებითი გვარის მესამე პირის ფორმებში მის გამოვლენას არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ ეძებნება და ანალოგიით, პარადიგმის გათანაბრებით უნდა აიხსნას (ონიანი, 1978, გვ. 165). საზოგადოდ, „თუ რატომ იჩენს თავს **ხ-** ამ ტიპის ზმნებში, ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად ახსნილი არ არის“ (სარჯველაძე, 1995, გვ. 125).

ჩვენი აზრით, **ხ-//ჰ-** პრეფიქსის მეორე სუბიექტური პირის მორფემად მიჩნევას ახლავს მთავარი დაბრკოლება: თუ მას კონკრეტულად ამ პირის მარკერად მივიჩნევთ, ჩნდება შეკითხვა: რამდენად გამართლებულია მორფოლოგიურად ან თუნდაც ლოგიკურად მისი გამოვლენა სხვა სუბიექტური პირის ფორმებშიც? პირის რომელობის მიხედვით ოპოზიციისას კონკრეტული მორფემა ოპოზიციის მხოლოდ ერთი წევრის (პი-

რის) მარკერი შეიძლება იყოს,¹ ჩვენს შემთხვევაში კი **ხ-//ჰ-** სეგმენტი სამივე პირთან რეალიზდება.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ხანმეტსა და ჰა-ემეტ ტექსტებში **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ზმნა ბრძანებითის მწკრივების II სუბიექტურ პირში ყოველთვის **ხ-//ჰ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი. ეს ნორმაა და არა გამონაკლისი (*ხიყენით* (ბერდზოლი, 1971, გვ. 67), *ხიყავ* (ქაჯაია, 2006, გვ. 50), *ჰიყავ* [ჰაემ. 376: 13], მაგრამ *იყენით* [ჰაემ. 378: 2-3]). ძველ ქართულში კი ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვაა. მაშასადამე, **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებში **ხ-//ჰ-** არ ექვემდებარება იმ ზოგად წესს, რომელიც მეორე სუბიექტურ პირზე ვრცელდება, სხვაგვარად, იგი „არ იქცევა“, როგორც ამ პირის მორფემა. ამრიგად, **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში ხ-//ჰ-ს ვერ მივიჩნევთ მეორე სუბიექტური პირის მორფემად**. მაგრამ რამდენად შეიძლება **ხჟ-** ოდენობის მიჩნევა პირველი სუბიექტური პირის ალომორფად?

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთის მიხედვით, ამოსავალია **ჟ-//ვ-** პრეფიქსი (შანიძე, 1925, გვ. 182; დონდუა, 1967, გვ. 280; დეეტერსი, 1930, გვ. 26; თოფურია, 1967, გვ. 26; ჩიქობავა, 1946, გვ. 123; სუხიშვილი, 1986, გვ. 58...), მეორე თვალსაზრისის მიხედვით, პირველი სუბიექტური პირის მორფემა საერთოქართველურის დონეზე აღდგება ***ხჟ-** არქეტიპის სახით (კლიმოვი, 1964, გვ. 225; ონიანი, 1978, გვ. 159; გამყრელიძე, 1979, გვ. 49; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 695).

¹ მართალია, **ხ-//ჰ-** პრეფიქსი S₂ და O₃ პირების ნიშნადაც მიიჩნევა, მაგრამ ამ შემთხვევაში გვაქვს რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირები, თუმცა, თავისთავად, მაინც ახსნას ითხოვს რაგვარობისა და რომელობის მიხედვით განსხვავებულ პირთა ერთნაირად მარკირება.

ამიტომ *მი-ბ-უ*-ეც ტიპის ფორმებში **ხჟ**-პრეფიქსის რეინტერ-პრეტაცია O_3^{ind} . **ბ**- და S_1 **ჟ**-პრეფიქსთა კომბინაციად მეორე-ულია (ონიანი, 1978, გვ. 162; გამყრელიძე, 1979, გვ. 49).

ჩვენთვის პირველი სუბიექტური პირის გამოხატვის მორ-ფოლოგიური ფუნქცია **ხჟ**-პრეფიქსის მეორე კომპონენტს უკავშირდება, **ბ**- ამ შემთხვევაში ისეთივე უფუნქციო სეგმენტის როლში გამოდის, როგორც ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის II-III პირის ფორმებში. ვინაიდან **ხჟ**-პრეფიქსის **ბ**-სეგმენტს, ცალკე აღებული, მორფოლოგიური ფუნქცია არ ეძებნება, პი-რობითად იგი S_1 -ის ნიშნის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ, ხოლო მისი არსებობა აქ ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა ავხსნათ.

ხჟ-პრეფიქსის [ხ] ოდენობას არნ. ჩიქობავა სწორედ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევდა (1946, გვ. 123). ვ. თოფუ-რიას აზრით, **ხჟ**-პრეფიქსში (თუნდაც იგი ***ჰჟ**-სგან იყოს წარმომდგარი) ძირითად ელემენტს **ჟ**-წარმოადგენდა, ***ჰ**-, **ბ**-კი სხვა წარმოშობისა უნდა ყოფილიყო (თოფურია, 1967, გვ. 7).

რადგან პირველი სუბიექტური პირის გამოხატვა **ხჟ**-პრეფიქსის პირველ კომპონენტთან არ იყო დაკავშირებული, ენამ ადვილად იგუა ამ ოდენობის გამარტივება: **ხჟ**-//**ჰჟ**-> **ჰ**-. როგორც ვნახეთ, ოდენ **ჰ**-ალომორფიანი ი-პრეფიქსიანი ვნე-ბითი გვარის ფორმები დასტურდება „წმიდა ქრისტინას წამე-ბაში“, ხანმეტ ოთხთავში, ხანმეტ მრავალთავსა და ჰაემეტ ლექციონარში. აქედან ბოლო ორ ძეგლში ეს ერთადერთი ნორმაა.

ამგვარად, ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ბ**-//**ჰ**-ს არ ეძებნება მორფოლოგიური ფუნქცია, იგი უფუნქციო ელემენტია არა მარტო სინქრონიულ დონეზე, არამედ დიაქრო-ნიულადაც. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ელემენ-ტი სამივე პირის ფორმაში იჩენს თავს, ჯობს ყველა შემთხვე-

ვაში ხ-//ჰ- სეგმენტის გამოვლენა ერთნაირად აიხსნას, ოღონდ არა მორფოლოგიურ, არამედ ფონეტიკურ¹ ნიადაგზე.

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში ხ-//ჰ- პრეფიქსი გამოიყენება კიდევ რამდენიმე ფუნქციით: ა) S_2 და O_3 (მიცემითში მდგარი) პირების მარკერად;² ბ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ ცირკუმფიქსებში; გ) S_1 პირის ხჟ-//ჰჟ- ალომორფის შემადგენელ ელემენტად (რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი). ჩვენი აზრით, ხ-//ჰ- პრეფიქსი მისი გამოყენების ყველა შემთხვევაში ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული. მისი მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა და პირის მორფმად გრამატიკალიზება მეორეული მოვლენა ჩანს. ხ-//ჰ- ელემენტის გაჩენა შესაძლოა, ასპირაციას უკავშირდებოდეს, რომელიც საერთოქართველურს ახასიათებდა. „ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები“ (ჟღენტი, 1965ა, გვ. 112).

ქართველურ ენათაგან ხმოვანთა (//სონანტთა) ფშვინვიერი შემართვა თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო, შემდეგ – ქართულში, სვანურში კი (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) ამჟამადაც მოქმედი ფონეტიკური

¹ საინტერესოა, რომ ხანმეტი ლექციონარის წინასიტყვაობაში თავად ა. შანიძე ხანმეტობას უწოდებს **ფონეტიკურ-მორფოლოგიურ** მოვლენას (1944, გვ. 024).

² ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში ხ-//ჰ- O_3^{ind} -ის ნიშანია, ამიტომ ამ ტიპის ვნებითებში პრეფიქსის ფუნქციას ცალკე არ ვეხებით.

მოვლენაა (ჟღენტი, 1965ა, გვ. 112).¹ ზანურისა და ქართულის გავლენით ასპირაციის შენელება-გაქრობა უფრო ქვემოსვანურშია გამოხატული. **საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს მეგრულ-ლაზურში S₂ და O₃ პირების უნიშნობა** (ციხელაშვილი, 2005, გვ. 281).

თუ საკითხის ჩვენეული დასმა მართებულია, სწორედ სვანურში უნდა იყოს ხელშესახები S₂ და O₃ პირების ნიშნების ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირება. მართლაც, **სვანურში ხ- ოდენობის გამოვლენა** (იქნება ის S₁-ის ხჟ- პრეფიქსის შემადგენელი სეგმენტი² თუ S₂ და O₃^{ind} პირების ალომორფი) **ფონოლოგიურადაა შეპირობებული**: იგი რეალიზდება უზმნისწინო ზმნებთან, ანლაუტში, ხმოვნის წინა პოზიციაში (# – V), თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან **ხ-** არ ჩანს (**ხ-ოსყ**³ „ვუკეთებ“, **ხჟ-არი** „ვარ“, **ხ-არი** „ხარ“, **ხ-აჟუდი** „აძლევს“... შდრ.: ტ-ჟ-იხე „ვაბრუნებ“, ტიხე „აბრუნებ“...).⁴ ზოგადად, სვანური განსხვავებულად ექცევა პირის მორფემებს, ნულს ადვილად უთანაბრდება **ხ-**, რასაც სხვა მორფემებზე ვერ ვიტყვით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში **ხდება არა ხ-ს დაკარგვა, არამედ, შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციის გათვალისწინებით, მისი არსებობა არც არის საგულებელი**.

სვანურში ასპირაციის შემდგომი „განვითარებისას“, სხვაგვარად, [ჰ] სპირანტის უფრო ღრმად წარმოთქმისას [ჰ] > [ხ], მაგ., ჰარწყ//ხარწყ, ჰასაკ//ხასაკ და სხვ. ჩანს, ერთ ენობ-

¹ ეს მოვლენა ცოცხალია აგრეთვე ლაზურის ვიწურ-არქაულ კილოკავში.

² /ჟ/ ანლაუტში სვანურისთვის არაბუნებრივია.

³ სვანურში S₁ პირის მორფემა **ხ-** ალომორფითაა წარმოდგენილი (იკარგება ჟ) /ო/ ხმოვნის წინ (ონიანი, 1978, გვ. 76).

⁴ ზმნისწინიანი ფორმების შესახებ დაწვრილებით იხ. ციხელაშვილი, 2005, გვ. 275-276.

რივ კოლექტივშიც შესაძლებელია პარალელურად **ჰ-** და **ხ-** პრეფიქსიანი ფორმების არსებობა. საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ **ხანმეტობა-ჰამეტობა სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული წარმოთქმის სხვადასხვა ნორმა** (ჟღენტი, 1965ა, გვ. 107). როგორც ჩანს, [ჰ] უფრო ღრმად გამოითქმოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (შესაბამისად, ხდებოდა მისი ჩანერა **ხ** გრაფემით. სწორედ **ხ-**პრეფიქსიან ფორმებს უნდა ჰქონოდა სალიტერატურო ენობრივი ნორმის სახეც), ხოლო სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში იგი უფრო სუსტი უნდა ყოფილიყო, ამიტომ აღინიშნებოდა **ჰ** გრაფემით (შდრ.: შანიძე, 1923, გვ. 361).

ჩვენი აზრით, **ხანმეტობის ხ- პრეფიქსი არტიკულაციურად არ უნდა ყოფილიყო იდენტური ძირეულ მორფემებში დადასტურებული /ხ/ სპირანტისა** (მაგ., ახალი, ხუთი...). ეს უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი /ხ/-ს ერთგვარი რბილი ნაირსახეობა, „საშუალო ბგერა“ /ხ/-სა და /ჰ/-ს შორის (შდრ.: როგავა, 1956, გვ. 289), დაახლოებით ისეთი, როგორიცაა **ინგილოურ დიალექტში [ჰ]-სგან მიღებული [ხ] ბგერა**, რომელიც რეალიზდება /ყ/, /ხ/ თანხმოვნების წინ: გაჰყო > გახყო, დაჰხურა > დახხურა (ჯორბენაძე, 1989, გვ. 341). ე.ი. ძველი ქართულის **ხანმეტობის პერიოდში უნდა გვქონოდა ორგვარი /ხ/:** **საკუთრივ /ხ/ სპირანტი და ე.წ. რბილი [ხ]. [ჰ]-სგან მიღებული**, რომელიც, პირველისგან განსხვავებით, დაკარგვას ექვემდებარებოდა (მეოხ ხეყავ > მეოხ ყეავ [მცხეთის ჯვრის წარწ.]]. სადაც იგი ღრმად გამოითქმოდა და ხშირი გამოყენების გამო გაქცავდა, იქცა უფრო მყარ /ხ/ სპირანტად (როგავა, 1956, გვ. 293) და არც დაკარგულა: ხარ, მოხვალ, მოხვედი, ხერთვისი, ხუცესი (შდრ. ბზ. ხეხჷ < *ჰეხჷ „ცოლი“ (თოფურია, 1967, გვ. 5)). ამგვარად, **ხანმეტ ტექსტებში, რომლებშიც გვაქვს ხ- პრეფიქსის ნულთან მონაცვლეობა, ყველგან ასეთი ე.წ. რბილი [ხ]-ს არსებობა უნდა ვივარაუდოთ და არა /ხ/ სპირანტისა.**

სვანურში პარალელური **ჰ-//ხ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობით შეიძლება ახსნა მოედებნოს ხანმეტ ტექსტებში „გაპარულ“ ჰაემეტ ფორმებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში შესაძლოა, გადამწერი ვცნოთ ჰაემეტი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლად, თუმცა, როგორც ვნახეთ, ხანმეტ ენობრივ გარემოშიც სავსებით მოსალოდნელია **ჰ-**პრეფიქსიანი ფორმების არსებობა, უბრალოდ, მათ არ ექნებოდა სალიტერატურო ენობრივი ნორმის სახე (შესაბამისად, არც ჰაემეტობისთვის უნდა იყოს მოულოდნელი **ხარ**, **ხუალ**, **ხუედ** ზმნების **ხ-** პრეფიქსით წარმოდგენა).

კემბრიჯულ ფრაგმენტსა და ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილი ჰაემეტი ფორმები, რომლებშიც **ჰ-** წარმოდგენილია წინა რიგის ხმოვნების წინ (/ე/, /ი/, /ა/), შეიძლება იმის მანიშნებელიც იყოს, რომ **ამ პოზიციაში ჰ- ნაკლებად ღრმად გამოითქმოდა** და შესაძლოა, **ჰ-//ხ-**ს დაკარგვა ამ ტიპის ხმოვნებთან დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში, მცხეთის ჯვრის წარწერა **ხ-** პრეფიქსის კლებას სწორედ /ე/ ხმოვნის წინ გამოავლენს. საინტერესოა, რომ ინგილოურში (რომელშიც ასპირაცია შემონახულია) შეინიშნება [ჰ]-ს განვითარება /ო/, /უ/ ხმოვნების წინ, ხოლო ასპირაციის მოშლის ამსახველია მისი კლება /ა/, /ე/ ხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფორმებთან: აქონდა, აკოცა, ეყურება, ექნა... შდრ.: ჰუყვარს, ჰუხარიან, ჰუმღერის...¹ (შანიძე, 1981, გვ. 265). საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ, ვფიქრობთ, ცხადი ხდება, რომ **ხანმეტ ტექსტში ჰაემეტი ფორმების არსებობა ცალსახად მის გვიანდლობას არ უნდა ნიშნავდეს** (შესაძლოა, პირიქითაც იყოს). ამის ნი-

¹ ამ ტიპის ზმნურ ფორმებში ა. შანიძე **ჰ-**ს არ მიიჩნევს O_3^{ind} პირის ნიშნად და მას ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულს უწოდებს, რადგან, „რა წამს ზმნას პრევერბი გაუჩნდება და, მაშასადამე, ანლაუტის უნი ინლაუტში მიექცევა, მაშინვე დაიკარგება ის ჰაე: დაჟნახი, დაჟზახნი, ჩამოჟგდი...“ (1981, გვ. 265-266). ს. ჟლენტიც ინგილოურის ანლაუტში განვითარებულ [ჰ]-ს ასპირაციას უკავშირებს (1965ბ, გვ. 23).

მუშად გამოდგება თუნდაც ხანმეტი მრავალთავი, ხანმეტ ხელნაწერთაგან ყველაზე გვიანდელი, რომელშიც არცერთი ჰაემეტი ფორმა არ დასტურდება.

რადგან ფონეტიკურად /ჰ/ > /ხ/ (პირუკუ ეს პროცესი მიუღებელია), **ჰაემეტობა ხანმეტობაზე წინმსწრებად უნდა მივიჩნიოთ**. მართალია, ქრონოლოგიურად ხანმეტი ძეგლები უსწრებს ჰაემეტს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უკანასკნელის არარსებობას, პირიქით, ჰაემეტობა საწინარევობამდე ენაში არსებულ უწყვეტ ენობრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. დროის გარკვეულ მონაკვეთში ის ხანმეტობასთან თანაარსებობდა, ოღონდ სხვადასხვა არეალში. ჩანს, საქართველოს იმ რეგიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო), სადაც იქმნებოდა ხანმეტი ლიტერატურა, გამოთქმიდან გამომდინარე, **ხ**-პრეფიქსიან ფორმებს უნდა ჰქონოდა ლიტერატურული ნორმის სახე; VIII საუკუნიდან პოლიტიკურ-კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადანაცვლების შემდეგ კი ეს უფლება **ჰ**-პრეფიქსიან ფორმებს უნდა მოეპოვებინა (შანიძე, 1923, გვ. 362).

იმის გათვალისწინებით, რომ ხანმეტობის [ხ] [ჰ]-სგან მიღებული ჩანს, ამასთანავე, ჰაემეტობა საწინარევობამდე უწყვეტ ენობრივ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული და შემდგომდროინდელი სალიტერატურო ქართული და ქართული ენის ყველა დიალექტის ვითარება ჰაემეტობიდან გამოიყვანება, წესით, S_2 და O_3 , ასევე, S_1 -ის **ხჟ-/ჰჟ-** ალომორფების² რეკონსტრუქცია საერთოქართველურის დონეზე უნდა მოხდეს ***ჰ**-ს სახით (თუ **ჰ**-ს ისტორიულადაც პირის გამოხატვას დავუკავშირებთ). მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია აღნიშნული ფუნქციით **ჰ**-პრეფიქსის არსებობა საერთო-

¹ ა. შანიძე „საერთო ქართულისთვის“ ამოსავლად /ჰ/-ს მიიჩნევს, რომლისგანაც „შემდეგ წარმოიშვა სხვა სახეები და მათ შორის **ხა**-ნიც“ (1923, გვ. 360).

² ეს პირები სვანურშიც მარკირებულია.

ქართველურის დონეზე? რაც მთავარია, რამდენად შესაძლებელია ამ დონეზე რეკონსტრუქცია ფონემისა, რომელიც არ დასტურდება ძირეულ მორფემებში და ამ მხრივ არ დაექვემდებარება შესატყვისები ქართველურ ენებში? რამდენად ლოგიკურია ენამ პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვოს, ფაქტობრივად, უფუნქციო ფონემა? ამ უხერხულობას გ. მაჭავარიანიც გრძნობს და საკითხს ასე სვამს: „საერთო-ქართველური /*ჰ/ ფონემა დადასტურებულია მხოლოდ ორი მორფემის შემადგენლობაში: ესენია მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსები ზმნაში. ბუნებრივად თავს იჩენს კითხვა: რამდენად რეალისტურია აღდგენა ისეთი ფონემისა, რომლის არსებობა მხოლოდ ორი გრამატიკული მორფემის შემადგენლობაში შეიძლება ვივარაუდოთ?“ (1965, გვ. 71-72). ამ უხერხულობის მიუხედავად, ავტორი მაინც უშვებს საერთოქართველურის დონეზე /*ჰ/ ფონემის არსებობას და არგუმენტად მოჰყავს ხუნძურ-ანდიური ჯგუფის ენების ვითარება. აქ /ა/ ფონემა, მართალია, არ დასტურდება ძირეულ მორფემებში, მაგრამ წარმოადგენს გრამატიკულ მორფემას – კლასის ნიშანს (მაჭავარიანი, 1965, გვ. 72).

ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე [ჰ]-ს რეკონსტრუქციას შესაძლოა ასეთი ახსნა მოექმნოს: შეიძლება ენას /ჰ/, როგორც დამოუკიდებელი ფონემა და, შესაბამისად, ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემა არ მოეპოვებოდეს, იგი არ იღებდეს მონაწილეობას ლექსიკურ თუ გრამატიკულ მორფემებში, მაგრამ ეს ბგერა ენაში არსებობდეს ფშვინვიერი შემართვის სახით. ამის ნიშნად შეიძლება დასახელდეს ძველი ბერძნული, რომელსაც /ჰ/ ფონემა და ამ ფონემის აღმნიშვნელი გრაფემა ანბანში არ მოეპოვებოდა, მაგრამ ეს ბგერა [h] ისმოდა ასპირაციის (spiritus asper) დროს და წერისას მისი აღნიშვნა ხდებოდა სპეციალური ნიშნით (¨), მაგ., Ἑρμῆς [ჰერმეს] „ჰერმესი“, ἄσπερος [ჰაგიოს] „წმინდა“ და სხვ. (ურუშაძე, 1987, გვ. 12-13).

როგორც ცნობილია, ძველი ქართულის თავისებურება ის არის, რომ წერდნენ ისე, როგორც გამოთქვამდნენ, ამიტომ **დამწერლობის შექმნის შემდეგ ასპირაციისას წარმოთქმული ბგერის ჩანერის აუცილებლობაც დადგებოდა.**¹ ხშირი გამოყენების გამო ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული [ჰ] > [ხ] დროთა განმავლობაში უნდა გააზრებულიყო პირის მორფემად და აღჭურვილიყო მორფოლოგიური ფუნქციით, ამდენად, მისი არსებობა მორფონოლოგიურად უნდა აიხსნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, **საერთოქართველურის დონეზე თუ მაინც მოხდება [*ჰ]-ს რეკონსტრუქცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დავუკავშირებთ ასპირაციისას (ფშინვიერი შემართვა-დამართვისას) წარმოთქმულ ბგერას,**² მაგრამ /ჰ/-ს, როგორც ფონემის, რეკონსტრუქციას გარკვეული დაბრკოლებები ახლავს.

ვფიქრობთ, დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს იმის დაშვება, რომ /ჰ/ ფონემის აღნიშნული მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა მეორეულია. მსგავსი რამ ენას ახასიათებს. მაგ., როგორც ცნობილია, უწყვეტლის (ასევე ხოლმეობითის) მწკრივის ნიშანი -ი ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული I-II პირების მრავლობითი რიცხვის ფორმებში, როგორც თანხმოვანთგამყარი (*ვნერდით, სწერდით*), რომელიც წერილობით ძეგლებში დაახლოებით IX საუკუნიდან მხოლობითის ფორმებშიც ვრცელდება (სარჯველაძე, 1984, გვ. 439) და, საბოლოოდ, მწკრივის ნიშნად ფორმდება. ანალოგიური ვითარება გვაქვს წყვეტილის -ი მწკრივის ნიშნის

¹ არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებასაც, რომ თავდაპირველად მისი ჩანერა **ხ** გრაფემით მომხდარიყო.

² დღეს ქართული ხმოვანთა სისტემა ხასიათდება ნელი შემართვა-დამართვით. „ქართულში ძველად უფრო გავრცელებული იყო ხმოვნის ფშინვიერი შემართვა, ვიდრე დღეს: ამას მოწმობს ხმოვნის წინ **ჰ**-ს თანდათან გადავარდნა დამწერლობაში“ (ახვლედიანი, 1938, გვ. 160). „შდრ.: ჰიყო, ჰამბავი, ჰავი, ჰაზრი, ჰასაკი და მისთ.“ (ჟღერტი, 1965ა, გვ. 112).

შემთხვევაშიც (*მოვედ > მოვედი*, შდრ.: *მოვედით*). ნარმოშობით, ასევე, თანხმოვანთგამყარი უნდა იყოს **-დ-**სუფიქსიანი ვნებითის წყვეტილის მწკრივის ნიშანი **-ი** (აქ მისი გაჩენის ფონოლოგიური გარემო ნამდვილად არსებობდა: *დავბერდით...*). ოღონდ ამ ტიპის ვნებითებში **ი-**ს მწკრივის ნიშნად გრამატიკალიზების პროცესი ძველ სამნიგნობრო ქართულში უკვე დასრულებულია, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში კი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. ვფიქრობთ, **S₂** და **O₃** პირების მარკერთა გენეზისის ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნა და ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირებაც არავითარ უხერხულობას არ უნდა იწვევდეს, მით უმეტეს, რომ ძველი ქართულის დონეზე მათი გრამატიკალიზების პროცესი დასრულებული ჩანს (თუმცა ახლავს ხარვეზები).

/ჰ/ ფონემის პოზიციის განმტკიცებისათვის ხელი უნდა შეეწყო ნასესხებ ლექსიკასაც (მაგ., ჰამბავი, ჰასაკი, ჰურია, გეჰენია და სხვ.). მართალია, /ჰ/ არ მონაწილეობს ძირეულ მორფემებში და მეორეული ჩანს ქართულის ფონემატური სისტემისთვის, მაგრამ ძველი ქართულის ლექსიკაში, ძირითადად თუ ნასესხებში, /ჰ/ ჩანს ასპირაციისთვის ბუნებრივ პოზიციაში: ჰასეთი, ჰასრე/ასრე, ჰეგრე/ეგრე,¹ ჰე/ჰჲ, ჰაერი, ჰამება, ჰამო, ჰებრაელი, ჰინდოეთი, ჰოროლი, ჰრომი, ჰრული,² ჰუნე, ჰურია, ჰურიატანი... გარდა ანლაუტისა, /ჰ/ რეალიზდება აუსლაუტშიც იმ ფორმებში, რომლებშიც ისტორიულად ფშვინვიერი დამართვა ივარაუდება: *ოჰ/ოხ, ეჰ/ეხ, ვაჰ/ვახ...* სახელურ ფორმებში /ჰ/ არ ჩანს თანხმოვნის წინა პოზიციაში, **ზმნურ ფორმებთან ამ პოზიციაში მისი არსებობა გრამატიკალიზების შედეგი უნდა იყოს და ენის უნიფიკაციისადმი მიდრეკილებით უნდა აიხსნას. მოხდა პარადიგმის „გასწორება“, რადგან სხვა პირების მარკერთა გამოვ-**

¹ ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 730-731.

² ძველ ქართულში სავარაუდოა ფშვინვიერშემართვიანი /რ/ სონანტის არსებობაც.

ლენა ფონოლოგიურად არ იყო შეპირობებული.¹ თუმცა უნიფიკაციის პროცესი უნაკლოდ არ წარმართულა. ამით უნდა აიხსნას ძველ ქართულში დარღვევები აღნიშნულ პრეფიქსთა გამოყენებაში და ის სიჭრელე, რომელიც გვაქვს O_3^d პირის მარკირების საკითხში (ვგულისხმობთ ე.წ. *ჰყოფს, ქადაგებს, შერეული* და, ამასთანავე, *დაჰბადა* ტიპის ზმნების არსებობას?); მიცემითში მდგარი პირდაპირი ობიექტი ზმნაში ხან აჩენს პირის ნიშანს, ხან – არა. ისტორიულად და შემდგომაც გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობამ გამოიწვია აღნიშნული პრეფიქსის დაკარგვა პრეფიქსიან ვნებითებში, უფროებითი ხარისხის ფორმებში, S_2 და O_3^d პირების მარკერთა ფუნქციით. სინქრონიულ დონეზე **ჰ-**, **ს-** ალომორფები, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, მხოლოდ O_3^{ind} პირის მარკერებად გამოიყენება³ და ამ შემთხვევაშიც საგრძნობია მათი გაქრობის ტენდენცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი **ი-**პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმიდან მომდინარეობის შესახებაც (შანიძე, 1926, გვ. 332-333; 1953, გვ. 354-356). **ი-**პრეფიქსიან ვნებითებში დადასტურებული **ხ-**/**ჰ-** სეგმენტი, წარმოშობით, მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნადაა მიჩნეული (გამყრელიძე, 1979, გვ. 47; იმნაიშვილი, 1982, გვ. 203; მაჭავარიანი, 2002, გვ. 86). იგი პასივში უნდა გადმოსულიყო სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნიდან კონვერსიის დროს. **ი-**პრეფიქსიან ვნებითებში ამ სეგმენტის ნულთან გათანაბრებას ხელი შეუშალა შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირდამატებიან კონსტრუქციებთან მორფოლოგიური კავშირის განყვეტამ. პასიურ კონ-

¹ თუმცა ძველ ქართულში $S1$ -ის **ვ-** პრეფიქსი არ იყო წარმოდგენილი /ო/, /უ/ და ზოგჯერ /ვ/ ფონემების წინა პოზიციაში.

² დანვრილებით იხ. შანიძე, 1981, გვ. 13-264.

³ გამოიყენება არადანიშნულებისამებრაც (*მიჰქრის, სტირი, დაჰფარა...*), რაც ისევ დისტინქციური ფუნქციის უქონლობით იხსნება.

სტრუქციებში **ბ-** აღარ გაიგებოდა როგორც O_3^d -ის ნიშანი (გამყრელიძე, 1979, გვ. 47). **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებში **ბ-//ჰ-**ს არსებობას გ. მაჭავარიანიც მორფოლოგიურად ხსნის და უკავშირებს მაქცევრებს, რომელთა არსებობა ფორმაში ყოველთვის ირიბი ობიექტის პოზიტივებას უკავშირდება. მისი აზრით, *ხიქმნა* ტიპის ზმნები ორპირიანები იყვნენ და რეფლექსურობას გამოხატავდნენ ისე, როგორც *ხექმნა* ტიპის ზმნები – რელატიურობას, მაშინ **ბ-** პრეფიქსის გამოვლენა ამ ტიპის პასივებში გამართლებულია (2002, გვ. 98-99).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: **ჰ-//ბ-** პრეფიქსის ისტორიულად ასპირაციასთან დაკავშირების საფუძველზე ჩნდება კითხვა: ენის განვითარების კონკრეტულ საფეხურზე, როცა ივარაუდება **ი-პრეფიქსიანი** ვნებითის ჩამოყალიბება, **ჰ- (> ბ-)** უკვე წარმოადგენდა თუ არა O_3^d -ის მორფემას? რომელი მოვლენა უნდა ჩაითვალოს წინმსწრებად: **ჰ- (> ბ-)** ოდენობის პირის მორფემად გააზრება, თუ პრეფიქსიანი ვნებითის ჩამოყალიბება? არსებითად, არც ამ გარემოებას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან თავად O_3^d -ის მორფემა ისტორიულად ასპირაციის ნიადაგზე გაჩენილი [ჰ] ბგერის გადაზრების, პირის ნიშნად გრამატიკალიზების შედეგია. საინტერესოა ერთი გარემოებაც: როგორც ცნობილია, აქტივთა სათავისო ქცევისა და **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ზმნები ომონიმურ ფორმებს გვაძლევენ II სერიაში (შდრ.: *შეიმოსა* მან იგი; *შეიმოსა* იგი), მაგრამ, თუ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ზმნათათვის ნორმას წარმოადგენს **ბ-//ჰ-**პრეფიქსიანი ფორმები, აქტივთა სათავისო ქცევის ზმნათათვის ნორმაა ფორმები, რომლებშიც აღნიშნული პრეფიქსი წარმოდგენილი არაა¹ (იგი მხოლოდ I სერიის ფორმებში იჩენს თავს, როცა O_3^d მიცემითშია, მაშინ

¹ გამონაკლისები აქაც გვაქვს: *მიხიყვანის* [ხანმ. ოთხთ. მ. 7: 13], *აღხიპყრა* [მრავ. 130: 11], *სათნო ჰჟყავ* [ჰაემ. 370: 1] და სხვ.

როცა ი-პრეფიქსიან ვნებითებში ყველა შემთხვევაში რეალიზდება). ამიტომ ამ ტიპის პასივებში, ჩვენი აზრით, **ხ-//ჰ-**ს არსებობას სათავისო ქცევის ფორმებით ვერ ავხსნით.¹

ამგვარად, **ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში გამოვლენილ ხ-//ჰ- პრეფიქსს ძველი ქართული ენის დონეზე არ მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია. სამივე პირის ფორმაში იგი უფუნქციო ელემენტი გამოდის** (პირობითად, **ხ-//ჰ-** შესაძლოა მივიჩნიოთ **ს₁-ის ხჟ-//ჰჟ-**² ალომორფის შემადგენელ ელემენტად). ისტორიულად ეს პრეფიქსი (**ჰ > ხ-**) ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული ჩანს. თავდაპირველად მისი არსებობა **# – V(S)** პოზიციაში უნდა ვივარაუდოთ, შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი განზოგადება ზმნისწინიან ფორმებთანაც.

¹ აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ა. ონიანიც. მისი აზრით, ვინაიდან **ი-ალომორფიანი ვნებითი საერთოქართველურ საფეხურამდე** ადის და ყველა ქართველურ ენაში უგამონაკლისოდ ერთპირიანია, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ოდესმე ორპირიანი იქნებოდა, შესაბამისად, **ხ-** და **ჰ-** არ შეიძლება არასავალდებულო **a** პირის გამოხატვის ნაშთად მივიჩნიოთ. „აღნიშნულ ფორმებში ამ პრეფიქსთათვის არ იძებნება შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქცია... /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პირველი და მესამე პირის ფორმებში /ხ-/ (>/ჰ-/), როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ისტორიულად არ არსებობდა“ (ონიანი, 1978, გვ. 164). ავტორის აზრით, პირველი სუბიექტური პირის **ხჟ-** მორფემა ამ ტიპის ზმნებთან არქაიზმის სახით შემოგვრჩა **ე-პრეფიქსიანი ვნებითის** ანალოგიით, შემდეგ მოხდა პარადიგმის გათანაბრება და ამ ელემენტმა მეორე პირშიც იჩინა თავი (ონიანი, 1978, გვ. 164–165).

² ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე **ს₁** პირის მორფემა შესაძლოა აღდგეს ***ჰჟ-//ჟ-** არქეტიპის სახით. ფშვინგიერშემართვიანი ***ჰჟ-** აღდგება შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციისთვის (**#-V**). შდრ. ძველ ბერძნულში /u/ სიტყვის დასაწყისში მუდამ ფშვინგიერშემართვიანია: **ῥῥῥ** „წყალი“, **ῥῥῥ** „ძილი“ და სხვ. (ურუშაძე, 1987, გვ. 13).

გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი, გ. (1938). ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. თბილისი: სახუნტის გამომცემლობა.
- ბერდზოლი, ჯ. (1969). Birdsall, J. A. Georgian Palimpsest in Vienna. *Oriens Christianus*, 53.
- ბერდზოლი, ჯ. (1971). Birdsall, J. Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2. *Oriens Christianus*, 55, 62-89.
- ბერდზოლი, ჯ. (1972). Birdsall, J. Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras. *Le Museon*, LXXXV, 1-2, 97-105. Louvain.
- გამყრელიძე, თ. (1979). ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას, 33-51. თბილისი: „მეცნიერება“.
- გარიტი, ჟ. (1973). მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2. თბილისი: „მეცნიერება“.
- გიპერტი, ი. (2007). *Monumenta Paleographica Medii Aevi. Series Ibero-caucasica. The Old Georgian Palimpsest. Codex Vindobenensis georgicus 2. Volume 1.* Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. Brepols.
- დანელია, კ., სარჯველაძე, ზ. (1997). ქართული პალეოგრაფია. თბილისი: „ნეკერი“.

დეეტერსი, გ. (1930). Deeters, G. *Das Kharthwelische Verbum*. Leipzig.

დონდუა, კ. (1967). Дондуа, К. Категория инклюзива в сванском и её следы в древнегрузинском. *რჩეული შრომები*, I. თბილისი: „მეცნიერება“.

თოფურია, ვ. (1967). *შრომები*, I, სვანური ენა, ზმნა. თბილისი: „მეცნიერება“.

იმნაიშვილი, ი. (1982). *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია*, ტ. I, ნაწ. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კლიმოვი, გ. (1964). Климов, Г. А. *Этимологический словарь картвельских языков*. Москва: Издательство Академии Наук СССР.

მაჭავარიანი, გ. (1965). *საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაჭავარიანი, გ. (2002). *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ონიანი, ა. (1978). *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*. თბილისი: „განათლება“.

ჟღენტი, ს. (1965ა). ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი, *ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*, 103-131. თბილისი: „განათლება“.

- ჟღენტი, ს. (1965ბ). ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა სვანურ-ში, *ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*, 18-23. თბილისი: „განათლება“.
- როგავა, გ. (1956). ხანმეტობისა და ჰამმეტობის საკითხისათვის, *ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, XV, 285-293. ქუთაისი: ინსტიტუტის გამოცემა.
- სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.
- სარჯველაძე, ზ. (1995). კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰამმეტობის ურთიერთმიმართების შესახებ, *ფილოლოგიური ძიებანი*, ეძღვნება გ. კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს, 125-131. თბილისი: „მეცნიერება“.
- სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სუხიშვილი, მ. (1986). სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXV, 52-59. თბილისი: „მეცნიერება“.
- ურუშაძე, ა. (1987). *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი: „განათლება“.
- უტიე, ბ. (1973). ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1, 173-175. თბილისი: „მეცნიერება“.
- ფენრიხი, პ., სარჯველაძე, ზ. (2000). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: სულხან-საბა ორბე-

ლიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქაჯაია, ლ. (1984). *ხანმეტი ტექსტები*, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: „მეცნიერება“.

ქაჯაია, ლ. (2006). ნმ. ქრისტინას ნამების ხანმეტი ტექსტი, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 3, 35-59. ქუთაისი: ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1923). ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, III, 358-362. თბილისი: სსმუ საბჭოს პირველი სტამბა.

შანიძე, ა. (1925). უმლაუტი სვანურში, *არილი*, 171-231. თბილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

შანიძე, ა. (1926). ქართული ზმნის საქცევი, *ტსუ მოამბე*, VI, 312-338. თბილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

შანიძე, ა. (1927). ხანმეტი მრავალთავი, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, 7, 98-159. თბილისი: სსმუს პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

შანიძე, ა. (1937). ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, II, 29-42. თბილისი: მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

- შანიძე, ა. (1944). ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, *ძველი ქართული ენის ძეგლები*, I, 07-064. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1953). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1977). იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 20, 7-36. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1981). *თხზულებანი თორმეტ ტომად*, II, *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჩიქობავა, არნ. (1946). მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, I, 91-130. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ციხელაშვილი, ლ. (2005). მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, *საენათმეცნიერო ძიებანი*, XIX, 253-297. თბილისი: „ქართული ენა“.
- ჯავახიშვილი, ი. (1996). *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჯორბენაძე, ბ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია*, I. თბილისი: „მეცნიერება“.

შემოკლებათა განმარტება

- ეზ. (1972). Birdsall, J. Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras. *Le Museon*, LXXXV, 1-2, 97-105. Louvain.
- იაკ. (1977). შანიძე, ა., იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 20, 7-36. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კემბ. (1937). შანიძე, ა., ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, II₁, 29-42. თბილისი: მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.
- კვპრ. (2007). „კვპრიანეს წამება“. *Monumenta Paleographica Medii Aevi*. Series Ibero-caucasic. The Old Georgian Palimpsest. Codex Vindobensis georgicus 2. Volume 1. Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. Brepols.
- ლექც. (1944). ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, *ძველი ქართული ენის ძეგლები*, I, 07-064. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- მრავ. (1927). შანიძე, ა., ხანმეტი მრავალთავი, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, VII, 98-159. თბილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

- ოქსფ. (1996). წინასწარმეტყველება იერემიასი (ოქსფორდის პალიმფსესტი), ჯავახიშვილი, ი., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX, 304-305. თბილისი: „მეცნიერება“.
- უძვ. (1996). ჯავახიშვილი, ი., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX, 263-301. თბილისი: „მეცნიერება“.
- ქრისტ.¹ (2006). ქაჯაია, ლ., წმ. ქრისტიანს წამების ხანმეტი ტექსტი, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 3, 35-59. ქუთაისი: ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ქრისტ.² (2007). „წმიდა ქრისტიანს წამება“. *Monumenta Paleographica Medii Aevi. Series Ibero-caucasica. The Old Georgian Palimpsest. Codex Vindobensis georgicus 2. Volume 1.* Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. Brepols.
- ხანმ. ოთხთ. (1984). *ხანმეტი ტექსტები*, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჰაემ. (1923). შანიძე, ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, III, 358-362. თბილისი: სსმუ საბჭოს პირველი სტამბა.

One Peculiarity of Passive Voice Verbs with i-Prefix in Ancient Georgian

Summary

In Khanmeti written texts, the norm is the presence of the **x-** prefix in the forms of all three persons of the Passive Voice with **i-** prefix (accordingly, in Haemeti will be represented **h-**): *xuikmen*, *xikmen*, *xikmna*. The work aims to determine the **x-//h-** prefix function in the forms of this type (in the forms of the Passive Voice with **e-** prefix **x-//h-** is the marker of O₃^{ind}).

Analysis of the ancient Khanmeti and Haemeti written texts revealed that in the Passive Voice verbs with **i-** prefix, alternation of **x-** with zero would begin in the verbs of the I-III persons. This process was more active in the I Subjective Person. In the result of losing the prefix **x-//h-** and simplifying of the **xû-//hû-** complex we got only the forms with **v-** prefix, that is evidenced in the “Martyrdom of Saint Christina”, Khanmeti Four Gospels, Khanmeti Codex and Haemeti Lectionary (*viqav* [Christ. 50: 23-24], *viqvenit* [Matt. 23: 30], *vikceodi* [Codex. 130: 22], *movivline* [Haem.382: 15]; Comp.: *xuiqav* [Christ. 6-69: 2(2)], *moxuivline* [Lk.4: 43]), for the last two texts from here, this is the only norm. As it seems, the prefix **v-**forms would be characteristic of the colloquial speech of that period. In my opinion, we should consider the circumstance of the I Subjective Person as one of the main linguistic criteria for dating of Khanmeti and Haemeti texts. Quantitative abundance of the **v-**prefix forms (in comparison with **xû-//hû-** formation), and the existence of only this type of forms, should indicate that the text of the study belongs to a later date.

A morphological factor would prevent the loss of the mentioned prefix in forms of the II Subjective Person: as it seems, **x-//h-** has been considered as a morpheme of the S₂.

In forms of the III Person, this process is not carried out till the end. Together with the **x-//h-** forms, the forms without prefix evidence in the ancient texts, read by I. Javakhishvili, Khanmeti Four Gospels, Khanmeti Codex and Haemeti Lectionary (*iqos* [Anc. 346: 3], *ayivsnes* [Lk. 6: 11], *šeiçirvis* [Codex. 125: 2], *ikmnebian* [Haem. 368: 2-3]; comp.: *xigo* [Anc. 302: 5], *daxiryues* [Lk. 21: 6], *hikmna* [Haem. 367: 7]). The process of simplifying was finished in the Sannarevi texts.

Also attracting attention is the fact of the presence of forms with the prefix **h-** in Khanmeti texts (*dahidva* [Camb. 36: 6], *ganhirquna* [Camb. 36: 9-10], *šhizrnen* [Khanm. Lect. 063: 23], *higos* [Khanm Lect. 064: 6]), that unambiguously would not indicate their later date; it may be even vice versa. The presence of “slipped in” Haemeti forms in this case can be explained by the influence of the linguistic environment of the copier.

In the scientific literature, the function of the **x-//h-** prefix in this type of passive is explained mainly in a morphological way. In my opinion, **in the forms of Passive Voice with i- prefix as well, as in all cases of its use, the presence of the x-//h- prefix can be explained not on the morphological, but on the phonetic basis and can be connected historically with aspiration – vowels’ (/sonants’) aspirate excursion, characteristic of the Common Kartvelian language.** Giving morphological function to the **x-//h-** prefix and its grammaticalization as markers of the S₂ and O₃ Persons is a secondary phenomenon.

Aspirate excursion-recursion from Kartvelian languages would be first eliminated in the Mingrelian-Laz language, then in Georgian, but in the Svan language (Balszemouri and Balskvemouri), this phonetic event is still current. After posing the question in this way, in my opinion, the absence of markers of S₂ and O₃ Persons in Mingrelian and Laz languages will be quite comprehensible.

In Svan reveal of **x**-quantity (will it be a constituent segment of the **xû**- prefix of S₁ or an allomorph of S₂ and O₃^{ind} Persons) is conditioned phonologically. It is mainly realized in verbs without preverbs, in the position before a vowel (#-V), **x**- is not seen with stems with initial consonant (**x**-*osqi* “I’m doing for him”, *fixe* “you are turning it”...). In general, Svan acts differently with Personal morphemes, **x**- easily equals zero, which we cannot say about other morphemes. We can think that in this case, **x**- is not lost, but taking into account the corresponding phonological position, its presence would not be even expected. In Svan, based on deeper pronunciation of /**h**/ spirant, /**h**/ > /**x**/, e.g., *haraq* // *xaraq*, *hasak* // *xasak*, etc. It seems that the parallel existence of the **x**- and **h**-prefix forms in one linguistic group is also possible. After posing the question in this way, it must be clear that **Khanmeti-Haemeti forms are nothing more than different norms of literary pronunciation.**

In my opinion, in the Khanmeti period, we should have two types of /**x**/: the /**x**/ spirant itself and the so-called soft [**x**], derived from [**h**], which, unlike the first one, was subject to loss (*meox xeqav* > *meox eqav* [inscription of the Mtskheta Jvari]), approximately like the Ingilo dialect [**x**] sound of the same origin: *gahgo* > *gaxgo*, *dahxura* > *daxxura*. As phonetically /**h**/ > /**x**/ (conversely, this process is unacceptable), **we have to consider that the Haemeti period precedes the Khanmeti one.** In a certain period of time, it co-existed with Khanmeti forms (in different areas), and before the “Sannarevi” period, it was an uninterrupted linguistic event existing in the language.

It is difficult to reconstruct the /***h**/ phoneme at the Common Kartvelian level, as it is not evidenced in the roots and is realized only in two grammatical morphemes (S₂ and O₃). In my opinion, at the Common Kartvelian level, the postulation of [***h**] is possible only in the case of its connection with aspiration. In the main and

borrowed vocabulary of the Ancient Georgian language /**h**/ is evidenced in a natural position for aspiration (*haseti, he/hei, haeri, hromi...*). In nominal forms /**h**/ is not seen before a consonant, **its presence in such a kind of position with verb forms should be secondary, and after taking morphological function, should be explained by the tendency towards language unification and “correction” of the paradigm.**

Why Is There a Tendency to Lose the Marker of the Third Indirect Objective Person in Modern Georgian?

(Grammaticalization of the Sound developed for Phonetical Reasons into a Person Marker)

*The present paper primarily explores the marking of the O_3^{ind} person in the Modern Georgian literary language. It is known that Georgian is a polypersonal language, where all three persons are marked, both subjective and objective. At the synchronic level of the language, according to the norms of the Modern Georgian literary language, only the S_2 and O_3^d persons occur without markers, while the O_3^{ind} person is marked. Despite these regularities, these rules are often broken: forms with markers for S_2 and O_3^d , as well as forms lacking markers for O_3^{ind} , are used in the language. Additionally, the prefixes **h-** and **s-** sometimes appear where the verb does not take the persons mentioned above. Interestingly, the omission or unnecessary use of these prefixes does not obscure the meaning.*

*In the article, I have tried to explain the reason for the lack of systematization of the use of the prefixes **h-**, **s-**, and the absence of their strict distribution based on synchronic and diachronic analysis of the Georgian literary language, also taking into account the evidence of the unwritten Kartvelian languages and dialects. Based on consecutive analysis, the different behaviour of these prefixes, as compared with other markers, is explained by their different origin, not on the morphological, but on the phonetic level.*

Introduction. Synchronic Analysis

Georgian is a polypersonal language, in which all three persons are marked. According to the norms of the Modern literary Georgian language, only persons S_2 and O_3^d occur without any markers (as an exception, the marker **x-** of the S_2 person occurs with three root

morphemes: *x-ar* ‘you are’, *ça-x-val* ‘you will go’, *mo-x-ved-i* ‘you came’), according to the same norms, O_3^{ind} is a marked member of the opposition, which is expressed in the form of phonologically determined allomorphs **h-** or **s-**. To denote the same person, we have a zero allomorph before vowels, sonants and spirants (r, l, m, n, v, z, s, ž, š, γ, x; e.g., *emaleba* ‘(s)he is hiding from smb’...). Thus, direct and indirect objects, which are expressed by the same markers in the I and II persons, have a different form in the III person.

Despite the established regularity, these rules are often violated: the forms with markers of S_2 (*s-čanxar*//*čanxar* ‘you seem’; *h-gminav*//*gminav* ‘you groan’...) and O_3^{d} (*mo-h-klā*//*moḱlā* ‘(s)he killed’; *še-s-žlo*//*šezlo* ‘(s)he was able to’...), as well as forms without markers of O_3^{ind} (*kitxa*//*h-ḱitxa* ‘(s)he asked’, *txova*//*s-txova* ‘(s)he requested’...) are used in the language. Therefore, the question of marking the second subjective and the third objective persons remains problematic to the present day, which has been repeatedly noted in the linguistic literature. The prefixes **h-** and **s-** sometimes occur where the verb does not take the above-mentioned persons at all (*s-čans* ‘(s)he, it seems’; *mi-h-kris* ‘(s)he, it is rushing’...).

As we see, the prefixes **h-** and **s-**, unlike other personal markers, do not have **strict distribution**. What is most important is that omitting them or using them redundantly **does not lead to obscuring the meaning**. Such a lack of systematization in the use of these allomorphs indicates that, on the synchronic level of development of the Georgian language, they do not have a strictly defined morphological function, and these elements are used to a greater extent for emotive-expressive function. In due course, G. Akhvylediani was quite right to note: “**h-** in literary Georgian is used rarely and when it is used – with the emotive function, rather than morphological” (1999, p. 109).

Free alternation of allomorphs of the O_3^{ind} person with zero casts doubt on the necessity of marking this person. Therefore, on the synchronic level (not taking into account the requirements of the norms), conventionally, this person too may be regarded as an unmarked member of the opposition according to its order. **Synchronic analysis differentiates functionally, on the one hand, h-, s- prefixes, and on the other hand, markers of other persons, the misuse of which is ruled out.** The question arises: **Can the different behavior of h-, s- prefixes be explained by their different origin?**

Diachronic Analysis

Discussing this problem, in my view, the situation of the Old and Middle Georgian literary language should also be taken into consideration.

Old literary Georgian (the 5th - 11th centuries) linguistically covered the so-called *khanmeti* (with the prefix **x-**), *haemeti* (with the prefix **h-**) and *sannarevi* (with the allomorphs **h-**, **s-**, **0**) sub-periods. During the *khanmeti* (the 5th-7th centuries) and *haemeti* (the 7th - 8th centuries) sub-periods, along with marking S_2 and O_3 persons, the prefix **x-/h** was also used with several other functions, namely: a) with forms of all the three persons of the passive voice with prefix **i-** (**x/h-uiqav** ‘I was’, **x/h-iqav** ‘you were’, **x/h-igo** ‘(s)he, it was’) and b) with forms of the superlative degree of adjectives and adverbs (**x/h-udidesi** ‘bigger/the biggest’, **x/h-umetes** ‘more/the most’...).

Although Old Georgian leaves an impression of a strictly normed language and the norms of use of morphemes of S_2 and O_3 persons in *khanmeti* and *haemeti* texts are mostly observed, violations also occur. This is especially so in case of marking of the O_3 person (e.g., the personal marker of the O_3^{ind} person may not be present in the verb: *učuene* [Matt. 8: 4] ‘you showed him/her smth.’; *šeqire* [Matt. 8: 4] ‘you donated him/her smth’...). From the

Sannarevi sub-period (from the 9th century), the prefix **h-** is lost in the position before vowels; hence, it is no longer found in the forms of the passive voice and the superlative degree, whereas the number of cases of violation of the use with the function of a personal marker considerably increases.

In Middle Georgian (the 12th-18th centuries), the unsystematic use of these prefixes becomes more widespread: the prefix is absent when it is expectable according to the norms of Old Georgian, or is used redundantly where there is no morphological foundation for its appearance. Georgian writers of the 19th c. also use the prefixes **h-**, **s-** unsystematically – they mostly follow the norms established by Anton Catholicos (the 18th century). In A. Shanidze's view, Anton Catholicos used the above-mentioned prefixes not with the morphological function, but as a certain decoration to intensify the acoustic impression in a verb form (1981a, p. 221).

Thus, the violations in the use of the prefixes of our present interest indicate that the prefixes **x-/h-/s-** **do not find a clearly defined morphological function either on the synchronic or on the diachronic level, which gives us grounds to pose the issue of their genesis differently** and perhaps to regard them to have been developed historically not on the morphological but on the phonetic basis. What are the additional arguments for such an assumption?

Additional Arguments

Historically, the morphemes of the S₂ ღჳ O₃ persons are identical as to their form. The question arises: **What should have caused similar marking of the persons different according to order and kind?** Is it possible to find something in common between them? I think it is not possible. According to the function, the S₂ ღჳ O₃ persons are differentiated strictly at present and historically. This must have been so in Common Kartvelian too

(Tsikhelashvili, 2005, p. 254). Similar marking of totally different persons can be explained only **if we associate their markers to a single function historically too** (which, as was demonstrated, could not have been morphological) and if we regard them to **have emerged on a single, namely – phonetic basis**.

Explanation is required for the presence of the prefix **x-/h-** in Old Georgian *khanmeti* and *haemeti* texts in the forms of all three subjective persons of the passive voice with the prefix **i-**:

I. **x/h-*uiqav*** ‘I was’

II. **x/h-*iqav*** ‘you were’

III. **x/h-*igo*** ‘(s)he, it was’

In Georgian linguistic literature, this question is explained morphologically. According to one viewpoint, historically, the forms of the passive voice with the prefix **i-** should have been derived from the forms of the active subjective version (Shanidze, 1981c). The prefix **x-/h-** found its way from the active into the passive through conversion, and in its origin, it represented the marker of the O₃^d person (Gamqrelidze, 1979, p. 47). According to another viewpoint, **x-/h-** in the form of the second person should be qualified as the morpheme of the S₂ person, in the first person **xû-/hû-** as a whole should be interpreted as an allomorph of S₁, whereas in the form of the third person, as its appearance has no morphological foundation, the presence of the prefix **x-/h-** should be explained by analogy, by leveling of the paradigm (Oniani, 1978, pp. 115, 162, 165).

In my opinion, regarding the prefix **x-/h-** to be the morpheme of the second subjective person is accompanied by the main obstacle: if it is regarded as the marker of this particular person, how justified would it be morphologically or even logically its appearance in the forms of all three subjective persons? **In case of opposition, according to which person it is, a particular morpheme can be the marker of only one member (person).**

As for the prefix **xû-/hû-**, in my view, **the morphological function of expressing the first subjective person is related to the second component of the prefix xû-, x-** in this case seems to be in the role of a segment without any function, as is in the forms of II-III persons of the passive voice with the prefix **i-**.

I think, **x-/h-** in the forms of the passive voice with the prefix **i-** has no morphological function; it should be an element without a function not only on the synchronic level of Old Georgian, but diachronically as well. Bearing in mind that this element appears in the forms of all three persons, it is better to explain the appearance of the **x-/h-** segment identically in all cases, however, not on the morphological, but on the phonetic basis (Tsikhelashvili, 2015, pp. 66-67). In my view, the same explanation can be offered for the appearance of the **x-/h-** segment in the forms of the superlative degree.

In the Georgian linguistic literature, the question has been posed for a long time that in the forms of *ayxûmarte* ‘I erected smth. for him/her’ type in Old Georgian the principle of *prefixal monoperpersonalism*, typical of the Georgian verb, is violated (Gamqrelidze, 1979, p. 48), which implies that it is not natural for Georgia to represent in the verb structure to represent the prefixal morphemes of two persons together (*ay-x-û-marte*: **x-** O₃^{ind}, **û-** S₁). A logical continuation of the forms of *ayxumarte* type, recorded in *khanmeti-haemeti* texts, are the forms of *še-v-s-çire* ‘I devoted him/her smth.’; *mo-v-h-gvare* ‘I brought him/her smth.’ type, found in Modern Georgian.

I share the viewpoint that in this case **xû-** represents the morpheme of the S₁ person, and its reinterpretation as the combination of the prefix **x-** of the O₃^{ind} person and prefix **û-** of the S₁ person is secondary (Oniani, 1978, p. 162; Gamqrelidze, 1979, p. 49). However, I think that if historically **xû-** was a single, monolithic morpheme, its disintegration and reinterpretation could not have been

possible. In my view, **the morphological function of expressing the S₁ person is related to the second component of the prefix *xû-***. In this case, [x] is in the role of a segment without a function, as is in the forms of the passive voice with the *i-* prefix. Thus, in the forms of *ayxumarte* type, too the existence of **the element [x] should be explained again on the phonetic basis**. As the expression of the S₁ person was not linked to the first component of the prefix *xû-*, it was easy for the language to adjust to the simplification of this item: *xû-* > *v-* (*ayxûmarte* > *ayvmarte*, *mixûec* > *miveci* 'I gave him/her smth.'...).

Bearing in mind that phonetically /h/ > /x/ (the reverse process is inadmissible), ***haemetoba* should be regarded as having preceded *khanmetoba*** (although, according to documentary evidence, exactly *khanmeti* texts are recorded earlier). Proceeding from the above, the reconstruction of markers of the S₂ and O₃ persons, as well as *xû-/hû-* allomorphs of S₁, should be implemented on the Common Kartvelian level in the form of ***h-** (if we relate *h-* with the expression of a person historically too). However, the question arises: **How can we reconstruct on this level the phoneme that is not recorded in root morphemes and therefore finds no correspondences in the Kartvelian languages? How logical is it for the language to assign the morphological function of expressing a person to a phoneme, which is, in fact, without a function?** (Despite this obstacle, G. Machavariani nevertheless assumes the existence of **/*h/** phoneme on the Common Kartvelian level (1965, p. 72)). In Th. Gamqrelidze's view, /h/ phoneme for the Georgian phonemic system proper is secondary, which was established at a later period (for the author /h/ phoneme is a result of a certain positional transformation the spirant /x/), therefore, in the period of creation of the alphabet it was presumably denoted by the grapheme *Episemon*, having only the numeric value (1990, pp. 152, 128). I think this circumstance too calls into question the possibility

of relating historically the morphological function of expressing a person with ***h**-.

Interestingly, /h/, as an independent phoneme, may not be found in the language; it may not participate in lexical and grammatical morphemes, but this sound may be pronounced in the language based on aspiration. An example is the Old Greek language, which did not have in the alphabet the phoneme /h/ and the grapheme denoting this phoneme, but the sound [h] was heard based on aspiration and in writing it was denoted by a special sign (‘), e.g., Ἑρμῆς ‘Hermes’; ἅγιος ‘holy’ etc. (Urushadze, 1987, p. 12).

Hence, in my view, **in pre-written Georgian or even in Common Kartvelian, the existence of [h] can be assumed not in the form of a phoneme, but as a sound pronounced based on aspiration.** As is known, a peculiarity of Old Georgian is that sounds were written as they were pronounced; therefore, **after the creation of the alphabet, it would also have become necessary to record the sound articulated during aspiration.** I do not rule out the circumstance either that initially it was written down as the grapheme *x* (perhaps, that is exactly why the oldest monuments – have come down to us – are the so-called *khanmeti*, rather than *haemeti*).

Based on analysis of all *khanmeti* and *haemeti* texts, which have come down to us, it is possible to assume that the prefix **h-** (> *x-*) **might have been developed historically on the phonetic basis and its emergence might have been linked with aspiration of vowels (/sonants), which was characteristic of Common-Kartvelian. Grammaticalization of this element must have been a secondary phenomenon** (similar facts are attested in the language). In Old Georgian the prefix – re-interpreted as the personal morpheme – was generalized to be used before consonants as well (the possibility to discuss the consonant aspiration is not ruled out either. In this case **h** is no longer interpreted as an independent phoneme),

thereby “correcting” the paradigm, which is explained by the tendency of the language towards uniforming.

“The historical evidence of the Kartvelian languages confirms that aspiration was one of the characteristic features of the phonetic style of Kartvelian languages. This is indicated, on the one hand, by the evidence of Old Georgian and, on the other hand, evidence of the living dialects of the Kartvelian languages” (Zhghenti, 1965, p. 112). “It was characteristic to a greater extent of Old Georgian than the so-called *haemeti* period” (Akhvlediani, 1999, p. 109).

Situation in the Kartvelian Languages

It is known that of the Kartvelian languages, aspiration must have fallen into disuse first in Megrelian-Laz (this phenomenon has survived partially in the Laz dialects: Vitsean-Arkabeian and Atinan: *hea* ‘(s)he’, *ham* ‘this’, *hek* ‘there’, *hak* ‘here’...) and Georgian, whereas in Svan (Upper Bal and Lower Bal dialects) it is a phonetic phenomenon functioning to the present (Zhghenti, 1965, p. 112). Weakening and disappearance of aspiration under the influence of Zan and Georgian is noticeable to a greater extent in Lower Svan. **After posing the question in this way, the absence of markers of S₂ and O₃ persons in Megrelian-Laz becomes quite clear.**

If the question is posed correctly, exactly in Svan should be possible to link markers of S₂ and O₃ persons historically with aspiration. Indeed, emergence of the item **x-** in Svan (whether a constituent segment of the prefix **xû-** of S₁ or the allomorph of persons S₂ and O₃^{ind}) **is determined phonologically:** it is realized with verbs without a preverb, in anlaut, in the position preceding a vowel (#-V), **x-** does not appear with stems beginning with a consonant (*xû-ari* ‘I am’; *x-ari* ‘you are’; *x-ahudi* ‘(s)he is giving him/her smth.’... cf. *t-û-ixe* ‘I make him/her turn’; *tixe* ‘you make him/her turn’...). In general, personal morphemes in Svan are treated differently; **x-** is easily alternated with zero, which is not the case

with other morphemes. It can be assumed that **in this case, we are dealing not with the loss of x-, but taking into account the relevant phonological position, its existence is not implied at all.**

In Svan, there is a group of nouns that have found their way from Georgian. With these nouns in Georgian aspiration is not found, whereas in Svan they are represented by the element [h], developed based on aspiration, e.g.:

Georgian

araqi

abžari

aveži

Svan

Upper Bal. *harăq* ‘brandy’

Upper Bal, Lower Bal.
habžär ‘armour’

Upper Bal. *havež* ‘furniture’
etc.

In Svan, after more development of aspiration of vowels [h] > [x], e.g., *harăq* > *xaraq*, *hasak* > *xasak* ‘age’ etc.

Modern literary Georgian is no longer characterized by aspiration of vowels. As an exception, aspiration occurs in anlaut or auslaut in some particles and interjections (ho/xo, oh/ox, uh/ux, eh/ex, vah/vax...), as well as in borrowed words (*hacri* ‘air’; *himni* ‘anthem’; *homerosi*...) (Akhvlediani, 1999, p. 109).

Situation in the Dialects of the Georgian language

Of the dialects of the Georgian language, in Ingilo the development of the sound [h] in anlaut is observable before the vowels /o/, /u/: *ħugvars* ‘(s)he loves him/her/it’; *ħuxarian* ‘(s)he is glad’; *ħumyeris* ‘(s)he is singing him/her smth.’; *ħutkom* ‘(s)he has said’... In A. Shanidze’s view, in these forms [h] is not the personal marker, but an element developed on the phonetic basis (1981b, p. 266). I think this viewpoint should be taken into account when we are discussing marking of the person O₃^{ind.} in Georgian.

Results

As we see, both synchronic and diachronic analysis of literary Georgian, as well as the state of the unwritten Kartvelian languages and dialects, call in question the possibility of regarding the allomorphs **h-**, **s-** of the O₃^{ind.} person, which earlier had wider distribution, had historically emerged on the morphological basis.

In my view, the norms of the Old Georgian literary language and Modern Georgian literary language aimed to carry out systematization-grammaticalization of the unsystematic use of the element [h], developed on the phonetic basis (/aspiration), and its phonetic variants and thereby to work out a certain regularity in this regard. But it is known that it is impossible to impose rules on a language artificially, using norms, and to alter the regular process of its development. The violations in the use of the markers of the S₂ and O₃ persons indicate exactly the fact that the **grammaticalization of the element, developed on the phonetic basis, failed to be carried out finally, for the language this element has remained without a function and redundant morphologically.**

Discussing the marking of the O₃^{ind.} person, observation on the tendency of the development of the language in this regard is noteworthy. As noted above, the prefix **x-/h-** in the Old Georgian literary language had a wider distribution. First, it fell into disuse in the forms of the passive voice with the prefix and the superlative degree (on the phonetic basis), then, according to the norms, with the function of expression of the S₂ and O₃^{d.} persons (here, one more factor is also at work – absence of the morphological function). Thus, **the tendency of the development of the language in this regard is obvious: the prefix h- and its variants are characterized by the tendency of disappearance.** The only function the prefixes **h-**, **s-** “have retained so far”, according to the *Norms of the Modern Georgian literary language*, is the expression of the O₃^{ind.} person, and this function is not stable either. According to this function too, these

prefixes manifest the tendency of disappearance, as at present they are in fact used mostly with the expressive function, for stylization. Proceeding from the above, soon, the necessity of the revision of the existing norm may become topical.

Conclusions

Thus, based on the consecutive analysis, it becomes possible to identify for the poly-functional prefix **h-** (> **x-**) on the Common Kartvelian level the initial (invariant) meaning, which unites all cases of its appearance. The element under study – [h] – should be developed on the phonetic basis and should be related to the aspiration of vowels (/sonants). Its systematization-grammaticalization is secondary, which failed to be implemented ultimately. For the Georgian language, this element remained without any function and redundant from the morphological point of view. According to the *Norms of the Modern Georgian literary language*, today the allomorphs **h-**, **s-** are used with the only function – to denote the O₃^{ind.} person and with this function too, the prefixes manifest the tendency of disappearance.

References

- Akhvlediani, G. (1999). *zogadi poneṭikis sapuṣvlebi* [Principles of General Phonetics]. Tbilisi: Tbilisi Pedagogical University Press.
- Gamqrelidze, T. (1979). zmnis „pirianoba” da „valenṭoba” [On verbal “Personality” and “Valency”], *saenatmecniero ḳrebuli* [Linguistic Collection], 33-51. Tbilisi: “Metsniereba”.

- Gamqrelidze, T. (1990). *çeris anbanuri sistema da zveli qartuli damçerloba* [*Alphabetic Writing and Old Georgian Script*]. Tbilisi: Tbilisi State University Press.
- Machavariani, G. (1965). *saerto-qartveluri konsonanuri sistema* [*Common Kartvelian Consonantal System*]. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Oniani, A. (1978). *kartvelur enata istoriuli morfologiis saqitxebi* [*Issues of Historical Morphology of Kartvelian Languages*]. Tbilisi: “Ganatileba”.
- Zhghenti, S. (1965). *kartvelur enata ponefikis saqitxebi* [*Issues of Phonetics of Kartvelian Languages*]. Tbilisi: “Ganatileba”.
- Urushadze, A. (1987). *zveli berznuli ena* [*The Old Greek Language*]. Tbilisi: “Ganatileba”.
- Shanidze, A. (1981a). subiekturi prepiksi meore pirisa da obiekturi prepiksi mesame pirisa kartul zmnebsi [Subjective Prefix of the Second Person and Objective Prefix of the Third Person in Georgian Verbs], *txzulebani tormet tomad* [*Works in Twelve Volumes*], II, 113-261. Tbilisi: “Metsniereba”.
- Shanidze, A. (1981b). naštebi mesame piri obiekturi prepiksis xmarebisa xmovnebis çin kartul zmnebsi [Remains of Use of Objective Prefix of the Third Person before Vowels in Georgian Verbs], *txzulebani tormet tomad* [*Works in Twelve Volumes*], II, 265-279. Tbilisi: “Metsniereba”.

- Shanidze, A. (1981c). kartuli zmnis sakcevi [Marker of Version of the Georgian Verb], *txzulebani tormet tomad* [Works in Twelve Volumes], II, 375-401. Tbilisi: "Metsniereba".
- Tsikhelashvili, L. (2005). meore subiekturi da mesame obiekturi pirebis morpemata genezisisatvis [Towards the Genesis of the Morpheme for the Second Subjective and Third Objective Persons], *saenatmecniero ziebani* [Linguistic Papers], XIX, 253-297. Tbilisi: "Kartuli Ena".
- Tsikhelashvili, L. (2015). i-prepiksiani vnebiti gvaris zmnata erti tavisebureba zvel kartulši [One Peculiarity of Passive Voice Verbs with i- Prefix in Old Georgian], *ivane ჯავახიშვილის saxelobის თბილისის saxelmწიპო universიტეტის humanიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კართლის ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული კართველური ენათმეცნიერება* [Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Georgian Language, Collected Scientific Works], III, 40-84. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Matt. – Gospel According to Matthew. Kajaia, L. (1984). *xanmeti tekstebi* [Khanmeti Texts], Section I. Prepared for publication, furnished with a study and symphony by L. Kajaia. Tbilisi: "Metsniereba".

ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი -ენ სუფიქსის ადგილისათვის ზმნურ ფორმაში ძველ ქართულში

*სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველ ქართულში წყვეტილის I-II პირებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი -ენ სუფიქსის დართვა იწვევს მის წინ არსებული მწკრივის ნიშნის დაკარგვას: *შევკრიბ-ე-ენ > შევკრიბ-ენ. ნაშრომში ეს მოსაზრება უარყოფილია და ნაჩვენებია, რომ უნიშნო წყვეტილის ყალიბის გამოყენების მიზეზს II კავშირებითთან მოსალოდნელი ფორმოპრივი დამთხვევის თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს.*

ძველ ქართულში მოქმედებს მტკიცე წესი: სახელობითში მდგარი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, თუ ეს უკანასკნელი **-6**-სუფიქსიან მრავლობითშია, II სერიაში ზმნაში ყოველთვის გამოიხატება **-ენ/-6** სუფიქსით (მოვკლ**ენ** მე იგინი, მოვკლ**ენ**(ი)თ ჩუენ იგინი, მოკლ**ნა** მან იგინი, მოკლ**ნეს** მათ იგინი). აღნიშნული სუფიქსი დაერთვის იმ ზმნებსაც, რომელთაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში ფუძე ენაცვლებათ, ე.ი. რიცხვში მონაცვლე ზმნებს (ალვილე – ალვიზ**უენ**(ი)თ, დადვა – დასხ**ნა**, წარილო – წარიზ**უნა**, განაძეს – განასხ**ნეს**...).

-ენ/-6 სუფიქსი II კავშირებითსა და II ხოლმეობითში უშუალოდ მოსდევს ზმნის ძირეულ მორფემას და იკავებს მწკრივის ნიშნის წინა პოზიციას:¹

¹ შერეულ კავშირებითში **-ენ/-6** სუფიქსი უშუალოდ მოსდევს ძირეულ მორფემას, ოღონდ მასა და მწკრივის ნიშანს შორის თავსდება I სერიიდან აღებული **-ოდ** სავრცობი: მოვიც**სენ**ნოდი, მოიც**სენ**ნოდი,

II კავშირებითი

მო-ვ-კლ-ნ-ე
მო-ჰ-კლ-ნ-ე
მო-კლ-ნ-ე-ს
მო-ვ-კლ-ნ-ე-თ
მო-ჰ-კლ-ნ-ე-თ
მო-კლ-ნ-ე-ნ

II ხოლმეობითი

მო-ვ-კლ-ნ-ი
მო-ჰ-კლ-ნ-ი
მო-კლ-ნ-ი-ს
მო-ვ-კლ-ნ-ი-თ
მო-ჰ-კლ-ნ-ი-თ
მო-კლ-ნ-ი-ან

მწკრივის ნიშნის დართვის გამო -**ენ** > -**ნ**.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნები წყვეტილს ორგვარად აწარმოებენ: -**ე** მწკრივის ნიშნითა და უნიშნოდ.¹ უნიშნო წყვეტილის შემთხვევაში -**ნ**-სუფიქსიანი ობიექტის მრავლობითობა I-II პირებში გამოიხატება -**ენ** სუფიქსით, ვინაიდან მის შემდეგ მწკრივის ნიშნის რანგში იგულისხმება ∅:

უნიშნო წყვეტილი

მო-ვ-კლ-ენ	მო-ვ-კლ-ენ-(ი)-თ
მო-ჰ-კლ-ენ	მო-ჰ-კლ-ენ-(ი)-თ
მო-კლ-ნ-ა ²	მო-კლ-ნ-ეს

ანალოგიური ვითარებაა წყვეტილზე დამყარებულ II ბრძანებითშიც: მო-კლ-ენ, მო-კლ-ენ-ი-ნ, მო-კლ-ენ-(ი)-თ, მო-კლ-ნ-ედ.³

საინტერესოა, რომ სავსებით იდენტური ყალიბი გვაქვს მწკრივისნიშნის წყვეტილის შემთხვევაშიც. თუ ობიექტი -**ნ**-

მოიქცეწნოდის, მოვიქცეწნოდით, მოიქცეწნოდით, მოიქცეწნოდინან. ანალოგიური ვითარება ივარაუდება შერეული ხოლმეობითისთვისაც.

¹ წყვეტილში -**ი** მწკრივის ნიშნის გამოავლენს მხოლოდ ერთადერთი მოქმედებითი გვარის ზმნა - განრცხა: განვრცხი, განჰრცხი, განრცხა, განვრცხით, განჰრცხით, განრცხეს.

² მესამე სუბიექტური პირის მორფემის დართვის გამო -**ენ** > -**ნ**.

სუფიქსიან მრავლობითშია, მოსალოდნელი -ე მწკრივის ნიშანი არსად ჩანს:

მწკრივისნიშნის წყვეტილი

შე-ვ-კრიბ-ენ	შდრ.	შე-ვ-კრიბ-ე
შე-ჰ-კრიბ-ენ		შე-ჰ-კრიბ-ე
შე-კრიბ-ნ-ა		შე-კრიბ-ა
შე-ვ-კრიბ-ენ-(ი)-თ		შე-ვ-კრიბ-ე-თ
შე-ჰ-კრიბ-ენ-(ი)-თ		შე-ჰ-კრიბ-ე-თ
შე-კრიბ-ნ-ეს		შე-კრიბ-ეს

ანალოგიური ვითარებაა II ბრძანებითშიც: შე-კრიბ-ენ, შე-კრიბ-ენ-ი-ნ, შე-კრიბ-ენ-(ი)-თ, შე-კრიბ-ნ-ედ.³ არ აქვს მნიშვნელობა, წყვეტილი -ე-მწკრივისნიშნის ნიშანი თუ უნიშნო, თუ პირდაპირი ობიექტი -ნ-სუფიქსიან მრავლობითშია, II ბრძანებითში ორივე შემთხვევაში ერთნაირი წარმოება გვექნება.

მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში „-ენ სუფიქსია ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი, უნდა ჩავთვალოთ, რომ მისი დართვა ამოადგებს წინამავალ მწკრივის ნიშანს“ (იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996, გვ. 273). ამ მოსაზრებას ახლავს გარკვეული დაბრკოლება: ცნობილია, რომ ზმნურ ფორმაში მორფემათა თანმიმდევრობა მკაცრად არის განსაზღვრული, მათი ურთიერთშენაცვლება ან გადაადგილება დაუშვებელია (დამენია, 1982, გვ. 46). **II კავშირებითა და II ხოლმეობითზე დაყრდნობით, -ენ/-ნ მორფემის პოზიცია უნდა განისაზღვროს მწკრივის ნიშნის წინ.**¹ მაშინ, ბუნებრივია, გაგვიჭირდება -ენ სუფიქსის წინ წყვეტილის -ე მწკრივის ნიშნის არსებობაზე საუბარი (*შე-ვ-კრიბ-ე-ენ > შე-ვ-კრიბ-ენ). ამ შემთხვევაში ახსნა უნდა მოეძებნოს იმ ფაქტს, თუ რატომ გამოიყენა ენამ ნიშნის და უნიშნო წყვეტილისთვის იდენტური ყალიბი.

¹ ამას მხარს უჭერს სხვა მწკრივთა ჩვენებაც, რასაც ქვემოთ ვაჩვენებთ.

ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო **II კავშირებითან ფორმობრივი დამთხვევის თავიდან აცილება**, ვინაიდან, წესით, -ე-მწკრივისნიშნის წყვეტილში, -ენ სუფიქსისთვის განსაზღვრული პოზიციის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ფორმები იქნებოდა: *შე-ვ-კრიბ-ნ-ე < შე-ვ-კრიბ-ენ-ე, *შე-ჰ-კრიბ-ნ-ე < შე-ჰ-კრიბ-ენ-ე, *შე-ვ-კრიბ-ნ-ე-თ < შე-ვ-კრიბ-ენ-ე-თ, *შე-ჰ-კრიბ-ნ-ე-თ < შე-ჰ-კრიბ-ენ-ე-თ.

III პირში გვაქვს ისეთივე ფორმები, როგორიც მოსალოდნელი იყო (შე-კრიბ-ნ-ა < *შე-კრიბ-ენ-ე-ა, შე-კრიბ-ნ-ეს < *შე-კრიბ-ენ-ე-ეს). მესამე სუბიექტური პირის ალომორფების (-ა, -ეს) დართვის გამო აქ გამორიცხულია II კავშირებითან ფორმობრივი დამთხვევა.

-ენ/-ნ სუფიქსი გამოვლინდება, ასევე, ე.წ. პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმებში (II კავშირებითი: დავიმალნეთ, დაიმალნეთ, დაიმალნენ; II ხოლმეობითი: დავიმალნით, დაიმალნით, დაიმალნის). მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული ფორმანტი კონვერსიული აქტივიდანაა გადმოსული, სადაც იგი ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავდა (შანიძე, 1976, გვ. 111; იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996, გვ. 300 და სხვ.). ე.წ. ვნებითი გვარის ფორმებში ძველი ქართულის სინქრონიულ დონეზე იგი უფუნქციო აფიქსია, ამიტომ, საბოლოოდ, საერთოდ ამოვარდა ენობრივი მასალიდან. ამ შემთხვევაშიც აღნიშნული სუფიქსი უშუალოდ მოსდევს ძირეულ მორფემას და მოთავსებულია მწკრივის ნიშნის წინ. რაც შეეხება წყვეტილის მწკრივს, რომელსაც პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები -ე მწკრივის ნიშნით აწარმოებენ, მრავლობითი რიცხვის ფორმებში აღნიშნული მწკრივის ნიშანი არ ჩანს: და-ვ-ი-მალ-ე, და-ი-მალ-ე, და-ვ-ი-მალ-ენ-(ი)-თ, და-ი-მალ-ენ-(ი)-თ (თეორიულად მოსალოდნელი იყო: *და-ვ-ი-მალ-ნ-ე-თ < და-ვ-ი-მალ-

ენ-ე-თ, *და-ი-მალ-ნ-ე-თ < და-ი-მალ-ენ-ე-თ).¹ ამის მიზეზი, ისევე როგორც აქტივის ფორმებში, II კავშირებითან მოსალოდნელი ფორმოპრივი დამთხვევის დაძლევა უნდა იყოს.

-ენ/-ნ სუფიქსი ჩნდება, აგრეთვე, გარდამავალ ზმნათა II თურმეობითში (მომეკლნეს, მოგეკლნეს, მოეკლნეს...), III კავშირებითა (მომეკლნენ, მოგეკლნენ, მოეკლნენ...) და III ხოლმეობითში (მექმნიან, გექმნიან, ექმნიან...). აღნიშნული სუფიქსი ამ შემთხვევაშიც მწკრივის ნიშნის წინ არის წარმოდგენილი.

ამრიგად, როცა ობიექტი -ნ-სუფიქსიან მრავლობით რიცხვშია, -ე-მწკრივისნიშნის წყვეტილის I-II პირებისთვის II კავშირებითან ფორმოპრივი დამთხვევის თავიდან აცილების მიზნით ენამ გამოიყენა უნიშნო წყვეტილის ყალიბი. აქედან გამომდინარე, ძველ ქართულში შევკრიბენ ტიპის ფორმებში -ენ სუფიქსის წინ -ე მწკრივის ნიშნის არსებობა არ ივარაუდება.

გამოყენებული ლიტერატურა

დამენია, მ. (1982). ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები. თბილისი: „მეცნიერება“.

იმნაიშვილი, ი., იმნაიშვილი, ვ. (1996). ზმნა ძველ ქართულში, I. მაინის ფრანკფურტი.

შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

¹ ისევე, როგორც აქტივში, ამ შემთხვევაშიც მესამე სუბიექტური პირის -ეს მორფემის დართვის გამო გამორიცხულია II კავშირებითან ფორმოპრივი დამთხვევა.

On the Object Plural Suffix **-en** in the Verb System of Old Georgian

Summary

According to the linguistic literature in the Aorist, the direct object plural suffix **-en** is added to the form with the Mtskrivi marker: *ševkrib-en* < **ševkrib-e-en*.

The article argues that before the suffix **-en**, the existence of the Mtskrivi marker **-e** should not be assumed.

კაუზატივის გამოხატვის პერიფრასტული მოდელები ძველსა და საშუალ ქართულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კაუზატივის აღწერით წარმოებად ძველი ქართულისთვის მიჩნეულია ოდენ **წერად სცა** („დაანერინა“) ტიპის კონსტრუქციები. ნაშრომში წარმოდგენილია კაუზატიური ფუნქციის გამოხატვის ალტერნატიული პერიფრასტული კონსტრუქციებიც (მიცემა, ბრძანება, იძულება, თქუმა, რქუმა... მაკაუზატივებელი ზმნევის მონაწილეობით), რომლებსაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ან არ არის განხილული.

ქართულში განირჩევა ერთგზისი (მუშაობს > ამუშავებს) და ორგზისი (ამუშავებს > ამუშავებინებს) კაუზატივები. ქართულში ფუნქციითაც და მორფოლოგიური გაფორმებითაც კაუზატიური ფორმებია მხოლოდ სამვალენტიანი კაუზატივები (როგორც ერთგზისი (წერს > **ანერინებს**), ისე ორგზისი (მუშაობს > ამუშავებს > **ამუშავებინებს**)), რომლებშიც კაუზატივის მარკერებად გამოიყოფა **-ინ**, **-ევენ** სუფიქსები. კაუზატიური ფუნქციის გრამატიკალიზება მეორეული მოვლენაა, მისი საბოლოო გაფორმება **-ინ** სუფიქსს უკავშირდება, რომელიც ძველ ქართულში, ფაქტობრივად, არ გვხვდება, წერილობით ძეგლებში დაახლოებით X საუკუნიდან ჩნდება და XI-XII საუკუნეებიდან მკვიდრდება.

ი. იმნაიშვილი ყურადღებას ამახვილებს **თაყუნის-ვაცე-მინე** ზმნაზე, როგორც ძველი ქართულისთვის მეტად იშვიათად კაუზატიურ ფორმაზე (იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996, გვ. 540), რომელიც დასტურდება 968 წლის ხელნაწერში „იოანე ოქროპირის ცხოვრება“:

ტაძარი კერპთაჲ განვალო და **თაყუანის-ვაცემინე** მას
ყოველნი კაცნი [ოქროზ. 96: 14].

ამ რთულ ზმნაში **-6** სუფიქსი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატველია, შესაბამისად, კაუზატივის მანარმოებლად, ერთი მოსაზრებით, უნდა მივიჩნიოთ **-ი(ვ)**¹ სუფიქსი, რომელიც პრეფიქსთან ერთად ქმნის **ა- -ი** ცირკუმფიქსს (სარჯველაძე, 1997, გვ. 93). იგივე მანარმოებელი გვაქვს ქვემოთ მოყვანილ ფორმებშიც:

და მუნთქუესვე წარფრინდეს ყორანნი იგი მისგან და
თაყუანის-ვაცემიე იგი პათიოსანსა ჯუარსა [ლიმ. 51: 5].²

ძმათა საჭმელი **მოაღებუის** თავისა წინა [აგიოგრაფ.
ძეგლ. II, 74: 23].

ასი მუჭლი **მოადრეკიის** საკურთხეველსა წინა [აგიოგ-
რაფ. ძეგლ. II, 70: 27].

არამედ ჯმელისა პურისა ჭამაჲ განუნესის მას დღესა,
ანუ ასი მუჭლი **მოადრეკიის** [აგიოგრაფ. ძეგლ. II, 71:
11].³

გამორიცხული არაა, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში და-
კარგულად **/6/** ელემენტი ვივარაუდოთ და ვისაუბროთ **-ი(6)**
სუფიქსის არსებობაზე. საინტერესოა, რომ ერთი და იმავე
ტექსტის სხვადასხვა ნუსხის შედარება დაკარგულად სწორედ

¹ I სერიაში თემის ნიშნის დართვით – **ი(ვ)**-ებ სუფიქსები: **თაყუანის-
ვაცემიე** (შანიძე, 1976, გვ. 84).

² იოანე მოსხის „ლიმონარი“ ქართულად უნდა ეთარგმნათ IX-X სა-
უკუნეებში, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი X საუკუნი-
საა.

³ ბოლო სამი ფორმა დასტურდება გიორგი მთაწმიდლის „იოვანესა
და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, რომელიც XI საუკუნის ძეგლია.

/6/-ს გვავარაუდებინებს: *მოაყვანებინა* [ქართ. ცხ. I, 130: 10], *მოაყვანებია* cct.; *დაგატეობინებ* [ქართ. ცხ. I, 144: 19-20 Bdp], *დაგატეობიებ* CERTbs და სხვ. აღნიშნული კაუზატიური სუფიქსის ოდენ ხმოვანი ელემენტით წარმოდგენა ნიშანდობლივია საშუალო და ახალი ქართულისთვისაც, განსაკუთრებით ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებისა და ქართული ენის დიალექტებისთვის.¹

-ინ-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატივის ფორმები დასტურდება X-XI საუკუნის ძეგლში „სიბრძნე ბალაჰვარისი“² (*მოაღებინა*), „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“³ (*თაყუანისაცემინნეს*), XI საუკუნის მოღვანის, ლეონტი მროველის, თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (*მოაღებინა*) და იმავე პერიოდის მოღვანის, ჯუანშერის, თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“ (*მოაყვანებინა*, *დაგაგდებინებ*, *დაატეობინა*). ამ პერიოდიდან, როგორც აღვნიშნეთ, უკვე დასტურდება -ინ-სუფიქსიან სამვალენტიან კაუზატივთა ფორმები, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევაში გამორიცხული არაა, რედაქტორის ხელი ვივარაუდოთ, რადგან მასში შესული თხზულებები ძველი ქართველი ისტორიკოსებისა ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით (სამი ხელნაწერი XV-XVII საუკუნეებისაა, ხოლო თერთმეტი წარმოადგენს ვახტანგის მეცნიერ კაცთა მიერ გადამუშავებულ ტექსტს).

¹ დაწვრილებით იხ. ციხელაშვილი, 1999, გვ. 108-110.

² ამ ტექსტის XII-XIII საუკუნეებზე ადრინდელი ხელნაწერები არ მოგვეპოვება.

³ ამ თხზულების მოკლე ვარიანტს IX საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ, ხოლო ვრცელს – X საუკუნისად. მოკლე თხზულების ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნისაა (A 199), ხოლო ვრცელი წარმოადგენს სინური „ახალი“ კოლექციის X საუკუნის ხელნაწერს.

და მოიხუნა კიდობანნი ოქროდთა და მარგალიტითა
შემკულნი და **მოაღებინა** ნაგევთაგან სკორე და მყრალი
ძუალები მძორისად [ბალავ. 33: 4].

... რადთამცა ყოველნი კაცნი **თაყუანის-აცემინნეს** კერ-
პთა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 244: 7].

... და ანცა მათ უსჯულოთა მისთა სახედ ეგულების,
რადთამცა კუალად განაგეს ბადე და შეაყენნეს კაცნი და
თაყუანის-აცემინნეს ცეცხლსა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 244:
12].

და **მოაღებინა** ძელი ცხორ[ე]ბისად, უკმოიქცია და იწყო
ბრძანებითა ღმრთისადთა შენებად იერუსალჴმისა
[ქართ. ცხ. I, 95: 20].

... და შეიპყრა ხუასრო მეფე და შემუსრა ბაღდადი და
ბაბ[ი]ლოანი და **მოაღებინა** ძელი ცხორ[ე]ბისად [აგიოგ-
რაფ. ძეგლ. I, 96: 12].

და **მოაყვანებინა** ჯუარი იგი წმიდისა ნინოსი, რომელი
პირველითგან აქუნდა... [ქართ. ცხ. I, 130: 10].

იძულებით არ-ცა-ვის ქართველსა სხუასა **დაგაგდებინებ**
სჯულსა ქრისტესსა [ქართ. ცხ. I, 144: 18].

შევიდა ბაღდადს და მძლავრობით **დაატეობინა** უმრავ-
ლესთა ცეცხლის-მსახურება [ქართ. ცხ. I, 229: 15].

„ვეფხისტყაოსანში“ -ინ-სუფიქსიანი სამვალენტიანი
კაუზატივის ფორმები უკვე ჩვეულებრივი გამოყენებისაა:

ხვარა ზმშას სისხლი უბრალო სახლად რად **დამადებინე?**

თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა **შემაგებინე**,

მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე **მარმეზინე**,
 დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ **მახლებინე!**
 [ვეფხ. 565(562): 1-4].

-ინ-სუფიქსიან მორფოლოგიურ კაუზატივთა გამოყენება ჩვეულებრივია „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“, თუმცა გასათვალისწინებელია ამ ძეგლების ხელნაწერთა გვიანდლობაც. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში, რომელიც შეიცავს IX-XIII საუკუნეების საბუთებს, ამ ტიპის ფორმები XIII საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ საბუთებში დასტურდება, უფრო ადრეული პერიოდისაში არ ჩანს. შეიძლება ითქვას, რომ XIII საუკუნისათვის სამვალენტოანი მორფოლოგიური კაუზატივის მანარმოებელი **-ინ** სუფიქსის დამკვიდრების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია. **-ინ** დაერთო როგორც მარცვლოვან ფუძეს (*ა-ნერ-ინ-ებ-ს*, *ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს...*), ისე უმარცვლოს, რომელსაც ძველ ქართულში კაუზატიური ფუნქციის გამოსახატავად **-ევ/-ი(ვ)** სუფიქსი ერთვოდა (*ა-ქმნ-ევ-ს*, *ა-ხვნ-ევ-ს*, *ა-თქუმ-ი-ა...*) და ამ გზით ჩამოყალიბდა რთული **-ევი** სუფიქსი (*მო-ა-ხვნ-ევი-ა*, *ა-თქმ-ევი-ა...*).

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **-ინ** სუფიქსის დართვამდე როგორ გამოიხატებოდა მარცვლოვან ფუძეთა კაუზატიური ფუნქცია? გარდა **-ი-ებ/-ი** სუფიქსიანი წარმოებისა, რომელიც ნაკლებპროდუქტიულია და, ფაქტობრივად, ძველი ქართულის მოგვიანო პერიოდის ძეგლებში დასტურდება, ენა იყენებდა **ალწერით, პერიფრასტულ წარმოებას**: საუღლებელი ზმნის ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს **ცემა** მეშველი, ანუ მაკაუზატივებელი, ზმნის პირიან ფორმასთან ერთად: **მოღებად სცა** („მოატანინა“), **დამარხვად სცა** („დაამარხვინა“) და სხვ.

კაუზატიური ფუნქციის გამოხატვის ამ ტიპის პერიფრასტული მოდელი კარგა ხანია ცნობილია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და მისი არაერთი მაგალითია მოხ-

მოხილი ძველი სამწერლობო ქართულიდან. მაგ., ვ. იმნაიშვილს 50-მდე ამ ტიპის მაგალითი აქვს მოყვანილი სტატიაში „კაუზატივი ძველ ქართულში“ (1970, გვ. 114-117). ეს არცთუ ისე ცოტაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ტიპის აღწერითი წარმოება პროდუქტიულობით არ გამოირჩევა და თითოეულ ძეგლში მისი რაოდენობა მინიმალურია, ვფიქრობთ, ყოველი ასეთი მაგალითი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის განხილული:

უწყვეტელი

ამისთვის აბრაჰამ ჯელთა ეზოდს-მოძღურისათა მათ წყვილთა თჳსთა **დადებად სცემდა**, რამეთუ სიტყუად იგი წყვილთა მათგან გამოსულად იყო. და იაკობ ფიცით ბარკალსხჳლთა თჳსთა ზედა **დადებად სცემდა** ჯელთა იოსებისთა [შატბ. კრებ. 267: 39-40].

და მოჰვლიდა იგი ეკლესიათა, რომელნი მას აეშწნნეს, და **კურთხევად სცემდა** და მისცემდა თითოეულსა ეკლესიასა ღალასა, რომელი კმა-ეყოფოდა [მამათა ცხორ. 167: 16].

წყვეტილი

და მოიყვანა ჯელითა თჳსითა და ჯუარი **დანერად გუცა** ჩუენ და სამოსლითა მონესეთადთა შემოსა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 23: 34].

ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: „განუგებელად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა **მინერად გეც...**“ [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 274: 3].

და მეფემან კჯროს **მოღებად სცა** სამსახურებელი იგი წმიდად უფლისად [ეზრა I, 2: 7 OJ].

მაშინ **დადგმად სცა** იუდა ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა [სინ. მრავ. 242: 23].

ხოლო იუდა **დადგმად სცა** ცხედარი იგი და დასდებდა თითოსულსა მას ჯუარსა ზედა მკუდარსა მას [უდაბნ. მრავ. 17: 1].

მაშინ **დადგმად სცა** ცხედარი, რომელსა ზედა იდვა მკუდარი [კლარჯ. მრავ. 334: 16].

ხოლო მოხუცებულთა მათ ჰურიათა გამოირჩინეს კაცნი ათორმეტნი ... და ექუს-ექუსთა **პყრობად სცნეს** დრაუჟნი იგი [ნიკოდ. 41: 7].

მასმენელნი იგი მათნი ცეცხლითა **შენუვად ვსცენ** [კლარჯ. მრავ. 305: 12].

ხოლო წმიდამან ნინო ულოცა და **სცა ჭამად ცოლ-ქმართა** მათ ჩუენებით უწყებისა მისებრ [ქართ. ცხ. I, 94: 21].

მას ზედა დადება უბრძანა ყრმისა მის და იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ [ქართ. ცხ. I, 104: 1-2]. **დადებად სცა** წმიდამან ნინო სინანული (სნეული – ლ.ც.) იგი Mm.

და დაადინა იგი აღმოსავალით, **სცნა** ჯელნი **აპყრობად** და ათქუმიო სამე ზის [ქართ. ცხ. I, 108: 6]. სცა ჯ. აპყრობად A, და პყრობად სცნა ჯელნი B, და ამცნო ჯელთა აპყრობად C, და აპყრობად სცა ჯელნი cet.

II ბრძანებითი

მოღებად ეც წიგნი მიმოსლვად ანდრეა მოციქულისად და მუნიტ გეუწყოს საძიებელი თქუენი [აგიოგრაფ. ძეგლ. II, 153: 25].

ჰრქუა მას დიდმან ილარიონ, ვითარმედ: „ნურას ზრუნავ ამისთვის, თჳნიერ კჳრიაკესა ოდენ პური იგი შესაწირავისა და ზედაშე **მოღებად-ეც** [აგიოგრაფ. ძეგლ. III, 229: 2].

და ჰრქუა ესაია: მოიღეთ ზეთი და ლელვი და **შესაქმედ ეც** კვერად და დაიდევ წყლულებასა მაგას და განიკურნო [მეფეთა IV, 20: 7 S].

ალილე მიწა ადგილისა მისგან და **ეც ჭამად** მეუღლეთა მაგათ [ქართ. ცხ. I, 94: 15].

II ხოლმეობითი

უფროდს ხოლო ღმრთისმსახურთათჳს **შეურაცხყოფად სცნის** [ფსევდომაკარ. 148: 11].

II კავშირებითი

რადთა იგივე ბრძანებანი მეფეთანი **წარკითხვად სცნეს** მათ ქალაქთა [მამ. ცხორ. 113: 23].¹

იმ ძეგლთა თარიღი, რომლებშიც **ცემა**-მეშველზმნიანი აღწერითი კაუზატივები გვხვდება, VII-XI საუკუნეებში მერყეობს (იმნაიშვილი, 1970, გვ. 115). XII საუკუნიდან აღნიშნული წარმოება ქრება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უცნო-

¹ მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

ბი ავტორის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“¹ დადასტურებულ რამდენიმე ფორმას:

ვითარ განიღვძა, წინაშე მოყვანებად სცა დიასახლისი იგი [ქართ. ცხ. II, 80: 15].

მოყვანებად ვცეთ ძალლი თქუენი, დაუდვათ პური თქუენ მიერ კურთხეული, იხილეთ რაძი იქმნას [ქართ. ცხ. II, 87: 17].

მაშინ მოყვანება ბრძანა სამ-დღე უჭმელისა ძაღლისა [ქართ. ცხ. II, 88:9 MTm]. **მოყვანებად სცა V.**

აღწერით კაუზატივთა მორფოლოგიური კაუზატივებით შეცვლის ტენდენცია (დადგმად სცა > დაადგმევინა) ძველ ქართულშივე ისახება. ეს აიხსნება როგორც ენის განვითარებით, მისი სწრაფვით გამარტივებისაკენ, ისე ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარის (ინფინიტივის) ზმნური ძალის შესუსტებითა და, საბოლოოდ, მისი გაქრობით, რაც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, X საუკუნიდან შეინიშნება (მიზნის გარემოების ფუნქციით იგი ქართულს XII-XIII საუკუნეებამდე შემორჩა)² (მარტიროსოვი, 1955, გვ. 58).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **წერად სცა** ტიპის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში არ განარჩევდა ზმნის ფუძის სტრუქტურას, თუმცა მაინც შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება: მარცვლოვანი ფუძეები მიმართავენ აღწერით წარმოებას, უმარცვლოები – ორგანულს, **-ევ/-ი(ვ)**-სუფიქსიანს. საზოგადოდ, კაუზატივის კატეგორია (ფუნქცია) წარმოადგენს **სემანტიკურ უნივერსალიას**.

¹ დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

² ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი და მასდარული კონსტრუქციები ხშირია ელინოფილთა და ულტრაელინოფილთა ნაწერებშიც.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართულში, ისევე როგორც სხვა ენაში, ყოველთვის იარსებებდა კაუზატიური ფუნქცია, როგორც ერთი იმ ზოგადენობრივი ფუნქციათაგანი, რომელიც ყოველ კონკრეტულ ენაში ნაირგვარ გამოხატულებას პოულობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ **წერად სცა** ტიპის აღწერითი მოდელის არსებობა ქართულში ბერძნობამდ ან არმენიზამდ ცხადდება (მარი, 1903, გვ. 271-272; თუმანიანი, 1971, გვ. 347; სარჯველაძე, 1984, გვ. 474; მარტიროსოვი, 1955, გვ. 59), თანაც საკმაოდ იშვიათი გამოყენებისაა, ამ ფუნქციის ორგანულად გამოხატვაც, ფაქტობრივად, მეორეულია, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: არსებობდა თუ არა ქართულში აღნიშნული ფუნქციის გამოხატვის სხვა ალტერნატიული საშუალებები? ჩვენი აზრით, არსებობდა, აღნიშნული პერიფრასტული მოდელი არ იყო ერთადერთი. სამვალენტიანი ზმნის კაუზატიური ფუნქციის გამოსახატავად ენა მიმართავდა სხვა პერიფრასტულ მოდელებსაც, რომლებსაც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **წერად სცა** ტიპის აღწერით კაუზატივებს ახასიათებთ პოზიციური სტაბილურობა: **ცემა** მაკაუზატივებელი ზმნა, რომელიც მუდამ უპრევერობდაა წარმოდგენილი, პოსტპოზიციურად უკავშირდება ვითარებითში დასმულ მასდარს. ეს წყობა ირღვევა მხოლოდ **ნუ** ნაწილაკის არსებობის შემთხვევაში: **ნუ სცემ დარღუევად** (იმნაიშვილი, 1970, გვ. 116.) თუმცა უიშვიათესად დადებით კონსტრუქციაშიც რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული რიგის დარღვევა, მონშობს მაგალითი:

და დაადგინა იგი აღმოსავლით, **სცნა** ჯელნი¹ აპყრობად
და ათქუშია სამგ ზის [ქართ. ცხ. I, 108: 6].

¹ ამ შემთხვევაში აღწერითი წარმოება გათიშულია პირდაპირი დამატებით.

ვფიქრობთ, კაუზატიურ ფუნქციას გამოხატავდა, აგრეთვე, **წერად სცა** ტიპის მოდიფიკაციით მიღებული შემდეგი წარმოებაც:

ეც მოსავთა შენთა **პოვნამ** წყალობისად [სას. პოეზია 364: 11]. „აპოვნინე“

ზურგი ჩემი **ვეც გუემა**სა და ღანჯ ჩემი ყურიმლის-**ცემა**-**სა** [ესაია 50: 6 P]. „ვაგვემინე, ვაცემინე“

ამ შემთხვევაში დარღვეულია რიგი და **ცემა** მაკაუზატივებელი ზმნა უსწრებს მასდარს, ამასთანავე, როგორც ვხედავთ, მასდარი ვითარებითის ნაცვლად შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სახელობითი ან მიცემითი ბრუნვების ფორმებით, რაც ინფინიტივის ფუნქციების შერყევას უნდა უკავშირდებოდეს. თუ **წერად სცა** ტიპის წარმოებაში ვითარებითში დასმული მასდარი არ წარმოადგენს აქტანტს, აღნიშნულ პერიფრასტულ მოდელში მასდარი პირმიმართი დამატებაა – პირდაპირი (პირველ შემთხვევაში) ან ირიბი (მეორე შემთხვევაში), და მართულია შესაბამის ბრუნვებში.

როგორც შენიშნულია, აღწერით კაუზატივებში **ცემა** ზმნა ყოველთვის უპრევერბოდაა წარმოდგენილი. „ზმნისნინის დართვა მნიშვნელობას უცვლის „**ცემა**“ ზმნას და იგი კაუზატიურობის გამოხატველ მანარმოებლად (საწყისთან ერთობლიობაში) აღარ გაიგება“ (იმნაიშვილი, 1970, გვ. 116). ამ შემთხვევაში იგი მიზნის გარემოების ფუნქციით იტვირთება:

ხოლო უფალმან არა მისცა მონად თჳსი სიკუდილად ჯელთა მ[ათ] [სამ. ძეგლ. II, 115: 20].

„არა მისცა ... სიკუდილად“ ნიშნავს: არ მისცა მოსაკვლელად, თუმცა გამორიცხული არ არის ასეთი ინტერპრეტაცია: არ მოაკვლევინა. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო გამართლებული უნდა იყოს, რადგან ამ ტიპის კონსტრუქცი-

ებში, ჩვენი აზრით, **ცემა** ზმნა უნდა მოიაზრებოდეს არა პირდაპირ, როგორც სამვალენტო ზმნა **მიცემის** მნიშვნელობით (მაგ., „ხოლო იაკობ **სცა** ესავს პური“ [დაბად. 25: 34 OP]. მისცა CB), არამედ აღნიშნული მნიშვნელობისგან დაცლილ დამხმარე ზმნად. ფიქრობთ, გარკვეულ კონსტრუქციებში **ცემა** მეშველი ზმნის პრევერბიანი ფორმა ვითარებითში დასმულ მასდართან ერთად, ძირითადი მნიშვნელობის გარდა (მიზნის გარემოების გამოხატვა), კაუზატიური სემანტიკის გამოხატვით უნდა იყოს:

რამეთუ თქუა: „**მისცნეს** ძმამან ძმად **სიკუდილდ** და მამამან – **შვილი**“ [ოქრობ. II, 21: 24]. „**მოაკვლევინებ**“

მიგცემ შენ **დაფლვად** მეუდარი [დაბ. 23:1 1 OJ]. „**დაგამარხვინებ**“

შესაძლოა, მასდარის ნაცვლად წარმოდგენილი იყოს მომავალი დროის საობიექტო მიმღეობა:¹

კვლაცა **მიმცა** **შესაპყრობლად** ქაჯთა, **ძნელად** საომართა [ვეფხ. 1299: 3].

რომელი **მივეც** ცეცხლსა **შესანუველად** [დაბ. 15: 6 OJ].

მამწყუიტა დედას ძუძუსა, **საჭმელად** **მიმცა** ვეშაპსა [შაჰნამე, 1580: 1].

ცემა-მეშველზმნიანი აღწერითი კაუზატივისა და მიზნის გარემოების შინაარსობრივი სიახლოვე სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობას – მიმართულების, მიწვევითობის,

¹ მიზნის გარემოების ფუნქციით ვითარებითში დასმულ მასდარს სწორედ ეს უკანასკნელი ენაცვლება.

მიზნის გამოხატვას.¹ მისი ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარის გამოყენება არა მარტო მიზნის გარემოების ფუნქციით, არამედ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მეშველ ზმნასთან ერთად მყოფადის მნიშვნელობით („ცოცხალი არ ღარა **გამოსლვად ხარ**“ [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 21: 7]). ამგვარი მასდარული კონსტრუქციით გამოხატულ მყოფადს კატეგორიულობის გაგება ჰქონდა და გულისხმობდა როგორც აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას, ისე გარკვეული მოქმედების შესრულების ვალდებულებას.² ამიტომ ა. შანიძე ამ ტიპის ფორმებს (შობად არს, ყოფად არს...) **უნდაობით ფორმებს** უწოდებს (შანიძე, 1976, გვ. 135). სწორედ კატეგორიულობაში (ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებთან ერთად) უნდა ჩანდეს ვითარებითში დასმული მასდარის ერთ-ერთი ძველი მნიშვნელობა. ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარი თავისი მნიშვნელობის გამო საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა კაუზატიური სემანტიკის გამოსახატავად, რადგან კაუზაცია გულისხმობს მოქმედების იძულებით შესრულებას და თავისი სემანტიკით აერთიანებს როგორც მიწვევითობას, მიზნის მიღწევას (მოქმედების ხელმძღვანელის ნების შესრულებას), ისე – კატეგორიულობა-უნდაობითობას (იძულების მომენტს).

კაუზატიური სემანტიკა განსაკუთრებით ხელშესახებია მაშინ, როცა მაკაუზატივებელი **ცემა** ზმნის პრევერბიან ფორმასთან შეწყობილი მასდარი პირმომართი პირდაპირი დამატებაა:

¹ გარკვეული თვალსაზრისით, **ცემა**-ზმნიან კონსტრუქციაშიც ინფინიტივი მიზნის გარემოებას წარმოადგენს. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დადასტურებული „ნიგნი არა **მიწერად გეც**“ [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 274: 3] კონსტრუქციაში **მიწერად**, ა. მარტიროსოვის აზრით, მიზნის გარემოებაა (მარტიროსოვი, 1955, გვ. 50).

² „...ბოსტანი **მორწყვად გიც** და ძმათა შეჭამადი **ქმნად გიც**...“ [ქრესტ. 306: 41-42] „უნდა მორწყა“, „უნდა მოამზადო“.

მოეც, უფალო, **პოვნად** წყალობად შენი მას დღესა [სინ. მრავ. 274: 12]. „აპოვინე“

მოეც მონათა შენთა ყოვლითა განცხადებულებითა [თქუმად] სიტყუისა შენისა [საქმე მოციქ. 4: 29 P]. „ათქმევინე“

მოეც მორწმუნეთა შენთა **ძლევად** მტერისა... **კურნებად** უძღურთა [იადგ. 356: 33]. „აძლევინე, განაკურნებინე“

ინფინიტივის ფუნქციების შერყევით უნდა ავხსნათ ამ შემთხვევაშიც, ვითარებითის ნაცვლად, **მიცემა** ზმნის მიერ პირმიმართი დამატების სათანადო ბრუნვებში მართვა:

და **მისცემდა** ღმრთისმსახურთა ადვილად **მოძიებასა** და **შეკრებასა** მათსა [მეტაფრას. 100: 38]. „მოაძიებინებდა, შეაკრებინებდა“¹

აწ **მომეც** მეცა **მოთმინებად**, რადთა სათნოდ შენდა აღვასრულნე მცირედნი ესე დღენი ცხორებისა ჩემისანი [აგიოგრაფ. ძეგლ. II, 218: 11]. „მომათმენინე“

ვინათგან **მოგცა** თქუენ ღმერთმან **ძლევა** ყოველთა მტერთა [ქართ. ცხ. II, 237: 18]. „დაგაძლევინა“

რამეთუ შენ ხარ, რომელმან **მომეც** მე სიყრმით ჩემითგან განსაცდელსა შინა **თმენად** [აპოკრიფ. მოციქ. 17: 42]. „მომათმენინე“

მადლი მასვე, ვინ რომ **მოგცა** მტერთა **ძლევა**... [შვიდი მთიები 885: 3]. „დაგაძლევინა“

¹ I სერიის ფორმები ნაკლებპროდუქტიულია.

მან **მოგცა** ესეთი **გამარჯვება**, თვარე ვისგან ეგებოდა ამისთანასა ქარისა ადგომა... [შაჰნამე 501: 26]. „გაგამარჯვებინა“

ცემა ზმნის როგორც პრევერბიანი, ისე უპრევერბო ფორმის გარდა, მაკაუზატივებელ ზმნად შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს სხვა ზმნებიც, რომლებიც უფრო პროდუქტიული არიან. პირველ ყოვლისა, გვინდა შევხვთ **ბრძანება**-ზმნიან აღწერით კაუზატივებს. **ბრძანება** ზმნასთან შეწყობილი მასდარი, რომელიც სინტაქსურად პირდაპირი დამატებაა, შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ვითარებითი, სახელობითი ან მიცემითი ბრუნვების ფორმით. თავდაპირველად წარმოვადგენთ ვითარებითში მდგარი მასდარის შემცველ კონსტრუქციებს:

საფასეთა წარმავალთაჲ **ბრძანა დაგებად** წინაშე შენსა [სას. პოეზია 125: 121].

მაშინ პილატე **უბრძანა მიცემად** გუამი იგი მისი [მ. 27: 58 FGHIK].

მსწრაფლ **უბრძანა** პროტონოტარსა თჳსსა **შექმნად** ორთა ოქრობეჭედთა [აგიოგრაფ. ძეგლ. II, 196: 7].

პეტრე ქართველისა **ბრძანე მოყვანებად** ჩუენდა, რამეთუ ფრიად ტანჯნა ჯორცნი თჳსნი [ქართ. ცხ. I, 135: 10].

რამეთუ ხატი... რომელი სიონს მკჳდრ იყო, **ბრძანა მოყვანებად** და ჯიდისა შესავალსა **დადებად** პირალმართ [ქართ. ცხ. II, 177: 18-19].

და **უბრძანა შემოსლვად** ყოველთა ტყუეთა და მოწესეთა [ქართ. ცხ. I, 164: 3].

ხოლო ერისთავმან **უბრძანა** მანაველთა **მოსლვად** წინაშე მისსა [სამ. ძეგლ. II, 113: 17].

უბრძანა არა ჯოცად მათდა, არამედ პყრობად და დევნად
[სამ. ძეგლ. II, 109: 4-5].

როგორც აღვნიშნეთ, ინფინიტივის ფუნქციების შერყევის გამო X საუკუნიდან ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს ენაცვლება სახელობით ან მიცემით ბრუნვაში მდგარი მასდარი, „ბრძანა დაკრძალვად“ იცვლება „ბრძანა დაკრძალვა(დ)“ ან „ბრძანებს დაკრძალვას“ ტიპის კონსტრუქციებით (მარტიროსოვი, 1955, გვ. 58) იმის მიხედვით, რომელ სერიასთან გვაქვს საქმე.

მასდარი სახელობითშია:

უბრძანა აკვლინადსი თმითა თავისა მისისადთა ჩამოკიდებად [ქრისტ. 192: 22].

ხოლო ურბანოს უბრძანა გარდამოქსნად მისი და წარდგინებად სცა წინაშე კერპთა და ჰკითხვიდა მას...
[ქრისტ. 188: 33].¹

ხოლო ივლიანე ბრძანა აღზნებად თორნისად სამ დღე და შთაადეს მას შინა [ქრისტ. 193: 21].

უბრძანა შეკრვად მისი და ცემა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 17: 15].

ან ბრძანე შეპყრობად მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 64: 7].

¹ ამ კონტექსტში გამოყენებულია კაუზატიური სემანტიკის გამოხატვის ორი სხვადასხვა მოდელი: **ცემა** და **ბრძანება-მეშველზმნიანები**.

და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი **მიბრძანა** ამის ანდერძისა **დანერა** [ისტ. საბ. I, 53: 6].

მაშინ **მოყვანება ბრძანა** სამ-დღე უჭმელისა ძაღლისა [ქართ. ცხ. II, 88: 9 MTm]. მოყვანებად სცა V.

მართ მეფემან სპათა **ბრძანა** ავთანდილის **თაყვანება** [ვეფხ. 1545(1546): 1].

განყრა დედოფალი და **უბრძანა გაყუანა** დიაცისა [ამირანდარეჯ. 695: 1 a].

მასდარი მიცემითა:

ხოლო უფალი განაგებდა მათთჳს და **უბრძანებდა** მოსეს კუერთხითა **განუებასა** ზღჯსასა [ფსევდომაკარ. 323: 19].

არამედ ქადაგისა მიერ **შენირვასა** მსხუერპლისასა **უბრძანებდა** [მეტაფრას. 169: 46].

ხოლო თრდატ უძლიერესად **ცემასა** მისსა წინაშემდგომელთა **უბრძანებდა** და ეტყოდა... [მეტაფრას. 476: 15].

უბრძანებდა აფთვიმიანეს **მიცემასა** ქალისა თვისისასა [რუსუდ. 613: 38].

ესე მეფე და დედოფალი ჩემსა კარში **გაძეებასა** არაოდეს **ბძანებენ...** [რუსუდ. 480: 13].

განრღვეულს ცხედრის **ალებას უბრძანებ**, სხვათ წინ წა-რადგენ [არჩ. I, 14: 3].

ძველ ქართულშივე მარტივი წინადადების ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარიანი კონსტრუქცია შეიძლება შეცვლილიყო რთული ქვენყობილი წინადადებით, რომლის დამოკიდებულ წინადადებაში გვქონდა **რადთა** კავშირი + კავ-

შირებითის მწკრივით გაფორმებული ზმნის პირიანი ფორმა. ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში ამ ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქციაც გვევლინება კაუზატიური ფუნქციის გამომხატველად:

მაშინ უბრძანა მსახურთა თჳსთა, რადთა მოიყვანონ ნინო [ქართ. ცხ. I, 104:12].

და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი [ქართ. ცხ. I, 136: 9-10].

მეორეული კაუზატივის ფუნქციით შესაძლოა, გამოიყენებოდეს, აგრეთვე, **იძულება** ზმნის პირიანი ფორმა ვითარებით, სახელობით ან მიცემით (შედარებით იშვიათად) ბრუნვაში მდგარ მასდართან ერთად, რომელიც სინტაქსურად ასევე პირდაპირი დამატებაა.

მასდარი ვითარებითშია:

ხოლო მე შურმან საღმრთომან მაიძულა თქმად ამისსა [ქართ. ცხ. I, 163: 4].

რავდენი საქმე აიძულებდა მას სასოებისა წარკუეეთად [ოქრობ. II, 131: 16].

ხოლო ანგაჰრებად აიძულებდა გულსა კაცთასა ძუირის საქმედ [უდაბნ. მრავ. 1: 25].

დამიგო ტრაპეზი და ღჯნოდ და მაიძულა მე ჭამად და სუ-მად [შატბ. კრებ. 336: 22].

მასდარი სახელობითშია:

და აიძულა მონაზონსა მას დატევებად დაბისად მის [ლიმ. 85: 9].

შეინყალა ასული თჳსი: **არა აიძულა დატევება** სჯულისა [ქართ. ცხ. I, 144: 17].

მასდარი მიცემითჳია:

აიძულებდა დატევებასა სჯულისასა [ქართ. ცხ. II, 171: 7].

ყოველთა კაცთა **აიძულებდა მსახურებასა** მათსა [მეტაფ-
რას. 344: 10].

გარკვეულ შემთხვევებში **იძულება**-ზმნიანი ჰიპოტაქსუ-
რი კონსტრუქციაც გვაძლევს კაუზატივის გაგებას:

და მიაველინა მან მისა და **აიძულა**, რადთა **მისცეს** მას ხუ-
თასი დრაჰკანი [ოქროშ. 73: 16].

შეიპყრეს იგი სპარსთა და **აიძულებდეს**, რათამცა **უარყო**
ქრისტე [ქართ. ცხ. I, 199: 11-12].

ზემოთ დასახელებულთა გარდა, იშვიათად კაუზატიური
ფუნქციის გამომხატველი შეიძლება იყოს კონსტრუქციები,
რომლებშიც მაკაუზატივებელ ზმნად გვევლინება: **თქუმა**,
რქუმა, **ყოფა**, **მომადლება**, **ვედრება**, **მოყვანა** და სხვ., მაგ.:

რად იხილა მეფემან სიმრავლე **ობოლთა**, განიხარა და
უბრძანა ბერსა მას, რათა **თქუან** ყ[რ]მათა მათ **გალობა**.
ხოლო ნეტარმან მან **უთხრა** ყრმათა მათ **თქმად** **გალობა**
სჯმონისი... [აგიოგრაფ. ძეგლ. IV, 425: 3].

„მონაო ასმათისი“– **შემოყვანა ვუთხარ** შინა [ვეფხ.
366(363): 3].

მოყვანა ვუთხარ, ებრძანა: „ქმნაა სისხლისა დინება?“
[ვეფხ. 369(366): 2].

და ფერტი დაიპყრა იესუ და **პრეჟა მონოდება** მისი [მრკ.
10: 49 C].

საერთოდ, **თქმა**-ზმნიანი პერიფრასტული კაუზატივები
ნაკლებ კატეგორიულობას გამოხატავენ და **თხოვნის** შინაარ-
სი უფრო აქვთ. შესაძლოა, ამიტომაც ამ ტიპის კონსტრუქცი-
ები ძველ ქართულში ნაკლებად გამოიყენება კაუზატიური
ფუნქციის გამოსახატავად.

ნუ **ყოს** ღმერთმან ჩემგან თქვენის სისხლის თავს **დება**
[რუსუდ. 412: 4].

განა მოვილოდინოთ აბან ქამანისძე და მათ სხუათა
მოცდა ვყოთ, ანუ ჩუენ წავიდეთო? [ამირანდარეჯ. 88:
5].

საქორწილოდ მრავალთა საჭურჭლეთა და ხაზინათა **მო-
ტანა დაავედრა** [რუსუდ. 67:34 B]. მოატაინა A.

მომადლე ამას **დამორჩილებად** ამის ქუეშემყოფნი სი-
მართლითა და ჭეშმარიტებითა [სამ. ძეგლ. II, 57: 6].

ამგვარად, კაუზატიური ფუნქციის გამოსახატავად, **წე-
რად სცა** ტიპის აღწერითი მოდელის გარდა, ენა მიმართავდა
ალტერნატიულ პერიფრასტულ მოდელებსაც, რომლებშიც მა-
კაუზატივებელი ზმნის ფუნქციით გვხვდებოდა: **მიცემა**, **ბრძა-
ნება**, **იძულება** და შედარებით იშვიათად სხვა ზმნებიც. კაუზი-
რებული ფორმა ამ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო **მასდა-
რით** (**ვითარებითი** (აღრეული პერიოდის ტექსტებში), **სახელო-
ბითი** ან **მიცემითი** (მოგვიანო პერიოდის ტექსტებში) ბრუნვე-
ბის ფორმით) ან იშვიათად კავშირებითის მწკრივით გაფორ-
მებული ზმნის პირიანი ფორმით.¹ მაკაუზატივებელი ზმნები

¹ არ უნდა გამოირიცხოს სხვა ალტერნატიული საშუალებაც – არა-
კაუზატიური ფორმა, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, შე-

ერთმანეთისგან განსხვავდებოდა კატეგორიულობის ხარისხით. მათი შერჩევა ხდებოდა კონტექსტის მიხედვით.

მართალია, ახალ ქართულს (და, ფაქტობრივად, საშუალსაც) მოეპოვება კაუზატიური ფუნქციის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, ძირითადად, სტილიზაციისათვის ენამ შესაძლოა აღწერით წარმოებასაც მიმართოს, მაგ., *ბრძანა მოყვანა, სთხოვა მოტანა, აიძულა თქმა* და სხვ. ამგვარი პერიფრასტული წარმოების მოდელი საერთოა მთელი რიგი (ინდოევროპული თუ სხვა ტიპის) ენებისთვის. მაგ., ინგლისურში ამგვარ კაუზატიურ კონსტრუქციებს ქმნიან ზმნები: *make, let, cause, have, get, force, help...*

გამოყენებული ლიტერატურა

თუმანიანი, ე. (1971). Туманян, Э. Г. *Древнеармянский язык*. Москва: “Наука”.

იმნაიშვილი, ი., იმნაიშვილი, ვ. (1996). *ზმნა ძველ ქართულში*, I. მაინის ფრანკფურტი.

იმნაიშვილი, ვ. (1970). კაუზატივი ძველ ქართულში, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*, X, 111-121. თბილისი.

საძლოა, კაუზატივის გაგებასაც იძლეოდეს, მაგ.: „ხოლო სულტანი ლმობიერ იქმნა, **განბანა** და მრავალი ნიჭი მიანიჭა“ [ქართ. ცხ. II, 219: 11]. კონტექსტიდან გამომდინარე, გრამატიკული სუბიექტი (სულტანი) მხოლოდ ინიციატორია და არა ფაქტობრივი შემსრულებელი ზმნით აღნიშნული მოქმედებისა, ამიტომ „განბანა“ ფორმა გააზრებულ უნდა იქნეს, როგორც „განაბანინა“.

მარტიროსოვი, ა. (1955). მასდარული კონსტრუქციის გენეზი-
სისათვის ძველ ქართულში, *იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერება*, VII, 43-59. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მარი, ნ. (1903). Мартр, Н. Я. *Грамматика древнеармянского
языка*. СПб: Тип. Имп. АН.

სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ის-
ტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.

სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა*. თბილისი: თბი-
ლისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გა-
მომცემლობა.

შანიძე, ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი:
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ციხელაშვილი, ლ. (1999). *კაუზატივის წარმოება საშუალო ქარ-
თულში*, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნი-
ერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-
ლად. თბილისი.

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებათა განმარტება

აგიოგრაფ. ძეგლ. I (1964). *ძველი ქართული აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები*, ილია აბულაძის ხელმძღვანე-
ლობითა და რედაქციით, I. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

აგიოგრაფ. ძეგლ. II (1967). *ძველი ქართული აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.)*, დასაბეჭდად მო-
ამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუა-
ძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც.

ჯღამიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, II. თბილისი: „მეცნიერება“.

აგიოგრაფ. ძეგლ. III (1971). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: მეტაფრასული რედაქციები* (XI-XIII სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, III. თბილისი: „მეცნიერება“.

აგიოგრაფ. ძეგლ. IV (1968). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: სვინაქსარული რედაქციები* (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, IV. თბილისი: „მეცნიერება“.

ამირანდარეჯ. (1967). მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნ. ათანელიშვილმა. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.

აპოკრიფ. მოციქ. (1959). *ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ: IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

არჩ. I (1936). არჩილი, *თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად*, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I. ტფილისი: „საქართველოს მუზეუმი“.

ბალავ. (1957). *ბალავარიანის ქართული რედაქციები*, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულა-

ძემ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ვეფხ. (1966). შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი
ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკო-
ნიტურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რე-
დაქციით, I. თბილისი: „მეცნიერება“.

იადგ. (1980). *უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს,
გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველ-
მა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი: „მეცნიე-
რება“.

ისტ. საბ. I (1984). *ქართული ისტორიული საბუთების კორპუ-
სი (IX-XIII სს.)*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს
თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, I. თბილი-
სი: „მეცნიერება“.

კლარჯ. მრავ. (1991). *კლარჯული მრავალთავი*, ტექსტი გა-
მოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა
მგალობლიშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“.

ლიმ. (1960). იოანე მოსხი, *ლიმონარი*, ტექსტი გამოკვლევითა
და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი: სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემ-
ლობა.

მამათა ცხორ. (1975). *მამათა ცხორებანი: ბრიტანეთის მუზე-
უმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა*, გამოსცა ვახ-
ტანგ იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა.

მეტაფრას. (1986). *ძველი მეტაფრასული კრებულები: სექ-
ტემბრის საკითხავები*, გამოსცა ნ. გოგუაძემ, ძველი

ქართული მწერლობის ძეგლები, 7. თბილისი: „მეცნიერება“.

ნიკოდ. (1985). *ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ცილა ქურციკიძემ. თბილისი: „მეცნიერება“.*

ოქროზ. (1986). *„იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ. თბილისი: „მეცნიერება“.*

ოქროზ. II (1999). წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებად მათეს სახარებისაჲ თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი გამოსაცემად მომზადდა ათონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია „ორიონში“, II. თბილისი: „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.*

რუსუდ. (1957). *რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.*

სამ. ძეგლ. II. (1965). *ქართული სამართლის ძეგლები: საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XI სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, II. თბილისი: „მეცნიერება“.*

სას. პოეზია (1913). *პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია: ტექსტები, VIII-X საუკუნეები, I. ტფილისი.*

სინ. მრავ. (1959). *სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი*

ქართული ენის კათედრის შრომები, 5. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

უდაბნ. მრავ. (1994). უდაბნოს მრავალთავი, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 28. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ფსევდომაკარ. (1982). *ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები*, 4. თბილისი: „მეცნიერება“.

ქართ. ცხ. I (1955). *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბილისი: „სახელგამი“.

ქართ. ცხ. II (1959). *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ქრესტ. (1946). ს. ყუბანეიშვილი, *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქრისტ. (2007). „ქრისტიანს წამება“. *Monumenta Paleographica Medii Aevi*. Series Ibero-caucasica. The Old Georgian Palimpsest. Codex Vindobonensis georgicus 2. Volume 1. Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. Brepols.

შატბ. კრებ. (1979). შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“.

შაჰნამე (1916). შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, ძველი ქართული მწერლობა, I. თბილისი: სტამბა „ქართლი“.

შვიდი მთიები (1930). ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები – ბარამ-გური, კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით. თბილისი: „ქართული წიგნი“.

B – A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, 1743 წ.).

J – Jer. Geo. 7/11 (იერუსალიმური ბიბლია, XI ს.).

O – Ivir. Geo. №1 (ოშკის ბიბლია, 978 წ.).

P – Geo. 36 (ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, X-XI საუკუნეების მიჯნა).

S – A 51 (მცხეთური ანუ საბას ბიბლია, XVII-XVIII სს.).

Periphrastic Models for Expressing Causative in Old and Middle Georgian

Summary

In Georgian, only trivalent causatives (both single and double causatives) are causative forms by their function and morphological form, in which the suffixes **-in** and **-evin** are considered as causative

markers. Grammaticalization of the causative function is a secondary event; it is finally formed in connection with the suffix **-in**, which we practically cannot meet in Old Georgian. It appears in the written texts from the 10th century and has been established from the 11th-12th centuries. By the 13th century, this process had practically been completed. **-in** had been added to the syllable-stem (*a-çer-in-eb-s* ‘makes him write’, *a-çet-eb-in-eb-s* ‘makes him do’...), as well as to the stem without a syllable, to which, for expressing the causative function, in Old Georgian the suffix **-ev/-i(v)** was added (*a-kmn-ev-s* ‘makes him do’, *a-xvn-ev-s* ‘makes him plough’, *a-tkum-i-a* ‘made him say’...) and in this way the compound suffix **-evin** was formed.

It is interesting how the causative function of the syllable stems was expressed before adding the suffix **-in**? Besides the production with the suffix **-i(v)-eb/-i(v)**, which was less productive and was evidenced in the texts of the later period of Old Georgian (*taquanis-vacemie* [Lim. 51: 5], *moçebiis* [Hagiographic Texts II, 74: 23], *moadrekiis* [Hagiographic Texts II, 70: 27, 71: 11]) the language was using descriptive, periphrastic production: the masdar of the conjugated verb in the adverbial case together with the finite form of the auxiliary, i.e. causation verb ‘**cema**’: *moçebad sca* (‘made him bring’), *damarxvad sca* (‘made him bury’), etc. Such type of descriptive production, which didn’t distinguish the stem structure, is evidenced in the texts of the 7th-11th centuries; from the 12th century, it disappears. We have confirmed only several descriptive causatives in the works of the authors of the first quarter of the 11th-13th centuries (*ec çamad* ‘make him eat’ [Life of Kartli I, 94: 15]; *moçvanebad sca* ‘made him bring her’ [Life of Kartli II, 80: 15]; *moçvanebad vcet* ‘let’s make him bring her’ [Life of Kartli II, 87: 17], etc. Though the manuscripts containing these texts belong to a later period, this doesn’t change the essence of the matter in this case.

The causative category is a semantic universal. Hence, it is natural that in Georgian as well as in other languages has always existed a causative function as one of those common linguistic functions that in every particular language is expressed in multiple ways. Taking into consideration the fact that existence in Georgian of the descriptive model of the type *perad sca* ‘made him write’ is declared as Greekism or Armenism, also that it was used rather infrequently, and that the organic expression of this function is secondary, naturally arises a question: Were there in Georgian other alternative means of expressing the mentioned function? In my opinion, the periphrastic model ‘*moyebad sca*’ was not the only one. For expressing the causative function of the trivalent verbs, the language also used other alternative periphrastic models, which, in fact, are not examined in the Georgian linguistic literature.

a) First of all, there should be noted the periphrastic models, received by the modification of ‘*moyebad sca*’ type: *ec povnaj* ‘make him find’ [Pop. Poetry 364: 11], *vec guemasa* ‘I made him beat’ [Par. Lect. 50: 6] (In this production, the stable row of descriptive causatives is broken and the auxiliary verb is used prepositionally; also, the masdar, instead of the adverbial case, is in the nominative or dative cases, which should be related to the impairment of the infinitive category).

b) In certain constructions, the form with a preverb of the auxiliary verb **cema**, together with the masdar in the adverbial case, apart from its main meaning (expression of an adverbial modifier of purpose), also expresses causative semantics: *mimca šesapgroblad* ‘made him arrest me’ [The Knight in the Panther’s Skin 1299: 3], *sačmelad mimca* ‘made him eat me’ [Shah Name 1580: 1].

c) Other verbs can also be used as the causation verb. First of all, I will touch upon the production with the auxiliary verb **brzaneba** (‘to order’). The masdar, accorded with the verb ‘order’,

which syntactically is a direct object, may be in the forms of adverbial, nominative, or dative cases. Such type of production is attested in Old as well as Middle Georgian: *bržana micemad* [Matt. 14: 9] ‘ordered to give // made him give’; *ubržana čamoğidebaj* [Martyr. of Christin. 192: 22] ‘ordered to hang // made him hang’; *ubržanebda ... micemasa* [Rusud. 613: 38] ‘ordered ... giving // made him give’, etc.

d) A finite form of the verb **izuleba** (‘to force’) together with the masdar in the adverbial or nominative case can also be used with the function of the trivalent causative verb. In this case, syntactically, the masdar is also a direct object. It is noteworthy that such type of periphrastic production was used quite often: *maizula... aγcerad* [Kimen II, 154: 8] ‘forced me .. to describe // made me describe’; *ara aizula daṭeveba* [Life of Kartli I, 144: 17] ‘didn’t force to leave // didn’t let him to leave’, etc.

e) Rarely, the causative function can be expressed by the constructions, in which the causation verbs can be: **tkuma** ‘to tell’, **gopa** ‘to make’, **momadleba** ‘to grant’, **vedreba** ‘to supplicate’, **moqvana** ‘to bring’, etc. E.g.: *šemoqvana vutxar* ‘I told [him] to make [her] to come in’ [The Knight in the Panther’s Skin 366 (363): 3]; *mocda vgot* ‘let’s make him wait’ [Amiran. 88: 5]; *moṭana daavedra* ‘made him bring’ [Rusud. 67: 34], Compare: *moaṭaina A*; *momadle damorčlebad* ‘make him conquer’ [Georg. Law Monum. II, 57: 6], etc.

The causation verb is chosen according to the causative semantics, e.g., *bržana dagebad* (‘ordered to pave’) and *šemoqvana vutxar* (‘I told him to make her enter’) constructions differ from each other by the degree of categoricalness. The periphrastic causatives with the verb **tkma** (‘to say’) express less categoricalness and have a meaning of request.

f) Again in Old Georgian, a construction with masdar in the adverbial case could be replaced with the conjunction **rajta** ('that') + subordinate clause, containing a finite verb in the subjunctive screeve: *ubr̥zana moḡvanebad* = *ubr̥zana, rajta moiḡvanon* 'ordered to bring // ordered that they bring her'. Accordingly, such types of hypotactic constructions should also be examined, as one of the alternative means of expressing causative semantics, e.g.: "*mašin ubr̥zana msaxurta tvista, rata moiḡvanon nino*" ('Then he ordered his servants that they bring Nino') [Life of Kart. I, 104: 12]. This process developed in the Middle and then in Modern Georgian.

g) Other alternative means – a non-causative form – should not be excluded either, which, depending on the context, may also have the meaning of causative, e.g.: "*xolo sultani Imobier ikmna, ganbana da mravali nič mianičā*" ('And sultan got more soft-hearted, washed him and honored him with many honors') [Life of Kart. II, 219: 11]. According to the context, the grammatical subject (sultan) is only the initiator and not the agent of the action, expressed by the verb; hence, the form '**ganbana**' shall be considered as '**ganabanina**' ('made them wash him').

Indeed, Modern Georgian (and, in fact, Middle Georgian too) has morphological means of expressing the causative function; but, in certain cases, mainly for stylization, the language can also use the periphrastic production, e.g., *br̥zana moḡvana* 'ordered to bring her', *stxova moḡana* 'asked to bring it', *aiḡula tkma* 'forced to say', etc. Such type of production is common to many languages (Indo-European and other language families). For example, in English, the verbs *make*, *let*, *cause*, *have*, *get*, *force*, *help*, etc. form such kind of causative constructions.

მორფოლოგიური კაუზატივის -ინ სუფიქსისათვის ძველ სამწერლობო ქართულში

სტატია ეხება V საუკუნის I ნახევრით დათარიღებული „წმიდა ქრისტიანს წამების“ ხანმეტი ტექსტის გამოცემაში -ინ-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატიური ფორმის (თავ>[ყა]/ნიხ-ხოჴ/აცემ<ინებთ>) არსებობის შესაძლებლობას იმის გათვალისწინებით, რომ მორფოლოგიური კაუზატივის -ინ სუფიქსი ძველი ქართული ენის პირველი ქვეპერიოდის წერილობით ძეგლებში არ ჩანს, მარცვლოვან ფუძეებთან X საუკუნიდან ჩნდება და XI-XII საუკუნეებიდან მკვიდრდება.

ქართულში ფუნქციითაც და მორფოლოგიური გაფორმებითაც კაუზატიურ ფორმებს წარმოადგენენ სამვალენტიანი კაუზატივები, რომლებშიც ენის სინქრონიულ დონეზე კაუზატივის მარკერებად გამოიყოფა -ინ, -ევინ სუფიქსები (ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-თლ-ევინ-ებ-ს...). მორფოლოგიური კაუზატივი ძველ სამწერლობო ქართულში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება. მისი მანარმოებლებია უმარცვლო ფუძეებთან -ევ/-ი(ვ) (აქმნ-ევ-ს/აქმნ-ი-ა, ათქუმ-ევ-ს/ათქუმ-ი-ა...) და მარცვლოვნებთან -ი სუფიქსი, რომელიც პირველ სერიაში -ებ თემის ნიშნით რთულდებოდა (მანერ-ი-ებ-და [იაკობ. ჟამისწ. 95r: 10], თავყუანის-ვაცემ-ი-ე [ლიმ. 51: 5], მოაღებ-ი-ის [იოან. და ეფთ. 74: 23], მოადრეკ-ი-ის [იოან. და ეფთ. 70: 27]...).

ძველი სამწერლობო ქართულის პირველი ქვეპერიოდის წერილობით ძეგლებში მორფოლოგიური კაუზატივის -ინ მანარმოებელი გარდამავალ ზმნებთან არ რეალიზდება (სარჯველაძე, 1984, გვ. 473). მარცვლოვან ფუძეებთან აღნიშნული სუფიქსი დაახლოებით X საუკუნიდან ჩნდება და XI-XII

საუკუნეებიდან მკვიდრდება. **-ინ** ერთვის როგორც მარცვლოვან ფუძეს (და-ა-ნერ-ინ-ა, გა-ა-კეთ-ებ-ინ-ა...), ისე – უმარცვლოს (**-ევ/-ი(ვ)**-სუფიქსიანს) და ამ გზით ყალიბდება რთული **-ევი** სუფიქსი (ა-ქმნ-ევი-ა, ა-თქმ-ევი-ა...). **-ინ**-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატივის ფორმები დასტურდება X-XI საუკუნის ძეგლში „სიბრძნე ბალაჰვარისი“¹ (მოაღებინა [ბალავ. 33: 4]), „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“² (თაყუანის-აცემინნეს [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 244: 7, 12]), XI საუკუნის მოღვაწის, ლეონტი მროველის, თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (მოაღებინა [ქართ. ცხ. I, 95: 20]) და იმავე პერიოდის მოღვაწის, ჯუანშერის, თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“ (მოაყვანებინა [ქართ. ცხ. I, 130: 10], დაგადებინებ [ქართ. ცხ. I, 144: 18], დაატეობინა [ქართ. ცხ. I, 229: 15]).³ მართალია, ამ პერიოდიდან უკვე დასტურდება **-ინ**-სუფიქსიან სამვალენტიან კაუზატივთა ფორმები, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევაში გამორიცხული არაა რედაქტორის ხელი ვივარაუდოთ, რადგან მასში შესული თხზულებები ძველი ქართველი ისტორიკოსებისა ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით (სამი ხელნაწერი XV-XVII საუკუნეებისაა, ხოლო თერთმეტი წარმოადგენს ვახტანგის მეცნიერ კაცთა მიერ გადამუშავებულ ტექსტს). „ვეფხისტყაოსანში“ **-ინ**-სუფიქსიანი მორფოლოგიური კაუზატივის ფორმები უკვე ჩვეულებრივ გამოიყენება.

¹ ამ ტექსტის XII-XIII საუკუნეებზე ადრინდელი ხელნაწერები არ მოგვეპოვება.

² ამ თხზულების მოკლე ვარიანტს IX საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ, ხოლო ვრცელს – X საუკუნისად. მოკლე თხზულების ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნისაა (A 199), ხოლო ვრცელი წარმოადგენს სინური „ახალი“ კოლექციის X საუკუნის ხელნაწერს.

³ დანვრილებით იხ. ციხელაშვილი, 2015.

ძველი სამწერლობო ქართულის *მანერ-ი*-ებდა, *თაყუა-ნის-ვაცემ-ი*-ე... ტიპის ფორმების შესახებ ჩნდება კითხვა: რამდენად ბუნებრივია ქართულისთვის კაუზატივის მანარმოებელი სუფიქსის ოდენ ხმოვანი ელემენტით წარმოდგენა თანხმოვანი კომპონენტის გარეშე? თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში სუფიქსისთვის კანონიკურად მიჩნეულია -VC სტრუქტურა, რომელი თანხმოვანი ელემენტი უნდა ვივარაუდოთ დაკარგულად? ეს მოვლენა, კაუზატივის მანარმოებელი სუფიქსის ოდენ ხმოვნით წარმოდგენა, ძველი სამწერლობო ქართულის გარდა, დასტურდება, ასევე, საშუალსა და ახალ ქართულში, განსაკუთრებით – ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებასა და ქართული ენის დიალექტებში.

საშუალ ქართულში საკმაოდ დასტურდება ამ ტიპის ფორმები: *მომასმენიე*, *მოვალხენიე*, *ალხენიე* [ვეფხ. 1271: 1-3]; *გამაცხადებია* [ვისრამ. 202: 31]; *დააყოფიოს* [სამ. ძეგლ. III, 144: 6]... ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხის შედარება დაკარგულად /*ბ*/-ს გვავარაუდებინებს: *მოაყვანებინა* [ქართ. ცხ. I, 130: 10], *მოაყვანებია* *cet.*; *დაგატეობინებ* [ქართ. ცხ. I, 144: 19-20 Bdp], *დაგატეობიებ* CERTbs და სხვ.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისთვის აგრებიებს, აწყვეტიებს, ახატვიებს ტიპის ზმნები დიალექტურ ფორმებადაა მიჩნეული და მიუღებელია მათი გამოყენება (შალამბერიძე, 1968, გვ. 15). ოდენ ქართული სალიტერატურო ენის ვითარების გათვალისწინებით, აკეთებებებს ტიპის ფორმებში დაკარგულად /*ბ*/ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან სალიტერატურო ენამ მარცვლოვან ფუძეებთან სხვა მანარმოებელი არ იცის. ჭ. ქირია *დავანერიე* ტიპის ფორმებში დაკარგულად სწორედ /*ბ*/-ს მიიჩნევს. მისი აზრით, ამ შემთხვევაში ორიენტაციას იძლევა საყრდენი მორფემის სტრუქტურა: თუ ის არარედუცირებადია, მანარმოებლად -*ი(ნ)* უნდა ვივარაუდოთ, თუ რედუცირებადი – -*ი(ვ)* (ქირია, 1989, გვ. 44).

ამდენად, ძველი ქართულის მეორე ქვეპერიოდიდან მოყოლებული, მთელი შემდგომი პერიოდის სამწერლობო ქართულის ვითარება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მარცვლოვან ფუძეებში სამვალენტიანი კაუზატივის მანარმოებელ **-ი** სუფიქსთან დაკარგულად **/ნ/** ელემენტი ვივარაუდოთ. არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. კერძოდ, გ. მაჭავარიანის აზრით, „ძველი ქართულისთვის **ნ**’ს დაკარგვა ხმოვნებს შუა დამახასიათებელი არ არის. პირიქით, **ვ**’ს დაკარგვა ამავე პოზიციაში საცხებით კანონიერი მოვლენაა” (1988, გვ. 179). ამიტომ ძველი ქართული **და-ვ-ა-წერ-ი-ე** < ***და-ვ-ა-წერ-ივ-ე**, **მო-ა-დრეკ-ი-ის** < ***მო-ა-დრეკ-ივ-ის** და სხვ. ატჯრთვიეს, თაყუანის ვაცემიე კაუზატივებში **ი-ს -ივ** სუფიქსის ნაშთად მიიჩნევა ვ. იმნაიშვილიც (1970, გვ. 113).

საკითხის ამგვარ ახსნას მხარს უჭერს ქართული ენის დიალექტთა ვითარებაც. ხევსურულსა და გურულში მარცვლოვან ფუძეებთან **-ინ** სუფიქსის ნაცვლად **-ი(ვ)** გვაქვს (თაყაიშვილი, 1974, გვ. 21). ანალოგიური ვითარებაა იმერულშიც. ხევსურულში სუფიქსისეული **/ვ/** ელემენტი ზოგჯერ შენარჩუნებულია: **გაგათენებია, ჩამოაღებია, წაგაყვანია...** (თაყაიშვილი, 1974, გვ. 21). ა. შანიძის აზრით, **-ი-ებ** < **-ი(ვ)-ებ** დიალექტებში (კერძოდ, გურულში) არსებული ვითარების საფუძველზე (1980, გვ. 407). იმერულ-გურულის **აკეთებ-ი-ებს, აწერ-ი-ებს, ასმენ-ი-ებს** ტიპის ფორმებში გ. მაჭავარიანიც დაკარგულად **/ვ/-ს** მიიჩნევს (***აკეთებ-ივ-ებს > აკეთებ-ი-ებს...**) (1988, გვ. 78).

თუკი ძველ ან საშუალ ქართულში მარცვლოვან საყრდენ მორფემასთან დაფუძვებით კაუზატივის **-ივ** სუფიქსის არსებობას, მაშინ ისეთი შემთხვევებიც უნდა გვქონდეს, რომლებშიც **/ვ/** შენარჩუნებული იქნებოდა. კერძოდ, **-ნ-სუფიქსი** ან მრავლობითში მდგარი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი **-ნ** სუფიქსის წინ **-ივ** სუფიქსისეული **/ვ/** არ უნდა დაიკარგოს (არა აქვს მნიშვნელობა, **-ივ** კაუზატივის მორფე-

მაა, თუ – ფორმამანარმოებელი ელემენტი) (ქირია, 1989, გვ. 46). მაგრამ ეს წესი მოქმედებს ოდენ ორვალენტიან კაუზატივებში (ანვიენეს [ვეფხ. 72: 3], გაგაქციენით [ამირან. 501: 1], დავარღვიენთ [რუსუდ. 124: 33] და სხვ.). ამ ტიპის -ივ-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატივის ფორმები არსად დასტურდება. სამაგიეროდ, ხევსურულში ამ შემთხვევაში -ივ სუფიქსის /ვ/, როგორც წესი, ყოველთვის შენახულია, მაგ., ჩა-ავლიენა, ათხრიენეს... (ვეშაპიძე, 1985, გვ. 39). ამდენად, სამვალენტიან კაუზატივებში -ი-ს -ივ სუფიქსის ნაშთად მიჩნევა-საც გარკვეული დაბრკოლებები ახლავს. ამიტომ დამანერია, თაყუანის აცემია ტიპის ფორმებში ზ. სარჯველაძე მანარმოებლად ოდენ ა-ი კონფიქსს გამოყოფს და არაფერს ამბობს -ი-ს წარმომავლობის შესახებ (1984, გვ. 470; 1997, გვ. 93).

იმის გათვალისწინებით, რომ მარცვლოვან ფუძეთა მორფოლოგიური კაუზატივის მანარმოებელი -ინ სუფიქსი ძველი სამწერლობო ქართულის პირველ ქვეპერიოდში, ფაქტობრივად, არ დასტურდება, ჩვენი ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო V საუკუნის I ნახევრით დათარიღებული „წმიდა ქრისტინას წამების“ ხანმეტი ტექსტის გამოცემაში -ინ-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატიური ფორმის არსებობამ: „და თქუა: აჰა მღევნითა სატანჯველითა ვერ დამორჩილეს იგი კერპთა რად ხყოთ რადთამ<ცა თავ>(ყა)[ნის-ხოჯ]აცემ<ინებთ> კერპთა“ [ქრისტ. 6-81: 17(6)-18(7)]. აღნიშნული ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 737 და ავსტრიის ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის Georg. 2 ხელნაწერებით. ორივე ნუსხა პალიმფსესტია და ერთი მთლიანი ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენს. ზედა ტექსტი დაწერილია XIV საუკუნის ნუსხურით, ხოლო ქვედა ფენა შედგება სხვადასხვა დროს ასომთავრულითა და ნუსხურით გადაწერილი ფურცლებისგან. „წმიდა ქრისტინას წამების“ ტექსტი პალიმფსესტის ქვედა, უძველეს ფენას განეკუთვნება. ჩვენთვის საინტერესო კაუზატიური ფორმის ნაწილი,

რომელიც კაუზატივის სუფიქსს შეიცავს, ტექსტის გამოცემაში ფრჩხილებშია ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელნაწერში კარგად არ უნდა იკითხებოდეს და აღდგენილია. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გადაჭრით რამის მტკიცება გაჭირდება, ამ ფორმის ვენის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერში გადამონმება კი სირთულეებთანაა დაკავშირებული. მართალია, ი. გიპერტის რედაქტორობით განხორციელებული უძველესი ქართული პალიმფსესტების გამოცემა ფოტოტიპურია, მაგრამ, სამწუხაროდ, „წმიდა ქრისტინას წამების“ ასომთავრულით შესრულებული ხელნაწერის ქვედა ფენა მხოლოდ ზოგიერთ ფურცელზე იკითხება შედარებით კარგად, უმეტეს შემთხვევაში მისი წაკითხვა ჭირს, მით უმეტეს, ამ ტიპის გამოცემაში.

ქალბატონ ლამარა ქაჯაიას დახმარებით, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა ტექსტი, ჩვენ საშუალება მოგვეცა „წმიდა ქრისტინას წამების“ ხანმეტ ტექსტს გავცნობოდით ფოტოასლების საშუალებით, რომლებიც მას თავის დროზე მიუღია ვენიდან, ხოლო შემდეგ თავადაც გამგზავრებულია იქ უშუალოდ ხელნაწერზე სამუშაოდ. უნდა ითქვას, რომ ფოტოასლებზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ქვედა ფენის წაკითხვა, ზოგიერთი მონაკვეთის გარდა. ჩვენ მივაკვლიეთ იმ გვერდს, რომელზეც, წესით, ჩვენთვის საინტერესო ფორმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელნაწერში იკითხება აღნიშნული კაუზატიური ზმნის მხოლოდ პირველი ნაწილი (...ხოჯ/აცემ... [Georg. 2, 15vb: 18(7)]), ხოლო გამოცემულ ტექსტში ფრჩხილებში ჩასმული მეორე ნაწილი (<ინებთ>), რომელიც კაუზატივის სუფიქსს უნდა შეიცავდეს, საერთოდ არ დასტურდება, **იგი ჩამოჭრილია.**

როგორც ლ. ქაჯაია შენიშნავს, თავდაპირველი ტექსტის ერთი გვერდი, რომელიც დაწერილი ყოფილა ასომთავრულით ორ სვეტად, შუაზე გაუჭრიათ, თითოეული მათგანი გადაუკეცავთ და ამ გზით გადარეცხილი ხელნაწერის ერთი ფურცლიდან მიუღიათ რვა გვერდი (2006, გვ. 35). როგორც ჩანს,

ამ პროცესს შეენირა ჩვენთვის საინტერესო ფორმაც: მთელ ამ გვერდზე ასომთავრულით შესრულებული მარჯვენა სვეტის ნაწილი ჩამოჭრილია და ბოლო ორი ან ექვსი გრაფემა აღარ იკითხება (შესაბამისად, აღდგენილი მონაკვეთები გამოცემაში ფრჩხილებშია ჩასმული).

ამგვარად, **დაახლოებით ხუთი საუკუნით ადრე -ინ-სუფიქსიანი სამვალენტიანი კაუზატიური ფორმის არსებობის ფაქტი, ხელნაწერის მიხედვით, არ დასტურდება.** მართალია, ჩვენთვის საინტერესო სუფიქსი ჩამოჭრილ ნაწილს გაჰყვა და დღეს დაბეჯითებით რამის მტკიცება გაჭირდება, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი ხელნაწერში **-ი** სუფიქსის სახით იქნებოდა წარმოდგენილი (*ხოჯ/აცემ<ი>ბთ*). ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ამ შემთხვევაში კაუზატივის ორგანულ წარმოებასთან უნდა გვეკონდეს საქმე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მორფოლოგიური კაუზატივის **-ი-სუფიქსიანი** ფორმებიც უიშვიათესია და, ფაქტობრივად, ძველი სამწერლობო ქართულის მეორე ქვეპერიოდის ტექსტებში დასტურდება, ენის ისტორიის თვალსაზრისით, უდავოდ, ინტერესს იწვევს V საუკუნის ტექსტში ამ ტიპის კაუზატიური ფორმის არსებობის ფაქტი. აღნიშნული ტექსტი იმ თვალსაზრისითაც იყვრობს ყურადღებას, რომ მასში დასტურდება სამვალენტიანი კაუზატივის ორგანული, **-ევ/-ი(ვ)-სუფიქსიანი** წარმოებაც („... რ^ჲ მაქმნი-ოს საქმჲ კეთილი ზეცათა შინა...” [Georg. 2, 26ra: 9(9)]; „... რ^ჲ-იგი მაქმ<ნი>/ოს...” [Georg. 2, 63vb: 19(7)]).

გამოყენებული ლიტერატურა

ვეშაპიძე, ი. (1985). [ა-ივ/ევ]-კონფიქსიანი კაუზატივების I სერიის ფორმათა წარმოების ორი განსხვავებული მოდელი ქართული ენის დიალექტებში, *თსუ შრომები*, 262,

ენათმეცნიერება, 9, 35-51. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თაყაიშვილი, ა. (1974). კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, IV, 5-34. თბილისი: „მეცნიერება“.

იმნაიშვილი, ვ. (1970). კაუზატივი ძველ ქართულში, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*, X, 111-121. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაჭავარიანი, გ. (1988). კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXVII, 64-107. თბილისი: „მეცნიერება“.

სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.

სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქაჯაია, ლ. (2006). წმ. ქრისტინას წამების ხანმეტი ტექსტი, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 3, 35-59. ქუთაისი: ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქირია, ჭ. (1989). კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

შალამბერიძე, გ. (1968). *შუალობითკონტაქტიან ფორმათა წარმოების საკითხები, ქართული ენა და ლიტერატურა*

სკოლაში, 1. თბილისი: საქართველოს კვლევის განვითარების
ლობა.

შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,
თხზულებანი თორმეტ ტომად, III. თბილისი: თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ციხელაშვილი, ლ. (2015). კაუზატივის გამოხატვის პერიფერას-
ტული მოდელები ძველსა და საშუალო ქართულში, ჰუმან-
იტარული კვლევები, წელიწადი, VI, 37-58. თბილი-
სი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემ-
ლობა.

შემოკლებათა განმარტება

აგიოგრაფი. ძეგლი. I (1964). ძველი ქართული აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის ხელმძღვანე-
ლობითა და რედაქციით, I. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ამირან. (1967). მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსა-
ცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
ნ. ათანელიშვილმა. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვ-
ნება“.

ბალაძე. (1957). ბალაფარიანის ქართული რედაქციები, გამოს-
ცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულა-
ძემ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ვეფხ. (1966). შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი
ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკო-
ნიტურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რე-
დაქციით, I. თბილისი: „მეცნიერება“.

ვისრამ. (1962). *ვისრამიანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

იოან. და ეფთ. (1967). იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“.

ლიმ. (1960). იოანე მოსხი, *ლიმონარი*, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

რუსუდ. (1957). *რუსუდანიანი*, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.

სამ. ძეგლ. III (1970). *ქართული სამართლის ძეგლები: საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, III. თბილისი: „მეცნიერება“.

ქართ. ცხ. I (1955). *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბილისი: „სახელგამი“.

ქრისტ. (2007). „ქრისტინას წამება“. *Monumenta Paleographica Medii Aevi. Series Ibero-caucasic. The Old Georgian Palimpsest. Codex Vindobonensis georgicus 2. Volume 1.* Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. Brepols.

Morphological Causative Suffix -in in the Old Georgian Language

Summary

Causative forms in Georgian, according to the functional as well as morphological viewpoint, are only trivalent causatives. A few cases of morphological causatives are attested in Old Georgian, very rarely, though. It was formed by adding **-ev/-i(v)** with stems without a syllable (*a-kmn-ev-s/a-kmn-i-a* “made him/her do”, *a-tkum-ev-s/a-tkum-i-a* “made him/her say”), and with stems having a syllable – by adding **-i** suffix which in the First Series was complicated by **-eb** thematic marker (*maçer-i-eb-d-a* “(s)he made me write” [Jacob 95r: 10], *taquanis-vacem-i-e* “I made him/her worship” [Lim. 51: 5], *moaγeb-i-is* “(s)he used to make him/her bring” [Jo. and Ept. 74: 23], *moadreḱ-i-is* “(s)he used to make him/her bend” [Jo. and Ept. 70: 27]...). In A. Shanidze’s view, the latter **-i** < **-iv**. It is not ruled out to assume in this case that the /n/ element was lost, and thus we can speak about the existence of **-i(n)** suffix. The final grammaticalization of the causative function is related to the **-in** suffix, which appears in written sources from about the 10th century and becomes established from the 11th-12th centuries. **-In** is added both to stems having a syllable (*da-a-çer-in-a* “(s)he made him/her write”, *ga-a-ḱet-eb-in-a* “(s)he made him/her do”...), and stems without a syllable (those with **-ev/-i(v)** suffix) and thereby the complex suffix **-evin** is formed (*a-kmn-evin-a* “(s)he made him/her do”, *a-tkm-evin-a* “(s)he made him/her say”...).

Proceeding from the above-mentioned, the existence of the trivalent causative form with **-in** suffix in the edition of the *khanmeti* text of the “Martyrdom of Saint Christina”, dated to the first half of the 5th century, seems quite unexpected: “...tav>(qa)[nis-xu]acem<*inebt*> ḱerḱta” “we make them worship idols” [Christin.

6-81: 17(6) – 18(7)]. The text has come down to us in the form of manuscripts A737 of the National Centre of Manuscripts and Georg. 2 of the Austrian National Library. Both manuscripts are palimpsests and represent parts of a single manuscript. The text of the upper layer of the palimpsest is executed in the *nuskhuri* script of the 14th century, whereas the lower stratum is composed of leaves, copied at different times in *asomtavruli* and *nuskhuri*. The “Martyrdom of Saint Christina” is preserved in the lower, the oldest stratum of the palimpsest. A part of the causative form of my present interest, containing the suffix of causative, in the edition of the text, is inserted in brackets. This means that in the manuscript, it was not legible and is reconstructed. Naturally, in this situation, it is impossible to assert anything with confidence, whereas checking of this form in the manuscript preserved at the Austrian Vienna National Library is linked with some difficulties. Although the edition of ancient Georgian palimpsests published under the editorship of J. Gippert is phototypic, unfortunately, the lower stratum containing the “Martyrdom of Saint Christina”, executed in *asomtavruli*, is more or less legible only on a few leaves, but in most cases it is hardly discernible, the more so in an edition of this type.

With the assistance of L. Kajaia, I was able to familiarize myself with the khanmeti text of the “Martyrdom of Saint Christina” through photocopies. In due course, L. Kajaia received these materials from Vienna and later visited the city to work directly with the manuscript. It should be noted that reading the lower part of the manuscript is impossible, except for a few sections. I found the page that must have contained the form currently under study, but as expected, only the first part of the causative verb is legible (...*xu/acem*... [Georg. 2, 15vb: 18(7)]), whereas the second part, inserted in brackets in the published text (<*inebt*>), which should contain the causative suffix, is completely missing, as **it is cut off**.

Thus, **according to the manuscript, the fact of the existence of the trivalent causative form with -in suffix about five centuries earlier is not attested.** Although the suffix of my present interest was lost with the cut-off part, and it is impossible to state anything with confidence, presumably, in the manuscript it was represented as **-i** suffix (*xu]acem<iebt>*). In any case, we must be undoubtedly dealing with the organic formation of causation here. Bearing in mind that forms with the **-i** suffix of the trivalent causative are also very rare and in fact are attested in the texts of the second sub-period of Old Georgian, from the viewpoint of the history of language, the existence of this type of causative form in the text of the 5th century is certainly interesting. This text is also interesting from the viewpoint that it has preserved an example of the organic formation of the trivalent causative with **-ev/-i(v)** suffix (*makmnios* “will make me do“ [Georg. 2, 26ra: 9(9)]; *makm<ni>/os* [Georg. 2, 63vb: 19(7)]).

ქვემდებარის საკითხი მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ კონსტრუქციებში ძველ სამწერლობო ქართულში

სტატიაში განხილულია ძველ ქართულ ენაში მყოფადის პერიფრასტული წარმოების ერთი ნიუანსი, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მანამდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. კერძოდ, გარკვეულია მომართება მყოფადის გამოხატვის ორგანულ ფორმებსა (I კავშირებითისა და II კავშირებითის მწკრივებით გამოხატული) და პერიფრასტულ წარმოებას შორის (ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ანმყოს მწკრივის ფორმით წარმოდგენილ მეშველ ზმნასთან ერთად) ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური პირის (ქვემდებარის) თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ძველ სამწერლობო ქართულში თხრობითი კილოს მყოფადის შინაარსის გამოსახატავად ერთმანეთის გვერდით გამოიყენებოდა ორი სხვადასხვა საშუალება: 1) **ორგანული** – კავშირებითის მწკრივები (I კავშირებითი და II კავშირებითი) და 2) **პერიფრასტული**, რომელსაც ქმნიდა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ანმყოს მწკრივის ფორმით წარმოდგენილ ერთვალენტთან (ვარ, ხარ, არს, ვართ, ხართ, არიან) ან ორვალენტთან (მიც,¹ გიც, უც, მისხენ,² გისხენ, უსხენ) მეშველ ზმნასთან ერთად. დამოუკიდებლად გა-

¹ მიც < მიძს. ეს ზმნა ძველ ქართულში გამოიყენება სასხვისო ქცევის ფორმით, უზმნისწინოდ. ხშირად ნარმოდგენილი რთული ზმნის მეორე კომპონენტად (ძალ-მიც, ძალ-გიც, ძალ-უც).

² რიცხვში მონაცვლე ზმნაა, მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა სუბიექტი მრავლობითშია. **სხენ(ან)** ზმნას მოეპოვება მხოლოდ ანმყოსა და ანმყოს ხოლმეობითის მწკრივის ფორმები.

მოყენებული ორვალენტური ზმნების მნიშვნელობა იყო „ქონება“, „ყოლა“.¹ იშვიათად შესაძლებელია, მეშველ ზმნად გამოყენებულიყო სხვა ფორმებიც: უვის, დგას, ჯერ-არს, შეჰგავს, შეუენის, ჰვამს... (ქავთარაძე, 1971, გვ. 131-132). მათგან უფრო პროდუქტიული იყო პირველი, ორგანული წარმოება.

ძველ სამწერლობო ქართულში მყოფადის გამოხატვის ახალი ქართულისებრი წარმოება – ზმნისწინიანი ანმყო (შემდგომ – მყოფადის მწკრივი) მეტად იშვიათია, მისი ერთეული შემთხვევები თუ დასტურდება (ძირითადად, IX-X საუკუნეებში). XI საუკუნიდან ამგვარი წარმოება აშკარად მატულობს და საყოველთაოდ მკვიდრდება XVI საუკუნიდან (შანიძე, 1980, გვ. 269; ჭუმბურიძე, 1968, გვ. 55-76 და სხვ.).

მომავალი დრო თვისებრივად ირეალურია, მაგრამ პერიფრასტული მოდელით გამოხატული მომავალი დრო ძველ ქართულში ფუნქციურად განსხვავდებოდა კავშირებითის მწკრივებით გაფორმებული მყოფადისგან, რადგან იგი გარკვეული მოდალური შინაარსის მატარებელი იყო და ჰქონდა კატეგორიული, უახლოეს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი, სავალდებულო მოქმედების შინაარსი (ქავთარაძე, 1971, გვ. 130). კერძოდ, ამ მოდელით ნაწარმოები მყოფადი გამოხატავდა როგორც მომავალში აუცილებლად მოსახდენ მოქმედებას, ანუ მოქმედების **აუცილებლობას (ეპისტემური მოდალობა)**, ისე – გარკვეული ქმედების შესრულების **ვალდებულებას (დეონტური მოდალობა)**.² ა. შანიძე ამ ტიპის ფორმებს (შობად არს, ყოფად არს...) **უნდაობით ფორმებს** უწოდებს (შანიძე, 1976, გვ. 135).

¹ მაგ.: „რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი **უც** მას“ [იოვანეს გამოცხ. 12: 12]; „რამეთუ **მისხენ** ხუთნი ძმანი“ [ლ. 16: 28 FGHK...]; „...ვიდრე არა ვიტყუათა, რომელ **მისხენ** გულსა ჩემსა“ [პა-რიზ. ლექც. 24: 33].

² იხ. პალმერი, 1986.

საზოგადოდ, მყოფადის გამოხატვის აღნიშნული წარმოება კარგადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (მარტიროსოვი, 1955; ქავთარაძე, 1960; ნათაძე, 1961; კოტინოვი, 1965; ჭუმბურიძე, 1986; ქავთარაძე, 1971; შანიძე, 1980; სარჯველაძე, 1984; იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996 და სხვ.). ამჯერად შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ამ ტიპის წარმოების ერთ ნიუანსზე, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა, კერძოდ, შევეცდებით გავარკვიოთ, როგორია მიმართება მყოფადის გამოხატვის ორგანულ ფორმებსა და პერიფრასტულ კონსტრუქციებს¹ შორის ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური პირის (ქვემდებარის) თვალსაზრისით, იდენტურია თუ არა აღნიშნული ორი წარმოების ქვემდებარე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციის შედარება, თუ ისინი მყოფადის გამოხატვის განსხვავებულ საშუალებებს გამოავლენენ. ამ ტიპის მაგალითები ბევრი არაა ძველ სამწერლობო ქართულში, რასაც თავისთავად მყოფადის აღწერითი წარმოების არაპროდუქტიულობაც განაპირობებს.

მყოფადის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების შედარებაში გვიჩვენა, რომ, თუ თხრობითი კილოს მყოფადის გამოსახატავად გამოყენებული კავშირებითის მწკრივით გაფორმებული ზმნა გარდაუვალია, ერთ-ან ორვალენტიანი, მისი ქვემდებარე იდენტურია ერთვალენტიანი ყოფა მეშველზმნიანი აღწერითი მოდელის ქვემდებარისა. წარმოვადგენთ ჯერ ერთვალენტიანი ზმნების ვითარებას:

ელა მოვიდეს და კუალად აგოს ყოველი [მ. 17: 11 DE].

შდრ.: *ელა მოსლვად არს და ადგიდ-აგოს ყოველი* C.

¹ ამ ეტაპზე მხოლოდ ყოფა და ქონება-ყოლის გამოხატველ მეშველზმნიან აღწერით კონსტრუქციებს განვიხილავთ.

მითხარ ჩუენ: ოდეს იყოს ესე [მ. 24: 3 DE].

შდრ.: მარქუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე C.

მართალია, ერთი და იგივე ტექსტი ძალზე იშვიათად გვაძლევს მყოფადის გამოხატვის აღნიშნული ორი სახეობის შედარების საშუალებას, მაგრამ პრობლემას არ წარმოადგენს ოდენ პერიფრასტული მოდელის შემთხვევაში კავშირებითის მწკრივით გაფორმებული შესაბამისი ორგანული წარმოების ზმნის მითითება:

...რომელსა ჟამსა¹ მპარავი მოსლვად არს [მ. 24: 43 DEFGHIK].²

შდრ.: მპარავი მოვიდეს.³

სადა შობად არს ქრისტე? [მ. 2: 4 DEFGHIK].⁴

შდრ.: იშუეს ქრისტე.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე **ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნის** შემთხვევაშიც, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ მეშველი ზმნა აბსოლუტური აგებულებისაა, აღწერით კონსტრუქციაში ირიბი ობიექტი პირმიუმართავ უბრალო დამატება-ობიექტად გვევლინება:

და დადგით ძირი მისი კლდესა ზედა და დაფარეთ იგი

¹ ჟამსა] საჯუმილავსა HIK.

² მოცემულ მუხლში -**მცა**-ნაწილაკიანი ირეალური პირობით-შედეგობითი წინადადებაა, ამიტომ აღწერითი მყოფადის შესატყვისად ადიშის ოთხთავში უწყვეტლის მწკრივია: „იგი უწყოდეთ, რამეთუ უწყოდა თუმცა მამასახლისქმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა“ C.

³ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ სამწერლობო ქართულში თხრობითი კილოს მყოფადის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენებოდა კავშირებითის ორი მწკრივი: I კავშირებითი და II კავშირებითი, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ხშირი გამოყენებისა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანული წარმოების ნიმუშად ზმნას სწორედ II კავშირებითის მწკრივის ფორმით წარმოვადგენთ.

⁴ სადა+უკუჴ HIK. ქრისტე FG.

მინითა ვიდრე რტომდე მისა და მაგრიად დაჰნერგეთ, რადთა არა შეიძრას, რადმეთუ დიდძალი ნაყოფი გამო-
ლებად უც და ქარი სასტიკი **კუეთებად არს** მისა [აგა-
თანგ. 53: 27].

კუეთებად არს ქარი (S) მისა (O^{უბრ.}).

შდრ.: ეკუეთოს ქარი (S) მას (O^{რ.}).

მოასწავებდა ვითარმედ შეურაცხ ყოფად უც მას სოფე-
ლი და ყოველი რად არს მას შინა და **მინეწად არს** სრუ-
ლებასა სათნოებითა მოგებითა [კიმენი 218: 38].

მინეწად არს იგი (S) სრულებასა (O^{უბრ.}).

შდრ.: მიეწიოს იგი (S) სრულებასა (O^{რ.}).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტიპის პერიფრასტულ მოდელთა ქვემდებარე იდენტურია ორგანული, კავშირებითის მწკრივით გაფორმებული ზმნის ქვემდებარისა.

თუ მეშველი ზმნა რელატიური აგებულებისაა, **ორვალენ-
ტიანი გარდაუვალი ზმნის** აქტანტთა ფუნქციები როგორც ორ-
განული, ისე პერიფრასტული წარმოებისას სავსებით იდენტუ-
რია:

მოგწყლავს შენ ძლიერად გული შენი და გონებად და
ორთაგან საქმეთა ერთი უეჭუელად **შემთხუწვად გიც**
[პატერ. 61: 8].

შემთხუწვად გიც ერთი (S) შენ (O^{რ.}).

შდრ.: შეგემთხვოს ერთი (S) შენ (O^{რ.}).

... რამეთუ უწყებულ იყო მისა, ვითარმედ ფრიად **შეყუა-
რებად უც** მას კეთილი სარწმუნოებად ქრისტეს ღმრთი-

საა და მოძულებად უსხენ კერპნი ჯელით ქმნულნი [ეტი-
უდები II, 123: 21-22].

შეყუარებად უც სარწმუნოება (S) მას (O^რ).

შდრ.: შეყუარდეს სარწმუნოება (S)¹ მას (O^რ).

მოძულებად უსხენ კერპნი (S) მას (O^რ).

შდრ.: მოსძულდენ კერპნი (S) მას (O^რ).

თუ მყოფადის გამოსახატავად გამოყენებული კავშირე-
ბითის მწკრივით გაფორმებული ზმნა **გარდამავალია**, კერძოდ,
ორვალენტიანი, ეს შინაარსი პერიფრასტულად შეიძლება გად-
მოიცეს როგორც ერთვალენტიანი (**არს** მეშველზმნიანი), ისე
ორვალენტიანი (**უც** მეშველზმნიანი) მეშველი ზმნის შემცვე-
ლი პერიფრასტული კონსტრუქციებით. განვიხილოთ თითოე-
ული მათგანი ცალ-ცალკე:

ერთვალენტიან **ყოფა** მეშველზმნიან პერიფრასტულ მო-
დელში ორგანული წარმოების ორვალენტიანი გარდამავალი
ზმნის პირდაპირი ობიექტი სუბიექტად გვევლინება, ხოლო
სუბიექტი იქცევა პირმიუმართავ უბრალო დამატება-ობიექ-
ტად,² სხვაგვარად, ქვემდებარის საკითხში ისეთივე დამოკი-

¹ ე.წ. აფექტური ტიპის ზმნების სემანტიკიდან გამომდინარე, სუბი-
ექტს წარმოადგენს ის აქტანტი, რომელიც მდგომარეობის გამომ-
წვევია, სიტუაციის შემქმნელია (დანვრილებით იხ. ქვემოთ).

² თუ პერიფრასტულ კონსტრუქციაში არ ჩანს უბრალო დამატების
სახით წარმოდგენილი აგენსი, ორგანული წარმოების შესატყვის
ზმნად უფრო მისაჩნევია არა აქტივის, არამედ პასივის ფორმა, მაგ.:
„ხოლო თქუენთჳს განუმზადებია ბნელი გარესკნელი და ცეცხლი
უშრეტი, რომელსა შინა **დასჯად ხართ** საუკუნოდ“ [აგიოგრაფ. ძეგლ.
I, 210: 5-6]. შდრ.: დაისაჯნეთ თქუენ (S). თუმცა ამ შემთხვევაში გა-
სათვალისწინებელია ქართული ენის აქტიური ბუნება და ის, რომ ამ
ტიპის პასივები თავად შესაბამისი აქტივის კონვერსიულ სახეს წარ-
მოადგენენ.

დებულებაა, როგორც ზმნის პირთა კონვერსიული მიმართების დროს:

*ძალ-გიცა სასუმელი შესუმად, რომელი მე **შევსუა** [მრკ. 10: 38 DE].*

შევსუა მე (S) რომელი (O³).

შდრ.: *გიძლავს სასუმელისა შესუმად, რომელი ჩემდა **შესუმად არს** [იქვე, C].*

შესუმად არს რომელი (S) ჩემდა (O^{შბრ}).

*და ეუნყა, ვითარმედ კუალად **განახლებად არს** პირველერ ჯელითა საბანისითა [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 265: 8-9].*

განახლებად არს იგი (S) ჯელითა საბანისითა¹ (O^{შბრ}).

შდრ.: განახლოს საბან (S) იგი (O³).

მოყვანილ მაგალითებში ორგანული წარმოების ქვემდებარე უბრალო დამატება-ობიექტად გვევლინება.

ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის ეკვივალენტი **ყოფა** მეშველზმნიანი აღწერითი კონსტრუქცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც თვისობრივად პასიური კონსტრუქცია **ინაქტიური ქვემდებარით**,² პაციენსზე ორიენტირებული (და არა მოქმედების ფაქტობრივ შემსრულებელზე, აგენსზე).

ორვალენტიანი მეშველი ზმნის (მიც, გიც, უც, მისხენ, გისხენ, უსხენ) შემცველი აღწერითი კონსტრუქციის შემთხვევაშიც პერიფრასტული წარმოების ქვემდებარე ინაქტიურია

¹ ამ შემთხვევაში „ჯელითა საბანისითა“ ბერძნულით გაშუალებულ სემიტურის ფრაზეოლოგიურ კალკს წარმოადგენს და ნიშნავს: „საბანის მიერ“.

² ტერმინებისთვის: აქტიური / ინაქტიური ქვემდებარე იხ. მელიქიშვილი, 2011. ჩვენ ამ ტერმინს არ ვიყენებთ იმავე მნიშვნელობით.

და შესატყვისია ორგანული წარმოების პირდაპირი დამატება-
ობიექტისა:

და მაგრად დაჰწერგეთ, რადთა არა შეიძრას, რადმეთუ
დიდძალი ნაყოფი **გამოლებად უც** [აგათანგ. 27: 26].

გამოლებად უც ნაყოფი (S) მას (O^რ).

შდრ.: გამოიღოს მან (S) ნაყოფი (O^პ).

შვილნო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ მოიწია ჟამი ჩემი და
ესერა **დატევებად მიც** საყოფელი მიწისა ჯორცთა ჩემ-
თად... [აგიოგრაფ. ძეგლ. II, 28: 8].

დატევებად მიც საყოფელი (S) მე (O^რ).

შდრ.: დავტოვო მე (S) საყოფელი (O^პ).

რომელნი წინა ამისა მოავლინენ და რომელნი **მოვლინე-
ბად გისხენ**... [კიმენი 265: 14].

მოვლინებად გისხენ რომელნი (S) შენ (O^რ).

შდრ.: მოავლინე შენ (S) რომელნი (O^პ).

როგორც ვხედავთ, მეშველი ზმნის რელატიურობა სა-
შუალებას იძლევა, ორგანული ფორმის სუბიექტი მეშველ
ზმნასთან შეწყობილი იყოს პირმომართი ობიექტის, კერძოდ,
ირიბი ობიექტის სახით.

ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას, რომლის თანახმად, სუ-
ლიერი მდგომარეობის გამომხატველ (ე.წ აფექტურ) ზმნებში
ქვემდებარეს წარმოადგენს ზმნის სუბიექტური პირის ნიშნის
ფარდი სახელობით ბრუნვაში მდგარი აქტანტი. ძველი ქარ-
თული ენის დონეზე მაინც, ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მისა-
ღებია. ა. შანიძე მსჯელობს რა **ჰყავს** ტიპის ზმნებთან ქვემ-
დებარის საკითხზე, განიხილავს **მოსწონს** ზმნას („ლიზას ან-

დრო მოსწონს”) და ქვემდებარედ **ანდროს** მიიჩნევს, რადგან ლიზაში მოწონებას ანდრო აღძრავს, ხოლო **ლიზას** – დამატებად (შანიძე, 1981, გვ. 510). შანიძისეული სუბიექტ-ობიექტის ამგვარი კვალიფიკაცია მისაღებია თ. უთურგაიძისთვისაც, ოღონდ არა გვარის, არამედ კაუზაციის კატეგორიაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით, აქტანტის სუბიექტად მიჩნევისათვის არარელევანტურია მისი აქტიურობა-ინაქტიურობა, არსებითია, ის გვევლინებოდეს **ინიციატორის** როლში, იყოს **სიტუაციის შემქმნელი** (უთურგაიძე, 2016, გვ. 38, 52). აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, ერთგზის და ორგზის კაუზატივებში ქმედებას პირდაპირი (ატირებს ის **მას**) ან ირიბი (ანერინებს ის **მას** მას) ობიექტები ახორციელებენ, ისინი გვევლინებიან აგენსის (ეგზეკუტორის) როლში, მაგრამ სუბიექტად მაინც მოქმედების ხელმძღვანელი აქტანტი მოიაზრება (უთურგაიძე, 2016, გვ. 52). ავტორისთვის სიტუაციის შემქმნელი გათანაბრებულია კაუზატიური ზმნის ინიციატორ აქტანტთან და ზმნის ფორმაში მარკირებულია სუბიექტური პირის ნიშნით; ის აქტანტი კი, რომელსაც „სიტუაცია ექმნება“, ირიბი ობიექტია (2016, გვ. 40). აღნიშნულიდან გამომდინარე, „სტატიკური ვნებითებისა და მედიოპასივების **სუბიექტი** ქმედების გამომწვევი აქტანტია და ამ გზით იღებს ინიციატორის როლს: უკვირს **ის** მას, სძულს **ის** მას, უწერია **ის** მას...” (უთურგაიძე, 2016, გვ. 53).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინვერსია ისტორიული მოვლენაა, რადგან გულისხმობს **დიაქრონიულ ასპექტში მომხდარ ცვლილებას** ზმნის პირიანობის სემანტიკურ დონესა და მის მორფოლოგიურ გამოხატვას შორის. მაგრამ ეს ცვლილება (მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაზრდა, მიცემითში დასამული პერსონალური პირის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების უნარი და ამ გზით ინვერსიის პროცესის ერ-

თგვარი ირიბი მორფოლოგიზაცია (მელიქიშვილი, 1978)¹ ეხება არა ძველ ქართულს, არამედ მომდევნო პერიოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ტიპის ზმნები ძველი ქართული ენის დონეზე მაინც პირდაპირი წყობის ზმნებად უნდა კვალიფიცირდნენ.

თუ მყოფადის გამოსახატავად გამოყენებული კავშირებითი მწკრივით გაფორმებული ზმნა **სამვალენტია**,² რელატიური ზმნის შემცველ აღწერით კონსტრუქციაში ორგანული წარმოების სუბიექტი პირმიუმართავი უბრალო ობიექტის სახითაა წარმოდგენილი, სუბიექტის როლში შესაბამისი პირდაპირი ობიექტი გვევლინება, ხოლო ირიბი ობიექტი უცვლელი რჩება, სხვაგვარად, ისეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორც კონვერსიის შემთხვევაში:

რამეთუ უწყოდეთ, ვითარმედ უკუეთუ ქუეყანისა ესე სახლი, საყოფელი ჩუენი, დაირღუეს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუენ სახლი კელით-უქმნელი საუკუნოდ ცათა შინა. [2 კორ. 5: 1].

აღშენებული ... ჩუენ] აღშენებად მიც ჩუენ ღმრთისა მიერ [იქვე, IK].

აღშენებად მიც სახლი (S) ჩუენ (O^რ) ღმრთისა მიერ (O^{უბ}).

¹ ავტორმა პოზიციის ცვლილების შემდეგ ე.წ. აფექტური ტიპის ზმნების სუბიექტად მიიჩნია მიცემითი დასმული „განმცდელი“ პირი, მანის რიგის პრეფიქსებით მარკირებული, რადგან, მისი აზრით, იმთავითვე ამ რიგის მარკერები „**გამოსატავდნენ სულიერი მდგომარეობის (მოქმედების) სუსტ, განმცდელ სუბიექტს, ინაქტიურ სუბიექტს**“ (მელიქიშვილი, 2014, გვ. 118).

² აქ მოიაზრება ოდენ გარდამავალი ზმნები, რადგან სამვალენტია გარდაუვალი ზმნები ძველ ქართულში არ გვაქვს. ე.წ. პირთა მატება ძველი ქართული ენისთვის არ არის ნიშანდობლივი (იმნაიშვილი, 1982, გვ. 321).

შდრ.: აღმიშენოს/აღგვშენოს ღმერთმან (S) ჩუენ (O^{რ.}) სახლი (O^{პ.}).

უფროდსლა წინამცნობელობით უწინასწარმეტყუელა პეტრეს, შემდგომსა მისსა საყდრის-მპყრობელსა, თუ რაოდენნი და რაბამნი **შემთხუევად უსხენ** მას არიანოზთა მიერ [ხრონოგ. 273: 1].

შემთხუევად უსხენ რაოდენნი და რაბამნი (S) მას (O^{რ.}) არიანოზთა მიერ (O^{უბრ.}).

შდრ.: შეამთხვონ არიანოზთა (S) მას (O^{რ.}) რაოდენნი და რაბამნი (O^{პ.}).

სასწაულნი მრავალნი **ქმნად უსხენ** ღმერთსა ნეტარისა სჯმეონის მიერ, რომელნი არცა უწინარესთა მისთა და არცა შემდგომთა შეუძლონ ყოფად უფროდს ამისსა, ვიდრემდის მიიწიოს ჰამბავი მისი წინაშე მეფეთა და მთავართა [აგათანგ. 18: 13].

ქმნად უსხენ სასწაულნი (S) ღმერთსა (O^{რ.}) სჯმეონის მიერ (O^{უბრ.}).

შდრ.: უქმნნეს სჯმეონ (S) ღმერთსა (O^{რ.}) სასწაულნი (O^{პ.}).¹

¹ „და თავი მოკუეთად არს ჩემდა“ [ავთოგრაფ. ძეგლ. I, 35: 1] ტიპის აღწერით კონსტრუქციებში, რომლებშიც არ ჩანს უბრალო დამატების სახით წარმოდგენილი აგენსი, ვის მიერაც იგულისხმება მოქმედების ჩადენა, გაჭირდება შესატყვისად სამვალენტიანი აქტივის მიჩნევა (მომკუეთონ მათ მე თავი), ამიტომ შესაბამის ორგანული წარმოების ზმნად უფრო ორვალენტიანი პასივი უნდა დასახელდეს: მომეკუეთოს თავი მე. თუმცა ისევ დავსძენთ, რომ თავად ე-პრეფიქსიანი პასივები მეორეულია აქტივებთან მიმართებით, როგორც კონვერსიით მიღებული.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მყოფადის გამოხატვის ორგანული და ჩვენ მიერ განხილული პერიფრასტული წარმოების ქვემდებარე ყოველთვის არაა იდენტური. თუ კავშირებითის მწკრივით გაფორმებული ორგანული წარმოების ზმნა გარდაუვალია, ერთ- ან ორვალენტიანი, მისი ქვემდებარე იდენტურია პერიფრასტული წარმოების (როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური მეშველზმნიანი) ქვემდებარისა (მოვიდეს **ელია** – მოსლვად არს **ელია**, ეკუთნოს **ქარი** მას – კუთნებად არს **ქარი** (მისა); შეუყუარდეს **სარწმუნოება** მას – შეყუარებად უც **სარწმუნოება** მას) და ბუნებით აქტიურია ან ინაქტიური (ეს დამოკიდებულია თავად ორგანული წარმოების ქვემდებარეზე).

თუ ორგანული წარმოების ზმნა გარდამავალია, ორ- ან სამვალენტიანი, ზმნასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტი სუბიექტად გარდაიქმნება როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური მეშველი ზმნის შემცველ პერიფრასტულ კონსტრუქციებში (შევსუა **მე** რომელი – შესუმად არს **რომელი** (ჩემდა), გამოიღოს **მან** ნაყოფი – გამოღებად უც **ნაყოფი** მას; უქმნნეს **სჯემონ** ღმერთსა სასწაულნი – ქმნად უსხენ **სასწაულნი** ღმერთსა (სჯემონის მიერ)). ორგანული წარმოების გარდამავალი ზმნის შესატყვისი პერიფრასტული წარმოების ქვემდებარე, როგორც წესი, თვისობრივად არამოქმედი, ინაქტიურია, რადგან იდენტურია ორგანული წარმოების პირდაპირი ობიექტისა (პაციენსისა), სხვაგვარად, ამ ტიპის პერიფრასტული მოდელები პაციენსზე ორიენტირებული ერთგვარი პასიური ბუნების კონსტრუქციებია. არაა გამორიცხული ამ ტიპის პერიფრასტული მოდელის ქვემდებარე წარმოადგენდეს აქტიურ აქტანტსაც, თუ შესაბამისი ორგანული წარმოების ზმნა კაუზატიურია, რომლის პირდაპირი დამატება-ობიექტი გვევლინება მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებლის, აგენსის (ეგზეკუტორის) როლში, მაგ.: „იგი აროკებს **მროკველთა**“ [ოქროზ. 28: 29], შდრ.: როკვად არიან **მროკველნი**.

ორგანული და ალწერითი წარმოების ურთიერთმიმართება ქვემდებარის თვალსაზრისით ცხრილის სახით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

პერიფრასტ. წარმოება	ორგანული წარმოება 1-ვალენტ.	ორგანული წარმოება 2-ვალენტინი		ორგანული წარმოება 3-ვალენტ.
		გარდაუვალი	გარდამავალი	
მეშვ. ზმნა 1-ვალენტ.	$S = S^I$	$S = S$	$O^3 > S$	
მეშვ. ზმნა 2-ვალენტ.		$S = S$	$O^3 > S$	$O^3 > S$

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერიფრასტული მოდელით გამოხატული მომავალი დრო ძველ სამწერლობო ქართულში ფუნქციურად განსხვავდებოდა კავშირებითის მწკრივებით გაფორმებული მყოფადისგან, რადგან იგი გარკვეული მოდალური შინაარსის მატარებელი იყო და გამოხატავდა როგორც მომავალში აუცილებლად მოსახდენ მოქმედებას, ანუ მოქმედების **აუცილებლობას (ეპისტემური მოდალობა)**, ისე – გარკვეული ქმედების შესრულების **ვალდებულებას (დეონტური მოდალობა)**. როდესაც ვარსკენი ემუქრება შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჯითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არლარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“ [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 21: 7], მთქმელი სავსებით დარწმუნებულია, რომ ეს ქმედება აუცილებლად შესრულდება, უეჭველად მოხ-

¹ მეორე ნიშანი აღნიშნავს პერიფრასტული წარმოების ქვემდებარეს, ხოლო პირველი – იმავე აქტანტის ფუნქციას ორგანული წარმოებისას.

დება. ამ შემთხვევაში მყოფადის პერიფრასტული მოდელი ეპისტემური მოდალობის გამოხატველია.

ამ ტიპის წარმოება ვალდებულების მოდალობის გამომხატველიც შეიძლება იყოს: „ჰრქუა მას არქიმანდრიტმან: „ძმაო თეოდორე, პირველად გითხრობ, შენ აქა თუ იყო, ბოსტანი **მორწყვად გიც** და ძმათა შეჭამადი **ქმნად გიც**, და ჟამნი ყოველნი ძმათა თანა **ლოცვად გისხენ** დაუცადებელად და ყოველი ნებაჲ შენი დასდვა წინაშე მალლისა. ღამე არა **დანოლად ხარ** და ცისკრისა ლოცვაჲ მღჳძარებით **აღსრულებად გიც**, ქალაქად **წარსლვად ხარ** ძმათა მსახურებისათჳს” [ქრესტ. 306: 41-44]. ამ შემთხვევაში „მორწყვად გიც” ნიშნავს: უნდა მორწყა, მოსარწყავი გაქვს; „ქმნად გიც” – უნდა მოამზადო, მოსამზადებელი, გასაკეთებელი გაქვს... ანალოგიური შინაარსის მქონეა ზემოთ მოყვანილი სხვა აღწერითი ფორმებიც, რომლებიც ამ შემთხვევაში დეონტურ მოდალობას გამოხატავენ. საშუალ ქართულში მოდალური ნაწილაკების ფორმირების შემდეგ შესაძლებელი ხდება აღნიშნული მოდალური სემანტიკის **უნდა** მოდალური ნაწილაკით გამოხატვა:

*თუ მე მოგერივე, ჩემი ერთგულების ალყაც ყურში **უნდა გაიყარო** და ჩემს რჯულზედ **უნდა მოხვიდე!** [შაჰნამე 344: 28].*

*რუკა კაცმან **უნდა აღმოიკითხოს** [ქილ. და დამ. 932: 14].*

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, ზოგადად, მასდარული კონსტრუქციები, როგორც ქართულისთვის არაორგანული და სესხების გზით დამკვიდრებული, X საუკუნიდან ნელ-ნელა გადის გამოყენებიდან (მარტიროსოვი, 1955, გვ. 58), თუმცა XI-XII საუკუნეებშიც ის საკმაოდ ხშირად გვხვდება ელინოფილთა ნათარგმნ თუ ორიგინალურ თხზულებებში. ინფინიტივის გაქრობას არ გამოუწვევია მთლიანად მყოფადის აღწერითი საშუალების მოშლა, უბრალოდ, ამ მოდელმა ერთგვარი ცვლილება, ევოლუცია განიცა-

და: ვითარებითში დასმული მასდარი შეიცვალა ჯერ სახელობითში მდგარი მასდარით (ჯერ-არს **წარდგომა** „უნდა წარდგე“), შემდეგ – მიმღეობით, ძირითადად, სასუბიექტო (**მომავალ** არს „მოვა“) ან მომავალი დროის საობიექტო მიმღეობით (ვერ **განსარინებელ** არს „ვერ გადარჩება“, **მისაცემსა** ვარ „მივცემ“), ხოლო მეშველი ზმნის ანმცოს მწკრივი ჩაანაცვლა II კავშირებითის მწკრივმა (მიმცემი **ვიყო** „მივცემ“). აღნიშნულ პერიფრასტულ კონსტრუქციებში მასდარის ნაცვლად მიმღეობის გამოყენება ძველ ქართულშივე ისახება და ვრცელდება საშუალ ქართულში:

ვამ სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ... მომავალ არს საცთური [მ. 18: 7 DEFG].

... მომავალ არიან HIK.

შდრ.: *ვამ ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთური* C.

ვერ განსარინებელ არს იგი [აგიოგრაფ. ძეგლ. I, 17: 25].

შესაჩუ[ე]ნებელთა და დაკროლვილთა თანა-შემაჩუ[ე]ნებელი და დამკროლავი ვიყო [სამართ. ძეგლ. III, 182: 14-15], XIV ს.

მყოფადის მიმღეობიანი პერიფრასტული მოდელი XVIII საუკუნის ჩათვლით არცთუ იშვიათად გამოიყენება ქართულ წერილობით ძეგლებში, მეტიც, იგი დღემდე შემორჩა ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებს (აგრეთვე, მეგრულსა და სვანურს) გარკვეული სტილისტიკური ფუნქციით (მისაცემი მაქეს, წამსვლელი არა ვარ, მომვლელი არა

ვარ¹...), თუმცა, საზოგადოდ, იგი ჩანაცვლა მყოფადის გამო-
ხატვის ორგანულმა ფორმებმა (ქავთარაძე, 1960, გვ. 201).

გამოყენებული ლიტერატურა

იმნაიშვილი, ი., იმნაიშვილი, ვ. (1996). *ზმნა ძველ ქართულში*,
I. მაინის ფრანკფურტი.

იმნაიშვილი, ი. (1979). *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რე-
დაქცია*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.
იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გა-
მომცემლობა.

კოტინოვი, ნ. (1965). ვითარებითში დასმული მასდარის ფუნ-
ქციები ძველ ქართულში, *თელავის პედაგოგიური ინ-
სტიტუტის შრომები*, V.

იმნაიშვილი, ი. (1982). ზმნის პირები და პირთა კლება და მა-
ტება, *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია*, ტ. I,
ნაწ. II, 316-347. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა.

მარტიროსოვი, ა. (1955). მასდარული კონსტრუქციის გენეზი-
სისათვის ძველ ქართულში, *იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერება*, VII, 43-59. თბილისი: საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მელიქიშვილი, დ. (1978). „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გა-

¹ სასუბიექტო მიმღეობიანი კონსტრუქციები, ძირითადად, უარყო-
ფით წინადადებაში გამოიყენება.

საჭირი, *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, 4, 126-139. თბილისი: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

მელიქიშვილი, დ. (2014). *ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი*. თბილისი: „ლოგოსი“.

მელიქიშვილი, ი. (2011). სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-არააქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში, *ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი*, 325-333. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნათაძე, ნ. (1961). მყოფადისათვის ქართველურ ენებში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, II, 29-51. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

პალმერი, ფ. რ. (1986). Palmer, F. R. *Mood and Modality*. Cambridge: Cambridge University Press.

სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.

უთურგაიძე, თ. (2016). *ქართული ენობრივი სისტემის საკითხები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქავთარაძე, ი. (1960). მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XII, 199-208. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქავთარაძე, ი. (1971). აღწერითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ძველ ქართულში, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1, 129-141. თბილისი: „მეცნიერება“.

შანიძე, ა. (1945). *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით* (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1980). *თხზულებანი თორმეტ ტომად: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1981). გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, *თხზულებანი თორმეტ ტომად: ქართული ენის სტრუქტურის საკითხები*, II. თბილისი: „მეცნიერება“.

ჭუმბურიძე, ზ. (1968). მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 11, 55-76. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭუმბურიძე, ზ. (1986). *მყოფადი ქართველურ ენებში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებათა განმარტება

აგათანგ. (1960). აბულაძე, ი., აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული თარგმანი, *კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, II. თბილისი: სა-

ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

აგიოგრაფ. ძეგლ. I (1964). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.)*, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

აგიოგრაფ. ძეგლ. II (1967). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI-XV სს.)*, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“.

ეტიუდები II (1945). კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

იოვანეს გამოცხ. (1961). იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 7, 1-205. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიმენი (1918). *ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*, ნაწ. I, კომენი, ტ. I, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის ტექსტები, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა.

- 2 კორ. (1974). პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძონენიძემ და კ. დანელიამ, ა. შანიძის რედაქციით, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 16. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ოქროზ. (1996-1999). წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებად მათეს სახარებისად: თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი-სა, წიგნი გამოსაცემად მომზადდა ათონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია „ორიონში“, I-III. თბილისი: „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.*
- პარიზ. ლექც. (1997). *ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი: ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები*, ტ. I, ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- პატერ. (1966). *შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები*, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა. თბილისი: „მეცნიერება“.
- სამ. ძეგლ. III (1970). *ქართული სამართლის ძეგლები: საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, III. თბილისი: „მეცნიერება“.
- ქილ. და დამ. (1975). *ქილილა და დამანა*, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარე-

ბი და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ. თბილისი: „მერანი“.

ქრესტ. (1946). ს. ყუბანეიშვილი, *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შაჰნამე (1974). *შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები*, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. კობაიძემ, III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხრონოგ. (1920). ს. ყაუხჩიშვილი, *ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისად*. ტფილისი: „სახალხო საქმე“.¹

C – ს.ი.ე.მ. 22, ადიშის ოთხთავი (897 წ.)

D – H 1660, ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.)

E – A 1453, პარხლის ოთხთავი (973 წ.)²

F – ურბნისის ოთხთავი (XI ს.)

G – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.)

H – A 1335, ვანის ოთხთავი (XII-XIII სს.)

I – ეჩმიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.)

K – Q 908, გელათის ოთხთავი (XII-XIII სს.)³

¹ვისარგებლეთ *Titus*-ის კორპუსით: <http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/>

²წინათონური რედაქციებისთვის იხ. შანიძე, 1945.

³ათონური პერიოდის ვერსიებისთვის იხ. იმნაიშვილი, 1979.

The Issue of the Subject in the Periphrastic Models of Future Tense in Old Georgian

Summary

In Old literary Georgian, the future tense indicative mood was denoted by two parallel forms: 1) **organic** – subjunctive tenses, and 2) **periphrastic**, formed by the masdar in the adverbial case followed by the mono-personal (*ars* “is”) or bi-personal (*uc* “has”) auxiliary verb in the present tense. For instance, *šeslvad xar* “you will enter“, *aγšenebad mic* “I will build“... In certain rare cases, other auxiliary verbs were also used.

The future tense expressed by a periphrastic model had certain modal semantics in Old Georgian. It had the categorical semantics of an obligatory action to be performed soon. Being one of the forms of the infinitive construction, it is considered to have been borrowed from Greek and widespread in Old Georgian by way of translation.

The above-mentioned model of the future tense has been thoroughly studied in Georgian linguistic literature. The given paper focuses on one of the aspects of this model, namely, the issue of the subject in the periphrastic models of the future tense. Of special interest in this regard is the comparison of various versions of the same text.

If the subjunctive verb used to denote the indicative mood of the future tense is intransitive, either monopersonal or bipersonal, its subject is, in fact, identical to the subject of the periphrastic model with the auxiliary verb *gopa* “to be.” In this case, the subject is **active**, e.g., *Elia movides* “Elia will come” [Matt. 17: 11 DE] – *Elia moslvad ars* [C]; *Kari eḡuetos mas* “the wind will strike it“ – *kari ... ḡuetebad ars misa*.

If the bi-personal verb of the organic formation is transitive, its direct object becomes a subject in the periphrastic model with monopersonal auxiliary verb *gopa*, whereas the subject is either lost or turns into an impersonal oblique object. In other words, **the relation is the same as in the case of conversion: *romeli me* (S)**

ševsua “that I will drink” [Mk. 10: 38 DE] – *romeli (S) čemda šesumad ars* [C]. This future tense construction may be characterized as **a passive construction with an inactive subject**.

In case of periphrastic constructions containing a bi-personal auxiliary verb, the subject is also **inactive** and corresponds to the direct object of the organic formation: *arɣara ixilon mat (S) moɣuari tuisi* “they will not see their confessor” – *arɣara xilvad uc moɣuari (S) tuisi* [Xangt. 310: 40].

The same principle of conversion is used in the periphrastic model of the future tense with tri-personal active voice formed by means of the subjunctive tense.

გიგლიურ ნიგნთა ძველი ქართული
პერსიების თარგმანის ტექნიკის
საკითხები

ISSUES OF THE TRANSLATION
TECHNIQUES OF THE OLD GEORGIAN
VERSIONS OF BIBLICAL BOOKS

მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების (მიმღებობის) გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

ნაშრომი ეხება სეპტუაგინტის ბერძნულისთვის დამახასიათებელ ებრაიზმს – მეტყველების წრის (*verba dicendi*) ერთზე მეტი ზმნისა თუ აქტიური მიმღებობის პლეონასტურ გამოყენებას პირდაპირი ნათქვამის წინ და ამ ტიპის კონსტრუქციების ქართულად გადმოღების წესებს თარგმანის განსხვავებული სტილის გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი პირველადაა გამოწვლილვით შესწავლილი და ინტერესს იწვევს თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით.

1. შესავალი. ცნობილია, რომ სეპტუაგინტის ბერძნულისთვის დამახასიათებელია მეტყველების წრის ერთი ან ერთზე მეტი ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის (აქტიური მიმღებობის) გამოყენება პირდაპირი ნათქვამის წინ, რაც ებრაიზმს წარმოადგენს, მაგ.: *καὶ ἀπεκρίθησαν καὶ εἶπαν* [ზაქარია 1: 6]. სტატიის მიზანია ამ ტიპის ზმნების (თქმის სემანტიკური ველის, *verba dicendi*) ქართულად თარგმნის საკითხის შესწავლა როგორც ეკვივალენტების შერჩევის, ისე გრამატიკული, ანუ მორფოსინტაქსური, კუთხით.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ ბიბლიის მცირე წინასწარმეტყველთა¹ წიგნებისა და არაკანონიკური ბარუქის წიგნის ქართული ვერსიები. ამ მხრივ ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტმა გარკვეული

¹ ბიბლია შეიცავს თორმეტი მცირე წინასწარმეტყველის წიგნს: ოსე/ჴსე, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია და მალაქია.

თავისებურება გამოავლინა დანარჩენ წიგნებთან შედარებით, ამიტომ ნაშრომში აქცენტი ამ ტექსტის მონაცემებზეა გაკეთებული.

წინასწარმეტყველთა წიგნების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე გარკვეულია, რომ მათი ძველი ქართული თარგმანის დედნის ენა ბერძნული უნდა ყოფილიყო (ქურციკიძე, 1973; ცქიტიშვილი, 1976; ხარანაული, 2013; გულედანი, 2014; მაგრაქველიძე, 2019; ლურსმანაშვილი, 2020 და სხვ.). *ზაქარიას წინასწარმეტყველება* და, ზოგადად, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ქართული ბიბლიური თარგმანები ქმნიან ტექსტის ორ ფორმას: პირველი წარმოადგენს **ძველ თარგმანს**, რომელიც დაცულია **ოშკისა** (ათონის ივერიის მონასტრის Ivir. Geo. №1 ხელნაწერი, 978 წ.) და **იერუსალიმის** (იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის Jer. Geo. 7/11 ხელნაწერი, XI ს.) ბიბლიების ნუსხებში, ხოლო მეორე არის ულტრაელინოფილური/ გელათური თარგმანის სტილით შესრულებული ვერსია, რომელიც დაცულია **გელათის** (A 1108 ავტოგრაფული ნუსხა, XII ს.), **მცხეთურ** (A 51 ხელნაწერი, XVII-XVIII სს., იგივე საბას ბიბლია) და **ბაქარის** (A 455, ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვური გამოცემა) ბიბლიებში.¹

ქართულ ვერსიებს შორის არსებულ სხვაობას შეიძლება განაპირობებდეს: ა) სხვადასხვა ტრადიციის მატარებელი ბერძნული დედნის არსებობა; ბ) მთარგმნელთა განსხვავებული სტილი და ტექნიკა; გ) გადამწერის მიერ შეტანილი ცვლილებები. *ბარუქის წიგნის* მაგალითზე ც. ქურციკიძემ დამაჯერებ-

¹ წინასწარმეტყველთა ტექსტებს შეიცავენ, აგრეთვე, ლექციონარები. მაგ., *ზაქარიას წინასწარმეტყველებას* შეიცავენ პარიზის (Geo. №3, X-XI სს. მიჯნა), ლატალის (X ს.), სინისა (Sin 37, 982 წ.) და კალის/ლაგურკის (Q 1653, X ს.) ლექციონარები.

ლად აჩვენა, რომ **ძველი და გელათური ვერსიები ერთი ტრადიციის ბერძნული დედნიდან მომდინარეობს**, გელათური ვერსია წარმოადგენს არა ახალ, დამოუკიდებელ თარგმანს, არამედ ძველი თარგმანის (ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიების ხელნაწერებში დაცული რედაქციის) **ბერძნული სეპტუაგინტის ტექსტთან შეჯერების შედეგად მიღებულ რედაქციას** (ქურციკიძე, 1973, გვ. 249-253). ამასთანავე, გელათის ბიბლიის A 1108 ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფულ ნუსხას, რაც გამოირჩევა გადამწერის ჩარევას. ამდენად, წესით, ის ცვლილებები, რომლებიც შეაქვს გელათელ მთარგმნელ-რეცენზენტს ძველ თარგმანში ბერძნული დედნის ადეკვატურად გადმოღების მიზნით¹ მხოლოდ თარგმანის განსხვავებული სტილითა და ტექნიკით შეიძლება აიხსნას, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ A 1108-ში რვანიგნეულს განსხვავებული ხელით² შესრულებული წინასწარმეტყველების წიგნები მოგვიანებით უნდა დამატებოდა და შეკრულიყო ერთად.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების შემცველი ბიბლიის ქართული ვერსიების ბერძნულ დედანთან მიმართების შესწავლის საფუძველზე, სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ, რა განსხვავებას გვიჩვენებენ ძველი და გელათური ტიპის თარგმანები/რეცენზიები პირდაპირ ნათქვამთან გამოყენებული *მეტყველების* წრის ზმნებისა თუ მიმღებების ქართულად გადმოტა-

¹ **საბასა და ბაქარის ბიბლიები** ამ ნაწილში A 1108 ხელნაწერს ეყრდნობა და, შესაბამისად, **გელათური ვერსიის იდენტურია**. მიზეზი ისაა, რომ საბას ბიბლიაში წინასწარმეტყველთა წიგნები ჩაკინძულია წინასწარმეტყველთა წიგნების 1710-1711 წლის თბილისური გამოცემიდან, რომელიც A 1108 ხელნაწერის მიხედვით შესრულდა (ინგოროყვა, 1939, გვ. 125). იმავე 1710-1711 წლის გამოცემიდან არის გადაბეჭდილი ეს წიგნები ბაქარის ბიბლიაშიც.

² არ არის გამორიცხული, ორივე ხელი ერთ პიროვნებას მიეწერებოდეს.

ნის საკითხში, რა განსაზღვრავს ამ სხვაობას და როგორ ვლინდება იგი თარგმანის განსხვავებული სტილით შესრულებულ ტექსტებში.

2. პირდაპირ ნათქვამთან გამოყენებული მეტყველების წრის ზმნები/მიმღებები მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში. ცნობილია, რომ პირდაპირი ნათქვამი სინტაქსურად წარმოადგენს პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებას, რომლის მთავარ წინადადებაში მეტყველების წრის ერთზე მეტი ზმნა/მიმღებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს უკანასკნელი უსწრებს დაქვემდებარებულ წინადადებას (1, 8, 9, 10, 11...). ცნობილია, რომ, როგორც ბიბლიის ბერძნულისთვის, ისე ძველი ქართული ნათარგმნი თუ ორიგინალური ლიტერატურისთვის პირდაპირი ნათქვამის არსებობის შემთხვევაში სწორედ ეს წყობაა დამახასიათებელი (ერთელიშვილი, 1962, გვ. 172). იშვიათ შემთხვევებში პირდაპირი ნათქვამის მომდევნოდ (2) ან გათიშვისას (3, 22) მეტყველების წრის ერთი ზმნაა წარმოდგენილი:

(1) ამოს 7: 14 *καὶ ἀπεκρίθη Ἀμὰς καὶ εἶπεν πρὸς Ἀμασιαν*

მიუგო ამოს და **ჰრქუა** ამასიას: OJ

და **მიუგო** ამმოს და **თქუა** ამასიადს მიმართ: SB

(2) ამოს 7: 3 ... *καὶ τοῦτο οὐκ ἔσται λέγει κύριος*¹

„და ესე არა იყოს“, – **იტყვს** უფალი. OJ

„და ესე არა იყოს“, – **თქუა** უფალმან. GSB

(3) მალაქია 1: 2 *οὐκ ἀδελφός ἦν Ἡσαὺ τοῦ Ἰακωβ λέγει κύριος καὶ ἡγάπησα τὸν Ἰακωβ*²

¹ λέγει] ειπε(ν) C-68-613

² om. λέγει κύριος 1° W' Arab

არა ძმა იყო ესავე იაკობისი? – **იტყვს** უფალი. – და შე-
ვიყუარე იაკობი. OJ

არა ძმა იყო ისავე იაკობისი? – **იტყვს** უფალი. – და შე-
ვიყუარე იაკობი. SB

2.1. მეტყველების წრის ერთი ზმნა/მიმღეობა პირდაპირი ნათქვამის წინ. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ბიბლიის როგორც ძველ, ისე გელათურ ვერსიებში პირდაპირი ნათქვამის წინ მაშინაა წარმოდგენილი მხოლოდ ერთი პირიანი ზმნა **სიტყუა/თქუმა/რქუმა** (ან გელათის ბიბლიაში – **მეტყუელი** მიმღეობა), თუ სეპტუაგინტაში შესაბამის ადგილას **ლყა** („ვამბობ, ვცეხები“) ზმნის პირიანი ფორმა (4, 5, 6) ან ნომინატივში მდგარი ანმყო დროის აქტიური მიმღეობა/პარტიციპიუმი დასტურდება (7).¹ ცნობილია, რომ ბერძნულში **ლყა** სუბლექტიური წარმოებებისაა (**ლყეი** – ანმყო, **εἶπεν** – აორისტი). ძველ ქართულში მისი შესატყვისი **იტყვს/ეტყვს** ზმნაც სუბლექტიურად აწარმოებს მწკრივის ფორმებს და II სერიაში **თქუა/პრქუა** ზმნები ენაცვლება:

(4) ბარუქ 1: 10 **καὶ εἶπεν**² ἰδοὺ ἀπεστείλαμεν πρὸς σὺν ἄρχιερεῖσιν...

და **თქუეს**: აჰა ესერა, მიგიძღუანეთ თქუენ ვეცხლი... OJ

და **თქუეს**: აჰა წარმოვგზავნეთ თქუენდა ვეცხლი...
GaSB

(5) ზაქარია 2: 2 **καὶ εἶπα** πρὸς αὐτόν ποῦ σὺ πορεύῃ **καὶ εἶπεν** πρὸς με διαμετρήσαι τὴν Ἱερουσαλὴμ...³

¹ ამ უკანასკნელის ეკვივალენტად გელათის ბიბლიაში **მეტყუელ** სასუბიექტო მიმღეობა იქნება წარმოდგენილი.

² **εἶπεν** – აქტივი, აორისტი, მე-3 პირი, მრ. რ.

³ **εἶπα**] εἶπον V L’-613 Th.

და **ვარქუ** მას: ვიდრე ხუალ შენ? და **მრქუა** მე: განზომად
იერუსალჴმისა... OJ

და **ვთქუ** მისადმი: სადა წარხუალ შენ? და **თქუა** ჩემდა-
მო: განზომად იზრუსალიმისა... GSB

- (6) ზაქარია 8: 20 *τάδε λέγει ὁ κύριος παντοκράτωρ ἔτι ἤξουσιν λαοὶ
πολλοὶ ...*

ამას **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი: მერმე მო-ვე-
ლა-ვიდენ ერნი მრავალნი... OJ

ამათ **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი: მერმე მოვი-
დენ ერნი მრავალნი... SB

- (7) მიქია 2: 4 *ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκεῖνῃ λημφθήσεται ἐφ' ἑμᾶς παραβολή καὶ
βρῆνῃθήσεται βρῆνος ἐν μέλει λέγων²*

მას დღესა შინა მოიღოს იგავი ესე თქუენ ზედა და გგო-
დებდენ თქუენ გოდებასა შესხმით და **თქუან**: OJ

მას დღესა შინა მოღებულ იქმნეს თქუენ ზედა იგავი და
იგოდებოს გოდებაჲ კილოთა **მეტყუზლი**: GSB

**2.2. მეტყველების წრის ერთზე მეტი ზმნა/მიმღეობა პირ-
დაპირი ნათქვამის წინ.** მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების-
თვის პირდაპირი ნათქვამის წინ დამახასიათებელია მეტყველე-
ბის წრის ერთი ან ორი ფორმის გამოყენება.³ თორმეტი წიგნი-

¹ **λέγει** – აქტივი, ანმყო, მე-3 პირი, მხ. რ.

² **λέγων**] λεγοντων Wc L'–36-613 LaC Arm Cyr.F Th.Tht.Hi.

³ ერთ შემთხვევაში იონას წინასწარმეტყველებაში დავადასტურეთ
სამი ფორმაც:

იონა 3: 7 *καὶ ἐκρηύχθη καὶ ἐρρέθη ἐν τῇ Νινευῇ παρὰ τοῦ βασιλέως καὶ παρὰ
τῶν μεγιστάνων αὐτοῦ λέγων... LXX*] და **იქადაგა** და **იოქუა** ნინე-
ვის შინა მეფისა მიერ და მთავართა მისთა მიერ და **თქუეს**: OJ

დან ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზაქარიას წინასწარმეტყველება, რომლისთვისაც ამავე პოზიციაში ნიშანდობლივია მეტყველების წრის როგორც ერთი ან ორი (14, 17, 25, 28), ისე სამი ფორმის გამოყენებაც (8, 9, 10, 23, 24, 38, 27):¹

(8) ზაქარია 4: 6 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς με λέγων...*²

და მომიგო და მრქუა მე:³ OJ

და მომიგო და თქუა ჩემდამო მეტყუწლმან: SB

(9) ზაქარია 4: 5 *καὶ ἀπεκρίθη ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἑμοὶ καὶ εἶπεν πρὸς με οὐ γινώσκεις τί ἐστὶν ταῦτα*⁴

და მომიგო და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი-იგი მეტყოდა მე, და მრქუა: არა იცია, რაჲ არიან ესენი? OJ⁵

და მომიგო ანგელოზმან, მზრახვალმან ჩემ შორის, მეტყუწლმან ჩემდა მომართ: არა იცია, რაჲ არიან ესენი? SB

(10) ზაქარია 4: 4 *καὶ ἐπηρώτησα καὶ εἶπον πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἑμοὶ λέγων τί ἐστὶν ταῦτα κύριε*⁶

და იქადაგა და ითქუა ნინევს შინა მეფისა მიერ და დიდ-დიდ-თა მისთა მეტყუწლთა: SB

¹ 27-ე მაგალითში ბერძნულში *λαλῶν* მიმღეობა მთქმელს არ მიემართება.

² om. κ. εἶπε LI' 26 | λέγων 1° | καὶ εἶπεν 26; > 410 AchSaAeth Arm.

³ ძველ თარგმანში *λέγων* მიმღეობა უთარგმნელადაა დატოვებული.

⁴ ἀπεκρίθη] + μοι 410 | πρὸς με W' 538 AchSaArm Didymus p. 628 Hi. = M] > A' Ath. II557; + λεγων rel.; πρὸς με ◊ πρὸς με(v. 6) S* | εἶπα] εἶπον L' Th.

⁵ და მომიგო... რომელი-იგი]– J. და მრქუა]– O.

⁶ ἐπερωτησα 87*?-68 26 198 Cyr.p; ἐρωτησα 534 | εἶπα W] εἶπον B-S L' Th. | om. λέγων V A Co (hab. BoLit) Arm

და ვჰკითხე ანგელოზსა მას, რომელი-იგი მეტყოდა, [და]
ვთქუ: რად არიან ესენი, უფალო? OJ¹

და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა
ჩემ შორის, მეტყუწლმან: რა არიან ესენი, უფალო? SB

ბოლო მაგალითში სეპტუაგინტაში პირდაპირი ნათქვამის
წინ ოთხი ფორმა იყრის თავს (ორი ზმნა და ორი მიმღებობა),
თუმცა *τὸν λαλῶντα* მიმღებობა არ მიემართება მეტყველ პირს,
ქვემდებარეს.

როგორც წესი, სეპტუაგინტაში პირდაპირი ნათქვამის წინ
მაშინაა გამოყენებული მეტყველების წრის ერთზე მეტი (რო-
გორც წესი, ორი) ზმნა/მიმღებობა, თუ პირველ ფორმად გვევლი-
ნება გარკვეული ზმნები: *ἀποκρίνομαι* „ვუპასუხებ, მიუვებ“;
ἐπερωτάω „ვეკითხები“; *ἀπαγγέλλω* „ვამცნებ, ვატყობინებ, ვაც-
ხადებ“; *ἐντέλλω* „ვეუბრძნებ, ვამცნებ“; *ἀναβιβάζω* „ვეყვირი“; *βιβάζω*
„ვეყვირი“; *λαλέω* „ვამბობ, ბევრს ვლაპარაკობ“; *θρηγέω* „მოვ-
თქვამ, ვგოდებ“; *ἀνακράζω* „ვეყვირი, ვლაღადებ“ და სხვ. აღნიშ-
ნულ ზმნებთან პლეონასტურად გამოყენებულ მეორე ფორმას
წარმოადგენს შედარებით ნეიტრალური სემანტიკის *λέγω*
ზმნის² როგორც პირიანი ფორმა (აორისტში) (1, 11, 12, 13, 14,
17, 18), ისე *λέγων* ანმყო დროის უარტიკლო აქტიური მიმღებობა
(15, 16, 28), ამიტომ ეს უკანასკნელი გელათის ბიბლიაში ყო-

¹ ვჰკითხე J. მეტყოდა... უფალო]– J.

² *λέγω* ზმნის ერთგვარ ნეიტრალურ სემანტიკაზე მეტყველებს თუნ-
დაც მისი ხშირად გამოყენება *ἀποκρίνομαι* და *ἐπερωτάω* ზმნების ნაც-
ვლად. იმავეს თქმა შეიძლება ქართულში სიტყუა/თქუმა/რქუმა ზმნის
შესახებაც, რომელიც ხშირად მიუგო და ჰკითხა ზმნების სინონიმად
გვევლინება: და ჰრქუა უფალმან იონას: ფრიად შეწუხებულ ხარ შენ?
და თქუა იონა: ფრიად შეწუხებული ვარ მე ვიდრე სიკუდიდმდე. [იო-
ნა 4: 4]

ველთვის **მეტყუელი** სასუბიექტო მიმღეობითაა თარგმნილი და არა **მთქმელი** მიმღეობით. **ლესა** ყოველთვის **მთავარი წინადადების ბოლოსაა**, უშუალოდ პირდაპირი ნათქვამის წინ. მეტყველების წრის ძირითად ზმნასთან მსგავსი/იმავე მნიშვნელობის მექონე მიმღეობის პლეონასტურად გამოყენება ებრაიზმს წარმოადგენს.¹ ასეთი მიმღეობა მიუთითებს მთავარი ზმნით გამოხატული მოქმედების ვითარებას. **ლესა** მიმღეობის შესატყვისად ებრაულში არის **וְהָאֵל** (თქმა ინფინიტივის ფორმით).²

(11) ამოს 3: 9 *ἀπαγγέλατε χάριαις ἐν Ἀσσυρίοις καὶ ἐπὶ τὰς χάρας τῆς Αἰγύπτου καὶ εἰπάτε...*

მიუთხარო სოფლებსა ასურასტანელთასა და სოფლებსა ქუეყანისა ეგვპტისასა და **არქუთ** მათ: OJ

მიუთხარო სოფლებსა ასსურასტანელთა შორის და სოფლებსა მიმართ ეგვპტეს შინა და **არქუთ**: SB

(12) იონა 1: 14 *καὶ ἀνεβόησαν πρὸς κύριον καὶ εἶπαν...*

და **ლაღად-ყვეს** უფლისა მიმართ და **თქუეს**: OJ

და **ჭმა-ყვეს** უფლისა მიმართ და **თქუწს**: GSB

(13) იონა 3: 4 *καὶ ἐκήρυσξεν καὶ εἶπεν...*

და **ინყო ქადაგებად** და **თქუა**: OJ ³

და **ქადაგა** და **თქუა**: SB

(14) ზაქარია 4: 12 *καὶ ἐπηρώτησα ἐκ δευτέρου καὶ εἶπα πρὸς αὐτόν...*⁴

და **ვჭკითხე** კუალად მეორედ და **ვარქუ** მას: OJ

¹ მას **სემიტურ იდიომსაც** უწოდებენ (უოლესი, 1966, გვ. 649-650).

² ბლასი, დებრანერი, 1961, გვ. 217.

³ თქუა]ჰქა O.

⁴ ἐπερωτησα 22* 26 198 | ειπον L' C-68 Th.

და **ვპკითხე** მეორედ და **ვთქუ** მისდა მიმართ: SB

(15) ამოს 2: 12 ... *καὶ τοῖς προφήταις ἐνετέλλεσθε λέγοντες...*

... და წინანარმეტყუელთა მათ **ამცნებდით** და **ეტყოდით**:

OJ

... და წინაღსწარმეტყუელთა **ამცნებდით** **მეტყუელნი**: SB

(16) ანგია 2: 1 *ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων*

იტყოდ¹ უფალი კელითა ანგეა წინანარმეტყუელისადთა

და **თქუა**: OJ

თქუა უფალმან კელითა ანგეა წინაღსწარმეტყუელისა-
თა, **მეტყუწლმან**: SB

ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში უფრო ხშირია შემთხვე-
ვები, როდესაც აორისტში მდგარ *ἀπεκρίθη* ზმნას მოსდევს აო-
რისტშივე მდგარი *εἶπεν* ზმნა (ზაქარიას წინასწარმეტყველება-
ში ასეთი რვა შემთხვევა დავადასტურეთ, ხოლო სხვა წინას-
წარმეტყველთა წიგნებში – ექვსი). როგორც სამეცნიერო ლი-
ტერატურაშია აღნიშნული, ებრაულში **მიუგო/უპასუხა** ზმნას
მოსდევს არა მარტო **וַיֹּאמֶר**, არამედ – **וַיִּשָּׁאֵל** ($waw^2 + თქმა$ იმპერ-

¹ *λαλέω* ზმნა ბერძნულში აორისტშია (*ἐλάλησεν*), მაგრამ ძველ თარ-
გმანში უწყვეტლის მწკრივითაა გადმოტანილი. შეიძლება გვეფიქ-
რა, რომ ამის მიზეზი ტავტოლოგიის თავიდან აცილება უნდა ყოფი-
ლიყო (თქუა... თქუა), მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც,
რომ სხვა შემთხვევებშიც ამ ზმნის აორისტის ფორმა (24) თუ მიმღეო-
ბა (10, 26, 27) ძველ თარგმანში უწყვეტლის მწკრივითაა გადმოტანი-
ლი. როგორც ჩანს, იგი მეტყველების **პროცესის** („ვამბობ, ბევრს ვლა-
პარაკობ“) გამომხატველ ზმნად მიაჩნდათ. გელათის ბიბლია ზუსტ
ფორმალურ თარგმანს გვთავაზობს.

² ებრაული waw consecutivum-ის შესატყვისია სეპტუაგინტაში *καὶ*, ხო-
ლო ქართულში – და. ვრცლად ამის შესახებ იხ. დანელია, 1998ბ.

ფექტში), რომლის შესატყვისად სეპტუაგინტაში წარმოდგენილია *καὶ εἶπεν*.¹

(17) ზაქარია 1: 6 ... *καὶ ἀπεκρίθησαν καὶ εἶπαν* *καθὼς παρατέτακται*
κύριος παντοκράτωρ τοῦ ποιῆσαι κατὰ τὰς ὁδοὺς ἡμῶν

...**მიუგეს და ჰრქუეს**: ვითარცა განწყობილ არს უფალი ყოვლისა მპყრობელი ყოფად ჩუენდა გ ზათაებრ ჩუენთა ...OJ

... და **მიუგეს და ჰრქუეს**: ვითარ-იგი განანესა უფალმან ყოვლისა მპყრობელმან ყოფად თქუწნდა გ ზათაებრ თქუწნთა... SB

(18) ამბაკუმ 2: 2 *καὶ ἀπεκρίθη πρὸς με κύριος καὶ εἶπεν*:

და **მომიგო** მე უფალმან და **მრქუა**: OJ

და **მომიგო** ჩემდამო უფალმან და **თქუა**: SB

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირდაპირი ნათქვამი სინტაქსურად წარმოადგენს პირდაპირდამატებით დამოკიდებულ წინადადებას, ამიტომ ამ ტიპის დაქვემდებარება მთავარ წინადადებაში გულისხმობს *მეტყველების* წრის გარდამავალ ზმნას. ჩვენი აზრით, ამავე ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ, *მეტყველების* წრის ძირითადი ზმნის ნაცვლად, გარდაუვალი ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის მქონე „და **იყო სიტყუა**“ ტიპის შესიტყვება, რომელიც ბერძნული „*καὶ ἐγένετο λόγος*“-ის ზუსტი თარგმანია და ებრაიზმს წარმოადგენს (მდრ. ებრაულში: וַיְהִי דְבַר (waw + ყოფნა იმპერფექტში + სიტყვა/ლაპარაკი)). ცნობილია, რომ **სი-ტყუ**-ა, წარმოშობით, **იტყვს/ეტყვს** ზმნის მასდარია და შემდეგ მოხდა მისი გასუბსტანტივება. ეს ლექსემა ძველ ქარ-

¹ ბლასი, დებრანერი, 1961, გვ. 217.

თულში გამოიყენებოდა როგორც მასდარის, ისე არსებითი სახელის ფუნქციით.¹ ბერძნულშიც *λόγος*² დაკავშირებულია *λέγω* ზმნასთან და, ზოგადად, საუბრის აღმნიშვნელ ლექსემასაც წარმოადგენს.

(19) ანგია 2: 20 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου ἐκ δευτέρου πρὸς Ἀγγαῖον τὸν προφήτην τετράδι καὶ εἰκάδι τοῦ μηνὸς λέγων*
და **იყო სიტყუა** უფლისაჲ ანგეაჲს მიმართ წინაწარმეტყუელისა მეორედ ოცდაოთხსა თჳსასა და **ჰრქუა**: OJ³
და **იქმნა სიტყუა** უფლისაჲ მეორედ ანგეას მიმართ წინააღწარმეტყუელისა მეოთხესა და მეოცესა თთჳსასა
მეტყუელი: SB

(20) იონა 3: 1 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς Ἰωάνν ἐκ δευτέρου λέγων*
სიტყუა უფლისაჲ იონაჲს მიმართ მეორედ და **ჰრქუა**: OJ⁴
და **იქმნა**⁵ **სიტყუა** უფლისაჲ იონას მიმართ მეორედ
მეტყუელი: SB

(21) ზაქარია 8: 18 *καὶ ἐγένετο λόγος κυρίου παντοκράτορος πρὸς με λέγων.*
და **იყოს სიტყუა** უფლისა ყოვლისა მპყრობელისაჲ
ჩემდა მომართ და თქუა: OJ

¹ ძველ ქართულში **სიტყუა** ლექსემის მნიშვნელობების შესახებ იხ. ენუქაშვილი, 1988.

² სემანტიკური თვალსაზრისით, ეს ლექსემა საკმაოდ დატვირთულია. მაგ., თ. გიორგობიანი მიუთითებს მის 35-მდე მნიშვნელობას (2019, გვ. 242-243).

³ ჰრქუა] თქუა J.

⁴ სიტყუაჲ] და იყო სიტყუაჲ J.

⁵ როგორც წესი, გელათის ბიბლიაში ამ შემთხვევებში **იყო** ზმნის ნაცვლად წარმოდგენილია **იქმნა**.

და იყოს სიტყუა უფლისად ყოვლისა მპყრობელისა ჩემ-
დამო მეტყუწლი: SB

**2.3. პირდაპირი ნათქვამის დიდი მონაკვეთები მცირე წი-
ნასწარმეტყველთა წიგნებში.** წინასწარმეტყველთა ზოგიერთი
წიგნი ნაკლებად ან სულ არ შეიცავს დიალოგს და დიდი ადგილი
ეთმობა უფლის სიტყვების გადმოცემას. როგორც ცნობილია,
ძველი ქართულისთვის, საზოგადოდ, არ არის დამახასიათებ-
ელი პირდაპირ ნათქვამთან სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამო-
ყენება (ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია) (კიზირია, 1969,
გვ. 65-66). ენის ეს თავისებურება ჩვენ მიერ განხილულ ტექ-
სტებშიც იკვეთება. როგორც მცირე წინასწარმეტყველთა და-
წარწენი წიგნებისთვის, ისე ზაქარიას წინასწარმეტყველების-
თვის ნიშანდობლივია, რომ „სიტყუად უფლისად“, რომელიც
პირდაპირ (ან ირიბ) ნათქვამს წარმოადგენს, ხშირად საკმაოდ
ვრცელ მონაკვეთს მოიცავს (რამდენიმე მუხლს ან თავსაც) და
მასში შიგადაშიგ (ზოგ ტექსტში – დიდი მონაკვეთების შემდეგ,
ზოგშიც – უფრო ხშირად) ჩართულია ავტორის სიტყვები ამ
ტიპისა: „იტყვს უფალი“, „იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობე-
ლი“, „იტყვს უფალი ძალთა“, „იტყვს უფალი ღმერთი ის-
რაჴლისად“... ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ერთი ზმნაა გამოყე-
ნებული, იტყვს, რომელიც აწმყოს მწკრივითაა წარმოდგენილი,
ბერძნული λέγει (ანმყო/პრეზენსი) ზმნის ეკვივალენტად.
„იტყვს უფალი“ ტიპის ავტორის სიტყვების ჩართვა წინასწარ-
მეტყველთა ზოგ წიგნს მეტად ახასიათებს (ამოს, მალაქია),
ზოგს – ნაკლებად (მსე). აღნიშნულის ნიმუშად შეიძლება დავა-
სახელოთ ზაქარიას წინასწარმეტყველების მე-8 თავი (8: 1-23),
რომელშიც „(ამათ) იტყვს უფალი (ყოვლისა მპყრობელი)“

14-ჯერ არის ჩართული უფლის სიტყვებში (მუხლის დასაწყისში, ბოლოს ან შუაში, როგორც გათიშულ პირდაპირ ნათქვამთან). მაგალითად მოვიყვანო მე-14 მუხლს:

(22) ზაქარია 8: 14 *διότι τάδε λέγει κύριος παντοκράτωρ ὁν τρόπον διενοήθη τοῦ κακῶσαι ὑμᾶς ἐν τῇ παροργίσει με τοὺς πατέρας ὑμῶν λέγει κύριος παντοκράτωρ καὶ ὁ μετενόησα*
რამეთუ ამას **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი: ვითარცა-იგი განვიზრახე ბოროტის-ყოფად თქუენდა განრისხებასა მისთვის ჩემისა მამათა თქუენთაგან, – **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი, – და არა შევინანე. OJ

მით რამეთუ ამათ **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი: ვითარ-სახედ ვიგულე განბოროტება თქუენი განრისხებასა შინა ჩემსა მამათა მიერ თქუენთა, – **იტყვს** უფალი ყოვლისა მპყრობელი, – და არ შევინანე. SB

2.4. მეტყველების წრის ზმნები/მიმღებები ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნში. ზოგადად, პირდაპირი ნათქვამის წინ მეტყველების წრის ერთზე მეტი ფორმის გამოყენების სიხშირე დამოკიდებულია: ა) თავად ტექსტის შინაარსზე – რამდენად ხშირია მასში დიალოგური მეტყველება (პირდაპირი ნათქვამის გამოყენება) და ბ) გამოყენებული ზმნების სემანტიკაზე. მაგ., თუ ტექსტში არ დასტურდება ზემოთ ჩამოთვლილი ის ზმნები, რომლებსაც პლეონასტურად მოსდევს *λέγω* ზმნა/მიმღებობა, ვერც ამ წრის ერთზე მეტი ფორმა მოიყრის თავს. თუმცა მხოლოდ ეს გარემოებები არ უნდა განაპირობებდეს იმას, რომ ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნში ამ პოზიციაში მეტყველების წრის ერთზე მეტი ფორმის გამოყენება გაცილებით ხშირია, ვიდრე მცირე წინასწარმეტყველთა დანარჩენ წიგნ-

ნებში, ერთად აღებული. თუ „*იქმნა სიტყუაჲ... მეტყუწლი*“ ტიპის კონსტრუქციებს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, ერთად, ამ ტიპის 15-მდე შემთხვევა თუ დასტურდება, ხოლო მხოლოდ *ზაქარიას წინასწარმეტყველებაში* – ორჯერ მეტი. მართალია, ეს წიგნი თოთხმეტი თავისგან შედგება, მაგრამ *მეტყველების* წრის ორი და სამი ფორმის გამოყენების შემთხვევები ტექსტის პირველ ნაწილზე მოდის (I-VII თავები), რომელშიც ხშირია დიალოგური მეტყველება. წიგნის მეორე ნაწილში სურათი იცვლება: ავტორის სიტყვებში მხოლოდ *ლყა* ზმნა გამოიყენება. *მიქიას წინასწარმეტყველება* შვიდ თავს მოიცავს, მესხი – თოთხმეტს, *ზაქარიას წიგნის* მსგავსად, მაგრამ *მეტყველების* წრის ორი ფორმა ჩვენთვის საინტერესო პოზიციაში არცერთ მათგანში არ დასტურდება. თუნდაც ის გარემოება, რომ *ზაქარიას წინასწარმეტყველებისთვის* დამახასიათებელია პირდაპირი ნათქვამის წინ *მეტყველების* წრის არა მარტო ორი, არამედ სამი ფორმის გამოყენებაც, თავად **ამ ტექსტის თავისებურებაზე მეტყველებს** და განასხვავებს მას წინასწარმეტყველთა დანარჩენი წიგნებისგან.

პირდაპირი ნათქვამის წინ ***მეტყველების წრის სამი ფორმის*** არსებობის შემთხვევაში ბერძნულში ასეთი მოდელია: ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ზმნებიდან ერთ-ერთი (*ἀποκρίνομαι* „ვუპასუხებ, მივუგებ“; *ἐπερωτάω* „ვეკითხები“; *ἀναβιάω* „ვყვირი“...) + *ლყა* ზმნა აორისტში (*εἶπεν*) + *ლყავ* მიმდებარეობა. თუკი წინასწარმეტყველთა წიგნებისთვის, მათ შორის, *ზაქარიას წინასწარმეტყველებისთვის*, ორი ფორმის არსებობის შემთხვევაში ბუნებრივია *ἐπηρώτησα* + *εἶπα* ან *ἐλάλησεν* + *ლყავ* ტიპის მოდელი, ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, მათი კონტამინაცია ხდება: **კონკრეტული სამეტყველო აქტის ამსახველ ძირითად**

**ზმნას მოსდევს როგორც *ლყა* ზმნა აორისტში, ისე – მისი მიმ-
ლეობა (8, 23):**

(23) ზაქარია 3: 4 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς τοὺς ἑσθηκότας πρὸ
προσώπου αὐτοῦ λέγων*¹

და **მიუგო** და **ჰრქუა**² მდგომარეთა მის წინაშე: OJ

და **მიუგო** და **ჰრქუა** მდგომარეთა მიმართ წინაშე პირსა
მისსა **მეტყუწლმან**: SB

(24) ზაქარია 6: 8 *καὶ ἀνέβησεν καὶ ἐλάλησεν*³ *πρὸς με λέγων ἰδοὺ οἱ
ἐκπορευόμενοι ἐπὶ γῆν βορρᾶ...*

და **ლაღად-ყო** და **მეტყოდა** მე და **თქუა**: აჰა-ეგერა, რო-
მელნი-იგი განვლენ ქუეყანად ჩრდილოდ... OJ

და **ალიჯმო** და **თქუა** ჩემდამო **მეტყუწლმან**: აჰა გამომა-
ვალთა ქუეყანასა ზედა ბლოარსა... GSB

ტექსტს სხვა წინასწარმეტყველთა წიგნებისგან განასხვა-
ვებს, აგრეთვე, *ლაღა* ზმნის („ვამბობ, ბევრს ვლაპარაკობ“) *δ*
ლაღან არტიკლიანი ანწყო დროის აქტიური მიმღეობის ხშირი
გამოყენება ავტორის სიტყვებში/მთავარ წინადადებაში (რაც,
თავისთავად, ზრდის *მეტყველების* წრის ფორმების რაოდენო-

¹ Om. κ. ἀπεκρίθη 147 Aeth

² ძველ თარგმანში კონსტრუქციის გამარტივების მიზნით *ლყა* მიმ-
ლეობა უთარგმნელადაა დატოვებული, გელათის ბიბლია კი ზუსტ,
სიტყვასიტყვით თარგმანს გვთავაზობს.

³ არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში *εἶπεν* ზმნის ნაცვლად
ἐλάλησεν (აქტივი, აორისტი, მე-3 პირი, მხ. რ.) ზმნის გამოყენება იმით
აიხსნას, რომ ქმედება უფლის ანგელოზს მიენერება, რომელთანაც ავ-
ტორი ატრიბუტივად ხშირად იყენებს ამავე ზმნის *δ* *ლაღან* მიმღეობას.

ბას).¹ მისი გამოყენების ყველა შემთხვევაში იგი *ὁ ἄγγελος* („ანგელოზი“) სიტყვის ატრიბუტივად გვევლინება (*ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν*), მხოლოდ ამ სიტყვას ახლავს და განსაზღვრავს მას, როგორც მეტყველს ან სამეტყველო პროცესის მონაწილეს. ამ შემთხვევაში წინადადებაში წარმოდგენილია ხოლმე ან აორისტში მდგარი *εἶπεν* ზმნა (25, 26), ან *ἀποκρινομαι* („ვუპასუხებ, მივუგებ“) აორისტში + *λέγω* აორისტში. *ὁ λαλῶν* ბერძნულში ან ამ ზმნებს შორის თავსდება (9, 38), ან მოსდევს მათ (27) იმის მიხედვით, რა პოზიცია აქვს საზღვრულ სიტყვას (*ὁ ἄγγελος*).² შესაძლოა, „*ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν*“ *εἶπεν* და *λέγων* ფორმებს შორის იყოს მოქცეული (34):

(25) ზაქარია 1: 14 *καὶ εἶπεν πρὸς με ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἐμοί...*³

და *მრქუა* მე ანგელოზმან მან, რომელი მეტყვოდა მე: OJ

და *თქუა* ჩემდამო ანგელოზმან, *მზრახვალმან* ჩემ შორის: GSB

(26) ზაქარია 5: 5 *καὶ ἐξῆλθεν ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἐμοί καὶ εἶπεν πρὸς με ἀνάβλεψον τοῖς ὀφθαλμοῖς σου...*

და გამოვიდა ანგელოზი იგი, რომელი მეტყვოდა, და *მრქუა* მე: აღიხილენ თუალნი შენნი... OJ

და განვიდა ანგელოზი, *მზრახვალი* ჩემ შორის, და *თქუა* ჩემდამო: აღიხილენ თუალნი შენნი... GSB

¹ პირდაპირი ნათქვამის/ პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების მთავარი წინადადება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს: მარტივი, შერწყმული ან რთული.

² *ὁ λαλῶν* მიმღებობის ბიბლიის ქართულ ვერსიებში თარგმნის საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

³ Om. πρὸς με 534 Ach

- (27) ზაქარია 6: 4 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπα πρὸς τὸν ἄγγελον τὸν
λαλοῦντα*¹ *ἐν ἑμοῖς τί ἔστιν ταῦτα κύριε*²
და მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა
მე: რაჲ არიან ესენი, უფალო? OJ³
და მიუგე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა
ჩემ შორის: რაჲ არიან ესენი, უფალო? GSB

ზაქარიას წინასწარმეტყველებაში დავადასტურეთ *εἶπεν* +
λέγων კომბინაცია⁴, რომელიც დამახასიათებელი არ ჩანს ბიბ-
ლიის ბერძნულისთვის.⁵ მეტყველების წრის სამი ფორმის არსე-
ბობის შემთხვევაში ამ კომბინაციაზე უკვე გვექონდა საუბარი,
ამჯერად მოვიყვანთ ორი ფორმის გამოყენების მაგალითებს:

- (28) ზაქარია 2: 4 *καὶ εἶπεν πρὸς αὐτὸν λέγων*:⁶
და მიუგო¹ მას და ჰრქუა: OJ

¹ ამ შემთხვევაში სამივე ფორმა ერთ პირს არ მიემართება.

² ἀπεκρίθη 490 26 544 | κ. ειπον L' Th.; > 87*

³ მიუგე J.

⁴ ამავე წიგნში შეგვხვდა *λέγων* + *λέγων* კომბინაცია: ზაქარია 7: 3
*λέγων πρὸς τοὺς ἱερεῖς τοὺς ἐν τῇ οἰκῇ κυρίου παντοκράτορος καὶ πρὸς τοὺς
προφῆτας λέγων...* LXX] და ჰრქუეს მღდელთა მათ სახლსა შინა
ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და წინასწარმეტყუელთა და
თქუეს: OJ და თქმად მღდელთა მიმართ, მყოფთა სახლსა შინა უფ-
ლისა ყოვლისა მპყრობელისასა, და წინაღწარმეტყუელთა მიმართ
მეტყუელმან: GSB. ტავტოლოგიის დასაძლევად გელათის ბიბლიაში,
λέγων მიმღეობის მოსალოდნელი ეკვივალენტის – *მეტყუელი* სასუბი-
ექტო მიმღეობის – ნაცვლად, ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარია
(თქმად) გამოყენებული.

⁵ *εἶπεν* + *λέγων* კომბინაციის ორი მაგალითი ანგიას წინასწარმეტყვე-
ლებაშიც დავადასტურეთ [1: 1; 2: 2]. ორივე შემთხვევაში ზმნა აორის-
ტში იყო და იმპერატივს გამოხატავდა. იგივე შემთხვევა [ზაქარია 7: 5].

⁶ Om. λέγων 1° S* AchAethArm = M; 1° 2° 544 764.

და თქუა მისდამი, მეტყუწლმან: GSB

(29) ზაქარია 4: 13 *καὶ εἶπεν πρὸς με οὐκ οἶδ᾽ τί ἔστιν ταῦτα...*²

და მეტყოდა მე და მრქუა: არა იცია, რად არიან ესე? OJ³

და თქუა ჩემდამი, მეტყუწლმან: არა იცია, რად არიან ესენი? SB

სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ჩვენს მიზანს წარმოადგენდა პირდაპირი ნათქვამის წინ გამოყენებული მეტყველების წრის ზმნების ქართულად თარგმნის საკითხის შესწავლა როგორც ეკვივალენტების შერჩევის, ისე მორფოსინტაქსური კუთხით. ნაშრომის მომდევნო ნაწილში ამ თვალსაზრისით განვიხილავთ უფრო ხშირად გამოყენებული ფორმების – *ლყაუ* და *ლღაუ* მიმღეობებისა და *ლყა* ზმნის – ქართულად თარგმნის საკითხს, მეტწილად, ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნის მაგალითზე.

3. უარტიკლო ანმყო დროის აქტიური ლყაუ მიმღეობის გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სეპტუაგინტის ტექსტისთვის დამახასიათებელია უშუალოდ პირდაპირი ნათქვამის წინ უარტიკლო, ნომინატივში მდგარი ანმყო დროის აქტიური ლყაუ მიმღეობის გამოყენება, რაც ებრაიზმს წარმოადგენს. ასეთი ლყაუ, მთავარი წინადადე-

¹ ტავტოლოგიის ასაცილებლად ძველ თარგმანში *ჰრქუა*-ს ნაცვლად *მიუგო* ზმნაა გამოყენებული.

² *με*] + *ο αγγελος* 393; + *ლყაუ* Sc C (87c)-68 Syh = M. ვფიქრობთ, ქართულისთვის დედნად გამოყენებულ ნუსხაში *ლყაუ* მიმღეობა უნდა ყოფილიყო.

³ მე]– J. მრქუა+მე J.

ბის სულ ბოლოს მდგარი, პრედიკატული ბუნებისაა,¹ ამიტომ ძველ თარგმანში ქართულისთვის უფრო ბუნებრივი **სიტყუა/თქუმა/რქუმა** ზმნის პირიანი ფორმით გადმოღის.² ეს უკანასკნელი, ძირითადად, დგას აორისტში, უფრო იშვიათად – სხვა მწკრივში, იმის მიხედვით, რომელ მწკრივშია მთავარი წინადადების სხვა ზმნა/ზმნები.

გელათური ტიპის თარგმანში, როგორც სიტყვასიტყვით, ზუსტ თარგმანში, **ლესა** მიმღობის მყარი ეკვივალენტია **მეტყუელ** სასუბიექტო მიმღობა.³ იგი სინტაქსურად განკერძოებულ განსაზღვრებას წარმოადგენს, რომლის საზღვრული წევრი ხშირად არ ჩანს (შესაბამისად, გვევლინება საზღვრულდაკარგული განკერძოებული განსაზღვრების⁴ როლში):⁵

(30) ბარუქ 2: 28 ... *ἐντελεμένους σου ἀπὸ γράψαι τὸν νόμον σου ἐναντίον υἱῶν Ἰσραὴλ λέγας*

¹ ცნობილია, რომ პრედიკატულ მიმღობას არასდროს ერთვის არტიკლი (უოლესი, 1966, გვ. 618). ფუნქციურად **ლესა** დამოუკიდებლად გამოყენებულ ერთგვარ მაკავშირებელ მიმღობადაც გვევლინება (ბლასი, დებრანერი, 1961, გვ. 217).

² იხ. აგრეთვე ხარანაული, 2009, გვ. 951-952.

³ უკვე აღვნიშნეთ, რომ მის ეკვივალენტად არ გამოიყენება **მთქუმელი**, რომელიც იოანე პეტრინის შრომებში დასტურდება (მელიქიშვილი, 1975, გვ. 193). მიზეზი ლოგიკურია: **ლესა** ანმყო დროის მიმღობაა, **სიტყუა/თქუმა/რქუმა** სუბლექტიური წარმოების ზმნა კი ანმყოსა და I სერიაში **იტყვს** ფორმით გამოიყენებოდა.

⁴ ერთი შეხედვით, ამ ტიპის განკერძოებული განსაზღვრება სიახლოვეს ამჟღავნებს ე.წ. პრედიკატულ განსაზღვრებასთან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. ვრცლად იხ. ენუქაშვილი, 1977.

⁵ ტექსტის პუბლიკაციებში, წესით, ამ ფუნქციით გამოყენებული **მეტყუელ** მიმღობა მძიმით უნდა იქნეს გამოყოფილი.

... რომელსა უბრძანე შენ მას დანერად შჯულისა შენისა
წინაშე ძეთა ისრაელისათა და **სთქუ**: OJ

... ამცნებდი რაჲ შენ მას დანერად შჯულისა შენისა წი-
ნაშე ძეთა ისრაელისათასა, **მეტყუელი**: GaSB

(31) მიქია 3: 11 ...καὶ ἐπὶ τὸν κύριον ἐπανεπαύοντο λέγοντες ὁ κύριος ἐν ἡμῖν ἔστιν ...

და უფლისა ზედა განისუენებდეს და **იტყოდეს**: ანუ არა
უფალი ჩუენ თანა არს?.. OJ

და უფლისა ზედა განისუწნებდეს, **მეტყუწლნი**: არა
უფალი ჩუწნ შორის არს?.. GSB ¹

**3.1. არტიკლიანი ანმყო დროის აქტიური ლეჯან მიმლეო-
ბის გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში.** პირდაპირი ნათ-
ქვამის წინ მდგარი ლეჯან მიმლეობა შესაძლოა, უფრო იშვიათად
არტიკლითაც იყოს წარმოდგენილი და ეთანხმებოდეს საკუთარ
საზღვრულ წევრს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში. ასეთი არტიკ-
ლიანი ატრიბუტული აქტიური მიმლეობის ქართულად თარ-
გმნის წესი ისეთივეა, როგორიც ამავე ფუნქციით გამოყენებუ-
ლი სხვა ატრიბუტული მიმლეობებისა: ბიბლიის ძველ თარგმან-
ში იგი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის **განსაზღვრებითი დამოკი-
დებული წინადადების პირიანი ზმნით გადმოდის**, ხოლო გელა-
თურ ვერსიაში – გაუვრცობელი ან გავრცობილი **განკერძო-
ებული განსაზღვრების** შემადგენელი **სასუბიექტო მიმლეობით**.²

¹ უარტიკლო ლეჯან მიმლეობის გადმოტანისთვის იხ., აგრეთვე, მაგა-
ლითები: 7, 8, 10, 15, 16, 19, 20, 21, 23, 24, 28, 30, 31, 34.

² სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიმლეობური ან მას-
დარული კონსტრუქციის მარტივი წინადადება ჰიპოტაქსური წინადა-
დების შეკუმშულ სახეს წარმოადგენს. გამოთქმულია მოსაზრება ამ
ტიპის კონსტრუქციების არქაულობის შესახებაც. დ. ჩხუბიანიშვილის

საობიექტო მიმღებობიანი კონსტრუქციები ქართულისთვის ბუნებრივია. ქართული სინტაქსისთვის უჩვეულოა მხოლოდ სასუბიექტო მიმღებობიანი კონსტრუქციების ქარბად გამოყენება, რაც ელინოფილური ტიპის თარგმანისთვისაა დამახასიათებელი.

(32) მიქია 4: 11 *καὶ νῦν ἐπισυγχέθη ἐπὶ σὲ ἔθνη πολλὰ οἱ λέγοντες ἐπιχαροῦμεθα καὶ ἐπόψινται ἐπὶ Σιών οἱ ὀφθαλμοὶ ἡμῶν*
და ან შეკრბა შენ ზედა ნათესავი მრავალი, რომელნი
იტყვან: მოგუცხრების და იხილონ თუალთა ჩუენთა სიონი. OJ

და ან ზედა შეკრბეს შენ ზედა ნათესავნი მრავალნი,
მეტყუზლნი: მოვსცხრებით და ზედ-დახედნენ სიონსა ზედა თუალთა ჩუენთა. GSB

მართალია, უკავშირო დაქვემდებარება, ანუ **ასინდეტურობა**, ძველ ქართულშიცაა, მაგრამ საკმაოდ მკრთალადაა გამოხატული და განსაზღვრულია მისი არეალი: გვხვდება პირდაპირ ნათქვამთან და რიგ ზმნებთან (*verba sentiendi*,¹ *verba dicendi*) (დონდუა, 1949, გვ. 195-196). თუმცა პირდაპირ ნათქვამთან კავშირიანი შეერთების შემთხვევებიც დასტურდება და ამ ფუნ-

აზრით, „მასდარული და მიმღებობური ფორმები უძველეს კონსტრუქციებად უნდა ჩავთვალოთ. ამას მხარს უჭერს მთის კავკასიურ ენათა მონაცემები, სადაც ჰიპოტაქსური წინადადება არ გვხვდება და მისი ფუნქციით მასდარული, აბსოლუტივის ან ზმნური კონსტრუქციები იხმარება“ (ჩხუბიანიშვილი, 1961, გვ. 194-195). ჰიპოტაქსური კონსტრუქციის „შეკუმშული“ ფორმით გადმოცემის კვალი ქართველურ ენებშიც მოგვეპოვება. სვანურისთვის დღემდე ბუნებრივია უკავშირო დაქვემდებარება. ჭანურშიც ერთი ტიპის დაქვემდებარება უკავშიროდ იწარმოება – მიმღებობის საშუალებით (დონდუა, 1949, გვ. 194).

¹გრძნობის გამომხატველი ზმნები.

ქციით **ვითარმედ**/ვითარ/ვითა, **რამეთუ** კავშირები (= ბერძნ. *ῥη*)¹ გამოიყენება (კიზირია, 1969, გვ. 40-41, 61-63; დონდუა, 1949, გვ. 195-196; ურუშაძე, 1987, გვ. 312-313). მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებისთვის ამ შემთხვევაში უკავშირო შერთებაა ნიშანდობლივი (სეპტუაგინტის მსგავსად), რაც უფრო არქაული ვითარების ამსახველია.

ისევ ბოლო მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, რადგან ძველ ქართულ სამწიგნობრო ენაში, ზოგადად, ჰიპოტატური კონსტრუქციები და დაქვემდებარების საშუალებები უკვე კარგად ჩამოყალიბებულია (დონდუა, 1949, გვ. 193), ძველი მთარგმნელი ატრიბუტული *λέγων* მიმღეობის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით თარგმნისას აღადგენს/უმატებს კავშირს – მიმართებით/ რელატიურ ნაცვალსახელს **რომელ**.² როგორც ა. კიზირია შენიშნავს: „ძველ ქართულში **რომელ** წევრ-კავშირიანი წინადადება უფრო მწიგნობრულია, ვიდრე ხალხური. იგი V-VI საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებულია, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახის ქვეწყობილ წინადადებებთან შედარებით უფრო ახალი წარმოშობისა“ (1968, გვ. 179).

ბერძნულში *λέγων* ზმნის როგორც პირიანი ფორმა, ისე მიმღეობა იწყობს *πρὸς* წინდებულიან დამატებას აკუზატივში. ჩვენი ემპირიული მასალის მიხედვით, მიმღეობასთან დაკავში-

¹ მაგ.: ...*προσεχύνει ἀπὸ τοῦ λέγων ῥη ἡ συγᾶτηρ μου...* ...თაყუანის-სცემ და მას და ეტყოდა, **ვითარმედ**: ასული ჩემი... [მ. 9: 18 DEFGHIK]. **რამეთუ** C; *λέγει ἀπὸ τοῦ ῥη Μωϋσῆς πρὸς τὴν σκληροκαρδίαν ἑμὴν ἐπέτρεψεν...* მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, **რამეთუ** მოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა... [მ. 19: 8 DEFGHIK]. **რამეთუ**– C.

² ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში წევრ-კავშირის ფუნქციით, ძირითადად, **რომელ** მიმართებითი ნაცვალსახელი გამოიყენება. გაცილებით იშვიათია -იგი, -ეგე ნაწილაკდართული ფორმები (10).

რებული ასეთი სახელი ძველ თარგმანში დაქვემდებარებული წინადადების პირიანი ზმნის¹ მიცემითში მდგარი პირმიმართი ირიბი დამატებით გადმოდის, ხოლო გელათის ბიბლიაში – გავრცობილი განკერძოებული განსაზღვრების სასუბიექტო მიმღებობასთან დაკავშირებული სახელის ნაგენიტივარი ვითარებითის **მი(მართ)/მო(მართ)** თანდებულიანი ფორმით:

(33) მიქია 7: 10 *καὶ ὅψεται ἡ ἐχθρὰ μου καὶ περιβαλεῖται αἰσχύνῃ ἡ λέγουσα πρὸς με ποῦ κύριος ὁ θεός σου...*

და მიხილოს მე მტერმან ჩემმან და დაფაროს იგი სირცხულმან, რომელი **მეტყოდა მე**: სადა არს უფალი ღმერთი შენი?.. OJ

და ჰხედვიდეს მტერი ჩემი და გარე-მოისხას სირცხული, **მეტყუწლმან ჩემდამო**: სადა არს უფალი ღმერთი შენი?.. SB

3.2. ლეყა ზმნის გადმოტანა და მისი სინტაქსური კონსტრუქცია. ჩვენ მიერ განხილული ემპირიული მასალის მიხედვით, ბერძნულში **ლეყა** ზმნა ქმნის ორგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას: ინყობს ან დატივში მდგარ ირიბ დამატებას, ან **პრბ** წინდებულიან სახელს აკუზატივში.

ლეყა პირიანი ზმნის **პრბ** წინდებულიანი აკუზატივში მდგარი დამატება ძველ თარგმანში გადმოდის **რქუმა სამვა-ლენტანი ზმნის პირმიმართი ირიბი დამატებით** (ორიგინალური მწერლობის მიხედვით, ძველი ქართულისთვის უფრო ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციით), ხოლო გელათურ ვერ-

¹ მთავარი წინადადების **მეტყველების** წრის ზმნისთვის პირდაპირი დამატების ფუნქციას პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადების არსებობის შემთხვევაში მთავარ წინადადებაში კორელატი არ არის წარმოდგენილი.

სიაში – *თქუმა* ორვალენტიანი ზმნითა და ნაგენიტივარ ვითარებითში¹ მდგარი *მიმართ/მომართ, მი/მო*² თანდებულებიანი უბრალო დამატებით (1, 5, 8, 9, 14, 25, 26, 27, 29, 34, 35).³ *მი/მო* თანდებულები პირველის გამარტივებულ, აუსლაუტში ცვეთის შედეგად მიღებულ ფორმებს წარმოადგენენ:

(34) ზაქარია 1: 17 *καὶ εἶπεν πρὸς με ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἔμοι ἀνάκραγε λέγων...*

და *მრქუა მე* ანგელოზმან, რომელი მეტყოდა მე: ღაღად-ყავ და თქუ... OJ⁴

და *თქუა ჩემდამო* ანგელოზმან, მზრახვალმან ჩემ შორის: მერმე აღიღალადე მეტყუწლმან... GSB⁵

(35) ზაქარია 5: 10 *καὶ εἶπα πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἔμοι ποῦ ἂνται ἀποφέρουσιν τὸ μέτρον*⁶

და *ვარქუ ანგელოზსა* მას, რომელი მეტყოდა მე: ვიდრე მიაქუს ამათ საზომელი ესე? OJ

და *ვთქუ ანგელოზისა მიმართ*, მზრახვალისა ჩემ შორის: სადა მიიღებენ ისინი საზომსა? GSB⁷

¹*მიმართ, მომართ* თანდებულები ძველ ქართულში გვხვდება ვითარებითთანაც, ზოგჯერ – ნათესაობითთანაც: „და წარგ ზაენეს იერუსალემდ *იოაკიმის მიმართ...*“ [ბარუქ 1: 7 GSB].

² *მომართ* გამოიყენება პირველი პირის ნაცვალსახელებთან, *მიმართ* – მეორე-მესამე პირის ნაცვალსახელებთან და არსებით სახელებთან, თუმცა ეს წესი ზოგჯერ ირღვევა (მარტიროსოვი, 1946, გვ. 243).

³ იხ. დანელია, 1998გ, გვ. 14.

⁴ და მრქუა... მპყრობელი]– O.

⁵ მზრავლმნ S.

⁶ ειπον L'-86 Th.

⁷ მზრახველისა B.

(5) ზაქარია 2: 2 *καὶ εἶπα πρὸς αὐτόν ποῦ σὺ πορεύῃ καὶ εἶπεν πρὸς με διαμετρήσαι τὴν Ἱερουσαλὴμ...*¹

და **ვარქუ მას**: ვიდრე ხუალ შენ? და **მრქუა მე**: განზომად იერუსალჴმისა... OJ

და **ვთქუ მისადმი**: სადა წარხუალ შენ? და **თქუა ჩემდამო**: განზომად იწრუსალიმისა... GSB

ამის მაგალითი საკმაოდ ბევრია ბიბლიის ქართულ ვერსიებში:

ზაქარია 1: 14 *καὶ εἶπεν πρὸς με...* LXX. და **მრქუა მე**... OJ. და **თქუა ჩემდამო** ... GSB.

ზაქარია 3: 2 *καὶ εἶπεν κύριος πρὸς τὸν διάβολον ...* LXX. **პრქუა** უფალმან **ეშმაკსა** მას: OJ. და **თქუა** უფალმან **ეშმაკისა მიმართ**: GSB.

ზაქარია 3: 4 *καὶ εἶπεν πρὸς αὐτόν...* LXX. და **პრქუა მას**: OJ. და **თქუა მისდა მიმართ**: SB. და სხვ.

„თქუა კაცისა მიმართ“ ტიპის კონსტრუქციები არაა ბუნებრივი ქართული ენისათვის (მიროტაძე, 2013, გვ. 185). მათი მოხშირება ელინოფილური სტილით შესრულებულ თარგმანებში შეინიშნება და სინტაქსურ ბერძნობას წარმოადგენს.

თუ *λέγω* ზმნა იწყობს დატივში მდგარ ირიბ დამატებას, როგორც ძველ, ისე გელათური სტილით შესრულებულ თარგმანებში იგი გადმოღის ირიბი დამატების მიცემითი ბრუნვის ფორმით:

(36) იონა 1: 6 *καὶ προσήλθεν πρὸς αὐτόν ὁ πρῶτος καὶ εἶπεν αὐτῷ...*
და **მოუჯდა მას მენავჴ იგი** და **პრქუა მას**: OJ

¹ εἶπα] ειπον V L' -613 Th.

და მოვიდა მისდამი მეპრორე და **ჰრქუა მას**: GSB

(37) სოფონია 3: 16 *ἐν τῇ καιρῷ ἐχελνᾷ ἐρεῖ κύριος τῇ Ἱερουσαλὴμ ...*

მას ჟამსა **ჰრქუას** უფალმან **იერუსალმსა**: OJ ¹

მას ჟამსა შინა **ჰრქუას** უფალმან **იზრუსალიმსა**: GSB

3.3. არტიკლიანი ანმყო დროის აქტიური ლაღშ მიმღეობის გადმოტანა. როგორც აღვნიშნეთ, ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნის თავისებურებას წარმოადგენს არტიკლიანი ლაღშ მიმღეობის ხშირად გამოყენება. ყველა შემთხვევაში იგი *ἔρχεται* („ანგელოზი“) სიტყვის მსაზღვრელად გვევლინება. ეს მიმღეობა არ ჩანს სხვა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში და, ზოგადად, ბიბლიურ წიგნებშიც იშვიათი გამოყენებისაა.

ბერძნულში ლაღშ ატრიბუტული მიმღეობა არტიკლითაა წარმოდგენილი და ეთანხმება საზღვრულ სახელს სქესში, ბრუნვასა და რიცხვში. როგორც ამავე ფუნქციით გამოყენებული სხვა ატრიბუტული მიმღეობები თუ არტიკლიანი *ἔρχαν* მიმღეობა, ძველ ქართულ თარგმანში იგი ჰიპოტატისური კონსტრუქციის **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების პირიანი ზმნით გადმოღის** (როგორც *წესი*, **უწყვეტლის მწკრივით**), ხოლო გელათურ ვერსიაში – **განკერძოებული განსაზღვრების შემადგენელი სასუბიექტო მიმღეობით** (9, 10, 25, 26, 27, 34, 35, 38).

როგორც *მეტყუელ* წარმოადგენს *ἔρχαν* მიმღეობის მყარ ეკვივალენტს გელათის ბიბლიაში, ისე **ლაღშ მიმღეობისთვის მყარი ეკვივალენტია მზრახვალ**. ამ წესიდან გადახვევის არცერთი შემთხვევა არ დაგვიდასტურებია.

¹ ჰრქას O.

- (27) ზაქარია 6: 4 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπα πρὸς τὸν ἄγγελον τὸν
λαλοῦντα ἐν ἑμοί τί ἐστὶν ταῦτα κύριε*¹
და მიუგე და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა
მე: რაჲ არიან ესენი, უფალო? OJ²
და მიუგე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, **მზრახვალისა**
ჩემ შორის: რაჲ არიან ესენი, უფალო? GSB

მოცემულ მუხლში, სეპტუაგინტის ტექსტში, აკუზატივში მდგარი მიმღეობა ეთანხმება საკუთარ საზღვრულს, აკუზატივში მდგარ სიტყვას *τὸν ἄγγελον*. გვაქვს ასეთი კონსტრუქცია: არტიკლი + სახელი + არტიკლი + მიმღეობა, რომელიც საკმაოდ გავრცელებული მოდელია ატრიბუტული მიმღეობისთვის (უოლესი, 1966, გვ. 618). ამ შემთხვევაშიც ძველი თარგმანის დამოკიდებულ წინადადებაში აღდგება **რომელ** მიმართებითი ნაცვალსახელი (რომელიც არ გვაქვს ბერძნულში) და მიიღება ძველი ქართულისთვის უფრო დამახასიათებელი კავშირიანი დაქვემდებარება.

λαλῶν აქტიური მიმღეობა იწყობს *ἐν* წინდებულიან დატივში მდგარ სახელს და, ჩვენი ემპირიული მასალის მიხედვით, ყოველთვის ამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. ძველ ქართულ თარგმანში *ἐν* წინდებულიანი სახელი გადმოდის დაქვემდებარებული წინადადების პირიან ზმნასთან შეწყობილი **პირმიმართი ირიბი დამატებით**, ხოლო გელათურ ვერსიაში – გავრცობილი განკერძოებული განსაზღვრების **მზრახვალ სასუბიექტო მიმღეობასთან დაკავშირებული შორის თანდებული**–

¹ ἀπεκρίθη 490 26 544 | κ. ειπον L' Th.; > 87*

² მიუგზ. რომელი+იგი J.

ანი სახელით.¹ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, *ლავან* მიმღეობასთან დაკავშირებული სახელი ყოველთვის პირველი პირის ნაცვალსახელია.

(26) ზაქარია 5: 5 *και ἐξῆλθεν ὁ ἄγγελος ὁ λαβὼν ἐν ἑμοί καὶ εἶπεν πρὸς με ἀνάβλεψον τοῖς ὀφθαλμοῖς σου...*

და გამოვიდა ანგელოზი იგი, რომელი მეტყოდა,² და მრქუა მე: აღიხილენ თუალნი შენნი... OJ

და განვიდა ანგელოზი, მზრახვალი ჩემ შორის და თქუა ჩემდამო: აღიხილენ თუალნი შენნი... GSB

3.4. თარგმანის სტილი და მეტყველების წრის ზმნების/მიმღეობების გადმოტანა. ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ პირდაპირი ნათქვამის წინ არსებული მეტყველების წრის ფორმებისა და მათი სინტაქსური კონსტრუქციების ქართულად გადმოღების ძირითადი წესები, მოდელები (რა თქმა უნდა, აღნიშნული არ გამოორიცხავს თარგმნის პროცესში ამ წესებიდან გადახვევას, მით უმეტეს, ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიების ნუსხებში დაცულ ძველ თარგმანში). ამიტომ შეგვიძლია მივმართოთ ისევ ემპირიულ მასალას და ვნახოთ, რამდენადაა დაცული ჩვენ მიერ შენიშნული კანონზომიერება და ცალკეულ შემთხვევებში რა ცვლილებები შეაქვს ძველ მთარგმნელს თარგმნის პროცესში ტექსტის სტილურად გა-

¹ შორის თანდებული ძველ ქართულში სახელს მართავდა ორ ბრუნვაში: მიცემითსა და ნათესაობითში. III პირის ნაცვალსახელს შორის მართავდა ნათესაობით ბრუნვაში (მარტიროსოვი, 1946, გვ. 238): „...მის შორის...“ [ზაქარია 1: 16, 10: 4 GSB]. იგივე წესი ვრცელდება I-II პირის ნაცვალსახელებზეც.

² ქართული ზმნის პოლიპერსონალური (უკეთ, ბიპერსონალური) ბუნება პირის ნაცვალსახელის გამოტოვების საშუალებას იძლევა. მოცემულ მაგალითში მეტყოდა ზმნასთან მე ნაცვალსახელით გამოხატული ირიბი დამატება გამოტოვებულია.

მართვისა და მძიმე კონსტრუქციის განტვირთვის თუ ტავტოლო-
გიის თავიდან აცილების მიზნით (გელათური ტიპის თარგმანს,
როგორც სიტყვასიტყვით თარგმანს, ეს ნაკლებად ეხება):

(10) ზაქარია 4: 4 *καὶ ἐπηράτησα καὶ εἶπον πρὸς τὸν ἄγγελον τὸν
λαλοῦντα ἐν ἔμοι λέγων τί ἐστὶν ταῦτα κύριε*¹

და ვპკითხე ანგელოზსა მას, --- რომელი-იგი მეტყოდა,
[და] ვთქუ: რაჲ არიან ესენი, უფალო? OJ²

და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა
ჩემ შორის, მეტყუწლმან: რა არიან ესენი, უფალო? SB

მოცემულ მაგალითში, ფაქტობრივად, ჩვენ მიერ ზემოთ
წარმოდგენილი ყველა წესი დაცულია, ოღონდ, რადგან პირდა-
პირი ნათქვამის წინ ბერძნულში თავს იყრის მეტყველების წრის
ოთხი ფორმა (ორი ზმნა და ორი მიმღეობა), ძველ თარგმანში
უთარგმნელადაა დატოვებული *εἶπον* ზმნა კონსტრუქციის გან-
ტვირთვის მიზნით. გელათის ბიბლია ზუსტ, ადეკვატურ თარ-
გმანს გვთავაზობს.

(38) ზაქარია 6: 5 *καὶ ἀπεκρίθη ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἔμοι καὶ εἶπεν
ταῦτά ἐστιν οἱ τέσσαρες ἄνεμοι τοῦ οὐρανοῦ...*³

და მომიგო --- და მრქუა მე ანგელოზმან მან: ესენი არი-
ან ოთხნი ქარნი ცისანი... OJ

და მომიგო მე ანგელოზმან, მზრახვალმან ჩემ შორის, და
თქუა: ესე არიან ოთხნი ქარნი ცისანი... GSB

¹ επεράτησα 87*?-68 26 198 Cyr.p; εράτησα 534 | εἶπα W] ειπον B-S L' Th.
| Om. λέγων V A CO(haB. BOLit) Arm.

² ვპკითხე J. მეტყოდა... უფალო]– J.

³ ὁ λαλῶν ἐν ἔμοι] y Syh: > M; ο λ. μοι 534; Om. ὁ λαλῶν 763tXt; Om. ἐν
ἔμοι 239 | εἶπε] + προς με Sca L' Syh Th. = M; + προς με λεγων 26.

ძველ თარგმანში გამოტოვებულია „ὁ λαὸς ἐν ἑμοί“ კონსტრუქციის შესატყვისი „რომელი მეტყოდა (მე)“ დაქვემდებარებული წინადადება და მცირედ შეცვლილია წინადადების წევრთა რიგი. აშკარაა, რომ ძველი მთარგმნელის თვითმიზანს არ წარმოადგენს ბერძნული დედნის ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვა. გელათის ბიბლიაში ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანია.

(8) ზაქარია 4: 6 *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς με λέγων...*¹

და მომიგო და მრქუა მე: OJ

და მომიგო და თქუა ჩემდამო, მეტყუწლმან: SB

ძველ თარგმანში გამოტოვებულია *λέγων* მიმღებობის შესატყვისი პირიანი ფორმა. გელათის ბიბლიაში ამ შემთხვევაშიც ზუსტი თარგმანია.

ცხადია, სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, მეტყველების წრის ფორმების ქართულად თარგმნის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ვერ განვიხილავდით, თუმცა, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალაც ცხადყოფს, რომ, მართალია, ძველი მთარგმნელი ცდილობს სათარგმნი ტექსტის ზუსტად თარგმნას, დიდი მონივნით ეკიდება ამ საქმეს, მაგრამ, იმავდროულად, ანგარიშს უწევს სტილსაც. სათარგმნი ტექსტისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, როგორც გარკვეულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანს ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს ფორმალურ და დინამიკურ თარგმანებს შორის. ის „თარგმანის ისეთ სინთეტურ ტიპად წარმოგვიდგება, რომელშიც მაინც რამდენადმე ჭარბობს ფორმალურ-სტრუქტურული თარგმანის ნიშნები“ (დანელია, 1998ა, გვ. 471). გელათური ტიპის თარგმანი კი ამ საკითხშიც ცდილობს დაიცვას ბერძნულ-

¹ Om. κ. εἶπε LI' 26 | λέγων I°] καὶ εἶπεν 26; > 410 AchSaAeth Arm.

თან ფორმალურ-სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ეკვივალენტურობა.

4. პირდაპირი ნათქვამის წინ გამოყენებული მეტყველების წრის ზმნები ახალ აღთქმაში. იგივე ენობრივი მოვლენა, მეტყველების წრის ორი ფორმის გამოყენება,¹ დამახასიათებელია ახალი აღთქმისთვისაც.² ამ შემთხვევაში პლეონასტურად გამოყენებულია *λέγω* ზმნა ან ამავე ზმნის ანმყო დროის აქტიური მიმღეობა *λέγας*, რომლებიც ისევე, როგორც სეპტუაგინტაში, მოსდევენ ზმნებს: *ἀποκρισμαι* „ვუპასუხებ, მივუგებ“; *κράζω* „ვყვირი, ვლაღადებ“ (ძვ. ქართ.); *ἐπερωτάω* „ვეკითხები, ვკითხავ“; *ἀναφώνέω* „ვყვირი, ვლაღადებ“ (ძვ. ქართ.); *λαλέω* „ვამბობ, ბევრს ვლაპარაკობ“ და სხვ.

ბერძნულში მეტყველების წრის აღნიშნული ფორმებიდან შეიძლება: **ა)** ერთი პირიანი ზმნა იყოს, მეორე – მიმღეობა (*ἀπεκρίνατο λέγων...* [ლ. 3: 16]), **ბ)** ორივე პირიანი ზმნით იყოს გადმოცემული (*ἀπεκριθή Ἰησοῦς καὶ εἶπεν...* [ი. 14: 23]) ან **გ)** ორივე წარმოადგენდეს მიმღეობას (*...κρά[αυ]άζοντα καὶ λέγοντα...* [ლ. 4: 41]) (ბლასი, დებრანერი, 1961, გვ. 217). ოთხთავის როგორც წინათონური, ისე ათონური პერიოდის რედაქციების ქართულ ხელნაწერებში **მეტყველების წრის ორივე ფორმა ზმნის პირიანი ფორმითაა გადმოტანილი:**

¹ ახალი აღთქმისთვის ებრაული ზეგავლენის წყაროს წარმოადგენს და არა დედანს (არსებობს მოსაზრება, რომ მათეს სახარება უნდა დაწერილიყო არა ბერძნულ, არამედ არამეულ ენაზე).

² ახალი აღთქმიდან საანალიზოდ ოთხთავის ტექსტი გამოიყენეთ, რომელიც, ასევე, ბერძნულიდან უნდა თარგმნილიყო. ამ ეტაპზე წინათონური და ათონური პერიოდის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ნუსხით შემოვიფარგლეთ, რადგან სტატიის მიზანს არ წარმოადგენს საკითხის გამოწვლილვით შესწავლა ახალი აღთქმის წიგნებში.

ა) *ἀπεκρίνατο λέγων*¹ *παῖσιν ὁ Ἰωάννης· ἐγὼ μὲν ὑδατι βαπτίζω ὑμᾶς...*

მიუგო ყოველთა და **ეტყოდა**: მე ნათელ-გცემ თქვენ წყლითა... [ლ. 3: 16 CDEFGHIK].

Ἰωάννης μαρτυρεῖ περὶ αὐτοῦ καὶ κέκραγεν λέγων· οὗτος ἦν ὃν εἶπον...

იოვანე წამა მისთვის, **ღალად-ყო** და **თქუა**: ესე არს... [ი. 1: 15 CDEFGHIK].²

ბ) *ἀπεκρίθη Ἰησοῦς καὶ εἶπεν* *αὐτῷ· ἀμὴν ἀμὴν λέγω σοι...*

მიუგო იესუ და **ჰრქუა** მას: ამენ, ამენ გეტყვ შენ... [ი. 3: 3 CDEFGHIK].

καὶ ἡρώτησαν αὐτὸν καὶ εἶπαν *αὐτῷ· τί οὖν βαπτίζεις ...*

ჰკითხეს მას და **ჰრქუეს**: რადსათვის ნათელ-სცემ... [ი. 1: 25 CDEFGHIK].

გ) *... δὺο τυφλοὶ κράζοντες καὶ λέγοντες...*

მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, **ღალადებდეს** და **იტყოდეს**: [მ. 9: 27 CDEFGHIK].

...αἰνούντων τὸν θεὸν καὶ λεγόντων·

... ἁγέβδეს ღმერთსა და **იტყოდეს** [ლ. 2: 13 CDEFGHIK] და სხვ.¹

¹ მიგების, პასუხის გაცემის ფაქტი გადმოცემულია, როგორც მარტივი ფაქტი, ამიტომ ბერძნულში აორისტია გამოყენებული, *λέγων* მიმღეობით კი მითითებულია სამეტყველო აქტის ვითარება, ამიტომ აწმყო დროის მიმღეობაა გამოყენებული და არა ნამყო დროისა (ბლასი, დებ-რანერი, 1961, გვ. 217).

² ღალატ-ყო CFHIK.

ზემოაღნიშნული ზმნები პირდაპირი ნათქვამის წინ შესაძ-
ლოა, პლეონასტურად გამოყენებული *λέγω* ზმნის/მიმღებობის
გარეშეც დასტურდებოდეს:

*Καὶ ἐν τῇ συναγωγῇ ἦν ἄνθρωπος ἔχων πνεῦμα δαιμονίου
ἀκαθάρτου καὶ ἀνέκραξεν φωνῇ μεγάλῃ·*

და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო
სული არანმიდაა, და **ლაღად-ყო** კმითა დიდითა: [ლ. 4:
33 CDEFGHIK].²

*καὶ ἡρώτησαν αὐτόν· τί σὺν; σὺ Ἠλίας εἶ; καὶ λέγει· οὐκ εἰμὶ. ὁ
προφήτης εἶ σὺ; καὶ ἀπεκρίθη· οὐ.*

და მათ **ჰკითხეს** მას: და უკუე ვინ ხარ შენ? ელია ხარა?
და მან თქუა: არა. წინანარმეტყუელი ხარა? და **მიუგო**:
არა. [ი. 1: 21 CDEFGHIK].³

ოკაზიონალიზმია, როდესაც ერთი და იმავე ზმნის პირი-
ანი ფორმა (*εἶπεν*) და აქტიური მიმღებობა (*λέγων*) ერთადაა წარ-
მოდგენილი (ბლასი, დებრანერი, 1961, გვ. 217). ქართულში
ასეთი ფორმები ტავტოლოგიის ასაცილებლად სუპლეტიური
წარმოების სიტყუა/თქუმა/რქუმა ზმნის სხვადასხვა მწკრივის
(უწყვეტილისა და წყვეტილის) ფორმით ითარგმნება:

καὶ εἶπαν λέγοντες πρὸς αὐτόν· εἶπὸν ἡμῖν...

ეტყოდეს მას და **ჰრქუეს**: მითხარ ჩუენ... [ლ. 20: 2
CDEFGHIK].

¹ ამავე ტიპს უნდა მივაკუთვნოთ ამ სახის შემთხვევები: *καὶ ἰδοὺ φωνὴ
ἐκ τῶν οὐρανῶν λέγουσα· σὺ τὸς ἔσθιν...*] და **კმაა იყო** ზეცით და **თქუა**:
ესე არს... [მ. 3: 17 CDEFGHIK] (ბერძნულში არაა *ἐγένετο* – იყო ზმნა).

² და]– F. ლაღად-ყო G.

³ თქუა] ჰრქუა C.

Εἶπεν δὲ παραβόλῃν πρὸς αὐτοὺς λέγων...

და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: [ლ. 12: 16 CDEFGHIK].

სახარებაში საკმაოდ ხშირია პირდაპირი ნათქვამის წინ ოდენ *λέγω* ზმნის გამოყენება:

εἶπεν δὲ πρὸς αὐτόν ὁ ἄγγελος· μὴ φοβοῦ, Ζαχαρία...

ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, ზაქარია...
[ლ. 1: 13 CDEFGHIK].

καὶ ὑστερήσαντος οἴνου λέγει ἡ μήτηρ τοῦ Ἰησοῦ πρὸς αὐτόν· οἶνον οὐκ ἔχουσιν.

და ვითარ მოაკლდა ღვინო, **ჰრქუა** იესუს დედამან მისმან: ღვინო არა აქუს [ი. 2: 3 DEFGHIK].

Εἶπεν δὲ καὶ παραβόλῃν...

ეტყოდა მათ იგავსაცა: [ლ. 6: 39 CDEFGHIK].

მიზეზი, რის გამოც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მეტყველების წრის მიმღებები ქართულში ზმნის პირიანი ფორმებით ითარგმნება, ის არის, რომ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის შემდეგ (ე.წ. ქართული ვულგატა, XI საუკუნის შუა წლები) სახარება-ოთხთავის ახალი რედაქცია არ შექმნილა. ელინოფილურ პერიოდში ოთხთავის ტექსტის შემდგომი გადამუშავება ოდენ ეგზეგეტიკურ თხზულებებში გვხვდება და იგი მიზნად არ ისახავდა სახარების ახალი რედაქციის შექმნას. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თეოფილაქტე ბულგარელის მიერ დაწერილი ლუკასა და იოანეს სახარებების განმარტებების ულტრაელინოფილური სტილით

შესრულებული ქართული თარგმანების¹ კიმენის (სახარების ტექსტის) ენაზე დაკვირვება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნული დედნის პლეონასტურად გამოყენებული *λέγων* მიმღებობა, ისევე როგორც სხვა მიმღებობები, ქართულად მიმღებობითვეა გადმოტანილი (თუმცა არა ყოველთვის): *Καὶ ἔπειτα οὗτος ἔειπεν αὐτῷ* **მიუგო** ანგელოზμαν მან და **პრქუა** [ლ. 1: 19 CFGHIK],² შდრ.: და *καὶ ἔπειτα ὁ ἄγγελος ἔειπεν αὐτῷ* **მიუგო** ანგელოზმან მან და **პრქუა** მას; *καὶ ἔπειτα ὁ ἄγγελος ἔειπεν αὐτῷ* **ლაღად-ყო** და **თქუა**: [ი. 1: 15 CDEFGHIK],³ შდრ.: **ლაღადებდა, მეტყუელი...**

5. პირდაპირი ნათქვამის წინ გამოყენებული მეტყველების წრის ზმნები ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაში. ცნობილია, რომ ბიბლიური წიგნების თარგმანის ენა ქართველი მწერლებისთვის ეტალონს წარმოადგენდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამ პოზიციაში მეტყველების წრის ერთზე მეტი ზმნის გამოყენებას ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაშიც ეჩინა თავი. ამ ძეგლებში უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება პირდაპირი ნათქვამის წინ **თქუმა/რქუმა** ზმნის პლეონასტურად გამოყენების შემთხვევები (თუმცა ზოგჯერ არაა ყველა ნუსხაში), ჩვენი დაკვირვებით, უმეტესად **მიგება** („პასუხის გაცემა“) ზმნის შემდეგ:

¹ სავარაუდოდ, ქართულად თარგმნილი უნდა ყოფილიყო მათეს სახარების თარგმანებაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მარკოზის სახარების თარგმანება ჯერჯერობით არაა გამოცემული. იოანეს სახარების განმარტების ქართულად მთარგმნელი შესაძლოა, იოანე პეტრიწი ყოფილიყო (ცქიტიშვილი, 2010, გვ. 3-11), ხოლო ლუკას სახარებისა – იოანე ჭიმჭიმელი (სარჯველაძე, 2010, გვ. VII).

² მან]- CF.

³ ლაღატ-ყო CFHIK.

და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: მე ვითარ მიჩნობის... [შუშ. 14: 20-21].¹

და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: წარსწყმიდე თავი შენი... [შუშ. 14: 26-27].²

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ³ მისისა, ვითარმედ: [შუშ. 17: 23].⁴

და მესამესა კჳრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთსა, ჰკითხა მას და ჰრქუა: აქამომდე... [შუშ. 21: 21].

და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: ნუმცა... [შუშ. 18: 1-2].⁵

და მე მიუგე და ვარქუ: ძაძისა სამოსელი... [შუშ. 25: 29].

და მერმე ვევედრე სამოელს არქედიაკონსა და ვარქუ: უფალო, ნუ გეწყინებინ... [ევსტ. 36: 17-18].⁶

მიუგო მას სანატრელმან კონსტანტი და ჰრქუა: მეცა უწყი... [კონსტ. 167: 27].

მიუგო მას წმიდამან მონამემან ქრისტწმან და ჰრქუა: მეცა უწყი... [კონსტ. 168: 25].

მაშინ მიუგო წმიდამან კონსტანტი მოვლინებულთა მათ და ჰრქუა ესრე: არქუთ მეფესა... [კონსტ. 169: 18].

¹ მიუთხრა BCDEFGHIKL. და ჰრქუა]– BCDEFGHIKL.

² ვარქუთ A. და ვარქუთ]– H.

³ ამ შემთხვევაში სინტაქსური კონსტრუქციაც ბერძნულის კალკს წარმოადგენს. ქართულისთვის ბუნებრივი იქნებოდა: ჰრქუა მსახურსა...

⁴ ჰკითხა HK. და თქუა]– KH. თქუა]ჰრქუა BCDEFGJL. მსახურსა BCDEFGHIKL. მიმართ]– BCDEFGHIKL.

⁵ და ჰრქუა]– BCDEFGHIKL.

⁶ და ვარქუ]– CEFGLI.

მიუგო წმიდამან გობრონ და **ჰრქუა** ამირასა მას: გევედ-
რები, ჯელმნიფეო... [გობრ. 181: 13].

ხოლო მათ ესთენ ოდენ **მიუგეს** და **ჰრქუეს** მშობელთა
მათთა: [კოლ. 185: 3].

ხოლო წმიდათა მათ ყრმათა შემდგომად დუმილისა **მი-
უგეს** დედის ძმასა თჳსსა და **ჰრქუეს**: ჩუენდა კმა-არს...
[დავ. ტირიქ. 187: 16].¹

როგორც ვხედავთ, სეპტუაგინტის ბერძნულისთვის დამახა-
სიათებელი ებრაიზმი, პირდაპირი ნათქვამის წინ მეტყველების
წრის, როგორ წესი, ორი ფორმის გამოყენება, ებრაულისა და
ბიბლიის ბერძნულის გავლენით ახალ აღთქმაშიც იჩენს თავს,
ხოლო ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების ენის გავ-
ლენით – ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაშიც. საშუა-
ლი ქართულიდან ეს ენობრივი მოვლენა ქრება, თუმცა უიშვია-
თესად შესაძლოა, ამ პერიოდის გვიანდელ თხზულებებშიც იჩი-
ნოს თავი.²

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1964). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტე-
რატურის ძეგლები*, I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს

¹ ამავე ჯგუფში უნდა განვიხილოთ შემთხვევები: *მაშინლა ინყო სიტყუად* და *თქუა*: რაღსა ჯელ-ინიფა... [შუშ. 14: 26-27]; *მას ჟამსა სიტყუად ინყო* თევდოსი და *ჰრქუა* დასა თჳსსა თავინეს: *ჰ* დაო... [დავით. ტირიქ. 190: 1-2] და სხვ.

² ხოლო მათ *მიუგეს* მას და *ჰრქუეს*: [არჩილი, ალექსანდრიანი, 96, 17 Titus]; მათ *მიუგეს* და *უთხრეს*: [თეიმურაზ II, თიმსარიანი, 11, 8, 45 Titus]...

ილ. აბულაძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბიბლია (2017). *ძველი აღთქმა*. II. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბლასი, ფ., დებრანერი, ა. (1961). Blass, F. & Debrunner, A. *A Greek Grammar of the New Testament and other Early Christian Literature*. Cambridge, Chicago, Illinois: The Cambridge University Press, The University Of Chicago Press.

გიორგობიანი, თ. (2019). *ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: „ლოგოსი“.

გულედანი, ც. (2014). *ბარუქის წიგნის ქართული ვერსიების წარმომავლობა*. ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნ. ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ანა ხარანაული. თბილისი.

დანელია, კ. (1998ა). მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით, *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, I, 443-471. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დანელია, კ. (1998ბ). *vav consecutivum-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით, ნარკვევები ქართული სამ-*

წერლობო ენის ისტორიიდან, I, 33-41. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დანელია, კ. (1998გ). სინტაქსური კონტამინაცია ძველ ქართულში, *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, I, 7-18. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დონდუა, კ. (1949). დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, *თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები*, XXXVII, 193-207. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ენუქაშვილი, რ. (1977). პრედიკატული განსაზღვრების საკითხი ძველ ქართულში, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 20, 151-163. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ენუქაშვილი, რ. (1988). სიტყვა „სამოციქულოს“ ქართულ რედაქციებში, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 27, 154-161. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ერთელიშვილი, ფ. (1962). *ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში*, სადისერტაციო შრომა, წარმოდგენილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინგოროყვა, პ. (1939). ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა, *მნათობი*, 4, 94-138. თბილისი: „სახელგამი“.

კიზირია, ა. (1968). განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ძველ ქართულში, *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 2, 179-195. თბილისი: „მეცნიერება“.

კიზირია, ა. (1969). *რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში*. თბილისი: „მეცნიერება“.

ლურსმანაშვილი, ე. (2020). *მიქეას წინასწარმეტყველების უძველესი ქართული თარგმანის ენისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები*. ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნ. ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ანა ხარანაული. თბილისი.

მაგრაქველიძე, თ. (2019). *ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის წარმომავლობა და თარგმანის ხასიათი*, ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სამეცნ. ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ანა ხარანაული, ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე. თბილისი.

მარტიროსოვი, ა. (1946). თანდებული ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, I, 203-246. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

მელიქიშვილი, დ. (1975). *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*. თბილისი: „განათლება“.

მიროტაძე, ნ. (2013). Mirotadze, N. The Influence of the Biblical Translation on the Postpositional System of the Georgian Literary Language. *Oriental Languages in Translation*. IV, 179-187. Cracow: Polish Academy of Sciences Press.

სარჯველაძე, ს. (2010). თეოფილაქტე ბულგარელი, თარგმანებად ლუკას სახარებისად. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სოფიო სარჯველაძემ. თბილისი: „ნეკერი“.

უოლესი, დ. ბ. (1996). Wallace, D. B. *Greek Grammar: Beyond the Basics*. Grand Rapids, Michigan: Zondervan Publishing House.

ურუშაძე, ა. (1987). ძველი ბერძნული ენა. თბილისი: „განათლება“.

ქურციკიძე, ც. (1973). ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები, II. თბილისი: „მეცნიერება“.

ჩხუბიანიშვილი, დ. (1961). ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში (სამი შატ-ბერდული ხელნაწერის მიხედვით), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 185-195. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ციგლერი, ი. (რედ.) (1976). Ziegler, J. (ed.) *Septuaginta: Vetus Testamentum Graecum*. XV. *Jeremias – Baruch – Threni – Epistula Jeremiae*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

ციგლერი, ი. (რედ.) (1984). Ziegler, J. (ed.) *Septuaginta: Vetus Testamentum Graecum. XIII. Duodecim prophetae*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

ცქიტიშვილი, თ. (1976). *ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები*. თბილისი: „მეცნიერება“.

ცქიტიშვილი, თ. (2010). *თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა*, I. თბილისი: „ნეკერი“.

ხარანაული, ა. (2006). სალექციო კურსი: *ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა*. თბილისი: თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი.

<https://e-learning.tsu.ge/enrol/index.php?id=1531>

ხარანაული, ა. (2009). ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექნიკა (ხანმეტი ესაიას, იერემიას და ეზრა I-ის ფრაგმენტების მაგალითზე), *ბიზანტოლოგია საქართველოში*, რედ. ნელი მახარაძე, მარინა გიორგაძე, 2, 938-968. თბილისი: „ლოგოსი“.

ხარანაული, ა. (2013). Kharanauli, A. Battling the Myths: What Language Was the Georgian Amos Translated From? *XV Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies*. SBLSCS 64. eds. W. Kraus et al. 241-265. Atlanta: SBL.

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებათა განმარტება

B – A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, 1743 წ.).

G – გელათის კატენებიანი ბიბლია, დაცული თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: A 1108 (XII ს.) ავტოგრაფული ნუსხითა და Q 1152 (XII-XIII სს.) მისი ასლით.

J – Jer. Geo. 7/11 (იერუსალიმური ბიბლია, XI ს.).

O – Ivir. Geo. №1 (ოშკის ბიბლია, 978 წ.).

P – Geo. 36 (ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, X-XI საუკუნეების მიჯნა).

S – A 51 (მცხეთური, ანუ საბას ბიბლია, XVII-XVIII სს.).

C – ს.ი.ე.მ. 22, ადიშის ოთხთავი (897 წ.)

D – H 1660, ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.)

E – A 1453, პარხლის ოთხთავი (973 წ.)

F – ურბნისის ოთხთავი (XI ს.)

G – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.)

H – A 1335, ვანის ოთხთავი (XII-XIII სს.)

I – ეჩმიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.)

K – Q 908, გელათის ოთხთავი (XII-XIII სს.)

შუშ. – მარტვილობა შუშანიკისი

ევსტ. – მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა

კონსტ. – მარტვილობა კონსტანტი კახისა

გობრ. – მარტვილობა მიქაელ-გობრონისი

კოლ. – მარტვილობა კოლაელ ყრმათა

დავ. ტირიჭ. – მარტვილობა დავით და ტირიჭანისი¹

ელექტრონული რესურსები

ქართული ოთხთავის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის (ლუკა, იოანე) ელექტრონული ვერსია: <http://ogg.tsu.ge/>

კორპუსი *Titus*: <https://titus.uni-frankfurt.de/>

¹ აღნიშნული ჰაგიოგრაფიული ტექსტებისთვის იხ. აბულაძე, 1964.

Rendering of the Verbs and Verbals of Saying in the Georgian Versions of the Books of the Minor Prophets

The paper explores how multiple forms of verbs and verbals of saying (particularly in pleonastic constructions) are rendered into Georgian in the Books of the Minor Prophets. By comparing two main sets of Georgian biblical translations – the so-called “old” (10th–11th cc.) and “Hellenophile” (12th–13th cc.) versions – the author investigates both the precise approaches to translation and the ways these approaches interact with the grammatical and stylistic norms of the Georgian language. The study includes abundant examples where either a single or multiple Greek verba dicendi precede a direct quotation and traces how Georgian translators either retained or simplified such structures in an effort to convey the meaning more naturally.

The paper effectively shows how older Georgian translators handled pleonastic constructions by selectively omitting redundant forms to produce more idiomatic Georgian. This serves as a solid illustration of “dynamic equivalence” in biblical translation practices. The paper clearly describes the textual scope (e.g., Bibles of Oshki, Jerusalem, Gelati, etc.) and the method of identifying changes from the source text. The consistent presentation of examples in Greek, Old Georgian, and the author’s transliteration or translation lends clarity to the argument.

Discussions on how Georgian grammar encodes indirect objects, particularly through the use of postpositional constructions and polypersonal verb forms, offer insights into the complexities and flexibility of the language. Readers gain a valuable perspective on how Georgians adapted Greek originals to their grammar.

The paper provides a meticulously researched account of how translators negotiated between faithfulness to the Greek original and the idiomatic demands of Georgian. It is a valuable resource for

Georgian philologists, biblical linguists, and those interested in the general principles of translation studies. The analysis of morphological and syntactic choices underscores both the richness of Georgian's linguistic heritage and the complexity of scriptural translation.¹

Introduction

It is well known that the Septuagint Greek is characterized by the use of more than one (as a rule, two) verbs and verbals (participles) of saying (*verba dicendi*) before the direct quotation, which is a Hebraism, for instance: *καὶ ἀπεκρίθη Ἀμώς καὶ εἶπεν πρὸς Ἀμασιαν ...*]² *Then answered Amos, and said to Amaziah...* [Amos 7: 14 KJV]; ... *ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων*] *came the word of the LORD by the prophet Haggai, saying* [Hag. 2: 1 KJV]; *καὶ ἀνεβόησαν πρὸς κύριον καὶ εἶπαν...*] *Wherefore they cried unto the LORD, and said...* [Jon. 1: 14 KJV] a.o. In such cases, the pleonastically used second form is the verb *λέγω* in the aorist or participle *λέγων* (present, active, nominative), which follow certain verbs of saying: *ἀποκρίνομαι* “to answer“, *ἐπερωτάω* “to ask“, *ἀπαγγέλλω* “to announce, report“, *ἐντέλλω* “to command“, *ἀναβοάω* “to cry out“, *βοάω* “to cry out“, *λαλέω* “to speak“, *θρηνέω* “to mourn“, *ἀνακράζω* “to cry out“, a.o.

The same language phenomenon – usage of two verbs and verbals of saying – is peculiar to the New Testament (Blass & Debrunner, 1961, p. 217), for instance: *ἀπεκρίνατο λέγων πᾶσιν ὁ*

¹ From the Free AI Review of this article, sent by Academia.edu (01.07.2025).

² For Greek, I have used the academic text of LXX (Ziegler, 1976, 1984) and the computer program ‘Bible Works’.

Ἰωάννης...] *John answered, saying unto them all...* [Lk. 3: 16 KJV];
...κράζοντα καὶ λέγοντα...] *...crying out and saying...* [Lk. 4: 41 KJV],
a.o.

The paper aims to study the translation of verbs and participles of saying in the Georgian versions of the Bible. To achieve this, I compared the ancient Georgian translation of the Books of Minor Prophets (from the Bibles of Oshki (978) and Jerusalem (11th century)) with the Georgian versions from the Hellenophile period (Bibles of Gelati (12th-13th centuries), Saba (17th-18th centuries), and Bakar (1743)).¹ It is now scientifically established that most of the Bible texts were translated from Greek. This process began soon after Georgia's conversion to Christianity (in the first half of the 4th century), but many manuscripts have not survived to the present day. Although the translation and editing of Biblical books from Greek spanned centuries, the attitudes of Georgian translators and editors towards the Greek original texts changed over time. Early translators (5th-11th centuries) aimed for accurate translations but also considered the nature of the Georgian language and did not always maintain formal equivalence to the original. In contrast, later translators during the *Hellenophile* period (11th-13th centuries) strived for adequate and precise translations from Greek. It is well known that the Gelati Catenae Bible is a new edition/translation produced through comparing the old translation with the Septuagint text. Since both the old (OJ) and Gelati versions (GSB) derive from the same Greek tradition, differences in the Gelati Bible result from variations in the translator's style, technique, and perspective toward the Greek original.

¹ These two versions of the Bible almost exactly repeat the text of the *Gelati* version. Therefore, I will not focus on these versions.

Research Outcomes

i) Research has proved that a peculiar feature of the Books of Minor Prophets is the use of one¹ or two verbs or verbals of saying before the direct quotation.² Out of the twelve books, one exception in this regard is only the *Prophecy of Zechariah*, in which three forms of verbs of saying are used. In case of two forms, it is natural to use either *ἐπηρώτησα* + *εἶπα* or *ἐλάλησεν* + *λέγων* types of patterns, whereas in case of three forms, the above-mentioned verbs are added by both the verb *λέγω* in the aorist and its participle *λέγων* (1,2, 8, 9):

- (1) *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς με λέγων...* LXX

და მომიგო და მრქუა მე.³ OJ.

და მომიგო და თქუა ჩემდამო მეტყუებთან: SB.⁴

Then he answered and spake unto me, saying, [Zech. 4: 6 KJV].

- (2) *καὶ ἐπηρώτησα καὶ εἶπον πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἔμοι λέγων τί ἐστὶν ταῦτα κύριε* LXX

და ვპკითხე ანგელოზსა მას, რომელი-იგი მეტყოდა, [და] ვთქუ: რად არიან ესენი, უფალო? OJ.

¹ In this case, only one form is given in the Biblical Greek as well: the verb *λέγω* or the participle *λέγων*.

² After direct speech or when inserted between, only one verb of saying is used.

³ In the old translation, one form is left untranslated.

⁴ I have used the academic text of the Old Georgian versions of the Bible (Bible, 2017).

და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალ-
სა ჩემ შორის, მეტყუზლმან: რა არიან ესენი, უფალო?
SB.

*So I answered and spake to the angel that talked with me,
saying, What are these, my lord? [Zech. 4: 4 KJV].¹*

ii) In general, it is characteristic of the Septuagint text to use participle *λέγων* (present, active, nominative) without the article before the direct quotation, at the very end of the main clause. This represents a Hebraism. Such *λέγων* is of a predicative nature; hence, in the **old translation (OJ)**, it is given in the form of a finite verb *siṭqua/tquma/rquma*, which is more natural for Georgian. In the **Gelati Bible (SB)**, which is a precise word-for-word translation, the participle *λέγων* is translated by a participle. In Georgian, its solid equivalent is *metquel* (მეტყუელ “speaker, (person) saying”), subjective/active participle, which is a syntactically isolated attribute, the modified member of which is often omitted (1, 2, 3, 8, 9):

(3) ... *ἐλάλησεν κύριος ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων* LXX

...მტყოდა უფალი ჯელითა ანგეა წინანარმეტყუელი-
სადთა და თქუა: OJ.

... თქუა უფალმან ჯელითა ანგეა წინადანარმეტყუელი-
სათა, მეტყუზლმან: SB.

¹ In this case, in Greek, there are four forms before the direct quotation (two verbs and two participles), although the participle *τὸν λαλοῦντα* does not refer to the speaker, the subject.

... *came the word of the LORD by the prophet Haggai, saying*,
[Hag. 2: 1 KJV].

tqu-a *metqvel-man*

say - S3: AOR saying-ERG

iii) The participle *λέγων* is sometimes represented with an article and agrees with the modified word in gender, case and number. Such an attributive participle **is given in the old translation of the Bible (OJ) in the form of a finite verb of the attributive clause. As subordinating conjunctions are characteristic of Old Georgian**, the old translator adds a relative pronoun *romel* (რომელ “which/who”) to the subordinate clause. The situation is the same in the English translation. Attributive *λέγων* participle **is translated in the *Gelati* version (SB) employing a subjective/active participle, which represents a syntactically isolated attribute. For Georgian syntax, it is unusual to use a great number of constructions with a subjective/active participle. This is peculiar to the translations of the *Hellenophile* period (XII–XIII cc.) (4):**

- (4) *καὶ ὅψεται ἡ ἐχθρά μου καὶ περιβαλεῖται αἰσχύνῃ ἣ λέγουσα*
πρὸς με ποῦ κύριος ὁ θεός σου... LXX

და მიხილოს მე მტერმან ჩემმან და დაფაროს იგი
სირცხულმან, რომელი მეტყოდა მე: სადა არს უფალი
ლმერთი შენი?.. OJ

და ჰხედვიდეს მტერი ჩემი და გარე-მოისხას სირცხული,
მეტყუზლმან ჩემდამო: სადა არს უფალი ღმერთი შენი?..
SB.

Then she that is mine enemy shall see it, and shame shall
cover her which said unto me, Where is the LORD thy God?..
[Mic. 7: 10 KJV].

<i>romel-i</i>	<i>m-e-tq-od-a</i>	<i>me</i>
which- NOM	O1-REL. PREF-say-SUF-S3:IMP	I- DAT
“who said to me”		
<i>meṭquel-man</i>	<i>čem-da-mo</i>	
saying-ERG	I-GEN-ADV-POST	
“(the person) speaking with me”		

In the Greek language, the participle λέγω takes the noun in the accusative case with the preposition πρὸς. Based on the analyzed material, such nouns are given in the old translation as indirect objects in the dative case, whereas in the *Gelati* Bible, we find a noun or pronoun in the genitive-adverbial case with a postposition *mi(mart)* or *mo(mart)* (4).

iv) Analysis of the empirical material has proved that in Greek, the verb λέγω forms two kinds of syntactic constructions: it takes either the indirect object in the dative case, or the noun in the accusative with the preposition πρὸς. In the first case, the indirect object is translated by the indirect object in the dative case in all manuscripts (5). In the second case, the noun in the accusative, with the preposition πρὸς of the verb λέγω in *Oshki* and *Jerusalem* MSS (OJ) is translated using an indirect object of *rquma* (რქუმა “to tell”) trivalent verb (a syntactic construction which is more natural for Georgian as a polypersonal type of language), whereas in the *Gelati* version (GSB) we find a bivalent verb *tquma* (თქუმა “to say”) and a noun/pronoun in the genitive-adverbial case with the postposition *mi(mart)/mo(mart)* (1, 2, 6, 7, 8, 9). As we can see, in the *Hellenophile* version, the noun with a preposition is translated employing a noun with a postposition, to achieve formal precision:

(5) καὶ προσήλθεν πρὸς αὐτὸν ὁ πρῶρεὺς καὶ εἶπεν αὐτῷ... LXX

და მოუტდა მას მენავც იგი და **ჰრქუა მას**: OJ

და მოვიდა მისდამი მეპრორე და **ჰრქუა მას**: GSB

*So the shipmaster came to him, and **said unto him**...* [Jon. 1: 6 KJV].

h-rqu-a *ma-s*
O3-tell-S3:AOR he-DAT
“told him”

(6) *καὶ εἶπα πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἐμοί...* LXX

და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა მე: OJ

და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა ჩემ შორის: GSB

*Then **said I to the angel** that talked with me...* [Zech. 5: 10 KJV].

v-tqu *angeloz-is-a* *mimart*
S1-say:AOR angel-GEN-ADV to:POST
“I said to the angel”

Constructions of the type “*vtqu angelozisa mimart*” are not natural for Georgian (Mirotadze, 2013, p. 185). Constructions of this type are frequently found in the translations of *Hellenophile* style (they are frequent in the *Gelati Codex*) and represent a syntactic Greekism.

v) One of the peculiarities of the *Prophecy of Zechariah* is the frequent use of the attributive participle *λαλῶν* with an article. In all cases, it serves as an attribute to the word *ὁ ἄγγελος* (ანგელოზ “angel”). This participle is not found in the books of other minor prophets and is rare in the Holy Scriptures in general. The rule of translation of this word is the same as the rule of translation of the attributive participle *λέγων* (see iii). In the *Gelati Bible*, a solid

equivalent of the participle *λαλῶν* is subjective/active participle *mzraxval* (მზრახვალ “talker, (person) talking”) (2, 6, 7, 9):

- (7) *καὶ ἐξῆλθεν ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἐμοὶ καὶ εἶπεν πρὸς με ἀνάβλεψον τοῖς ὀφθαλμοῖς σου... LXX*

და გამოვიდა ანგელოზი იგი, რომელი¹ მეტყოდა², და მრქჳა მე: აღიხილენ თუალნი შენნი... OJ

და განვიდა ანგელოზი, მზრახვალი ჩემ შორის და მქჳა ჩემდამო: აღიხილენ თუალნი შენნი... GSB

Then the angel that talked with me went forth, and said unto me... [Zech. 5: 5 KJV].

<i>mzraxval-i</i>	<i>čem</i>	<i>šoris</i>
talking-NOM	I: GEN	between: POST
“(the person) talking with me”		

In the Septuagint Greek, the participle *λαλῶν* takes the noun in the dative case with the preposition *ἐν*. Based on the analyzed data, in the earlier translations (OJ), such nouns are given in the form of an indirect object in the dative case. However, in the *Gelati* version (GSB), such nouns are represented in the genitive case, and they are followed by a postposition *šoris* (შორის “between”) (7).

vi) I have already presented the rules and patterns of Georgian translation of verbs and participles of saying before the direct

¹ In this case also, the old translator adds a relative pronoun *romel* (რომელ “which/who”) in the subordinate clause.

² The polypersonal nature of the Georgian verb makes it possible to omit the personal pronoun. In the given example, the indirect object expressed by the first person pronoun is omitted with the verb *metqoda* (მეტყოდა “to speak”).

quotation. Naturally, the above-mentioned does not exclude deviations from these rules in the process of translation. This especially refers to the old translation preserved in the *Oshki* and *Jerusalem* Bibles (the above-mentioned is less vivid in the exact formal translation of the *Hellenophile* period found in the *Gelati* version). The data of the *Oshki* and *Jerusalem* MSS enables identify the type of changes made by the old translator in the process of translation. The translator aimed to achieve stylistic appropriateness of the text, avoid complicated constructions or tautology. Let us discuss a couple of examples:

- (8) *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς με λέγων...* LXX

და მომიგო და მრქუა მე: OJ

და მომიგო და თქუა ჩემდამო, მეტყულობან: SB

Then he answered and spake unto me, saying, [Zech. 4: 6 KJV].

All the above-mentioned rules of translation are preserved in the given example, but the earlier translator (OJ) omits the verb corresponding to the participle *λέγων* to simplify the construction. The *Gelati Bible* offers an exact translation.

- (9) *καὶ ἐπηρώτησα καὶ εἶπον πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἔμοι λέγων τί ἐστὶν ταῦτα κύριε* LXX

და ვჰკითხე ანგელოზსა მას, --- რომელი-იგი მეტყოდა, [და] ვთქუ: რაჲ არიან ესენი, უფალო? OJ

და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა ჩემ შორის, მეტყულობან: რა არიან ესენი, უფალო? SB

*I answered*¹ and spake to the angel that talked with me, saying, *What are these, my lord?* [Zech. 4: 4 KJV].

As for the given example, four forms of saying (two verbs and two participles) are found together before the direct quotation in the Septuagint Greek. Therefore, the old translator (OJ) omits the verb *εἶπον* and does not translate it to avoid an overly complicated construction. In this case also, the *Gelati Bible* contains an exact, adequate translation. In many cases, accurate translation is given in the *Oshki* and *Jerusalem* MSS.

Conclusion

Thus, observation of the Georgian translations/versions of the Bible with reference to verbs and verbals of saying has proved that the translators of the old and *Hellenophile* periods try to make a precise translation of the text and address the issue with great veneration. However, the earlier translator takes more account of the nature of the Georgian language. Therefore, the old translations of the Bible occupy a somewhat intermediate position between the formal and dynamic translations (although “there are numerous signs of formal-structural translation“ (Danelia, 1998, p. 471)). The translator of the *Hellenophile* period tries hard to preserve both formal-structural and semantic equivalence with the Greek language.

It is well known that the language of translation of the Biblical Books was recognized by the Georgian writers as a standard language. Hence, it is quite natural that examples of usage of two forms of verbs of saying before direct quotation are sometimes found in the original Georgian hagiography (V-XI cc.). This language phenomenon started to disappear gradually, beginning from the 12th

¹ In Greek and Georgian, we find the verb “to ask”.

century. Yet, in rare cases, this phenomenon is found in the texts of the 17th and 18th centuries as well.

References

- Bible (2017). *biblia: žveli aytqma*. [The Bible. The Old Testament]. II. Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.
- Blass, F. & Debrunner, A. (1961). *A Greek Grammar of the New Testament and other Early Christian Literature*. Cambridge, Chicago, Illinois: The Cambridge University Press, The University Of Chicago Press.
- Danelia, K. (1998). mxaṭvruli enisa da ṣṭilis zogierti saḳitxi bibliur ოცნა ჯველი qartuli targmanis mixedvit [Certain Issues Related to the Literary Language and Style Based on the Old Georgian Translation of the Biblical Books]. *narḱvevebi kartuli samḱerlobo enis iṣṭoriidan* [Essays on the History of the Literary Georgian Language]. I, 443-500. Tbilisi: Tbilisi State University Press.
- Mirotadze, N. (2013). The Influence of the Biblical Translation on the Postpositional System of the Georgian Literary Language. *Oriental Languages in Translation*. IV, 179-187. Cracow: Polish Academy of Sciences Press.
- Ziegler, J. (ed.) (1976). *Septuaginta: Vetus Testamentum Graecum*. XV. *Jeremias – Baruch – Threni – Epistula Jeremiae*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Ziegler, J. (ed.) (1984). *Septuaginta: Vetus Testamentum Graecum*.
XIII. *Duodecim prophetae*. Göttingen: Vandenhoeck &
Ruprecht.

Abbreviations

B – A 455, *Bakar Codex*, the published version (1743)

G – A 1108, *Gelati Codex* (12th-13th cc.)

J – Jer. Geo. 7/11, *Jerusalem Codex* (11th c.)

KJV – The Bible (King James Version)

O – Ivir. Geo. №1, *Oshki Codex* (978)

S – A 51, *Mtskheta Codex* (17th-18th cc.)

LXX – Septuagint¹

¹ ADV – adverbial case; AOR – aorist; DAT – dative case; ERG – ergative case; GEN – genitive case; IMP – imperfect; NOM – nominative case; O1 – marker of the 1st objective person; O3 – marker of the 3rd objective person; POST – postposition; REL. PREF – relative prefix; SUF – suffix; S1 – marker of the 1st subjective person; S3 – marker of the 3rd subjective person.

გრამატიკული ცვლილების ერთი ტიპი ბარუქის წიგნის ქართულ ვერსიებში

ნაშრომში ერთი და იმავე გრამატიკული ფუნქციის (საობიექტო ვერსია) გამოხატვის მაგალითზე ნაჩვენებია განსხვავება ბარუქის წიგნის ძველ და გელათური ტიპის თარგმანებს შორის მთარგმნელის განსხვავებული სტილისა და ტექნიკის გათვალისწინებით. კვლევა საინტერესოა თარგმანის ტექნიკისა და ენის ისტორიის თვალსაზრისით.

ბიბლიურ წიგნთა ქართული ვერსიების მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული სამწერლობო ენის ისტორიის შესასწავლად, რადგან, უპირველესად, სწორედ ამ წიგნთა თარგმანებით ეყრება საფუძველი ორიგინალურ მწერლობასა და ქართულ სამწიგნობრო ენას. რადგან ქრისტიანული ლიტერატურა, მნიშვნელოვანწილად, ბერძნულიდან არის ნათარგმნი, ამიტომ სწორედ ამ ენამ იქონია უდიდესი გავლენა ქართული სამწიგნობრო ენის ფორმირებაზე.

ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ ქართული სამწიგნობრო ენის ფორმირებისა და განვითარების პროცესს უძველესი, ხანმეტი თარგმანებიდან (V-VI სს.) დაწყებული, დღემდე. ქართველ მთარგმნელებს უხდებოდათ ძველი აღთქმის წიგნების თარგმნა არა ორიგინალის ენიდან, ებრაულიდან, არამედ თარგმანის ენიდან, ბიბლიის ბერძნულიდან, რომელიც, ორიგინალური ლიტერატურის ბერძნულისგან განსხვავებით, ებრაიზმებით დატვირთულ ებრაულისა და ბერძნულის გრამატიკული კონსტრუქციების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა. ამ სირთულის დაძლევა უწევდა ყველა ქართველ მთარგმნელს, მაგრამ **წინათონური** პერიოდის (X საუკუნემდე) ძველი მთარგმნელები გაცილებით დიდი გამოწვე-

ვის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, ისინი ცდილობდნენ „ღმრთის სიტყვის“ ზუსტად თარგმნას და განსაკუთრებული მოკრძალებით ეკიდებოდნენ ამ საქმეს, მეორე მხრივ კი, ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ქართული ენის ბუნება და სტილი. გარდა იმისა, რომ მათ უწევდათ გზის გაკვალვა ამ სფეროში, ბერძნული ტექსტის შინაარსის გააზრება და მისი ზუსტად გადმოცემა ქართულისთვის უფრო ბუნებრივი გრამატიკული კონსტრუქციებით, ჩვენი აზრით, უფრო რთულად დასაძლევია უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბერძნულიდან სიტყვასიტყვითი თარგმანის შესრულება. **ათონური** პერიოდის თარგმანების მიზანდასახულობა კარგად ჩანს ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობაში – რთული საღვთისმეტყველო ლიტერატურა მარტივი, ადაპტირებული ენით მიეწოდებინა მრევლისთვის. ათონური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, გიორგი მთაწმიდლის, მიერ ძველი თარგმანების ბერძნულ წყაროსთან დაახლოების პროცესი გრძელდება ანტიოქიის მახლობლად, **შავ მთაზე**, სადაც XI საუკუნიდან ეფრემ მცირისა და მისი თანამოღვაწეების მიერ საფუძველი ეყრება თარგმანის ახალ კონცეფციას – ელინოფილურ მიმართულებას (ქართული თარგმანის ისტორიაში – მესამე პერიოდს), რომელიც გულისხმობს ბერძნულიდან ზუსტად, სიტყვასიტყვით თარგმნა-კომენტირებას. ეს პროცესი გრძელდება და უფრო გამოკვეთილ, ე.წ. ულტრაელინოფილურ სახეს იღებს **გელათის** საღვთისმეტყველო-ფილოლოგიურ სკოლაში, სადაც დიდძალი ლიტერატურა იქმნება გელათის სკოლის მთარგმნელობითი მეთოდითა და ენობრივ-ლიტერატურული სტილით (კეკელიძე, 1980, გვ. 42-79, 250-268, 273-305; დანელია, 1998ბ, გვ. 3-6; ხარანაული, 2006, გვ. 2-4; მელიქიშვილი, 2019, გვ. 7-52).

ყოველ ეტაპზე ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანების ბერძნულ დედანთან შეჯერება-რედაქტირების მიზანს წარმოადგენდა „ქართული ტექსტის მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ წყაროსთან და ენობრივი გაახლება-მოდერნიზაცია“ (დანელია, 1998ბ, გვ. 4). ამიტომ, ქართული სამწიგნობრო

ენის ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა, რა ტიპის ცვლილებებს განიცდიდა ერთი და იგივე ლიტერატურული ძეგლი სხვადასხვა პერიოდისა თუ ლიტერატურული სკოლის თარგმანსა თუ რეცენზიაში, რა რით იცვლებოდა და რატომ. ზოგადად, ქართულ ვერსიებს შორის არსებული სხვაობა შეიძლება განპირობებული იყოს: 1. სხვადასხვა ტრადიციის მატარებელი ბერძნული დედნის არსებობით; 2. მთარგმნელთა განსხვავებული სტილითა და ტექნიკით (ამ შემთხვევაში თუნდაც ერთი და იმავე ტრადიციის დედნიდან მომდინარე სხვადასხვა სტილით შესრულებული თარგმანები//რეცენზიები სხვაობას ავლენენ სათარგმნი ტექსტისადმი განსხვავებული დამოკიდებულების გამო); 3. გადამწერის მიერ შეტანილი ცვლილებებით.¹ ამჯერად შევეცდებით ბარუქის წიგნის ქართული ვერსიების ანალიზის საფუძველზე გავცეთ ზემოაღნიშნულ კითხვებს პასუხი.

წიგნი ბარუქისი ბიბლიის აპოკრიფული ნაწილია. მიჩნეულია, რომ მისი ავტორი არ არის ბარუქი² (მური, 1978).³ შინაარსობრივ, ამ წიგნს ხუთ ნაწილად ყოფენ: 1. შესავალი [1: 1-14]; 2. აღსარება [1: 15-2: 5]; 3. გადასახლებული საზოგადოების ლოცვები [2: 6-3: 8]; 4. სიბრძნის ქება [3: 9-4: 4] და 5. გალობა [4: 5-5: 9] (მური, 1978). წიგნი ბარუქისი, ისევე როგორც ბიბლიის სხვა არაკანონიკური წიგნები, ებრაულ ენაზე არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ყველა მკვლევარი თან-

¹ ვრცლად იხ. ხარანაული, 2006.

² ბარუქ წინასწარმეტყველი იერემია წინასწარმეტყველის მოწაფე, მეგობარი და მისი წინასწარმეტყველებების ჩამწერი იყო. იგი დაადანაშაულეს, რომ ბაბილონის მომხრე იყო და იერემიასა და სხვა გადარჩენილ ებრაელებთან ერთად გადაასახლეს ეგვიპტეში [იერ. 43: 1-7]. ბიბლიაში არაფერია ნათქვამი ბარუქის გარდაცვალების დროისა და ადგილის შესახებ.

³ ვიმოწმებთ ც. გულელანის სამაგისტრო ნაშრომის მიხედვით (2014).

ხმდება, რომ ამ წიგნის პირველი ნაწილი [1: 1-3: 8] უნდა დაწერილიყო ებრაულად. კამათის საგანია ბარუქის მეორე ნაწილის [3: 9-5: 9] ორიგინალის ენა. ის შეიძლება დაწერილიყო როგორც ებრაულად, ისე – ბერძნულად (მური, 1978). გარკვეულია, რომ **ქართული მთარგმნელისთვის დედანს ბერძნული წარმოადგენდა**.¹ საერთო აზრი არ არსებობს ბარუქის წიგნის შედგენის თარიღის შესახებაც – ის მერყეობს ძვ. წ. აღ. II-I საუკუნეებში, კერძოდ, ქრისტემდე I საუკუნის მიწურულს უნდა დამატებოდა მას გალობის 5: 5-9 ნაწილი (მური, 1978).

ბარუქის ტექსტი, ყველა ხელნაწერის მიხედვით, სამრედაქციოდ გამოსცა ც. ქურციკიძემ გამოკვლევასთან ერთად (ქურციკიძე, 1970, გვ. 1973). პირველი რედაქცია (**ა**) წარმოადგენს ბარუქის წიგნის **ძველ თარგმანს**, რომელიც დაცულია **ოშკისა** (ათონის ივერიის მონასტრის Ivir. Geo. №1 ხელნაწერი 978 წლისა, დღეისათვის ძველი აღთქმის წიგნების უძველესი, ასე თუ ისე, სრული კრებული (308v – 315r)) და **იერუსალიმის**

¹ბარუქის წიგნის ბერძნულ ტექსტს შეიცავენ მაიუსკულური (codex Alexandrinus (V ს.), codex Vaticanus (IV ს.), codex Marchalianus (VI ს.), codex Venetus (VIII ს.)) და უფრო გვიანდელი მინუსკულური ხელნაწერები. ეს ხელნაწერები და თარგმანები ქმნიან სამ რეცენზიულ ჯგუფს: ჰექსაპლური რეცენზია (*O*), ლუკიანეს რეცენზია (*L*) და კატენური ჯგუფი (*C*). თავის დროზე ც. ქურციკიძემ ბარუქის ქართული თარგმანის სომხურ-ბერძნულთან შედარების საფუძველზე დაასკვნა, რომ „ქართული თარგმანი, მართალია, სომხურთან ერთად სეპტუაგინტას ალექსანდრიული ვარიანტის ტრადიციისაა, მაგრამ სომხურიდან არ მომდინარეობს. სავარაუდოა, რომ ქართული და სომხური თარგმანები მომდინარეობენ ალექსანდრიული ვარიანტის ორი სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომელთა მიკვლევა ჯერჯერობით არ ხერხდება“ (ქურციკიძე, 1973, გვ. 237-238). ც. გულედანმა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გაარკვია, რომ ბარუქის წიგნის ქართული თარგმანი სეპტუაგინტის ლუკიანური რეცენზიიდან უნდა მომდინარეობდეს (გულედანი, 2014).

(იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის Jer. Geo. 7/11 ხელნაწერი XI საუკუნისა (43v – 48r)) ბიბლიების ნუსხებში. მეორე **(ბ)** რედაქციას წარმოადგენს **პარიზის ლექციონარში** (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის Geo. №3 ხელნაწერი, X-XI სს.) „იერემია წინასწარმეტყველის საკითხავების“ სახელწოდებით¹ შესული ბარუქის ტექსტის ორ მესამედზე მეტი (ქურციკიძე, 1973, გვ. 228). იგი **დამოუკიდებელი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს**, ამიტომ ც. ქურციკიძემ ცალკე რედაქციად გამოყო. ბარუქის წიგნის მესამე **(გ)** რედაქციად მიჩნეულია **გელათის**² (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 1108 ხელნაწერი XII

¹ როგორც ჩანს, ძველად მიიჩნევდნენ, რომ ბარუქი იერემიას წინასწარმეტყველებების ჩამწერი იყო და, შესაბამისად, ბარუქის წიგნიც იერემიას გამონათქვამებს შეიცავდა. ამავე მიზეზით IV საუკუნეში, როდესაც არაკანონიკური წიგნები კანონიკურთაგან პირველად გამოიჯნეს, ბარუქი გამონაკლისი იყო: იგი, „გოდებასა“ და „ეპისტოლესთან“ ერთად, იერემიას წინასწარმეტყველების შემადგენელ ნაწილად, მის დანართად მიიჩნიეს (ქურციკიძე, 1973, გვ. 239).

² **გელათის კატენებიანი ბიბლია**, ზოგადად, ელინოფილური, კონკრეტულად კი, გელათის სალიტერატურო სკოლისთვის დამახასიათებელი თარგმანის სტილით შესრულებული ძველი აღთქმის კომენტარებიანი კრებულია და ეგზეგეტიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. გელათის კატენებიანი ბიბლია ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: A 1108 (XII ან XII-XIII სს.), რომელიც მთარგმნელი რედაქტორის მიერაა შესრულებული და ავტოგრაფულ ნუსხას წარმოადგენს (ამიტომ მასში კარგად ჩანს თარგმანის პროცესში შეტანილი ჩასწორებების კვალი), და Q 1152 (XII-XIII სს.), რომელიც კალიგრაფის ლამაზი ხელითაა გადაწერილი წინა ნუსხიდან. ორივე ხელნაწერი თავბოლონაკლულია: დაკარგულია დაბადებისა და გამოსლვათას წიგნები. Q 1152 მხოლოდ რვანიგნეულს აერთიანებს, A 1108-ში კი რვანიგნეულს განსხვავებული ხელით შესრულებული წინასწარმეტყველების წიგნები გვიან უნდა დამატებოდა და შეკრულიყო ერთად. თუ რვანიგნეული დატვირთულია კომენტარებით, მეორე ნაწილში სურათი იცვლება: დიდ წინასწარმეტყველთა წიგნებს კანტიკუნტად ახლავს კომენტარები, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებს კი საერთოდ არ ახლავს ისინი (გიგი-

საუკუნისა (246r – 249v)), **მცხეთურ** (A 51 ხელნაწერი, XVII-XVIII სს., იგივე საბას ბიბლია, ბიბლიის სრული კრებული (502r – 504v)) და **ბაქარის** (ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვური გამოცემა (გვ. 546-650)) ბიბლიებში დაცული ტექსტები (ქურციკიძე, 1973, გვ. 229).¹

ც. ქურციკიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ **ბარუქის წიგნის** გელათური ვერსია **წარმოადგენს არა ახალ, დამოუკიდებელ თარგმანს**,² არამედ ძველი თარგმანის (ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიების ხელნაწერებში დაცული რედაქციის) **ბერძნული სეპტუაგინტის ტექსტთან შეჯერების შედეგად მიღებულ რედაქციას** (ქურციკიძე, 1973, გვ. 249-253). თუ ძველი და გელათური ვერსიები ერთი ტრადიციის დედნიდან მომდინარეობს, პარიზის ლექციონარს სულ სხვა ტრადიციის მატარე-

ნეიშვილი, 1989, გვ. 580-592; მელიქიშვილი, 2019, გვ. 44-45, 164-166). გელათის კრებულში შემავალი წიგნები ენობრივად, მეტ-ნაკლებად, სხვაობს ერთმანეთისგან, რაც დ. მელიქიშვილს აფიქრებინებს, რომ ტექსტის თარგმნაზე მუშაობდა ჯგუფი ერთი მთარგმნელ-რედაქტორის ხელმძღვანელობით, რომელიც, იმავდროულად, გარკვეული ნაწილის მთარგმნელადაც გვევლინება. ასეთ მთარგმნელ-რედაქტორს კი, ავტორის აზრით, შესაძლოა, არსენ იყალთოელიც წარმოადგენდეს (მელიქიშვილი, 2019, გვ. 212 და შმდგ.).

¹არსებობს **ბარუქის წიგნის** შემცველი სხვა ბეჭდური (ბლეიკი, ბრიერი, 1961; დოჩანაშვილი, 1985; დანელია, 1997; აბულაძე და სხვ., 2017) თუ ელექტრონული გამოცემებიც:

[http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm#oskij001.htm#VT](http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm#oskij001.htm#VT;);

http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/mcat/mcat.htm#mcat856.htm#VT_Bar_1_1;

<http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

² სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმად, ბიბლიის გელათური ვერსია წარმოადგენდა ბერძნული სეპტუაგინტიდან შესრულებულ ახალ, დამოუკიდებელ თარგმანს (ბლეიკი, 1921, გვ. 23; ინგოროყვა, 1939, გვ. 124).

ბელი დედანი უდევს საფუძვლად¹ (ქურციკიძე, 1973, გვ. 245, 250).

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ბარუქის წიგნში იმ მორფოსინტაქსური ცვლილებების ერთ ტიპზე დაკვირვება, რომლებიც გელათური ვერსიის მთარგმნელ-რედაქტორმა შეიტანა ოშკურ და იერუსალიმურ ნუსხებში წარმოდგენილ ძველ თარგმანში ბერძნული დედნის ზუსტად, ადეკვატურად გადმოღების მიზნით და რომლებიც ბუნებრივი არ ჩანს საკუთრივ ქართულისთვის.² გათვალისწინებული იქნება პარიზულ ლექციონარში საკითხავების სახით შესული ბარუქის ტექსტის ვითარებაც. რაც შეეხება საბასა და ბაქარის ბიბლიებს, ამ შემთხვევაში ისინი ნაკლებსაყურადღებოა, რადგან ორივე მთლიანად A 1108 ხელნაწერს ეყრდნობა და, შესაბამისად, გელათური ვერსიის იდენტურია.³

¹ ც. ქურციკიძის აზრით, „მას აღმოაჩნდა ვატიკანური კოდექსის ტექსტისთვის დამახასიათებელი წაკითხვები“ (1973, გვ. 245).

² ამჯერად არ შეგვხვებით იმ ტიპის სხვაობებს, რომლებიც დროთა განმავლობაში თავად ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების ამსახველია და მნიგნობრულ ენაში გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე იჩენს თავს. გელათის ბიბლიას, როგორც ენობრივად მე-12 საუკუნის ტექსტს, ცხადია, ახასიათებს ევოლუციის შედეგად მიღებული ახალი გრამატიკული ფორმები, რომლებიც მონაცვლეობენ ძველთან (მელიქიშვილი, 2019, გვ. 182).

³ უმნიშვნელო სხვაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში. გელათის ბიბლიაში ბარუქის ტექსტს აკლია მე-4 თავის მე-18 მუხლიდან ბოლომდე. იგი ტექსტის გამომცემელმა, ც. ქურციკიძემ, შეავსო მცხეთური ბიბლიით, რომელშიც ბეჭდური სახით შეტანილი წიგნი ბარუქის, წინასწარმეტყველთა სხვა წიგნებთან ერთად, ჩაუეინძავთ წინასწარმეტყველთა წიგნების 1710-1711 წლის თბილისური გამოცემიდან, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად A 1108 ხელნაწერს ეყრდნობა, იქიდანაა გადმობეჭდილი (ინგოროყვა, 1939, გვ. 125). ბარუქის წიგნი იმავე 1710-1711 წლის გამოცემიდან არის გადაბეჭდილი ბაქარის ბიბლიაშიც.

ცნობილია, რომ ქართული ენის ზმნა თავისი მორფოლოგიური სტრუქტურითა თუ სინტაქსური კონსტრუქციით განსხვავდება იმ ენების ზმნისგან, რომლებთანაც მას ისტორიულად ჰქონია ურთიერთობა (ბერძნული, სომხური, ებრაული, სირიული, არაბული...). მონოპერსონალური ტიპის ენებისგან განსხვავებით, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სუბიექტურ-ობიექტური აქტანტებიდან ზმნურ ფორმაში ნიშანს აჩენს არა მარტო სუბიექტი, არამედ – ობიექტიც. მართალია, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ ამ ტიპის აქტანტთა მაქსიმალური რაოდენობა, როგორც წესი, სამია,¹ მაგრამ მორფოლოგიურ დონეზე, ზმნის სტრუქტურაში, ამ აქტანტთა მიერ ზმნაში გამოვლენილ პირის ნიშანთა რაოდენობა არ აღემატება ორს (მაგ., **ს-წერ-ს** ის მას მას). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ზმნა ხასიათდება, როგორც პოლიპერსონალური, უკეთ, **ბიპერსონალური** (გამყრელიძე, 1979, გვ. 42).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რა პრობლემებს უქმნიდა ძველ ქართველ მთარგმნელ-რეცენზენტებს მონოპერსონალური ტიპის ენებიდან თარგმნა. კ. დანელიამ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა იმ შემთხვევებს, რომლებიც დასტურდება ძველ ნათარგმნ ლიტერატურაში (იშვიათად – ორიგინალურშიც) რელატიური აგებულების ქართული ზმნისა და უცხო ენათა აბსოლუტური აგებულების ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის შერევის შედეგად. ავტორმა ამ მოვლენას უწოდა **სინტაქსური კონტამინაცია** და გამოყო მისი სამი სახე: 1. თანდებულიანი (*განმე-*

¹ როგორც თ. გამყრელიძე შენიშნავს, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ აქტანტთა მაქსიმალური რაოდენობა ოთხია. შესაბამისად, ქართული ზმნა შეიძლება იყოს 0-, 1-, 2-, 3- ან იშვიათად 4-ვალენტური (1979, გვ. 37). არსებობს განსხვავებული პოზიცია, რომლის თანახმად, „ქართულში ზმნა ოთხ აქტანტს არ შეიწყობს“ (ნებიერიძე, 1991, გვ. 156-157).

შორენით **ჩემგან** [მ. 7: 23]); 2. გენიტიური (დაგბანნე ფერწი **თქუენნი** [ი. 13: 14]) და 3. პლეონასტური (რამთა აღმეხუნენ **ჩუენ** თუალნი **ჩუენნი** [მ. 20: 33 C]) (დანელია, 1998ბ, გვ. 9). ამგვარად, სინტაქსური კონტამინაცია მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: ქართული ზმნის სტრუქტურა + უცხოური სინტაქსური კონსტრუქცია.

სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ: ა) როგორ, რა ხერხებით ცდილობს გელათელი მთარგმნელ-რედაქტორი ბერძნულ წყაროსთან ზედმინევენით დაახლოების მიზნით, ერთი მხრივ, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციის ადეკვატურად გადმოტანას (პირმომართი ირიბი დამატების შეცვლას პირმიუმართავი დამატების თანდებულებიანი კონსტრუქციით) და, მეორე მხრივ, ქართული ზმნის მორგებას მისთვის უცხო კონსტრუქციისთვის, რაც სინტაქსური კონტამინაციის დაძლევის საფუძველი ხდება; ბ) რა სხვაობაა ძველ და გელათური ტიპის თარგმანებს//რეცენზიებს შორის ერთი და იმავე გრამატიკული ფუნქციის (საობიექტო ვერსია) გამოხატვის თვალსაზრისით. ამ ფუნქციის გამოხატვის ორი საშუალებიდან (სინთეზური და ანალიზური) ¹ თითოეული მათგანი რომელს ანიჭებს უპირატესობას: ქართულისთვის უფრო ბუნებრივ სინთეზურ წარმოებას, თუ – ანალიზურს.²

ვნახოთ, რა მასალას იძლევა ამ მხრივ *ბარუქის წიგნის* ქართული ვერსიები:

¹ქართულს ორივე ახასიათებს და შეუძლია კუთვნილება-დანიშნულებითი, ანუ პოსესიურ-ბენეფაქტიური, მიმართების გამოხატვა როგორც სინთეზურად (აუშენა მშობლებს სახლი, დაუნერა მეგობარს სიმღერა), ისე – ანალიზურად (ააშენა მშობლების სახლი, დაუნერა მეგობრისთვის სიმღერა).

² გელათის ბიბლიის შემთხვევაში მხედველობაში გვექნება კიმენური ტექსტი.

1: 3-4 და **აღმოუკითხნა** ბარუქ სიტყუანი ესე ამის წიგნისანი **ყურთა** იექონიამსთა, ძისა იოაკიმისთა, მეფისა იუ-
დამსთა, და **ყურთა** ყოვლისა ერისათა, რომელნი მოვი-
დეს მის წიგნისა, და **ყურთა** ძლიერთასა და ძეთა მეფე-
სათა, და **ყურთა** მოხუცებულთასა და ყოვლისა ერისა-
თა კნინითგან მიდიდადმდე... OJ ¹

და **წარიკითხნა** ბარუქმან სიტყუანი წიგნისანი **ყურთა**
მიმართ იექონიამ[სთა], ძისა იოაკიმისთა, მეფისა იუ-
დამსთა, და **ყურთა** [მიმართ ყოვლისა ერისათა, რო-
მელნი მოვიდოდეს მის წიგნისა, და ყურთა] ძლიერთა
და ძეთა მეფეთადას, და **ყურთა მიმართ** მოხუცებულ-
თადას და **ყურთა მიმართ** ყოვლისა ერისათა კნინით-
გან] [v] ვიდრე დიდამდე... GaSB ²

³ και ἀνέγνω Βαρουχ τὸς λόγους τοῦ βιβλίου τούτου ἐν ᾧσιν
Ιερχονίου υἱοῦ Ιωακίμ βασιλέως Ιουδα καὶ ἐν ᾧσ¹ παντὸς τοῦ
λαοῦ τῶν ἐρχομένων πρὸς τὴν βίβλον ⁴ καὶ ἐν ᾧσ¹ τῶν θυνατῶν
καὶ σὺν τῶν βασιλέων καὶ ἐν ᾧσ¹ τῶν πρεσβυτέρων καὶ ἐν ᾧσ¹
παντὸς τοῦ λαοῦ ἀπὸ μικροῦ ἕως μεγάλου... LXX⁴

¹ იოაკიმისთა O. მოვიდეს] მოვიდოდეს J. ძლიერთა O. და 2°]- O. მუ-
ხუცებულთასა O. და+ყურთა J. მიდიდადმდე] ვიდრე დიდამდე J.

² დიდამდე SB. პარიზის ლექციონარის საკითხავები ამ მუხლებს
არ შეიცავს. ქვემოთაც ლექციონარის ვითარებას გავითვალისწი-
ნებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის საინტერესო მონაკვე-
თები წარმოდგენილი იქნება პარიზულ ნუსხაში.

³ ἐν 2⁰] ყ 86.

⁴ ბერძნულთან შესადარებლად გამოვიყენეთ ციგლერის მიერ კრი-
ტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტი და მისი აპარატი (ციგლე-
რი, 1976). ამავე გამოცემაში შეტანილ ვარიანტულ წაკითხვებს სქო-
ლიოში წარმოვადგენთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უშუალო
კავშირშია ჩვენს საკითხთან. სეპტუაგინტის ტექსტის მორფოლოგი-

თუკი ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებში წარმოდგენილი ბარუქის წიგნის ძველი ქართული თარგმანი ცდილობს, მეტ-ნაკლებად დაიცვას, ორიგინალური მწერლობის მიხედვით, ქართულისთვის ბუნებრივი სტილი¹ და სათანადო შინაარსი გამოხატოს სინთეზურად, საობიექტო ვერსიის ზმნით, გელათური ვერსია ზუსტ სტრუქტურულ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას (საობიექტო ვერსიის შინაარსს გამოხატავს ანალიზურად), ამიტომ პირმომართ ირიბ დამატებას (*ყურთა*), ბერძნულის კვალობაზე, პირმოუმართავი თანდებულებანი² დამატებით ცვლის (*ყურთა მიმართ*). შედეგად, იცვლება ზმნის სინტაქსური ვალენტობა: ზმნა, სამი პირმომართი აქტანტის ნაცვლად, იწყობს ორს. სინტაქსურ კონსტრუქციაში მომხდარი ცვლილების გამო გელათური ვერსიის ავტორს ცვლილება შეაქვს ზმნის სტრუქტურაშიც: **საობიექტო ვერსიის ფორმას სასუბიექტოთი ცვლის** (*აღმო-უ-კითხნა > წარ-ო-კითხნა*),³ რის საფუძველზეც ზმნის სტრუქტურა შესაბამისობაში მოდის მასთან დაკავშირებულ სინტაქსურ კონსტრუქციასთან.⁴

ური ანოტირებისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა Bible Works – Version 10.0.4.216.

¹ თუმცა თავს ვერ არიდებს სომატური სიტყვით (*ყური*) შედგენილ ებრაულ იდიომატურ გამოთქმას.

² *ს* წინდებულებანი სახელი ბერძნულში დატივში დგას. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართულ თარგმანებში ბერძნული წინდებულების ეკვივალენტებზე მსჯელობა.

³ ზმნისწინის შეცვლას აქ მნიშვნელობა არ ენიჭება. ამ შემთხვევაში სასუბიექტო ვერსიის ფორმა (*წარ-ო-კითხნა*) ფუნქციით ნეიტრალურისაა, რადგან, თუ ზმნას მოეპოვება ოდენ საობიექტო და სასუბიექტო ვერსიის ფორმები, საობიექტო თავისი ფუნქციით გამოიყენება, ხოლო სასუბიექტო – ნეიტრალური ვერსიის ფუნქციით. ამ ზმნის ბენეფაქტივი არის არა სუბიექტი, როგორც ეს ხდება სასუბიექტო ვერსიის შემთხვევაში, არამედ – პირმოუმართავი დამატება (*ყურთა მიმართ*).

ზე“ და „ძველი ალთქმის წუთისოფელი“ ამ სახელის შესახებ წერს: „ძე ალთქმისა“ უნდა ყოფილიყო შვილი დედოფლისა და არა მხევლისა; და სარასაც ამიტომ შეეცვალა სახელი – ერქვა **სარად**, დაერქვა **სარაჰ**, რაც აბრაამის თავდაპირველი სამშობლოს ენაზე, ბაბილონურად, ნიშნავდა „დედოფალს“ (1989, გვ. 30; 2003, გვ. 24). „სარას ახალი სახელი მისი სამოს გახსნის მაუწყებელია: არ შეიძლება დედოფალი ბერნი იყოს“ (კიკნაძე, 2004, გვ. 61). სხვა წაკითხვით, „ფილონის (I საუკ.) ფილოსოფიური ალეგორიზმის მიხედვით, ებრაულ ტექსტში გამოყენებული აბრაამის ცოლის პირველი სახელი **სარა** (ებრ. სარაი) ნიშნავს „ძალაუფლებას“, ხოლო მეორე სახელი **სარრა** (ებრ. სარაჰ) – „ხელისუფალს“. I სახელი სიმბოლოა სახეობრივი (עֲמֻנָה-სი), დროებითი, წარმავალი ქველმოქმედისა, II სახელი კი – გვარეობრივისა (קְדוּשָׁה-სი), მუდმივი ქველმოქმედისა“ (დანელია, 1998ა, გვ. 452).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეცვლილი სახელები, რომლებსაც უფალი აძლევს აბრაამსა და სარას, წარმოადგენს ე.წ. **თეოფორულ სახელებს**. **თეო-φύσις** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ღმერთის მატარებელს“ (ჰაბერი, 2001), „ღმერთის სახელის მქონეს“. თეოფორული სახელები ღმერთის სახელისგან ნაწარმოები სიტყვებია და, აგებულების მიხედვით, წარმოადგენენ კომპოზიტებს. სახელის ფუძე მიღებულია ღმერთის ორი ებრაული სახელის – **יְהוָה** (ელ/ელოჰიმ) ან **יהוה** (დაჰვე) – გამოყენებით.

ჰ. ჰაბერი ნაშრომში „თეოფორული სახელები ბიბლიაში“ განიხილავს ამ ტიპის ანთროპონიმთა სემანტიკას, სტრუქტურასა და აგების პრინციპებს და იძლევა მათს კლასიფიკაციას. მკვლევრის აზრით, თეოფორულ სახელებში **יְהוָה** (ელ) სრული ფორმითაა წარმოდგენილი (მაგ., ელიაჰ, ისრაელ...), **יהוה** (დაჰვე) წმინდა ტეტრაგრამიდან კი გარკვეული ელემენტები მონაწილეობს მის სტრუქტურაში (მაგ., დეჰოშუა, ელიაჰუ...).

ავტორი მიუთითებს, რომ ძველ აღთქმაში თეოფორული სახელებით პირთა სახელდებას განაპირობებდა, ერთი მხრივ, მშობლების მადლიერების გამოხატვა უზენაესის მიმართ (მაგ., ლაქი – ნეთანელ [რიცხვ. 1: 8], ათაი – იეჰონათან [II სამ. 14: 6]. ებრაულ ზმნურ ფუძეს ა-ת-נ (נ-ת-נ – „მიცემა“) ემატება ღმერთის სახელის სრული, შეკვეცილი ან შეცვლილი ფორმა), მეორე მხრივ, მშობლის იმედის გადმოცემა, რომ ღმერთი მის შვილს მომავალში დაეხმარებოდა (נ-י-ע – ა-ზ-ר, ე-ზ-ר – „შველა“), მაგ., רועל – ელაზარ [გამ. 6: 23], רועל – ელიეზერ [დაბ. 15: 2] და ა.შ.). სხვა სახელები მიუთითებენ მშობლების იმედს მათი შვილის მომავალთან დაკავშირებით (მაგ., לאָוִן – ეზეკიელ გამოხატავს სურვილს – „დაე, ღმერთმა გააძლიეროს [იგი]“). ასევე, თეოფორული სახელები დამატებით ინფორმაციას გვანვდიან ღმერთის შესახებ (მაგ., לאָרְבֵּך – გაბრიელ – „ღმერთი არის ჩემი ციხესიმაგრე“, לאָדָּנ – დანიელ – „ღმერთი არის მოსამართლე ან სამართლიანობის აღმსრულებელი“) (ჰაბერი, 2001).

საყურადღებოა, რომ ჰ. ჰაბერი თეოფორული სახელების რიგში განიხილავს აბრაამისა და სარას მოდიფიცირებულ სახელებს და მიუთითებს, რომ შესაძლებელია, ტეტრაგრამიდან მხოლოდ ერთი გრაფემა იყოს აღებული. ასეა სწორედ შესაქმეში, როცა ღმერთი თავად ამატებს ה (ჰე) გრაფემას და ცვლის აბრამ ანთროპონიმს აბრაჰამ (אַבְרָהָם ← אֲבֶרָהָ) და სარადს – სარაჰ ფორმებით (אַרְבֶּּע ← אֶרֶב):

אַרְבֶּּעַ אֶרֶב אֲבֶרָהָ וְיִצְחָק אֲבֶרָהָ 17: 5

וְיִצְחָק אֲבֶרָהָ וְיִצְחָק אֲבֶרָהָ 17: 15

וְיִצְחָק אֲבֶרָהָ

ანალოგიური პრინციპით, /ჰ/ თანხმოვნის დამატებით, დაგრძელდა ეს ანთროპონიმები **სირიულშიც** და მოგვცა აბრაჰამ და სარაჰ ფორმები (**𐤀𐤁𐤕𐤁𐤏𐤁** ← **𐤀𐤁𐤕𐤁**, **𐤏𐤕𐤁𐤏** ← **𐤏𐤕**):

𐤀𐤁𐤕𐤁 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 17: 5

𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏

𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤀𐤁𐤕𐤁 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏 𐤏𐤕𐤁𐤏

17: 15

სეპტუაგინტაში აბრაამისა და სარას სახელების ახალი ფორმების წარმოება განსხვავებულ პრინციპს ეფუძნება:

17:5 *καὶ οὐ κληθήσεται ἔτι τὸ ὄνομά σου **Αβραμ** ἀλλ' ἔσται τὸ ὄνομά σου **Αβρααμ** ὅτι πατέρα πολλῶν ἐθνῶν τέθεικά σε.*

17:15 *εἶπεν δὲ ὁ θεὸς τῇ **Αβρααμ** **Σαρα** ἡ γυνή σου οὐ κληθήσεται τὸ ὄνομα αὐτῆς **Σαρα** ἀλλὰ **Σαρρα** ἔσται τὸ ὄνομα αὐτῆς.*

ბერძნულს არ მოეპოვება /ჰ/ ფონემა,¹ ამიტომ მან სხვა გზას მიმართა აბრაამის სახელის ორი ფორმის გასარჩევად – ალფას გაორმაგებას (**Αβραμ** → **Αβρααμ**). თუ ანთროპონიმს **𐤀𐤁𐤕𐤁** (აბრაჰამ) განვიხილავთ თეოფორულ სახელად, რომელიც ებრაულში დაგრძელდა ტეტრაგრამისეული **𐤀** (ჰე) თანხმოვნით, ამკარაა, რომ ეს პრინციპი ბერძნულში დაჩრდილულია, თუმცა სეპტუაგინტის მთარგმნელმა სხვა საშუალებით მაინც მოახერხა ამ ფორმების გარჩევა.

იმავე მიზეზით სეპტუაგინტაში სხვა საშუალებათა მოძებნილი სარას სახელის ორი ფორმის გასარჩევადაც – **როს** გემინაცია: **Σαρα**→**Σαρρα**. როგორც ჩანს, „სარას სახელში ახლად

¹ თუმცა ძველ ბერძნულში [ჰ] ბგერა ისმოდა ანლაუტში ძლიერი ფჰენის (სპირიტუს ასპერ) დროს და მისი აღნიშვნა ხდებოდა სპეციალური ნიშნით [ḥ].

გაჩენილი იოდი არ იქნა მხედველობაში მიღებული... შესაძლოა, მთარგმნელი სახელს „უ“ განსხვავებულად, იოდის გარეშე წარმოთქვამდა“ (ტოვი, 2022, გვ. 4-5).

სომხურში, ზოგადად, ორივე საშუალებაა გამოყენებული აბრაამის სახელის ორი ფორმის გასარჩევად: როგორც /ა/ ხმოვნის გაორმაგება (ბერძნულის მსგავსად): *Աբրამ* – *Աբრაამ* (ԱՍՏՈՒԲՇԱՇՈՒԻՆՉ, 1805), ისე, ძირითადად, /ჰ/ თანხმოვნის დამატება (ებრაულისა და სირიულის მსგავსად): *Աբრამ* – *Աբრაჰამ* (ԱՍՏՈՒԲՇԱՇՈՒԻՆՉ, 1895): ¹

Գրք. 17: 5 *Եւ ոչ կոչեսցի այսուհետեւ անուն քո Աբրამ, այլ եղիցի անուն քո Աբრაჰამ. զի հայր ազգաց բազմաց եղի զքեզ.*

სარას ორიგინალური სახელის დაწერილობაში სომხური იყენებს რბილ /რ/-ს, ხოლო სახელის ახალ ფორმაში, ბერძნული გემინირებული **როს** ეკვივალენტად – მაგარ /რ/-ს. ამდენად, სხვაობა რბილი და მაგარი /რ/-ს მონაცვლეობაზეა დამყარებული: *Սարա* – *Սառա* (ԱՍՏՈՒԲՇԱՇՈՒԻՆՉ, 1895):

Գրք. 17: 15 *Եւ ասէ Աստուած ցԱբრაჰամ. Եւ Սարայի կնոջ քո ոչ կոչեսցի անուն նորա Սարա, այլ Սառա եղիցի անունը նորա.*

როგორც აბრაამი, ისე **სარა უფლის მიერ მათთვის სახელების ცვლილების შემდეგ ანთროპონიმების მხოლოდ ახალი ფორმით მოიხსენიებიან** როგორც ებრაულ მასორეტულ ტექსტში, ისე – სეპტუაგინტაში, სირიულ პეშიტასა და სომხურ ბიბლიაში. ეს დაპირისპირება სისტემებრაა გატარებული. მაგ., მასორაში აბრაამის ორიგინალური სახელი (אַבְרָהָם) 45 მუხლში 51-ჯერ დასტურდება, მათგან 49-ჯერ – შესაქმეში

¹ ვისარგებლეთ სომხური ბიბლიის ელექტრონული ვერსიით, რომელიც 1895 წლის გამოცემას ეყრდნობა:
https://arak29.org/bible/book/tGen_1.htm

17: 5-ის ჩათვლით. ამის შემდეგ იგი სისტემებრ სახელის ახალი ფორმით მოიხსენიება, გარდა ორი შემთხვევისა (I ნეშტა 1: 27 და ნეშტა 9: 7), როცა კონტექსტი ითხოვს მის როგორც ორიგინალურ, ისე – შეცვლილ სახელებს. ანალოგიური ვითარებაა სირიულში, ბერძნულსა და სომხურშიც. განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ სეპტუაგინტა I ნეშტა 1: 27-ში, რომელშიც აბრაამის ოდენ ახალი სახელია წარმოდგენილი:

I ნეშტა 1: 27 :**םיִרְבְּךָ אִיוֹ ׀רְבֶּךָ**

𐤌𐤓𐤕𐤕𐤁𐤀𐤓𐤁𐤀𐤓𐤁𐤀𐤓

Արբամ, նա ինքն է Արսահամ

Αβρααμ

და აბრაამ FI. აბრამ ესე იგი არს აბრაჰამ S. აბრამ იგი არს აბრაჰამ B.

1.2. კვლევის მიზანი და მეთოდები. სტატიის მიზანს წარმოადგენს, გავარკვიოთ, როგორ, რა ფორმით (ბერძნული თუ არაბერძნული, აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გათვალისწინებით) გადმოჰქონდათ ძველ მთარგმნელ-რედაქტორებს ქართულად აბრაამისა და სარას სახელები; რამდენად თანმიმდევრული იყვნენ ამ საკითხში; დაცული იყო თუ არა დაპირისპირება მათი სახელების ორიგინალურ და ახალ ფორმებს შორის და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რამდენად სისტემური იყო ეს დაპირისპირება; რამდენად მყარია ამ სახელთა ეკვივალენტები ფორმოზრივ მთლიანად ხელნაწერის ან თუნდაც ერთი ბიბლიური წიგნის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული ვერსიები მოღწეულია არა პირვანდელი სახით, ავტოგრაფული ნუსხით, არამედ მოგვიანო პერიოდის

ხელნაწერებით, რომლებმაც არაერთხელ განიცადეს ცვლილება-სწორება ტექსტის ტრანსმისიის პროცესში, ძირითადად, ბერძნული წყაროს მიხედვით); რამდენად სხვაობს ამ კუთხით ერთმანეთისგან სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მთარგმნელობითი/რეცენზირების სტილით შესრულებული ტექსტები.

ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ როგორც ბიბლიის, ისე ლექციონარის საკითხავების შემცველი ძველი ქართული ნუსხები. ასევე, გავითვალისწინეთ, ზოგადად, ძველი და საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე თარგმანების ვითარებაც ამ კუთხით. კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი, სტატისტიკური ანალიზისა და შედარების მეთოდები.

საკითხი უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია, ძირითადად, საკუთარ სახელთა ებრაულიდან სეპტუაგინტაში გადმოღების ჭრილში (ტოვი, 2015; ტოვი, 2022 და სხვ.). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც არაერთი გამოკვლევა ეძღვნება საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის საკითხებს (ყაუხჩიშვილი, 1956; შანიძე, 1964; დოჩანაშვილი, 1968; შანიძე, 1969; დანელია, 1998 და სხვ.), თუმცა კონკრეტულად ამ ორი ანთროპონიმის ქართულად გადმოტანის საკითხის გამომწვლილვით შესწავლა ყველა სავარაუდებელ უცხოენოვან წყაროსთან მიმართების გათვალისწინებით საენათმეცნიერო სივრცეში პირველ ცდას წარმოადგენს.

სტატისის პირველ ნაწილში განხილულია აპოკალიფიკა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხი ძველი აღთქმის წიგნებში, ხოლო მეორე ნაწილში – ახალ აღთქმაში, ლექციონარებში, ასევე, ძველი და საშუალო ქართულის სხვა წერილობითი ძეგლებსა და ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში.

2. აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ფორმები ბიბლიური წიგნებისა და ლექციონარების ძველ ქართულ ვერსიებში. ცნობილია, რომ საკუთარ სახელთა შემთხვევაში ვსაუბრობთ არა მათს თარგმნაზე, არამედ ერთი ენიდან მეორეში გადმოღებაზე ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციების წესით (ტოვი, 1999, გვ. 165, 174-176). ეკვივალენტის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტური ასპექტი – მიმღები ენის ფონემატური სისტემა, რომელიც იძლევა ან არ იძლევა საკუთარი სახელის ასო-ასო გადმოღება-ჩაწერის შესაძლებლობას, ისე – ფილოლოგიური (თარგმანის პირველწყარო, ტექსტის ტრანსმისიის პროცესი...) და, გარკვეულწილად, ექსტრალინგვისტური (მთარგმნელ-რედაქტორის ენობრივი გარემო, კულტურული კონტაქტები...) ასპექტებიც.

ქართულს მოეპოვება /ჰ/ ფონემა, ამდენად, მისი ფონემატური სისტემა იძლეოდა შესაძლებლობას, სხვაობა აბრაამისა და სარას სახელებს შორის დამყარებოდა როგორც /ჰ/ თანხმოვნის დამატებას და ამით გაჰყოლოდა აღმოსავლურ ლიტერატურულ-ტექსტობრივ ტრადიციას (ებრაული, სირიული, ნაწილობრივ სომხური), ისე მიემართა ბგერის გაორმაგებისთვის, ბერძნულის მსგავსად (ნაწილობრივ სომხური). ამიტომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ამ შემთხვევაში თარგმანის წყაროს უნდა ეთამაშა. გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმად, „ქართული ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის, მათ შორის, ხუთწიგნეულის, უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო. ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს“ (გიგინეიშვილი, 1989, გვ. 54).¹ დღეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მიღებულია მოსაზრება, რომ „ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის დედნის უდიდესი ნაწილი, თუ

¹ იხ. აგრეთვე: დანელია, 1983, გვ. 128.

არა მთლიანად, ბერძნული იყო“ (უტიე, 2009, გვ. 232). ვნახოთ, აღნიშნულ ანთროპონიმთა გადმოცემის საკითხში რამდენად ითვალისწინებს ქართული პირველწყაროდ მიჩნეული ბერძნულის ვითარებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ **ქართველ მთარგმნელ-რედაქტორს სეპტუაგინტიდან უნდა გადმოედო ის ებრაული ანთროპონიმები, რომლებიც ერთხელ უკვე იყო ბერძნულად ტრანსლიტერირებული, ბერძნულის ფონოლოგიური სისტემის შესაბამისად.**

2.1. აბრაამისა და სარას საკუთარი სახელები ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში. აბრაამის ორიგინალური სახელი (אַבְרָם) სეპტუაგინტაში 66-ჯერ დასტურდება: აქედან 65-ჯერ – *შესაქმის* წიგნში, ხოლო ერთხელ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, *ნეემია* 9: 7-ში. უფლის მიერ აბრაამისთვის სახელის ცვლილების შემდეგ მისი სახელის ახალი ფორმა (אַבְרָהָם) ბერძნულში 263 მუხლში 285-ჯერ დასტურდება როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში (ქართულთან სრული თანხვედრა არაა). ყველაზე ხშირად იგი ძველი აღთქმის პირველ წიგნში, *შესაქმეში*, ჩანს, ნაკლები სიხშირით – სხვა წიგნებში. ბიბლიის ქართული ვერსიების მონაცემთა მიხედვით, ეს ანთროპონიმი შედარებით ხშირად ჩანს შემდეგ წიგნებში: *გამოსლვათა* (8-ჯერ), *მეორისა სჯულისა* (7-ჯერ), *ნეშტთა I* (6-ჯერ), *ესთერისი* (ერთ მუხლში 4-ჯერ), *ფსალმუნნი* (4-ჯერ), *წინაწარმეტყულებად ესაიასი* (4-ჯერ). ორ-ორჯერ დასტურდება წიგნებში: *ნეშტთა II*, *ნეემიასი* (ერთ მუხლში ერთმანეთს უპირისპირდება სახელის ძველი და ახალი ფორმები [9: 2]), *პირველი მაკაბელთა*, *სიბრძნე* ისუ ზირაქისი. თითო-თითოჯერ დასტურდება წიგნებში: *ლევიტელთა*, *რიცხუთა*, *მეფეთა III*, *მეფეთა IV*, *ივდიითისი*, *ტობისი*, *მეორე მაკაბელთა*, *მესამე მაკაბელთა*, *იობისი*, *წინაწარმეტყუე-*

ლებად მიქიადსი, ბარუქისი, წინანარმეტყუელებად ეზეკიელი-
სი, წინანარმეტყუელებად დანიელისი.

უფლის მიერ სარასთვის სახელის ცვლილებამდე ეს ან-
თროპონიმი *შესაქმის* წიგნში, ბიბლიის ქართული ვერსიების
მიხედვით, 13 მუხლში 17-ჯერ დასტურდება ისევე, როგორც
სეპტუაგინტაში. სახელის ცვლილების შემდეგ იგი აბრაამის
მეუღლის სახელად¹ ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში კი-
დეც 37-ჯერ გამოიყენება, აქედან 36 შემთხვევაში – *შესაქმე-
ში*, ერთხელ – *ესაია* 51: 2-ში.

ჩვენ შევეცდებით ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ თითოე-
ული ანთროპონიმის ვითარება, აქცენტს კი *შესაქმის* წიგნზე
გავაკეთებთ, რადგან ჩვენთვის საინტერესო ფორმები ყველა-
ზე ხშირად ძველი აღთქმის სწორედ პირველ წიგნში დასტურ-
დება.

შესაქმის წიგნში ტექსტის სამი ტიპი გამოიყოფა:

1. **ოშკური ტიპი**, რომელიც წარმოდგენილია ერთადერ-
თი ნუსხით – **ოშკის ბიბლიით (O, 978 წ.)**, რომელსაც შემოუ-
ნახავს ძველი აღთქმის წიგნთა უძველესი თარგმანი. ხელნა-
წერი თავნაკლულია, *შესაქმის* წიგნის ფარგლებში აკლია პირ-
ველი თერთმეტი თავი და მეთორმეტე თავის 8 მუხლი (12: 1-
8), ასევე, 20: 7-21: 10 და 42: 1-15 მონაკვეთები და 42: 16 ნა-
წილობრივ.

2. **გელათური ტიპი**² წარმოდგენილია A 179 (C, 1669 წ.)
ნუსხასა და A 455-ში (B, ბაქარის 1743 წლის ნაბეჭდი გამოცემა,

¹ ეს სახლი ერქვა ტობის მეუღლესაც (*წიგნი ტობისი*).

² ცნობილია, რომ გელათური ბიბლიის ხელნაწერებს (A 1108 (XII
ს.) და Q 1152 (XII-XIII სს.)) აკლია ხუთწიგნეულის პირველი ორი
წიგნი – *შესაქმე* და *გამოსლვა*თა. ბ. გიგინეიშვილი სათანადო არგუ-
მენტაციის საფუძველზე მიიჩნევს, რომ A 179 და გელათური ბიბ-
ლია ერთი რედაქციის ნუსხებს წარმოადგენს და შესაძლებელია ჩა-
ითვალოს „A 179 ხელნაწერში მოქცეული ხუთწიგნეულის პირველი

ე.წ. მოსკოვური ბიბლია). ტექსტის ეს ტიპი წარმოდგენს **ულტრაელინოფილური სტილით შესრულებულ რედაქციას** (გიგინეიშვილი, კიკვიძე, 1966, გვ. 151-153; გიგინეიშვილი, 1989, გვ. 9-15).

3. ე.წ. AK ტიპი წარმოდგენილია H 1207 (A, XVIII ს.) და ქუთ. № 28 (K, 1681 წ.) ხელნაწერებში (გიგინეიშვილი, 1989, გვ. 18). შესაქმნის წიგნში მათ უერთდება **საბას ბიბლია**, ანუ **მცხეთური ხელნაწერი A 51 (S, XVII-XVIII სს.)** (გიგინეიშვილი, 1989, გვ. 27), ასევე, ქუთ. № 671 ხელნაწერის ფრაგმენტი (H, XI ს.) (გიგინეიშვილი, 1989, გვ. 8; ბიბლია, 2017, გვ. 7).

2.1.1. აბრაამი. შესაქმნის წიგნის ფარგლებში ტექსტის თითოეული ტიპის თავისებურება აბრაამის სახელების გადმოცემის მხრივ თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინეთ ცხრილის სახით.

ცხრილი 1

ოშკური ტიპი ოპოზიცია არ იკვეთება: აბრაჰამ – აბრა- ჰამ		გელათური ტიპი ულტრაელინოფი- ლური ტიპის თარ- გმანი ოპოზიციის ძირ. სახე: აბრამ – აბრაამ		AKS ტიპი ოპოზიციის ძირ. სახე: აბრაამ/აბრამ – აბრაჰამ		
	O Ivir. Geo. 1 (978) ოშკის ბიბლია	C A 179 (1669)	B A 455 (1743) ბაქარის ბიბლია	A H 1207 (XVIII)	S A 51 (XVII- XVIII)	K ქუთ. № 28 (1681)
შეს. 17:5- მდე	აბრაჰამ (× 48)	აბრამ (× 55)	აბრამ (× 35)	აბრამ (× 35)	აბრაამ (× 55)	<

ორი წიგნი იმ ნაწილად გელათური ბიბლიისა, რომელიც თვით გე-
ლათურ ნუსხებს არ შემოუნახავთ“ (გიგინეიშვილი, 1989, გვ. 15).

		აბრაამ (× 6) ავრამ (1) აბრაჰამ (1)	აბრაჰამ (× 23) აბ ~ რჰმ (× 4) აბრჰ ~ მ (× 3) აბრაჰამ (1) აბრაამ (1)	აბრაამ (× 29) აბრაჰამ (1)	აბრაამ (× 6) აბრაჰამ (1) აბრაჰ ~ მ (1)	
შეს. 17:5	აბრაამ აბრაჰამ	აბრაამ აბრაჰამ	აბრაამ აბრაჰამ	აბრაამ აბრაჰამ	აბრაამ აბრაჰამ	<
შეს. 17:5- ის შემ- დეგ	აბრაჰამ (× 125)	აბრაამ (× 118) აბრაჰამ (× 12) აბრაამ (× 6) აბრაჰამ (1)	აბრაამ (× 96) აბრაჰამ (× 27) აბრაამ (× 2) აბრაჰამ (× 3) აბრ ~ ჰამ (× 2) აბრაჰამ (× 2) აბრაჰამ (1) აბრ ~ მ (1) აბრაჰამ (1) აბრაჰამ (1) აბრ ~ ჰამ (1)	აბრაჰამ (× 122) აბრაამ (× 9) აბრაამ (× 2) აბრაჰამ (1) აბრ ~ მ (1)	აბრაჰამ (× 134) აბრაამ (× 3)	აბრაჰამ (× 38) აბრაამ (× 7) აბრაამ (× 6) აბრაამ (× 3) აბრ ~ მ (1)

როგორც ვხედავთ, ოშკის ბიბლია (O) აბრაამის სახელის მხოლოდ ერთ ფორმას ცნობს – აბრაჰამ, რომელიც დასტურდება არა მარტო შესაქმეში (174-ჯერ), არამედ ძველი აღ-

თქმის დანარჩენ წიგნებშიც (20-ჯერ) (ეს ტენდენცია ისე ბოლომდეა გატარებული, რომ საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, ანალოგიური ვითარება ყოფილიყო ტექსტის ჩვენამდე მოუღწეველ ნაწილშიც). **ხელნაწერში საერთოდ არ ჩანს დაპირისპირება აბრაამის ორიგინალურ და უფლის მიერ ბოძებულ სახელებს შორის.** ტექსტში ერთადერთი შემთხვევაა **აბრაამ** ფორმის გამოყენებისა, ისიც *შესაქმის* 17: 5-ში, როცა კონტექსტი ითხოვს აბრაამის სახელის ორი ფორმის დაპირისპირებას: „და არლარა გენოდოს შენ სახელი **აბრაამ**, არამედ იყოს სახელი შენი **აბრაჰამ**, და რამეთუ მამად მრავალთა ნათესავთა დაგადგინე შენ“. ნუსხაში გამონაკლისის სახით ერთხელ დასტურდება **აბრაამ** ფორმაც [ესაია 29: 22 OJ]. ძველი აღთქმის დანარჩენ წიგნებშიც ოდენ **აბრაჰამ** წაკითხვაა, მათ შორის, აბრაამის ორიგინალურ სახელადაც *ნეემია* 9: 7-ში („შენ გამოგირჩია **აბრაჰამ**... და უწოდე მას სახელი **აბრაჰამ**“). დღეს დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, აღნიშნული თავისებურება უძველესი თარგმანის ვითარების ამსახველია, თუ ტექსტის ტრანსმისიის პროცესში მასში შეტანილი ცვლილების შედეგია.

ტექსტის გელათური ტიპის **C ხელნაწერში** (A 179) აბრაამის ორიგინალურ და ახალ სახელებს შორის დაპირისპირება, მიუხედავად გადაცდომებისა, ძირითადად, **აბრაამ – აბრაამ ოპოზიციას** ეფუძნება და ამ მხრივ სიახლოვეს ამჟღავნებს ბერძნულთან (როგორც მოსალოდნელი იყო კიდეც ულტრაელინოფილური სტილის თარგმანისთვის). ერთხელ გამოვლინდა ბიზანტიური ბერძნულისთვის დამახასიათებელი ხშულის სპირანტიზებული წაკითხვა: ავრამ [შეს. 12: 9 C]. ეს ნუსხა შეიცავს, ასევე, *გამოსლვათა* წიგნსაც, რომელიც თანაბარი რაოდენობით – ოთხ-ოთხჯერ გამოავლენს როგორც აბრაამ, ისე აბრაჰამ ფორმებს. ზოგადად, ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ნაწილის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ **იგი, ძირითადად, ითვალისწინებს სეპტუაგინტის ვითარებას**, თუმცა გა-

ცილებით ნაკლები სიხშირით /ჰ/-თანხმოვნთან ფორმებსაც გამოავლენს.

ბაქარის ბიბლია (A 455) ბიბლიის სრული კრებულის პირველ ბეჭდურ გამოცემას წარმოადგენს, რომელიც ვახტანგ VI-ის შვილმა, ბაქარმა, 1743 წ. დაბეჭდა მოსკოვში ვრცელი წინასიტყვაობით. ტექსტის გამოსაცემად მომზადება ხდებოდა, ძირითადად, რუსეთში გადასახლებული არჩილ მეფის მიერ ქართული ტექსტის სლავურთან შეჯერების საფუძველზე (გაბიძაშვილი, 2009, გვ. 71-72). აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბაქარის ბიბლია რედაქციულად ტექსტის გელათურ ტიპს განეკუთვნება, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს აბრაამის ორიგინალურ სახელად აბრაჰმ ტიპის, როგორც აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველი ფორმების, გამოყენება. სტატისტიკის მიხედვით, *შესაქმის* წიგნში, ბაქარის ბიბლიაშიც, დარღვევების მიუხედავად, დაპირისპირება აბრაამის სახელის ორ ფორმას შორის, არსებითად, **აბრაჰმ – აბრაამ ოპოზიციას** ემყარება. ამ წიგნის 17: 5-ის შემდეგ საკმაოდაა მუხლები, როცა ორივე ნუსხა (CB) **აბრაამ** ნაკითხვას გვიჩვენებს, თუმცა ამავე მონაკვეთში ტექსტი საკმაოდ ხშირად ავლენს /ჰ/-თანხმოვნთან ფორმებსაც (სრული დაწერილობით ან ქარაგმით) და ემიჯნება C ნუსხას. საზოგადოდ, **გამოსლვათას წიგნიდან** (ამ წიგნის ფარგლებში ტექსტის ოშკურ ტიპთან ჯგუფდება) **ბაქარის ბიბლია**, ძირითადად, /ჰ/-თანხმოვნთან ფორმებს ანიჭებს უპირატესობას (31 შემთხვევა), გაცილებით ნაკლებად დასტურდება **აბრაჰმ** (6 შემთხვევა) და **აბრაჰმ** ფორმები (3 შემთხვევა, მათგან ორჯერ კონტექსტი ითხოვს მის ორიგინალურ სახელს). იგი ავლენს აბრაამის სახელის თავისებურ (მცდარ) ფორმებსაც: აჰბრაამს [გამ. 33: 1], აჰრაჰამის [ლევ. 26: 42

BKS], *ჰაბრაამს* [სჯ. 6: 10], *ჰაბრაამისი* [სჯ. 9: 27].¹ ტექსტში არც ერთხელ არ დასტურდება სლავურისთვის დამახასიათებელი *Аврам – Авраам* ფორმები, რომლებიც ასახავენ ბიზანტიურ ბერძნულში მომხდარ ხშულთა სპირანტიზაციას და /ზ/-ს გვიანდელ წაკითხვას.²

ტექსტის მესამე, ე.წ. **AKS ტიპისათვის** იკვეთება საერთო ტენდენცია: ოპოზიცია აბრაამის სახელის ორ ფორმას შორის, მიუხედავად გადაცდომებისა, ემყარება *აბრამ/აბრაამ – აბრაჰამ დაპირისპირებას*. ამდენად, აბრაამის უფლის მიერ ბოძებულ სახელად მიიჩნევა აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველი /ჰ/-თანხმოვნის ფორმები, ხოლო მის გარეშე – აბრაამის ორიგინალურ სახელად. **თუკი ტექსტის გელათური ტიპისთვის (CB ნუსხები), როგორც წესი, აბ-**

¹ ბ. გიგინეიშვილი ხუთნიგნეულის ქართული ვერსიების გამოკვლევაში შენიშნავს, რომ ოშკის ბიბლიას ახასიათებს ანთროპონიმის **აჰრონ** ფორმა, რომელიც გელათურში, როგორც წესი, **აარონ** ფორმით დასტურდება (1989, გვ. 26). უნდა ითქვას, რომ ანთროპონიმის აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველი ეს ფორმა სხვა ნუსხებშიც დასტურდება (მაგ., აჰრონ [გამოს. 4: 14 OACS]. შდრ. ჰარონ K. არონ B). ჩვენთვის ამ შემთხვევაში ინტერესს იწვევს ინლაუტის /ჰ/ თანხმოვანი, რომელიც, სხვა ნუსხების მონაცემთა მიხედვით, შეიძლება ფორმაში არ იყოს წარმოდგენილი (ბერძნული ტექსტობრივი ტრადიცია) ან მოხდეს მისი მეტათეზისი თუ ანლაუტში გადანაცვლება. ამ უკანასკნელთ უფრო ბაქარის ბიბლია გამოავლენს: **არონს** [გამ. 4: 28 BC], აჰრონს OAKS; **არჰონ** [გამ. 5: 1, 5: 4, 6: 20 B], აჰრონ OAKCS; **ჰარონისმან** [გამ. 15: 20 B], აჰრონისმან ACS, არონისმ ~ ნ K; **ჰარონს** [გამ. 4: 27 B], აჰრონს OAKS, არონის C. ჩვენი აზრით, აბრაამის სახელის თავისებური დაწერილობის ფორმების არსებობაც შესაძლოა, ბაქარის ბიბლიის აღნიშნული თავისებურებით ავხსნათ.

² ცნობილია, რომ, რადგან სლავები გვიან გაქრისტიანდნენ და საეკლესიო წიგნების ბერძნულიდან თარგმნაც დაახლოებით IX საუკუნიდან უნდა დაეწყოთ, ბერძნული სიტყვების სესხება ამ ენაში ახლებური გამოთქმის შესაბამისად მოხდა: ბასილი – Василий, ამენ – Аминь, მიქაელ – Михаил და სხვ. (შანიძე, 1964, გვ. 42).

რაამ წარმოადგენს აბრაამის სახელის ახალ ფორმას, AKS ტიპისთვის ის აბრაამის ორიგინალურ სახელად მოიაზრება.

AKS ტიპში გაერთიანებული საბას, ანუ მცხეთური ბიბლია (S) რთული შედგენილობის ძეგლია. იგი ბიბლიის ცალკეული ნაწილების სხვადასხვა დროს შესრულებულ თარგმანებს აერთიანებს (დოჩანაშვილი, 1981, გვ. 5), თუმცა მთელი ტექსტი რედაქტირებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ ამსტერდამში 1666 წ. გამოცემული ვოსკანის სომხური ბიბლიის მიხედვით (აბულაძე, 1936). მცხეთურ ხელნაწერში კიდევ უფრო მოწესრიგებულია ზემოაღნიშნული ოპოზიცია: **აბრაამ – აბრაჰამ**. თუ *შესაქმის* წიგნის 17: 5-მდე A ნუსხა ემიჯნება S-ს, A აბრაამ წაკითხვას გვთავაზობს, ხოლო S – აბრაამს. ზოგადად, **მცხეთური ბიბლიისთვის შესაქმის 17: 5-ის შემდეგ** ძველი აღთქმის ყველა წიგნის გათვალისწინებით (რომლებსაც ის შეიცავს) **ნორმას წარმოადგენს აბრაამის სახელის აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის** (ებრაული, სირიული, სომხური) **ამსახველი /ჰ/-თანხმოვნითაა ფორმები**.¹ ამის მიზეზს ქართული ტექსტის სომხური ვულგატის მიხედვით სწორებაც უნდა წარმოადგენდეს. როგორც მცხეთური ბიბლიის გამომცემელი ე. დოჩანაშვილი აღნიშნავს, სომხურ წყაროსთან სიახლოვე ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთში განსაკუთრებით თვალში საცემია (ავტორის აზრით, ეს ეხება აბრაამ და არონ ანთროპონიმთა ჰაეტი დაწერილობასაც) (დოჩანაშვილი, 1981, გვ. 32).

საკვლევი ანთროპონიმი /ჰ/ თანხმოვნითაა წარმოდგენილი არა მარტო ბიბლიის ძირითად ხელნაწერ ნაწილში, არამედ წინასწარმეტყველთა წიგნების ვახტანგ VI-ის სტამბაში

¹ გამონაკლისის სახით აბრაამ დასტურდება ოთხჯერ (სამჯერ *შესაქმეში* და ერთხელ *მეოთხე მეფეთაში*), აბრაამ – ორჯერ (ამ შემთხვევებში კონტექსტი ითხოვდა მის ორიგინალურ სახელს). ერთხელ შეგვხვდა მცდარი დაწერილობა – *აჰრაჰამის* [ლევ. 26: 42 BKS].

ნაბეჭდი ერთი ეგზემპლარის საბას ბიბლიაში ჩაკინძულ ნა-
ნილსა (ინგოროყვა, 1978, გვ. 339-340; დოჩანაშვილი, 1981, გვ.
44) და ამავე მცხეთურ ხელნაწერზე დართულ საძიებლებშიც.
საქმე ისაა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ბიბლიური წიგ-
ნების გამოცემის მიზნით საბამ გელათური ბიბლიის (A 1108,
ავტოგრაფული ნუსხა) წინასწარმეტყველთა წიგნებში შეიტანა
რედაქციული ცვლილებები და ეს ტექსტი დაისტამბა კიდეც.
იმავე 1710-1711 წლების გამოცემიდან არის გადაბეჭდილი ეს
წიგნები ბაქარის ბიბლიაშიც (შესაბამისად, SB გელათური
ვერსიის იდენტურია). როგორც ჩანს, **საბამ გელათური ბიბლი-
ისთვის დამახასიათებელი აბრაამ ტიპის ფორმები ამ შემთხვე-
ვაშიც /ჰ/-თანხმოვნიათ ფორმებით ჩაანაცვლა** (რამდენიმე
შემთხვევა): აბრაჰამს [ბარ. 2: 34 OJ], აბრაამსა Ga, აბრაჰმს
SB; აბრაჰამსა [მიქ. 7: 20 OJ], აბრაჰამსა B; აბრაჰამისთვის
[დანიელ 3: 35 OJ], აბრაჰამისთვის BS.

საბამ რედაქტირებულ მცხეთურ ბიბლიას სამი სახის
საძიებელი დაურთო. მათგან მეორე წარმოადგენს ბიბლიის
საკუთარ სახელთა კომენტირებას, ხოლო მესამე – მათს სიმ-
ფონიას. ი. აბულაძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ საბას ბიბ-
ლიაზე დართული საკუთარი სახელების საძიებელი საბას მი-
ერ კი არ იყო შედგენილი (კალიგრაფიაც არაა მისი, გადამწე-
რისაა), არამედ, „სომხური პირველი ნაბეჭდი ბიბლიის (1666
წ.) საძიებელთა თარგმანს წარმოადგენს“ (აბულაძე, 1936, გვ.
261). ვნახოთ, როგორაა განმარტებული ეს ანთროპონიმები
საძიებელში: „**აბრამ** – მამა ზე ამაღლებული, **აბრაჰამ** – მამა
მრავალთა,.. **სარა** – უფალა, ცოლი აბრაჰამისა; **სარა** –
მცნოსელი, უფალა; **სარაი** – უფალა ჩემი“ (დოჩანაშვილი,
1999, გვ. 13, 19). მეორე საძიებელში (სიმფონიაში) აბრაამის
შესახებ ვკითხულობთ: „კუალად მოიღო აღთქმა ძისათჳს და
სასწაული აღთქმისა, და სახელ-ედვა **აბრჰამ**, 17: 5“ (დოჩა-
ნაშვილი, 1999, გვ. 23). როგორც ვხედავთ, აქაც უფლის მიერ

ბოძებულ სახელად /ჰ/-თანხმოვნის ფორმაა წარმოდგენილი. განმარტებებში არსად არ ჩანს ბერძნული სეპტუაგინტისთვის ნიშანდობლივი **აბრაამ** ფორმა, რაც, წესით, მოსალოდნელიც იყო. საძიებელში არ გვხვდება **სარრა** ფორმის განმარტება, თუმცა იგი დასტურდება საბას „ქართული ლექსიკონის“ საკუთარ სახელთა განმარტებებში: „**სარრა** – მთავრობა, გინა მშობელი, გინა ხილვა ცხენისა ZABS“ (ორბელიანი, 1966, გვ. 626).

თუ შევაჯამებთ *შესაქმის* წიგნის ფარგლებში ტექსტის თითოეული ტიპის მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ **ოდენ ძველი ალთქმის უძველეს კრებულში, ოშკის ბიბლიაში, არ იკვეთება დაპირისპირება აბრაამის ორიგინალურ და ახალ სახელებს შორის (17: 5-ის გარდა), ტექსტის დანარჩენ ორ ტიპში, გადაცდომების მიუხედავად, ოპოზიცია შესამჩნევია.**

მოსეს ხუთწიგნეულის დანარჩენი ოთხი წიგნის მონაცემებს თვალსაჩინოების მიზნით ისევ ცხრილის სახით წარმოვადგენთ. ცნობილია, რომ ძველი ალთქმის წიგნთა შემცველი ნუსხები თითოეული წიგნის ფარგლებში რედაქციულად სხვადასხვანაირად ჯგუფდება, ამიტომ ყოველი წიგნი ამ მხრივ განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, თუმცა ამ შემთხვევაში, კონკრეტული ინტერესიდან გამომდინარე, ნუსხები წარმოვადგინეთ არა რედაქციული კუთვნილების მიხედვით, არამედ – ცალ-ცალკე (ანბანურ რიგზე).

ცხრილი 2

	A	B	C	D	E	G	K	O	S
გამ. 2:24	აბრაჰამის	აბრაჰამის	აბრაჰამის				აბრაჰამის	აბრაჰამისა	აბრაჰამის
გამ. 3:6	აბრაჰამისი	აბრაჰამისი	აბრაჰამისი				აბრაჰამისი	აბრაჰამისი	აბრაჰამისი

ბიბლიური აზრებისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად
გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხები

გამ. 3:15	აბრა- ჰამი- სმან	აბრაჰა- მისმან	აბრაა- მისმან				აბრაჰა- მისმან	აბრაჰა- მისმან	აბრაჰა- მისმან
გამ. 4:5	აბრა- ჰამისი	აბრაჰა- მისმან	აბრაა- მისი				აბრაჰა- მისი	-	აბრაჰა- მისი
გამ. 6:3	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრა- ამს				აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს
გამ. 6:8	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრაჰა- მისა				აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს
გამ. 32: 13	აბრა- ჰამისი	აბრაჰა- ამისი	აბრაჰა- მისი				აბრაჰა- მისი	აბრაჰა- მისი	აბრაჰა- მისი
გამ. 33:1	აბრა- ჰამს	აბრაჰა- ამს	აბრა- ჰამს				აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს
ლევ26: 42	აბრაა- მის	აბრაჰა- მის	აბრაჰა- მის			აბრაა- მისი	აბრაჰა- მის		აბრაჰა- მის
რიც32:11	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს				აბრაამს	აბრა- ჰამს		აბრა- ჰამს
სჯ. 1:8	აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს				აბრა- ჰამსა Ga აბრაამ- სა Gb	აბრა- ჰამს		აბრა- ჰამს
სჯ. 6:10	აბრა- ჰამს	აბრაჰა- ამს			აბრა- ჰამს	აბრაამს Gb			აბრა- ჰამს
სჯ. 9:5	აბრა- ჰამს	აბრაამს			აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს Ga აბრაამს Gb			აბრა- ჰამს
სჯ. 9:27	აბრა- ჰამი	აბრაჰა- მისი	აბრაჰა- მისი		აბრა- ჰამი	აბრაა- მისი			აბრაჰა- მისი

სჯ. 29: 12		აბრა- ამს		აბრა- ჰამს	აბრა- ამს	აბრაამს			აბრა- ჰამსა
სჯ. 30: 20		აბრა- ამს		აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აფრაამს			
სჯ. 34:4		აბრა- ამს		აბრა- ჰამს	აბრა- ჰამს	აბრაამ- სა Gb			

წარმოდგენილი ცხრილიდანაც ჩანს, რომ **გელათური ბიბლია (G)**, როგორც თარგმანის ულტრაელინოფილური სტილით შესრულებული ტექსტი, **აბრაამის სახელის გადმოცემის საკითხში აშკარად ბერძნულს მისდევს და აბრაამ ფორმას ანიჭებს უპირატესობას**. ცხრილში ჩანს ბიზანტიური ბერძნულისთვის დამახასიათებელი **აფრაამს** [სჯ. 30: 20 G] წაკითხვაც. გელათური ბიბლია სხვა შემთხვევებშიც **აბრაამ** წაკითხვას გვიჩვენებს. სათანადო ადგილას უკვე აღვნიშნეთ, რომ **მცხეთური ბიბლია შესაქმნის წიგნის შემდეგ, ფაქტობრივად, მხოლოდ /ჰ/-თანხმოვნთან ფორმებს გვიჩვენებს** (გამონაკლისია 1 ნემტ. 1: 27 და ნემია 9: 7, როცა კონტექსტი ითხოვს მის ორიგინალურ სახელს, და 4 მეფ. 13: 23). **აბრაჰამ** ფორმას ანიჭებს უპირატესობას ბაქარის ბიბლიაც, თუმცა რამდენჯერმე გამოვლინდა **აბრაამ** წაკითხვაც. **თუ, ზოგადად, ძველი აღთქმის ყველა წიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, აშკარა უპირატესობა /ჰ/-თანხმოვნთან ფორმებს და, შესაბამისად, ამ ანთროპონიმის გადმოცემის საკითხში არაბერძნულ ლიტერატურულ-ტექსტობრივ ტრადიციას მიენიჭება**, თუმცა ცალკეული ხელნაწერები ამ მხრივ ბერძნულის ვითარებას უფრო ასახავენ. გელათური ბიბლიის გარდა, ასეთია, მაგალითად, A 646 ხელნაწერი (F, XVI ს.), რომელიც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, **აბრაამ/აბრაამ** წაკითხვას გვთავაზობს. ამავე ტენდენციას ავლენს A 570 (I, XV ს.) ხელნაწერიც, თუმცა – არა ყოველთვის.

მართალია, ბიბლიური ნიგნების უდიდესი ნაწილი ბერძნულიდან უნდა თარგმნილიყო, მაგრამ თუნდაც აბრაამის სახელის ქართულად გადმოცემა-ტრანსლიტერაციის საკითხი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ძველი აღთქმის ნიგნებში აშკარად ჩანს აღმოსავლური წყაროების გავლენის კვალიც (სომხური, სირიული, ებრაული). მთარგმნელები იცნობდნენ და ითვალისწინებდნენ მათს ვითარებას, ან ასწორებდნენ აღნიშნული წყაროების მიხედვით.

2.1.2. სარა. აბრაამის მეუღლე, სარა, ძველი აღთქმის ნიგნებიდან მხოლოდ შესაქმესა და ესაია 51: 2-ში მოიხსენიება. უფლის მიერ სარასთვის სახელის ცვლილებამდე [შეს. 17: 15] ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში მისი ორიგინალური სახელი **სარა** (ამ მხრივ რამდენიმე გამონაკლისს გვიჩვენებენ SA ნუსხები, რომლებიც **სარრა** ნაკითხვასაც გამოავლენენ) 12 მუხლში 15-ჯერ დასტურდება, ხოლო 17: 15-ის შემდეგ იგი, როგორც წესი, მოდიფიცირებული **სარრა** ფორმით მოიხსენიება (35-ჯერ). თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ცხრილს:

ცხრილი 3

	O	C	B	A	S
შეს. 17:15-მდე	სარა (× 10) ¹	სარა (× 14)	სარა (× 15)	სარა (× 12) სარრა (× 2)	სარა (× 9) სარრა (× 5)
შეს. 17: 15	სარა (× 2) სარრა	სარა (× 2) სარრა	სარა (× 2) სარრა	სარა (× 2) სარრა	სარა (× 2) სარრა

¹ რადგან ოშკის ბიბლია თავნაკლულია, ჩვენთვის საინტერესო ფორმებს 12: 11-დან გვიჩვენებს.

შეს. 17:15-ის შემდეგ	სარა (× 11) სარა (× 13)	სარა (× 33) სარა (1)	სარა (× 33) სარა (1)	სარა (× 32)	სარა (× 31)
ესაია 51: 2	სარა (1) ¹				

შეს. 17: 15-ის შემდეგ სარას სახელის ძველი ფორმის გამოყენება, ფაქტობრივად, მხოლოდ ოშკის ბიბლიისთვისაა დამახასიათებელი (ამ ფორმას თითო-თითოჯერ გამოავლენენ CB ტექსტებიც), ისიც გარკვეულ მონაკვეთში: შეს. 17: 19-20: 2. ამის შემდეგ ისიც ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს ამ კუთხით, როგორსაც – სხვა ნუსხები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეს. 49: 31-ს, რომელშიც ისევ **სარა** წაკითხვა დასტურდება). ამგვარად, ოშკური ბიბლიის ტენდენცია, არ განიჩქეს სახელის ორი ფორმა, ვლინდება არა მარტო ანთროპონიმ აბრაჰამის, არამედ სარას შემთხვევაშიც.

როგორც ვხედავთ, ქართული სარას მოდიფიცირებული სახელის ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფცირების საკითხში ამკარად ბერძნულ ტექსტობრივ ტრადიციას ასახავს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოშკური ბიბლიის ზემოაღნიშნულ ტენდენციას)² და საერთოდ არ გამოავლენს ებრაულისა და სირიულისათვის დამახასიათებელ სარაჰ ფორმას.

¹ წინაწარმეტყულებად ესაიაძის დაცულია ოშკურ და იერუსალიმურ (J, XI ს.) ბიბლიებში, ორივეში **სარა** ფორმაა.

² არ არის გამორიცხული, ოშკურ ბიბლიაში გამოვლენილი ტენდენცია, ფორმობრივ არ განიჩქეს ანთროპონიმის ორი ფორმა (შეს. 17: 15-ის შემდეგ, გარკვეულ მონაკვეთში), სომხურის გავლენითაც აიხსნას, რადგან რბილი და მაგარი /რ/-ს (ბერძნული გემინირებული როს ეკვივალენტი) მონაცვლეობაზე დამყარებული *Սարա* – *Սարա* დაპირისპირება ქართულად მხოლოდ ერთი – **სარა** ფორმით შეიძლება გადმოცემულიყო. ისიც საინტერესოა, რომ სარას ახალი

თუკი აბრაამის მოდიფიცირებული სახელის გადმოცემის თვალსაზრისით, ძველი აღთქმის წიგნების შემცველი ნუსხები, ზოგადად, უფრო აღმოსავლურ ტექსტობრივ ტრადიციასა და აბრაჰამ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას (გარდა სეპტუაგინტის ვითარების ამსახველი რამდენიმე გვიანდელი ნუსხისა), სარას სახელის შემთხვევაში (ვმსჯელობთ *შესაქმის მიხედვით*), პირიქით, ამ მხრივ ბერძნულს ენიჭება უპირატესობა. ასეთ ვითარებას გვიჩვენებს არა მარტო A 179 (C) ხელნაწერი, როგორც ულტრაელინოფილური ტიპის თარგმანი, რომელიც აბრაამის სახელის გადმოცემის მხრივაც სეპტუაგინტის ვითარებას ასახავს, არამედ – ბაქარის ბიბლიაც (B), რომელშიც, მართალია, ოპოზიციის ძირითადი სახეა აბრამ – აბრაამ, მაგრამ /ჰ/-თანხმოვნიანი ფორმებიც ხშირად დასტურდება და, რაც მთავარია, H 1207 (A) ნუსხა და საბას ბიბლიაც (S), რომელთათვისაც *შესაქმის* წიგნში, ფაქტობრივად, ნორმას წარმოადგენს აბრაამის მოდიფიცირებულ სახელად აბრაჰამ ფორმის გამოყენება.

II

2.2. აბრაამისა და სარას სახელები ახალ აღთქმაში.

2.2.1. აბრაამი. აბრაამის სახელი დასტურდება არა მარტო ძველ, არამედ – ახალ აღთქმაშიც. *სახარება-ოთხთავში*, კერძოდ, მათეს სახარებაში, იგი ჩანს 7-ჯერ (მ. 1: 1, 1: 2, 1: 17, 3: 9×2, 8: 11, 22: 32), მარკოზის სახარებაში – ერთხელ (მკ. 12:

სახელის გადმოცემაში, ქართულის მსგავსად, **სომხურიც ემიჯნება სირიულსა და ებრაულს და არ იყენებს /ჰ/-თანხმოვნიან ფორმას, ხოლო აბრაამის შემთხვევაში ისიც /ჰ/-თანხმოვნიან ფორმებს ანიჭებს უპირატესობას.** ამიტომ, ჩვენი აზრით, თუ კომპლექსურად განვიხილავთ ორივე ანთროპონიმის ქართულად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციების საკითხს, **ოშკის ბიბლიაზე ამ მხრივ აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გავლენაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, სომხური უნდა მოვიხზოთ.**

26), ლუკას სახარებაში – 15-ჯერ (ლ. 1: 55, 1: 73, 3: 8×2, 3: 34, 13: 16, 13: 28, 16: 22, 16: 23, 16: 24, 16: 25, 16: 29, 16: 30, 19: 9, 20: 37), იოანეს სახარებაში კი – 11-ჯერ (ი. 8: 33, 8: 37, 8: 39×3, 8: 40, 8: 52, 8: 53, 8: 56, 8: 57, 8: 58).

ოთხთავის ქართული თარგმანის წინათონური პერიოდის ორი ძირითადი რედაქციიდან (ოპიზური/პროტოვულგატა და ადიშური¹) ამ კუთხით გამოწვლილვით შევისწავლეთ ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავები (შანიძე, 1945; სარჯველაძე, 2003), ათონური პერიოდიდან კი – ეფთვიმესეული ვერსიისა და გიორგი ათონელის რედაქციის (ქართული ვულგატა) ის ნუსხები, რომლებიც ი. იმნაიშვილის გამოცემაშია წარმოდგენილი (იმნაიშვილი, 1979). ამასთანავე, გავითვალისწინეთ სახარების ტექსტის შემცველი დანარჩენი ძველი ხელნაწერების ვითარებაც, რისთვისაც ვისარგებლეთ ქართული ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ყველა ძველი ხელნაწერისა და უძველესი ლექციონარების საკითხავების მიხედვით მომზადებული კრიტიკული ტექსტით (ამ ეტაპისთვის მომზადებულია ლუკასა და იოანეს სახარებების ტექსტი (თვალთვაძე, 2020)).

თუ როგორც წინათონური, ისე ათონური პერიოდის რედაქციებისთვის ნორმას წარმოადგენს აბრაჰამ ფორმა (უიშვიათესი გამონაკლისები საერთო სურათს ვერ ცვლის),² ამ მხრივ

¹ გამოყოფენ მათი სინთეზის შედეგად მიღებულ ნარევ ტექსტსაც.

² მაგ., ოპიზური (პროტოვულგატა) რედაქციის ნუსხებიდან: აბრამი-სა [ლ. 3: 8 E], აბრამი [ი. 8: 57 D], აბრამისა [ი. 8: 58 D]... აბრამ//აბრაამ ტიპის ფორმებს შედარებით ხშირად გამოავლენს A^d ნუსხა (ანბანდიდი): აბრაამ [ი. 8: 52], აბრამსა [ი. 8: 56], აბრაამი [ი. 8: 57]... ოთხთავის ათონური პერიოდის ხელნაწერებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ აბრაჰამ ფორმა, თითო-თითო გამონაკლისის გარდა: აბრაამისა [ლ. 3: 34 I], აბრაამისა [ლ. 20: 37 F]. ყურადღებას იპყრობს გიორგისეული რედაქციის ეჟმიაძინის ოთხთავი, რომელშიც მათეს თავის 1: 1-2-ში ნახსენები აბრაჰამ ფორმები გაცხოველებუ-

ცალკე დგას ადიშის ოთხთავი (897 წ.), როგორც ოთხთავის ერთ-ერთი ძველი რედაქციის შემცველი ნუსხა, **რომელიც ამ მხრივ ბერძნულს მიჰყევბა, უპირატესობას აბრაამ ვარიანტს ანიჭებს** და ოდენ 8-ჯერ გამოავლენს /ჰ/-თანხმოვნიან **აბრაჰამ** ნაკითხვას (მ. 1: 1, მ. 1: 2, მ. 3: 9×2, მ. 22: 32, ლ. 1: 55, ლ. 16: 29, ლ. 19: 9). ცნობილია, რომ ადიშის ოთხთავი რედაქციულად ნარევი ტექსტია: ნაწილი ადიშური რედაქციისაა და ნაწილი – ოპიზურისა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადიშის ოთხთავის გადამწერს ხელთ ნაკლული დედანი უნდა ჰქონოდა, ამიტომ ლუკას სახარების ტექსტის გარკვეული მონაკვეთი (3: 9 - 15: 6; 17: 25 - 23: 2) მას სხვა რედაქციის, კერძოდ, პროტოვულგატის რედაქციის, ტექსტით უნდა შეეესო (იმნაიშვილი, 1946, გვ. 123-125). ლუკას სახარების აღნიშნულ მონაკვეთში აბრაამის სახელი ხუთჯერ დასტურდება (3: 34, 13: 16, 13: 28, 19: 9, 20: 37), მათგან ოთხჯერ – /ჰ/-ს გარეშე და მხოლოდ ერთხელ – /ჰ/ თანხმოვნით: „... რამეთუ ესეცა ნაშობი **აბრაჰამის** არს“ [ლ. 19: 9 C]. ამდენად, აბრაამის სახელის გადმოცემის საკითხში ლუკას სახარების ოპიზური რედაქციის ტექსტით შევსებული ნაწილი სრულ თანხვედრაშია ხელნაწერის ძირითად ნაწილთან (ერთი გამონაკლისის გარდა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, /ჰ/-თანხმოვნიანი რამდენიმე ფორმა ადიშურ რედაქციაშიც დასტურდება) და ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას ვერ გვანდის.

საზოგადოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ადიშის ოთხთავში დაცული რედაქციის თარგმანის წყაროდ მიჩნეულია როგორც ბერძნული, ისე – სომხური და სირიული. ს. ყაუხჩიშვილმა არაერთი არგუმენტით დაამტკიცა, რომ აღნიშნული

ლია და **აბრაამისი** [1: 1] და **აბრაამ** [1: 2] იკითხება, თუმცა „პირვანდელი ნაწერის კვალი მკრთალად ახლაც ჩანს“ (იმნაიშვილი, 1979, გვ. 259). როგორც ჩანს, არაბერძნული ტექსტობრივი ტრადიციის ამსახველი ფორმები მართებულად არ მოუჩნევიათ.

ოთხთავის ტექსტი ბერძნული წყაროდანაა თარგმნილი, თუმცა ისიც სამართლიანად შენიშნა, რომ „სწავლული მთარგმნელები გამოიყენებდნენ ყველა იმ თარგმანსაც, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ, და სრულიად ბუნებრივია, რომ ბერძნულიდან მთარგმნელნი მიმართავდნენ ხოლმე სომხურსაც და ასურულსაც“ (1944, გვ. 101-102). ზ. სარჯველაძესაც თარგმანის ტექნიკასთან დაკავშირებული არაერთი დამატებითი ლინგვისტური არგუმენტი მოჰყავს ტექსტის ბერძნულიდან მომდინარეობის დასამტკიცებლად (2003, გვ. 118-129). ს. სარჯველაძე ადიშის ოთხთავის 2003 წლის გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში გვთავაზობს დასკვნას, რომ „ადიშის ოთხთავში დაცული რედაქცია თარგმნილია ბერძნული დედნიდან, ხოლო მასში ალაგ-ალაგ დადასტურებული არმენიზმები კი მხოლოდ ლექსიკური ხასიათისაა და არა რედაქციული და, ამდენად, მეორეულია და იმ ფენაში გვხვდება, რომელიც ნუსხის რედაქტორმა ჩაასწორა ოთხთავის სომხური ტექსტის მიხედვით“ (2003, გვ. 69). ამდენად, ივარაუდება ტექსტის სომხურის მიხედვით სწორება და მასში სომხური ლექსიკის შეტანა ზოგიერთი რედაქტორ-გადამწერის მიერ. შესაძლოა, აბრაამ ტიპის ფორმების აბრაჰამ ფორმებით ჩანაცვლებაც ამ პროცესს უკავშირდებოდეს, თუმცა, ა. შანიძის აზრით, პირიქით, „ადიშის ოთხთავი ამ სახელის წერაში სწორედ ბერძნულის მიხედვით არის შესწორებული“ (1964, გვ. 36). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ **არქაული ვითარების ამსახველი აბრაჰამ ნაკითხვა გამოვა, რომელიც უნდა ჩაენაცვლებინათ აბრაამ ვარიანტით**. დღეს რთულია დაბეჯითებით იმის მტკიცება, ანთროპონიმის რომელი ვარიანტი უნდა ყოფილიყო პირველმთარგმნელის (თუ პირველმთარგმნელთა) ავტოგრაფულ ნუსხაში, რა რით უნდა შეცვლილიყო და როდის. ფაქტია, ტექსტი თარგმნილია უძველეს დროს და შემდეგ არაერთხელ მომხდარა მისი გადაწერა-სწორება, რაზეც ადიშურ ხელნაწერში დადასტურებული ხანმეტობისა და ჰანმეტობის გადმო-

ნაშთებიც მეტყველებს (სარჯველაძე, 2003, გვ. 71). ფაქტია ისიც, რომ აღნიშნული ანთროპონიმის დაწერილობის საკითხში შეინიშნება როგორც ბერძნული, ისე აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გავლენა.

საკვლევი ანთროპონიმის ქართულად გადმოღების საკითხში სახარების პირველმთარგმნელთა პოზიციის გასათვალისწინებლად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია უფრო ძველი ხელნაწერის, VII საუკუნით დათარიღებული (სარჯველაძე, 1995, გვ. 128)¹ ხანმეტი ოთხთავის ვითარების გათვალისწინება. ტექსტი ფრაგმენტულადაა მოღწეული, მათეს სახარების დასაწყის ნაწილში მსგავსებას ავლენს ადიშის ოთხთავთან (ძირითადი ტექსტი პროტოვულგატისას მიჰყვება) და, ზოგადად, მასთან ბევრი რამ აქვს საერთო (ქაჯაია, 1984, გვ. 304-305). **ხანმეტი ოთხთავი ექვსჯერ გვიჩვენებს აბრაამის სახელს** (მრკ. 12: 12, ლ. 3: 34, ლ. 13: 16, ლ. 16: 22, ლ. 19: 9, ი. 8: 52) **და ყველა შემთხვევაში /ჰ/ თანხმოვნით** (ფრაგმენტულად მოღწეულობის გამო ჩვენთვის საინტერესო დანარჩენი მუხლები აკლია), მაშინ როდესაც შესაბამის ადგილას ადიშის ოთხთავში ანთროპონიმის **აბრაამ** ვარიანტია წარმოდგენილი.² იკვეთება, რომ **სახარების ტექსტის შემცველი თითქმის ყველა ძველი ხელნაწერისთვის (ადიშის ოთხთავის გარდა), მისი რედაქციული კუთვნილების მოუხედავად, ნორმას წარმოადგენს ამ სახელის /ჰ/-თანხმოვნიანი ფორმა – აბრაჰამ** (უიშვიათესი გამო-ნაკლისების გარდა). იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ აღ-

¹ ტექსტის გამომცემელი, ლ. ქაჯაია, ხელნაწერს V-VI საუკუნეებით ათარიღებს (ქაჯაია, 1984, გვ. 303). ხანმეტობის ნორმების იმ დარღვევების საფუძველზე, რომლებიც შეინიშნება ტექსტში, უფრო მართებული ჩანს მისი VII საუკუნით დათარიღება. ოთხთავში დასტურდება ერთი ს-პრეფიქსიანი ფორმაც: *დახთესის* [მკ. 4: 26].

² ერთი გამონაკლისის გარდა: *აბრაჰამის* [ლ. 19: 9 C], რომელიც ოპიზური რედაქციის ტექსტით შევსებულ მონაკვეთშია.

ნიშნული ანთროპონიმის გადმოტანის სწორედ ეს წესი უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ იოანეს სახარების ერთ მუხლს, რომელშიც აბრაამის სახელი სამჯერ მეორდება:

ი. 8: 39 მიუგეს და ჰრქუეს მას: მამად ჩუენი **აბრაამი** არს. მიუგო იესუ და ჰრქუა: უკუეთუმცა შვილნი **აბრაამისნი** იყენით, საქმეთამცა **აბრაამისთა** იქმოდეთ C.

მიუგეს და ჰრქუეს მას: მამად ჩუენი **აბრაჰამი** არს. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა შვილნი **აბრაჰამისნი** იყენით, საქმესამცა **აბრაჰამისსა** იქმოდეთ A^dODERPBTLAFmGihScw. აბრაამისნი A^d. აბრაჰადამისნი i#. აბრაამისთა A^d. აბრაჰამისთა P. აბრაამისსა Di. აბრაჰამისა Ah.¹

მართალია, გიორგი ათონელისეული ტექსტის (ქართული ვულგატა) ჩამოყალიბების შემდეგ სახარება-ოთხთავის ახალი რედაქცია აღარ შექმნილა, მაგრამ ჩვენ მაინც საინტერესოდ მივიჩნიეთ ულტრაელინოფილური პერიოდის ეგზეგეტიკურ თხზულებებში სახარების განსამარტავ ტექსტზე (კიმენზე) დაკვირვება ამ კუთხით. ამ მიზნით შევისწავლეთ თეოფილაქტე ბულგარელის ლუკასა (სარჯველაძე, 2010) და იოანეს (ცქიტიშვილი, 2010) სახარებების თარგმანების ქართული ტექსტები.

გაირკვა, რომ თეოფილაქტე ბულგარელის ლუკას სახარების თარგმანების ქართულ ვერსიაში **აბრაამის სახელის გადმოტანის საკითხში ბერძნულის ვითარებას** (არა ყოველთვის) **ასახავს XII-XIII საუკუნეების K და ნაწილობრივ J ხელნაწერები**, რადგან, როგორც კიმენში, ისე განმარტებაში სწო-

¹ ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ყველა ძველი ხელნაწერის ლიტერისთვის იხ. „ქართული ოთხთავი“ (თვალთვაძე, 2020).

რედ ისინი გვიჩვენებენ **აბრაამ** ფორმის გამოვლენის ტენდენციას, მაშინ როდესაც **გვიანდელი AB ნუსხები (XVIII ს.) უპირატესობას აბრაჰამ ფორმას ანიჭებენ**¹ და ამ მხრივ უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციას უჭერენ მხარს.

თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების ულტრალინოფილური სტილით შესრულებულ ქართულ თარგმანში, რომელიც შემონახულია ერთადერთი ნუსხით (A 52, XII-XIII სს.), შეინიშნება ასეთი ტენდენცია: **კიმენში დასტურდება ორივე ფორმა: როგორც აბრაჰამ** (8: 33, 8: 37, 8: 39×3, 8: 40), **ისე – აბრაამ** (8: 53, 8: 56, 8: 57, 8: 58), თანაც მიყოლებით რამდენიმე მუხლი გამოავლენს /ჰ/-თანხმოვნიან ფორმებს, ხოლო მომდევნო მუხლები, ასევე მიყოლებით – მის გარეშე. კიმენში ერთხელ დავადასტურეთ ფორმა ბიზანტიური ბერძნულისთვის დამახასიათებელი ხშულის სპირანტიზებული წაკითხვით – **ავრაამ** [ი. 8: 52]. საინტერესოა, რომ, თუ კიმენში **აბრაჰამ** ტიპის ფორმაა, განმარტებაშიც ეს სახელი /ჰ/ თანხმოვნითაა წარმოდგენილი, თუ – **აბრაამ** ტიპისა, განმარტებაც ასეთ ფორმებს გამოავლენს, ოღონდ, **თუ კიმენში ოდენ ერთხელ გამოვლინდა ავრაამ წაკითხვა, თარგმანებაში უფრო ხშირია ამ ტიპის ფორმები** (114: 14, 25; 115: 25, 34; 116: 11, 12, 14).²

მოციქულთა საქმე, მართალია, IV-V საუკუნეებში უნდა ეთარგმნათ, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია X და მოგვიანო პე-

¹ **J** – Jer. 22 (XII-XIII სს.); **K** – K 78 (XII-XIII სს.); **A** – A 113 (XVIII ს.); **B** – A 284 (XVIII ს.).

² ანტონ I-ის მოღვაწეობის პერიოდის ახალი აღთქმის წიგნთა გამოცემებში ბერძნულ-სლავურის გავლენით შეინიშნება უჰაეო ფორმების გატარების ტენდენცია. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, „ირაკლისეულ ოთხთავში, ო-ში, ყველგან უჰაეო ფორმებია გატარებული... სამაგიეროდ, სამოციქულოში ჰაესთვის არსად ხელი არ უხლიათ...“ (1964, გვ. 36).

რიოდის ხელნაწერებით. ტექსტი გამოცემულია X-XIV საუკუნეების ცხრა ხელნაწერის მიხედვით (აბულაძე, 1950). *მოციქულთა საქმეში* აბრაამის სახელი 7-ჯერ დასტურდება (3: 13, 3: 25, 7: 2, 7: 16, 7: 17, 7: 32, 13: 26). ი. აბულაძის მიერ გამოყოფილი ოთხი რედაქციიდან ორი გიორგი მთაწმიდლისა (L) და ეფრემ მცირის (B) ნარედაქციებია. მიუხედავად ამისა, *მოციქულთა საქმის* ტექსტის შემცველი ხელნაწერებისთვის ნიშანდობლივია ოდენ /ჰ/-თანხმოვნის აბრაჰამ ფორმა და ამ მხრივ იგი ბერძნულს ემიჯნება.

კათოლიკე ეპისტოლეებში ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმი ერთხელ გვხვდება, ისიც /ჰ/-თანხმოვნის ფორმით როგორც ძველი (C¹), ისე ახალი, გიორგი მთაწმიდლისეული და ეფრემისეული (L^B) რედაქციების ნუსხებში: აბრაჰამს [1 პეტრე 3: 6 ALEFGHJ]¹ (ლორთქიფანიძე, 1956). იგი /ჰ/ თანხმოვნითაა წარმოდგენილი უძველეს სინურ ნუსხებშიც, სხვაობას მხოლოდ ემფატიკური ხმოვნის დართვა ქმნის: აბრაჰამსა MN.

პავლეს ეპისტოლეთა წიგნში, რომელიც გამოცემულია X-XIV საუკუნეების თორმეტი ხელნაწერის მიხედვით ოთხ რედაქციად (ძონენიძე, დანელია, 1974), რომელთაგან ორი ძველია (A, B), ორი კი – გვიანდელი (C – გიორგი ათონელისეული და D – ეფრემ მცირისეული), აბრაამის სახელი დასტურდება შემდეგი სიხშირით: *ჰრომაელთა მიმართ* – 8-ჯერ,

¹ ძველი (C¹) და ახალი (L^B) რედაქციების ნუსხები: C რედაქციისა – A – S 407 (X ს.); L რედაქციისა – L – ლაგურკის ლექციონარი (X ს.); L გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისა – E – A 584 (1083 წ.), F – A 34 (XIII ს.); B ეფრემისეული რედაქციისა – G – A 137 (XIV ს.), H – A 677 (XII ს.), J – K 12 ლენინგრადისა (XIII ს.). C¹ რედაქციის სინური ნუსხები: M – ც17/გ39 (974 წ.), N – ც16/გ31 (977 წ.) (ლორთქიფანიძე, 1956, გვ. 143).

II კორინთელთა მიმართ – ერთხელ, გალატელთა მიმართ – 9-ჯერ, ებრაელთა მიმართ – 10-ჯერ. ყველა შემთხვევაში ეს ანთროპონიმი /ჰ/ თანხმოვნითაა წარმოდგენილი, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელსაც გიორგი ათონელისეული რედაქციის მხოლოდ ერთი, XI საუკუნის ათონური ნუსხა გამოავლენს: აბრამს [ებრ. 7: 11 ხ]. შდრ. აბრაჰამს ҆҆҆҆҆҆.

2.2.2. სარა, როგორც აბრაჰამის მეუღლე, ოთხჯერაა ნახსენები ახალ აღთქმაში (ერთხელ – პეტრეს პირველ კათოლიკე ეპისტოლეში, სამჯერ – პავლე მოციქულის ეპისტოლეებში):

I პეტრე 3: 6 ვითარცა-იგი **სარა** ერჩდა აბრაჰამს (აბრაჰამსა *MN*) და უფლით ხადინ (ხადოდა *MN*, ჰხადინ *A*) მას... *LMN*. **სარრა** *AEFGHJ*.¹

პრომ. 4: 19... რამეთუ მკუდარ იყვნეს ჯორცნი მისნი, ას წლის სადამე იყო,– და უძღურებად იგი საშოდსა **სარადსი** *AB҆҆҆҆*. **სარრადსი** *҆҆҆҆҆*.²

¹ გიორგი მთანმდილისეული და ეფრემისეული რედაქციების ნუსხები უპირატესობას ანიჭებენ გემინირებულთანხმოვნიან **სარრა** ფორმას. ამავე ვითარებას გვიჩვენებს ძველი *҆* რედაქციის *A* ხელნაწერიც.

² **A** რედაქციის ნუსხები (უძველესი): *҆* – S 407 (X ს.), *҆* – S 1398 (X ს.); **B** რედაქციის ნუსხები: *҆* – S 1138 (X ს.), *҆* – K 176 (XI ს. I ნახ.), *҆* – S 58/31 (X ს.), *҆* – Ath. 42/11 (X ს.); **C** გიორგისეული რედაქციის ნუსხები: *҆* – A 584 (XI ს.), *҆* – Ath. 78/12 (XI ს.), *҆* – A 34 (XIII ს.); **D** ეფრემ მცირისეული რედაქციის ნუსხები: *҆* – A 137 (XIV ს.), *҆* – A 677 (XI-XII სს.), *҆* – K4 (XIII ს.) (ძონენიძე, დანელია, 1974).

პრომ. 9: 9 ... უამსავე ოდენ ამას მოვიდე და ესუას **სარას ძმ**
AB. სარას CD.

ებრ. 11: 11 **სარნმუნოებით იგიცა სარრა, ბერნ ღათუ იყო, ძა-**
ლი მოილო შესანყნარებელად... ABCD. სარა ԳՂԾԴ.

როგორც ვხედავთ, ახალ აღთქმაში სარას სახელი დას-
 ტურდება ორი ფორმით: როგორც ერთი, ისე გემინირებული
 /რ/ თანხმოვნით. არ ჩანს სირიულ-ებრაულისთვის დამახასია-
 თებელი **სარაჰ** ფორმა.

2.3. აბრაამისა და სარას სახელები ძველ ქართულ ლექცი-
ონარებში. ამ მხრივ უძველესი ვითარების გასათვალისწინებ-
 ლად მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლექციონარის შემცვე-
 ლი ხელნაწერების მონაცემებიც. ცნობილია, რომ V-X საუკუ-
 ნეებში ქართულ ეკლესიაში გაბატონებული იყო ღვთისმსახუ-
 რების იერუსალიმური წესი. უძველესი იერუსალიმური კანო-
 ნი შემუშავდა იერუსალიმში ბერძნულ ენაზე IV საუკუნეში
 (ეს ტექსტი დაკარგულია), მისი ქართულ ენაზე თარგმნა უკვე
 V საუკუნისთვის ივარაუდება, რასაც ცხადყოფს შედარებით
 გვიან გადაწერილი ხანმეტი ლექციონარის (VII ს. II ნახ. (შა-
 ნიძე, 1944)) სტრუქტურაც. სამწუხაროდ, **ხანმეტი და გამოკ-**
რებილი ჰაემეტი (VIII ს. II ნახ., H 1329 (შანიძე, 1923)) **ლექ-**
ციონარების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები არ შეიცავენ იმ
საკითხავებს, რომლებშიც აბრაამისა და სარას სახელები დას-
ტურდება.

VII საუკუნეში შემუშავდა ვრცელი ბერძნული ლექციო-
 ნარი არსებული იერუსალიმური კანონის შევსება-გავრცობის
 საფუძველზე. დროთა განმავლობაში ივრცობოდა იერუსალი-
 მური კანონის უძველესი ქართული თარგმანიც. ძველი ქარ-
 თული ლექციონარის მომდევნო ეტაპის (როცა ლექციონარს
 გამოეყო იადგარი, VI ს. 70-იანი წლებიდან VII ს. შუა წლე-

ბამდე (მეტრეველი და სხვ., 1980, გვ. 685-688)) ამსახველია **ლატალის** (L^1 , X ს.), **კალის/ლაგურკის** (L^K , X ს.), **სინური** (L^S , 982 წ.) და **პარიზული** (L^P , X-XI საუკუნეთა მიჯნა) **ლექციონარები**.¹ მათგან მხოლოდ სინური ხელნაწერი წარმოადგენს გამოკრებილ ლექციონარს (სრული ლექციონარიდან მომდინარეს, შეიცავს მხოლოდ ოთხი დღესასწაულის ტექსტებს), დანარჩენი ნუსხები ვრცელი/სრული ლექციონარის ტექსტის შემცველია (თუმცა სრული სახით არ არის მოღწეული).

ცნობილია, რომ პარიზულ ლექციონარში შესული ბიბლიური წიგნების საკითხავების ტექსტი, არსებითად, წარმოადგენს დამოუკიდებელ თარგმანს. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერის გამოცემის II ნაწილს დანართის სახით ერთვის ლატალის, კალის//ლაგურკისა და სინური ხელნაწერების ის საკითხავებიც, რომლებიც არ მოიპოვება პარიზულისაში, რათა შექმნილიყო ქართულ ლექციონარში შესულ ბიბლიურ საკითხავთა რამდენადმე მთლიანი სურათი (დანელია და სხვ., 1997, გვ. 3). გარდა პარიზული ლექციონარის გამოცემისა, მოსეს ხუთწიგნეულის საკითხავების ვითარების უკეთ გასაანალიზებლად, როგორც პარიზულ, ისე ლატალის, კალისა და სინურ ხელნაწერებში, ვისარგებლეთ ნ. მელიქიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტით (მელიქიშვილი, 1974).² ახალი აღთქმის საკითხავებისთვის ვისარგებლეთ ლუკასა და იოანეს სახარებების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტით (თვალთვაძე, 2020), რომელშიც გათვალისწინებულია ლექციონარების ვითარებაც.

¹ ამ ჩამონათვალს ემატება ფრაგმენტულად მოღწეული ლექციონარებიც.

² L^P , L^1 , L^K , L^S ნუსხებში წარმოდგენილი ძველი ქართული ლექციონარის მოსეს ხუთწიგნეულის საკითხავები გამოსაცემად მოამზადა ნ. მელიქიშვილმა. ტექსტი დანართ ნაწილად ერთვის მის საკანდიდატო დისერტაციას.

2.3.1. ძველი აღთქმის საკითხავები. ხუთწიგნეულის ჩვენთვის საინტერესო მუხლები ყველა ხელნაწერში (L^P , L^L , L^K , L^S) არ არის წარმოდგენილი. მაგ., დაბადებიდან პარიზულ ლექციონარში შესულია 26 საკითხავი, ლატალის ლექციონარში – 14, კალისაში – 10, სინურში – 4. ამის მიზეზს ხელნაწერთა დაზიანება წარმოადგენს, თორემ ძველი ქართული ლექციონარის ყველა ნუსხა იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველია და, წესით, ყველა მათგანში ერთი და იგივე საკითხავები უნდა იყოს შესული, გარდა სინური ლექციონარისა, რომელიც არა მთელი წლის, არამედ მხოლოდ ხუთი დღესასწაულის საკითხავებს შეიცავს (მელიქიშვილი, 1974, გვ. 10).

2.3.1.1. აბრაამი. კალისა და სინური ლექციონარების საკითხავები არ შეიცავს იმ მუხლებს, რომლებშიც, წესით, აბრაამის ორიგინალური სახელი უნდა ჩანდეს, მხოლოდ ლატალისა შეიცავს რამდენიმე მუხლს. ყველაზე სრულად ეს მონაკვეთი პარიზულ ლექციონარშია წარმოდგენილი. **ორივე ლექციონარში აბრაამის ორიგინალურ სახელად აბრაჰამ ფორმა დასტურდება.** დაბადების 17: 5-ს მხოლოდ L^P , L^L ნუსხები შეიცავს, მათგან ამ მუხლში პარიზის ლექციონარში აბრაამის ორიგინალურ სახელად გვევლინება **აბრაამ**, ხოლო უფლის მიერ ბოძებულ სახელად – **აბრაჰამ** ფორმა („და არღარა გეწოდოს სახელი შენი **აბრაამ**, არამედ **აბრაჰამ** იყოს სახელი შენი...“ [დაბ. 17: 5 L^P]), ლატალის ლექციონარში კი გვაქვს **აბრამ** – **აბრაჰამ** ოპოზიცია [დაბ. 17: 5 L^L]. **ხუთწიგნეულის ფარგლებში ყველა დანარჩენ შემთხვევაში ოთხივე ლექციონარი აბრაჰამ წაკითხვას გვთავაზობს** (ამის მაგალითი საკმაოდ ბევრია), მხოლოდ კიდევ ერთხელ დასტურდება **აბრაამ** წაკითხვა პარიზულ ხელნაწერში [დაბ. 22: 19 L^P]. საერთოდ, L^P ნუსხაში, აღნიშნული ორი შემთხვევის გარდა, მხოლოდ **აბრაჰამ** ფორ-

მაა გამოყენებული (100-ზე მეტი შემთხვევა), მათ შორის, აბრაამის ორიგინალურ სახელად.

ამგვარად, ძველი ქართული ლექციონარის ყველა ამ ნუსხისთვის (ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში) მხოლოდ აბრაჰამ წაკითხვაა დამახასიათებელი და არ იკვეთება აბრაამის სახელის ორ ფორმას შორის დაპირისპირების აუცილებლობა (ამის საჭიროება მხოლოდ შეს. 17: 5-შია ხელშესახები). ამ მხრივ ძველი ქართული ლექციონარის ვითარება სიახლოვეს ამჟღავნებს ყველაზე ადრეულ, ძველი ალექმის წიგნების მეტ-ნაკლებად სრულად შემცველ ოშკის ბიბლიასთან.

Shanidze, A. (1944). *ხანმეტის ლექსიონარი, მოთქმული რეპროდუქცია* [*Khanmeti* Lectionary. Phototype edition]. Published and accompanied by a Symphony by A. Shanidze. *Ancient Georgian Texts*. I, 07-064. Tbilisi: Press of the Georgian Academy of Sciences.

Shanidze, A. (1945). *ქართული ოთხთავის ორი ჯვრული რედაქცია სამი საბერძნული ხელნაწერის მიხედვით* (897, 936, 973) [*The Two*

Ancient Georgian Versions of the Holy Four Gospels Based on Three Shatberdi Manuscripts (897, 936, 973)]. Tbilisi: Press of the Georgian SSR Academy of Science

Shanidze, A. (1964). Anṭon I-is gavlena salīṭeraṭuro kartulze da ṡveli kartuli enis ṡglebis vitareba axali aytkmis ṡignebis gamocmebši. *tsu ṡveli kartuli enis ṡatedris ṡromebi* [The Influence of Anton I on Literary Georgian and the Situation of the Texts of the Old Georgian Language in the Versions of the Books of the New Testament. *Proceedings of the Old Georgian Language Department of TSU*]. 9, 1-94. Tbilisi: Tbilisi University Press.

Shanidze, M. (1969). i xmovanpuṡiani antroponimebis iṡoriisatvis kartulši. *Tbilisis universiṡeṡi Giorgi axvledians* [On the History of Anthroponyms with a Vowel Stem **i** in Georgian. *Tbilisi University to Giorgi Akhvlediani*]. Tbilisi: Tbilisi University Press.

Silagadze, A., Totadze, A. (1997). *gvar-saxelebi saqartveloṡi* [Personal and Family Names in Georgia]. Tbilisi.

Torn, K., Becking, B., Horst, P. W. (Eds.). (1999). *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. 2nd extensively revised edition. Grand Rapids, Michigan/Cambridge, U.K.: William B. Eerdmans Publishing Company.

Tov, E. (1999). *The Greek and Hebrew Bible. Collected Essays on the Septuagint*. Leiden, Boston, Kṡln: Brill.

Tov, E. (2015). Transliterated Proper Names in the Septuagint: Some Statistics. *Biblical Greek in Context. Essays in Honour of John*

A. L. Lee. *Biblical Tools and Studies*. 22. Eds. James Aitken & Terry V. Evans. Leuven: Peeters.

Tov, E. (2022). The LXX Translators' Procedures in Representing Proper Names. Consistency in Representation. International Symposium: *The Bible in Words and Images*. May 27-29. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Tsqitishvili, T. (2010). Teopilaqte bulgareli. *ganmarṭeba ioanes saxarebisa*. [Theophylact of Bulgaria. *The Explanation of the Holy Gospel According to St. John*]. Prepared for publication and accompanied by an Introduction and dictionary by T. Tsqitishvili. Tbilisi: "Nekeri"

Tvaltvadze, D. (2020). *qartuli otxtavi* [The Georgian Four Gospels]. The critical text based on all ancient manuscripts of the old Georgian translations of the Holy Four Gospels and ancient lectionaries (Scientific Director of the Project – prof. D. Tvaltvadze): <https://ogg.tsu.ge/> (Last accessed: 20.10.2023).

Uttie, B. (2009). zmnisṭinebi da kartuli bibliis dedani. *enatmecnierebis saḳitxebi* [Preverbs and the Source of the Georgian Bible. *Issues of Linguistics*]. I-II, 229-232. Tbilisi: Tbilisi University Press.

Жерто, Ж. (2017). *Имя Бога: его история и произношение*. Киев: „Мультимедийное издательство Стрельбицкого“.

Abbreviations and Sources

Bible (1989). The Bible. Tbilisi: Press of the Patriarchate of Georgia.

- Bible (2001). *zveli da axali aytkmis cignebi* [Books of the Old and New Testament]. Tbilisi: The Bible Society.
- Bible (2015). <http://old.holybible.ge/georgian> (Last accessed: 20.10.23).
- Bible (2017). *biblia. zveli aytkma*. [The Bible. The Old Testament.]. I. Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.
- Bible a: <https://holybible.ge/english> (Last accessed: 20.10.23).
- Bible b: <https://holybible.ge/french> (Last accessed: 20.10.23).
- Pentateuch (2012). *xutçigneuli, targmnili zurab kixnazis mier* [Pentateuch. Translated by Zurab Kiknadze]. Tbilisi: Sulkhan-Saba Orbeliani University Press.
- Septuaginta (1974). *Septuaginta. Vetus Testamentum Graecum. Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum. I. Genesis*. Edidit John William Wevers. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.
- Titus: <https://titus.uni-frankfurt.de/> (Last accessed: 20.10.23).
- Torah (1995). *tora qartul enaze ebraul teqsṭan ertad* [Torah in Georgian with the Hebrew Text]. Jerusalem: “Shuqura”.
- Αγία Γραφή: <https://holybible.ge/greek> (Last accessed: 20.10.23).
- ԱՍՏՈՒԾԱԾՈՒՆԶ (1805). *ԱՍՏՈՒԾԱԾՈՒՆԶ. ՄԱՏԵԱՆ ՀԻՆ ԵՒ ՆՈՐ ԿՏԱԿԱՐԱՆԱՅ. ԴՎԵՆԷՏԻԿ*.

ԱՍՏՈՒԱԾԱՇՈՒՆՉ (1895). *ԱՍՏՈՒԱԾԱՇՈՒՆՉ*. ՄԱՏԵԱՆ ՀԻՆ
ԵՒ ՆՈՐ ԿՏԱԿԱՐԱՆԱՑ. ԿՈՍՏԱՆԴՆՈՒՊՈԼԻՍ:
ՏՊԱԳՐՈՒԹԻՒՆ Գ. ՊԱՂՏԱՏԼԵԱՆ.

https://arak29.org/bible/book/tGen_1.htm

Библия: *Библия Онлайн*. Современный русский перевод ИПБ им.
М. П. Кулакова. <https://bibleonline.ru/bible/bti/gen-16/> (Last
accessed: 20.10.23).

Библия **а**: <https://holybible.ge/russian> (Last accessed: 20.10.23).

A – H 1207 (18th c.)

B – A 455 (The Bakar Bible, printed version, 1743)

C – A 179 (1669)

D – H 885 (17th c.)

E – A 243 (1672)

F – A 646 (16th c.)

G – The Gelati Catena Bible, preserved in Korneli Kekelidze
Georgian National Centre of Manuscripts. It has come down to
us in two manuscripts: A 1108 is presented with the autograph
MS and Q 1152 – with its copy.

Gb – A 1108 (12th c.)

Ga – Q 1152 (12th-13th cc.)

I – A 570 (15th c.)

J – Jer. Geo. 7/11 (The Jerusalem Bible, 11th c.)

K – Kut. № 28 (1681)

O – Ivir. Geo. № 1 (The Oshki Bible, 978)

- S** – A 51 (The Mtskheta Manuscript, i.e. the Saba Bible, preserved in Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, the 17th-18th centuries)
- C** – S.I.E.M. 22. Adishi Four Gospels (897)
- D** – H 1660. Jruchi Four Gospels (936)
- E** – A 1453. Parkhali Four Gospels (973)
- F** – Urbnisi Four Gospels (11th c.)
- G** – Palestinian Four Gospels (1048)
- H** – A 1335. Vani Four Gospels (12th-13th cc.)
- I** – Echmiadzin Four Gospels (12th-13th cc.)
- K** – Q 908. Gelati Four Gospels (12th-13th cc.)
- L^s** – Sin 37. Sinai/Jerusalem Lectionary (982)
- L^k** – Q 1653. Kala/Lagurka Lectionary (10th c.)
- L^l** – Latali Lectionary (10th c.)
- L^P** – Geo. №3. Paris Lectionary (10th-11th cc.)

ქართული მეტყველების
კულტურის საკითხები

ISSUES OF THE GEORGIAN
SPEECH CULTURE

მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში

ნაშრომი ეხება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს – *O*₃^რ. პირის მარკირებას. იკვეთება, რომ *O*₃^რ. პირის მარკირებად მიჩნეულ **ჰ-**, **ს-** პრეფიქსებს არ ეძებნება გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია არც სინქრონიულ დონეზე და არც დიაქრონიულად. სტატია იმით იქცევს ყურადღებას, რომ ავტორის პოზიცია ემყარება დიაქრონიულ კვლევას: გათვალისწინებულა *N*₂ და *O*₃ პირების ნიშანთა გენეზისი, არაგრამატიკული წარმომადგენლობის პრეფიქსთა პირის ნიშნებად გრამატიკალიზაციის ცდა და მისი შედეგები, ასევე, ზოგადად, ენის განვითარების ტენდენცია ამ კუთხით (**ჰ-** პრეფიქსისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების გაქრობისკენ მიდრეკილება).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშანთა გამოყენების საკითხი დღეს, ასე თუ ისე, მოგვარებულია. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, ძალაშია შემდეგი წესი: „ა) არ იქნეს ხმარებული **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები II სუბიექტური პირის აღსანიშნავად; ბ) იხმარებოდეს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად“ (ნორმები, 1970, გვ. 193). ამავე პირის აღმნიშვნელად, ფონეტიკური ფაქტორის გათვალისწინებით, ნულოვანი ალომორფი გვაქვს ხმოვნების, სონანტებისა და სპირანტების (რ, ლ, მ, ნ, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ) წინა პოზიციაში. გამონაკლისის სახით **ს-**ს გამოყენება საჭიროდაა მიჩნეული რამდენიმე ზმნასთან (გასტანს, გასწევს, ასწევს, გამოსცემს,

გასცემს¹),² რომელთაც, მართალია, არ ეწყობა O_3 ^რ, მაგრამ „ს- აქ ფუძესაა შეხორცებული“³ (ნორმები, 1970, გვ. 202). III ირიბოპიეტური პირის მარკირების სავალდებულოდ გამოცხადებით მოხდა პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმობრივი დიფერენციაცია III პირში (ამ წესს სიცხადე შეაქვს ლაბილური კონსტრუქციის ზმნებშიც, რომელთაც ირიბი ობიექტი ხან ეწყობა, ხან – არა: მოსჭრა – მოჭრა, მოსწმინდა – მოწმინდა, მოსტეხა – მოტეხა, მოჰგლიჯა – მოგლიჯა, გადასდო – გადადო, სცხელა – ცხელა, ჩამოსდის – ჩამოდის...), რამაც ბოლო მოუღო უსისტემობას **ჰ-, ს-** პრეფიქსთა გამოყენებაში.

მიუხედავად შემუშავებული კანონზომიერებისა, ეს წესები ხშირად ირღვევა, ზოგჯერ – სპეციალისტთა მიერაც. ამიტომ მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მარკირების საკითხი დღესაც პრობლემურ საკითხად რჩება, რაც არაერთხელ აღნიშნულა კიდევ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (იმნაიშვილი, 2001; ციხელაშვილი, 2005; ლლონტი, 2006; ზექალაშვილი, 2008 და სხვ.).

ჰ-, ს- პრეფიქსებს, სხვა პირების ნიშნებისგან განსხვავებით, **არ აქვთ მკაცრი დისტრიბუცია**: ხშირად არ გვხვდებიან იმ შემთხვევებში, რომლებშიც, ნორმის მიხედვით, მოსალოდნელია (მაგ.: კითხა, ქონდა, ძინავს, წყურია, დაკარგვია, შედავებიხარ, წვევია, მოჩვენებია, გაქვავებია, გაქრობია, შეცილებოდე, გაყინოდა, ყოლოდა...), ან რეალიზდებიან, როცა არ

¹ ფაქტობრივად, **ს-** პრეფიქსით გამოიყენება **-ც-** ძირის მქონე ზმნები: გადმოსცა (მან ინფორმაცია), დასცა (მან მოწინააღმდეგე).

² ამ ზმნებს შეიძლება დაემატოს: სცადა, დასძინა, სჩადის, შემოსძახა (მან სიმღერა), თუმცა, ვ. იმნაიშვილის აზრით, აღნიშნული ტიპის ზმნები **ს-** პრეფიქსს არ საჭიროებენ III ირიბოპიეტური პირის უქონლობის გამო (2001, გვ. 57-65).

³ ვ. იმნაიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ ზმნებში „ს პრეფიქსის ძირთან შეხორცებასთან არ უნდა გვექონდეს საქმე“, რადგან ეს ელემენტი არ ჩანს III სერიის ფორმებში (2001, გვ. 57).

არის მოსალოდნელი (მაგ.: მოჰკლა, გასტეხა, შესძლო, ჰყვავის, სჩანდა, ჰფეთქავს, შეჰკრთა, ჰგმინავ, ჰბუუტავ, ჰგალობდა, აჰხედ-ჩაჰხედა, ჰშველის...). რაც მთავარია, **აღნიშნული პრეფიქსების კლება ან ზედმეტად გამოყენება არ იწვევს მნიშვნელობის დაბნელებას**. ენას არ ეუცხოება არც, ნორმების მიხედვით, მართებული, არც – მცდარი ფორმები. ასეთი უსისტემოა ამ ალომორფთა გამოყენებაში იმის მაუწყებელია, რომ **ქართული ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე მათ არ მოეძებნებათ მკაცრად განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქცია** (ონიანი, 1978, გვ. 97). ეს მოვლენა ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა აღნიშნული საკითხი: „ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები (S_2 და O_3 პირებისა – ლ. ც.) მკვდარია და მათი გაგებისათვის გრამატიკული ალლო და გრძნობა სრულიად დაჩაღუნებულია“ (1981, გვ. 222). გ. ახვლედიანის აზრით, „**ჰ-** სალიტერატურო ქართულში იხმარება იშვიათად და, თუ იხმარება, არა მორფოლოგიური, არამედ ემოციური დანიშნულებით“ (1999, გვ. 109). ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ **დღეს ეს ელემენტები უფრო ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით გამოიყენება, სტილიზაციისათვის, ვიდრე – მორფოლოგიური ფუნქციით** (ციხელაშვილი, 2005, გვ. 254). სხვაგვარად ვერ ავხსნით ამ პრეფიქსთა თავისუფალ გამოყენებასა და დისტინქციური უნარის უქონლობას. თუ ასევე თავისუფლად, არადაღნიშნულებისამებრ გამოვიყენებთ სხვა პირების მარკერებს, ეს, ცხადია, მნიშვნელობის დაბნელებას გამოიწვევს, ამ შემთხვევაში კი ასეთ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე. როგორც ვხედავთ, სინქრონიული ანალიზი ფუნქციურად აშკარად განასხვავებს, ერთი მხრივ, S_2 და O_3 პირებისა და, მეორე მხრივ, სხვა პირების ნიშნებს.

მართალია, „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, S_2 და O_3 ^{პირდ.} პირები არამარკირებულია, მაგრამ O_3 ^{ორ.} პირის ალომორფების ნულთან თავისუფალი მონაცვლე-

ობა იძლევა იმის საფუძველს, რომ სინქრონიულ დონეზე ეს პირიც პირობითად (თუ ნორმების ზენოლას არ მივიღებთ მხედველობაში) პირის რომელობის მიხედვით ოპოზიციის არამარკირებულ წევრად მივიჩნიოთ და ვისაუბროთ არა ეკვიპოლენტურ, არამედ პრივატულ ოპოზიციაზე.¹

ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც ასევე შეიძლება დაგვაფიქროს მესამე ირიბოზიექტური პირის ნიშნის მორფოლოგიური ფუნქციის არსებობა-არარსებობაზე, გახლავთ შემდეგი: S_2 და O_3 პირების მორფემები ისტორიულად ფორმოზრიერთია. რას უნდა გამოენვია რომელობისა და რაგვარობის მიხედვით განსხვავებული პირების ერთნაირად მარკირება? ხერხდება თუ არა მათ შორის რაიმე საერთოს დაძებნა? ვფიქრობთ, პასუხი ცალსახად უარყოფითია. S_2 და O_3 პირები ფუნქციურად მკვეთრად გამიჯნული დღესაც და ისტორიულადაც, ასე უნდა ყოფილიყო საერთოქართველურშიც (ციხელაშვილი, 2005, გვ. 254).

ამდენად, სინქრონიული ანალიზი ეჭვქვეშ აყენებს მესამე ირიბოზიექტური პირის მარკირების აუცილებლობას. მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გაენიოს ისტორიულ ვითარებასაც.

როგორც ცნობილია, მესამე ირიბოზიექტური პირის ნიშნად ძველ ქართულში, ხანმეტობის დროს, დასტურდებოდა **ხ**- პრეფიქსი, ხოლო ჰაემეტობისას – **ჰ**- პრეფიქსი. აღნიშნული ფუნქციის გარდა, **ხ**- და **ჰ**- პრეფიქსები გამოიყენებოდა კიდევ რამდენიმე დანიშნულებით: ა) S_2 და მიცემით ბრუნვაში მდგარი O_3 (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის, თუ ეს უკანას-

¹ რადგან ქართულში მარკირებულია I და II ობიექტური პირები, ბუნებრივია, III ობიექტური პირის მარკირება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. O_3 -ის პირის ნიშნების გამოყენების აუცილებლობა შესაძლოა, გამართლებული იყოს მხოლოდ III პირში პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმოზრივი დიფერენციაციის მიზნით, თუმცა I-II პირში ამის საჭიროება არ დგას.

კნელი ე.წ. „ჰყოფს“ ტიპისა) პირების მარკერად (*ხჭამ, მეოხ-ხეყავ, დახნერ...*); ბ) ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმასთან¹ (*ხეყავ, ხიყავ, ხიყო*); გ) ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის უფროობითი ხარისხის ფორმების მანარმოებელ ცირკუმფიქსებში (*ხუდიდღსი, ხუფროდსი, ხუმჯოზღს...*).²

ცნობილია, რომ ძველი ქართული მკაცრად ნორმირებული ენის შთაბეჭდილებას ტოვებს. S₂ და O₃ პირების მორფემების გამოყენების ნორმები ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში, ერთი შეხედვით, მკაცრადაა დაცული (ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული სკოლები ცდილობენ ამ პრინციპის ბოლომდე გატარებას), მაგრამ ვხვდებით დარღვევებსაც, განსაკუთრებით ეს ეხება O₃-ის მარკირებას. S₂-ის მარკირებაში დარღვევები ნაკლებია: შესაძლოა, ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი ამ პირის მორფემა: *შეურაცხყო* [მ. 18: 10 X], *ნუ კლავ*, *ნუ იპარავ* [მრკ. 10: 19 X], *უნყითა* [მრკ. 10: 42; ლ. 2: 49 X], *ისმინი* [ჰაემ. 388: 17], *ისმინე* [ჰაემ. 388: 17], *იხილოთ* [ჰაემ. 386: 6].

გაცილებით მეტი დარღვევა გვაქვს O₃ პირის მარკირებაში, კერძოდ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში შესაძლოა, O₃^{ორ.} პირის ნიშნად გვექონდეს **ში**: *მეოხ ეყავ* [ადრნერსე ჯპატოსის წარწერა], *ურუენე* [მ. 8: 4 X], *შუენის* [ხანმ. მრავ. 128: 14-15; 129: 5-6; 130: 4], *ალუთქუა* [ჰაემ. 368: 3], *მოუჯდა* [ჰაემ. 370: 13] და სხვ. შესაძლოა, პირის ნიშანი არ ჰქონდეს მიცემით ბრუნვაში მდგარ ე.წ. „ჰყოფს“ ტიპის ზმნის O₃^{პირდ.} ობიექ-

¹ ე-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში **ხ-/ჰ-** პრეფიქსი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნად კვალიფიცირდება, ამიტომ ამ ფუნქციას ცალკე აღარ გამოვყოფთ.

² ჰაემეტობისას ყველა მოყვანილი ფორმა წარმოდგენილი იქნებოდა **ჰ-** პრეფიქსით.

ტსაც: *განრცხიდეს* [ჰაემ. 383: 30], *იტყოდა* [ჰაემ. 369: 22; 370: 14-15; 386: 22], *იტყოდეს* [ჰაემ. 371: 23; 376: 19; 378: 20; 380: 17; 382: 3] და სხვ.

ძველ ქართულში შესაძლოა, ზმნას არ ეწყობოდეს *Оз*¹, მაგრამ ზმნაში მისი ნიშანი წარმოდგენილი იყოს (საინტერესოა, რომ ამ ტიპის ყველა ზმნა ვერ ერთიანდება ე.წ. „დაჰბა-და“ ტიპში): *მოხაქციოს* [ოქსფ. 305: 13], *დახთესეთ* [კემბ. 36: 8-9], *ხუწყოდეთ* [ხანმ. ლექც. 63: 1],¹ *გამოხცეს* [ხანმ. ლექც. 63: 21], *დახუფარო* [პროტ. 21: 22], *დაჰთესი* [ჰაემ. 385: 5], *მიხიყვანის* [მ. 7: 13 X], *დახკრიბეს* [მ. 21: 36 X], *დახფაროს* [ლ. 8: 16 X] და სხვ.² როგორც ჩანს, მწერლისა თუ გადამწერისათვის ეს პრეფიქსები იმდენად არაბუნებრივი იყო, რომ მათს გამოყენებას ორთოგრაფიის წესებიც კი ვერ აწესრიგებდა.

ე.წ. საწნარევობისას, IX საუკუნიდან,³ **ჰ**- პრეფიქსი იკარგება ხმოვნის წინა პოზიციაში, შესაბამისად, იგი აღარაა წარმოდგენილი პრეფიქსიანი ვნებითი გვარისა (*ვიყავ, იყავ, იყო, ვეყავ, ეყავ, ეყო...*) და უფროებითი ხარისხის ფორმებში (*უდიდესი, უფროსი...*). სხვა ფუნქციებით იგი განაგრძობს არსებობას /**ჰ**- ~ **ს**- ~ **0**/ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფების სახით, მაგრამ ძველი ქართული ენის მეორე ქვეპერიოდში, IX-XI საუკუნეების ძეგლებში, დარღვევათა რაოდენობა აშკარად მატულობს.⁴ სამწერლობო ენაში ამ

¹ ზმნა I ბრძანებითის მწკრივშია და, ამდენად, **ს**-ს S₂-ის მორფმად ვერ მივიჩნევთ. ძველ ქართულში ბრძანებითის მწკრივებში S₂-ის უნიშნობა მორფოლოგიური აკრძალვაა.

² დანვრილებით იხ. ციხელაშვილი, 2005.

³ ცოცხალ მეტყველებაში **ს**-პრეფიქსიანი ფორმების არსებობა VII საუკუნიდან ივარაუდება. **ს**-პრეფიქსიანი ფორმა დასტურდება უკვე VII საუკუნით დათარიღებულ ხანმეტ ოთხთავში (*დახთესის* [მრკ. 4: 26 X]) (სარჯველაძე, 1995, გვ. 129).

⁴ შესაძლოა, **ჰ**- პრეფიქსის ნაცვლად წარმოდგენილი იყოს **ს**- (**სზი** [იადგ. 50: 17], *მოსრწყეთ* [Sin.-34 42r: 11], *შესზავებედ* [შატბ. კრებ.

მხრივ არსებულ დარღვევათა სიხშირე გვავარაუდებინებს, რომ იმ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში ამ მოვლენას უფრო მასშტაბური ხასიათი ექნებოდა. სამართლიანად შენიშნავს ზ. სარჯველაძე: „S₂ და O₃ პირების ნიშანთა ხმარების დარღვევები მიუთითებენ, რომ **ჰ**- და **ს**-პრეფიქსები უკვე IX-XI საუკუნეების ცოცხალ მეტყველებაში მკვდარი იყო (გვულისხმობ ცოცხალ მეტყველებას, რომელსაც ემყარებოდა იმ ეპოქის სალიტერატურო ენა)“ (1984, გვ. 393).

საშუალ ქართულში აღნიშნულ პრეფიქსთა უსისტემო გამოყენება უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს: პრეფიქსი არ ჩანს იმ შემთხვევაში, როცა, ძველი ქართულის ნორმების თანახმად, მოსალოდნელია, ან ზედმეტადაა გამოყენებული, როცა მისი გაჩენის არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ არსებობს. XIX საუკუნის ქართული მწერლობა ამ მხრივ, ძირითადად, ანტონის ნორმებს მისდევს და დიდ სიჭრელეს ავლენს.¹ როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლისათვის დამახასიათებელია **ჰ**-პრეფიქსის მოჭარბებულად გამოყენება, ამასთანავე, **ჰს**-მრჩობლი (კონტამინაციური) პრეფიქსის უსისტემოდ გამოყენება (*ეჰსთქუამ*, *ეჰსტმუ*

98r: 8-9b)... (სარჯველაძე, 1984, გვ. 391)) ან, პირუკუ, **ს-შ**-ს ნაცვლად – **ჰ**:- და *ჰჟედ* [იადგ. 90: 20].

¹ მაგ., ქართველი რომანტიკოსებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია **ჰს**-კონტამინაციური პრეფიქსის გამოყენება **ს**-ს ნაცვლად: *ჰსწყურთ* [ალ. ჭავჭ. 15: 40], *ჰსძღვეს* [ალ. ჭავჭ. 15: 59], *ჰსძღვეს* [ორბ. 15: 104]... ან როცა მოსალოდნელი არ არის: *ჰსჩანს* [ალ. ჭავჭ. 15: 52], *ჰსწუხს* [ორბ. 15: 104], *ეჰსტიროდი* [ორბ. 15: 100] (მელიქიშვილი, 1999, გვ. 70, 75, 91). მე-19 საუკუნის სამწერლობო ქართულში შედარებით ნაკლები ინტენსივობით შეინიშნება აგრეთვე **ს**-ს ნაცვლად **ჰ**-პრეფიქსის გამოყენება: *ჰთქვი* [ერისთ. 6: 251], *ჰწოდეს* [ერისთ. 6: 333], *ჰჩანს* [ჯორჯ. 16: 560] (მელიქიშვილი, 1999, გვ. 94). გვხვდება სხვა ტიპის დარღვევებიც.

ნავ, ეჰსჩან, ეჰსთეუ...¹ (ანტონ I, 1997, გვ. 51)). ა. შანიძის აზრით, „კათალიკოზისათვის ამ პრეფიქსს (ცალად ჰ-ს, ტყუბად ჰს-ს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: მისთვის იგი არც S_2 -ია და არც O_3 , არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად“ (1981ა, გვ. 221).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პრეფიქსების გამოყენებაში უსისტემობა შეინიშნება არა მარტო სინქრონიულ დონეზე, არამედ – დიაქრონიულადაც. განა შეიძლება მორფოლოგიური ღირებულებისა და დისტინქციური უნარის მქონე მორფემა ენაში უსისტემოდ გამოიყენებოდეს? რა თქმა უნდა, არა. ამ მხრივ ნიშანდობლივია გ. ახვლედიანის მოსაზრება: „გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულშიც კი (სამუალოზე ლაპარაკი ზედმეტია) ეს მოვლენები მკვედარი ყოფილა, რადგან ფორმათა არევა მხოლოდ ამ ფაქტის შედეგი შეიძლება იყოს. ალბათ გაცილებით ადრე დაკარგულა ავტორის პრეფიქსების ბუნების შეგნება, თუ მათი მართლწერაც კი არეულია ძეგლებში: მართლწერა მუდამ უკან რჩება ენის განვითარებას: შესაძლოა, მართლწერა სასტიკად იყოს დაცული, მაგრამ ცოცხალ გამოთქმას იგი არ შეეფერებოდეს... ვინ იცის, ქართულს, როგორც ასეთს, შეიძლება არასოდეს არ ქონია S_2 და O_3 -ის პრეფიქსების ხმარება აურეველი“ (1923, გვ. 100).

ამგვარად, **ჰ-, ს- პრეფიქსებს არ ეძებნება გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია არც სინქრონიულ და არც დიაქრონიულ დონეზე**. ამის გათვალისწინებით, ათიოდე წლის წინ ჩვენ შევეცადეთ სხვაგვარად დაგვესვა S_2 და O_3 პირების მარკერებად მიჩნეული პრეფიქსების გენეზისის საკითხი. კერძოდ, **ჰ- (> ხ-) პრეფიქსი ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად მივიჩნიეთ და მისი არსებობა ფშვინვიერ შემართვას – ასპირაციას დავუკავშირეთ**, რომელიც საერთოქარ-

¹ აღნიშნული ფორმები იმითაც იქცევეს ყურადღებას, რომ ჰს-მრჩობლი პრეფიქსი წარმოდგენილია S_1 -ის ჯ- პრეფიქსთან ერთად.

თველურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. **მეორეულია ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული ბგერის** (თუ მისი ფონეტიკური ვარიანტების) **გრამატიკალიზება პირის ნიშნად** (ციხელაშვილი, 2005). „ქართველურ ენათა ისტორიული მონაცემებით დასტურდება, რომ ფშვინვიერი შემართვა-დამართვა ქართველურ ენათა ფონეტიკური სტილისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყოფილა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ძველი ქართულის მონაცემები და, მეორე მხრივ, ქართველურ ენათა ცოცხალი დიალექტების მონაცემები“ (ჟღენტი, 1965ა, 112). „როგორც ჩანს, ძველ ქართულს იგი მეტად ახასიათებდა, ვიდრე ე.წ. ჰაემეტობის პერიოდში“ (ახვლედიანი, 1999, გვ. 109).

ქართველურ ენათაგან ასპირაცია თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო (ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას ამ ენებში S_2 და O_3 პირების უნიშნობა), შემდეგ – ქართულში. ფშვინვიერი შემართვა დღესაც მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა სვანური ენის ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებსა და ჭანურის ვინურ-არქაულ კილოკავში (ჟღენტი, 1965ა, 112). სვანურში გვაქვს ერთი ჯგუფი ქართულიდან შესული სახელებისა, რომლებთანაც ქართულში ფშვინვიერი შემართვა არ ჩანს, სვანურში კი ისინი ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული [ჰ] ელემენტითაა წარმოდგენილი, მაგ.:

ქართული

სვანური

არაყი

ბზ. ჰარაჟ

აბჯარი

ბზ., ბქ. ჰაბჯარ

ავეჯი

ბზ. ჰავეჯ და სხვ.

სვანურში ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის შემდგომი „განვითარებისას“ $\text{ჰ} > \text{ხ}$, მაგ., ჰარაყ $>$ ხარაყ, ჰასაკ $>$ ხასაკ და სხვ. (ჟღენტი, 1965ბ, გვ. 22). შდრ.: ქართ. ჰო/ხო (ფშვინვი-

ერი შემართვა), *ოჰ/ოხ, უჰ/უხ, ეჰ/ეხ, ვაჰ/ვახ* და სხვ. (ფშვინვი-ერი დამართვა).

ქართულის დიალექტთაგან ინგილოურში შეინიშნება [ჰ] ბგერის განვითარება ანლაუტში /ო/, /უ/ ხმოვნების წინ: *ჰუყ-ვარს, ჰუხარიან, ჰუმღერის, ჰუთქომ...* ა. შანიძის აზრით, „ჰაეს წარმოშობას თავკიდურის უნის წინ ზმნის ფორმებში არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ უძევს, არამედ იგი წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა იმგვარადვე, როგორც იმავე ჰაეს გაჩენა უნისა და ონის წინ ანლაუტში და, მაშასადამე, ლაპარაკი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შესახებ ხმოვნების წინ, ინგილოური მასალების მიხედვით, შეუძლებელია (ხაზი ჩვენია – ლ. ც.)“ (1981ბ, გვ. 266). ვფიქრობთ, ა. შანიძის აღნიშნული მოსაზრება ანგარიშგასაწევია, როცა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში *Оз*¹ პირის მარკირებაზე ვსაუბრობთ.

ჩვენი აზრით, როგორც ძველი სამწერლობო ენის, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმები მიზნად ისახავდა ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული [ჰ] ელემენტისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების უსისტემოდ გამოყენების სისტემატიზაცია-გრამატიკალიზებას¹ და ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების შემუშავებას. მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ ხელოვნურად, ნორმებით, ენას წესებს თავს ვერ მოახვევდა ვერ შეცვლი მისი განვითარების კანონზომიერ პროცესს. დარღვევები ამ პირების ნიშანთა გამოყენებაში სწორედ იმის მაუწყებელია, რომ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული ბგერის გრამატიკალიზება ბოლომდე ვერ გატარდა, ენისთვის ეს ელემენტი მაინც უფუნქციო და მორფოლოგიურად ჭარბი დარჩა.

მესამე ირიბოპიქტური პირის მარკირებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა მარტო *ჰ-/ს-* პრეფიქსის მორფოლოგიუ-

¹ მოხდა პირის მორფმად გადაზრებული პრეფიქსის განზოგადება თანხმოვნების წინაც და ამ გზით – პარადიგმის „გასწორება“.

რი ფუნქციის გარკვევა, არამედ **ენის განვითარების ტენდენ-
ციაზე** დაკვირვება ამ კუთხით. „თანამედროვე ქართული სა-
ლიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, „II სუბიექტური პი-
რის აღსანიშნავად **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები თანამედროვე სალი-
ტერატურო ქართულში აღარ იხმარება. მაგრამ **თანამედროვე
სალიტერატურო ქართულში ამ პრეფიქსებს ჯერ კიდევ აქვთ შე-
ნარჩუნებული III ირიბობიექტური პირის გამოხატვის ფუნქცია**
(ხაზი ჩვენია – ლ. ც.)“ (ნორმები, 1970, გვ. 193). სწორედ ამ
რეალური ვითარების საფუძველზე იქნა შემუშავებული ის წე-
სები, რომელთა თანახმად, ნორმას წარმოადგენს II სუბიექ-
ტური პირის უნიშნობა და III ირიბობიექტური პირის მარკი-
რება. ნორმებში ასახული რეალური ენობრივი ვითარება აშ-
კარად მიუთითებს ენის განვითარების ტენდენციას ამ კუთ-
ხით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ხ-/ჰ-** პრეფიქსი ძველ სამ-
წერლობო ქართულში გამოიყენებოდა რამდენიმე ფუნქციით,
რომელთაგან ყველაზე ადრე იგი დაიკარგა პრეფიქსიანი ვნე-
ბითი გვარისა და უფროობითი ხარისხის ფორმებში, ხოლო
უფრო მოგვიანებით მან დაკარგა II სუბიექტური და III პირ-
დაპირობიექტური პირების გამოხატვის ფუნქცია. თუკი **ჰ-**
პრეფიქსის დაკარგვას ფონეტიკურ ნიადაგზე ავსხნით პრე-
ფიქსიან ვნებითებსა და უფროობითი ხარისხის ფორმებში
(მის დაკარგვას განაპირობებს ხმოვნის წინა პოზიცია), ყველა
შემთხვევაში ასეთსავე ახსნას ვერ მოვუძებნით მის გაქრობას
II სუბიექტური და III პირდაპირობიექტური პირების ნიშნად
(აქ უკვე სხვა ფაქტორიც მოქმედებს – მორფოლოგიური
ფუნქციის უქონლობა). როგორც ვხედავთ, **საკითხის დიაქრო-
ნიულ ქრილში განხილვა აშკარად ცხადყოფს ენის განვითარე-
ბის ტენდენციას ამ კუთხით: ჰ- პრეფიქსი (თუ მისი ფონეტიკუ-
რი ვარიანტი) იკარგება ისტორიულად მისი გამოყენების, ფაქ-
ტობრივად, ყველა შემთხვევაში, უფრო ზუსტად, მას ახასიათებს
გაქრობის ტენდენცია.** ცხადია, გამოკვეთილი გრამატიკული
ფუნქციის არსებობის შემთხვევაში ენა ასე ადვილად ვერ შეე-

გუებოდა მორფოლოგიური ფორმანტის დაკარგვას. ერთადერთი ფუნქცია, რომელიც **ჰ-, ს-** პრეფიქსებს „ჯერ კიდევ აქვთ შენარჩუნებული“, ნორმების თანახმად, III ირიბობიექტური პირის გამოხატვაა¹ და ისიც – არამყარი. **ამ ფუნქციითაც აღნიშნულ პრეფიქსს ახასიათებს გაქრობის ტენდენცია.** ნორმების ზეწოლა აშკარად ხელოვნურად აფერხებს ამ პროცესს, თუმცა ენის განვითარების ტენდენცია ამ კუთხით აშკარაა და, ადრე თუ გვიან, მოგვინევს ამ ფაქტს ანგარიში გავუწიოთ. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში ენაში მიმდინარე პროცესები სამწერლობო ენაშიც პოულობს ასახვას და ის, რაც გარკვეულ საფეხურზე დარღვევას წარმოადგენდა, მოგვიანებით ნორმის სახეს იღებს. ამის გათვალისწინებით, ჩვენი დამოკიდებულება პრობლემური საკითხისადმი ადეკვატური უნდა იყოს: დროული შეფასება უნდა მიეცეს ენაში მიმდინარე კანონზომიერ პროცესებს.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ III ირიბობიექტური პირის მარკერებად მიჩნეული **ჰ-, ს-** პრეფიქსებისთვის გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობას (მათს გამოყენებას, ძირითადად, ექსპრესიული ფუნქციით, სტილიზაციისათვის), ასევე, ენის განვითარების ტენდენციას ამ კუთხით (**ჰ-** პრეფიქსისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების² გაქრობის ტენდენციას), ადრე თუ გვიან მოგვინევს იმის აღიარება, რომ აღნიშნული პრეფიქსებისთვის III ირიბობიექტური პირის ნიშნებად გამოცხადება ენისთვის თავს მოხვეული წესი იყო, **ჰ-, ს-** პრეფიქსთა გამოყენებაში არსებული უსისტემობის აღმოფხვრით მოტივირებული, და ახლო მომავალში შესაძლოა,

¹ რაშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება.

² ჩვენი აზრით, ხანმეტობისთვის დამახასიათებელი **ს-** პრეფიქსიც [ჰ]-სგანაა მიღებული (ჰ > ს-) (ციხელაშვილი, 2005, გვ. 290).

დღის წესრიგში დადგეს არსებული ნორმის გადახედვის საკითხი.¹

რ. ზექალაშვილის აზრით, „უნიშნო ფორმების დაკანონება სალიტერატურო ენის ნორმად ერთბაშად გამართლებული არც იქნება. მართლაცდა, რა დააშავა იმ ხალხმა, ვინც ნორმების მიხედვით მართებულად იყენებს ამ პრეფიქსებს და იცავს სალიტერატურო ენის დღეს მოქმედ წესებს? ამას გარდა, ზოგ სიტყვას ისე შეეზარდა ეს ნიშნები, რომ მათ გარეშე ძნელიც კია წერა (მაგ., მისცა, შესთავაზა, დაჰყურებს, გამოსცა, ჰყავს, ჰქონია და სხვ.), მაგრამ შეიძლება ნორმის მოთხოვნის მიმართ სიმკაცრის შერბილება და, თუ მაინცდამაინც ვერ ველევით, დავუშვათ, რომ ეს პრეფიქსები სტილისტიკური და ემოციური მიზნით გამოიყენონ“ (2008, გვ. 25-26).

ჩვენი აზრით, თუკი სალიტერატურო ენის ნორმის დადგენა გულისხმობს „ამ პრეფიქსების მორფოლოგიური დანიშნულების მონესრიგებას“ (ნორმები, 1970, გვ. 193) და, ამასთანავე, ვაღიარებთ, რომ S_2 და O_3 პირები ოპოზიციის არამარკირებული წევრებია, ხოლო **ჰ-/ს-** პრეფიქსს არ მოეპოვება მორფოლოგიური ფუნქცია, ბუნებრივია, **ლინგვისტურად ყველაზე მართებული მიდგომა იქნება, თუკი, S_2 და O_3 ^{პირდ.} პირების მსგავსად, ნორმის სახეს მივცემთ O_3 ^{რ.} პირის უნიშნობასაც.** მართალია, ამ შემთხვევაში III პირში აღარ გვექნება პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმოპრივი დიფერენციაცია, მაგრამ ამის აუცილებლობა ენაში არც ისტორიულად უნდა ყოფილიყო. O_3 ^{რ.} პირის უნიშნობის დაშვებით მოგვინვეს იმის აღიარებაც, რომ **ჰ-, ს-** დღეს (და მანამდეც) უფრო ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით გამოიყენება, ხოლო ამ ფუნქციით გამოყენებული პრეფიქსები შეუძლებელია გარკვეულ კანონ-

¹ მით უმეტეს, რომ ამ საკითხს უკვე მიექცა ყურადღება საენათმეცნიერო წრეებში.

ზომიერებას დაუქვემდებარო და მათს გამოყენებას ნორმის სახე მისცე.

ასეთია რეალური ვითარება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე O_3^{or} პირის უნიშნობის სალიტერატურო ნორმად გამოცხადება კიდევ უფრო მეტ გაურკვეველობას შეიტანს ისედაც პრობლემურ საკითხში, თუმცა, ენის განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით, ეს საკითხი, ადრე თუ გვიან, დღის წესრიგში უსათუოდ დადგება. მანამდე კი შეიძლებოდა გვეფიქრა ამ მიმართულებით ნორმების მოთხოვნის შერბილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ანტონ I (1997). ანტონ პირველი, *ქართული დრამმატიკა: მეორე რედაქცია – 1767*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ, ლექსიკონი დაურთო ე. ბაბუნაშვილმა, თბილისი.

ახვლედიანი, გ. (1999). *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზექალაშვილი, რ. (2008). სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმები (წერილი მესამე): ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 1, 15-42. ქუთაისი: „ინტელექტი“.

იმნაიშვილი, ვ. (2001). **ჰ** და **ს** პრეფიქსების ხმარებისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, *ენათმეცნიერების საკითხები*, 3, 55-65. თბილისი.

- მელიქიშვილი, მ. (1999). მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირთა პრეფიქსები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სალიტერატურო ენაში, *ენათმეცნიერების საკითხები*, 4, 67-98. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საროტოპრინტო უბანი.
- ნორმები, (1970). *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, პირველი კრებული. თბილისი: „მეცნიერება“.
- ონიანი, ალ. (1978). *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*. თბილისი: „განათლება“.
- ჟღენტი, ს. (1965ა). ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ძირითადი თავისებურებანი, *რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*. თბილისი: „განათლება“.
- ჟღენტი, ს. (1965ბ). ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში, *რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები*. თბილისი: „განათლება“.
- სარჯველაძე, ზ. (1984). *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: „განათლება“.
- სარჯველაძე, ზ. (1995). კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ, *ფილოლოგიური ძიებანი*, ეძღვნება გ. კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს, 125-131. თბილისი: „მეცნიერება“.
- ლლონტი, ხ. (2006). მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრობლემა ახლო წარსულში და დღეს, *საე-*

ნათმეცნიერო ძიებანი, XXI, 224-236. თბილისი: „ქართული ენა“.

შანიძე, ა. (1981ა). სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 113-261. თბილისი: „მეცნიერება“.

შანიძე, ა. (1981ბ). ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 265-279. თბილისი: „მეცნიერება“.

ციხელაშვილი, ლ. (2005). მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 253-297. თბილისი: „ქართული ენა“.

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებათა განმარტება

იაღგ. (1980). უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხეცსურიანმა. თბილისი: „მეცნიერება“.

კემბ. (1937). შანიძე, ა., ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II₁, 29-42. თბილისი: მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

- ოქსფ. (1996). წინასწარმეტყველება იერემიასი (ოქსფორდის პალიმფესტი), ჯავახიშვილი, ი., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, IX, 304-305. თბილისი: „მეცნიერება“.
- პროტ. (1977). შანიძე, ა., იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 20, 7-36. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხანმ. ლექც. (1944). ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, *ძველი ქართული ენის ძეგლები*, I, 07-064. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ხანმ. მრავ. (1927). შანიძე, ა., ხანმეტი მრავალთავი, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, VII, 98-159. თბილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.
- ხანმ. ოთხთ. (1984). *ხანმეტი ტექსტები*, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჰაემ. (1923). შანიძე, ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე*, III, 358-362. თბილისი: სსმუ საბჭოს პირველი სტამბა.
- X – A 89, 844. ხანმეტი ოთხთავი (VII ს.).

On Marking the Third Indirect Objective Person in the Modern Literary Georgian Language

Summary

According to “the Modern Georgian literary language standards”, the norms are unmarked S_2 and $O_3^{dir.}$ and the marked $O_3^{ind.}$ persons. In our opinion, the prefixes **h-** and **s-** of the $O_3^{ind.}$ person do not have distinct morphological features on either synchronic or diachronic levels. If we take the tendency of the language development in this regard into account (the tendency of the disappearance of the prefix **h-** and its phonetic variants), we think that a linguistically appropriate approach would be to consider the unmarked $O_3^{ind.}$ person as a norm, just like S_2 and $O_3^{dir.}$ persons.

**კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის
ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მივსწერ თუ მივწერ,
ვჰკითხავ თუ ვკითხავ?**
(დიაქრონიული ანალიზი)

ქართული ზმნის სტრუქტურაში *შე-ვ-ს-წირე*, *მო-ვ-ჰ-* გვარე ტიპის ფორმები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ორი პირის პრეფიქსული მორფემა ერთდროულადაა წარმოდგენილი და ამით ირღვევა ქართულისთვის, ზოგადად, დამახასიათებელი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი. ნაშრომში საკითხი დიაქრონიულ ჭრილშია განხილული და მოკლედაა ნაჩვენები ის გზა, რომელიც ამ ტიპის ფორმებმა განვლო უძველესი ხანები ტექსტებიდან (*შეხწწწირე*) დღემდე (*შევწწწირე*). ავტორის მიერ მართებულადაა მიჩნეული ოდენ *შე-ვ-წირე*, *მო-ვ-გვარე* ტიპის *ვ-პრეფიქსიანი* გამარტივებული ფორმები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, თუ ზმნას III ირიბობიექტურ პირთან ერთად ეწყობა I სუბიექტური პირი, თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული: *მივსწერ/მივწერ*, *შევსჩივლებ/შევჩივლებ*, *ვჰკითხავ/ვკითხავ*, *ვჰყავარ/ვყავარ*, *შევჰგებებივარ/შევგებებივარ* და სხვ. (ნორმები, 1970, გვ. 201).

როგორც ცნობილია, ქართული ზმნის სტრუქტურაში ყოველ მორფემას თავისი რანგი აქვს, ყოველი კატეგორია მხოლოდ ერთი რანგითაა წარმოდგენილი, რაც გულისხმობს ერთი კატეგორიის ნიშნების შეუთავსებლობას. პირის პრეფიქსული მორფემები თავსდება ზმნისწინის შემდეგ, ქცევისა და გვარის პრეფიქსების წინ. პირის პრეფიქსულ მორფემათათვის რანგის გამოყოფის საკითხი განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში: თუ პირი ერთი კა-

ტეგორიაა, მისი მორფემები ქართული ზმნის სტრუქტურაში მხოლოდ ერთ უჯრედს დაიკავებენ (ონიანი, 1978, გვ. 157; გამყრელიძე, 1979, გვ. 44); თუ ხერხდება პირის კატეგორიის დიფერენციაცია და მისი დაყოფა ორ (S და O) ან სამ კატეგორიად (S , O^d , O^{ind}), შესაბამისად, ყოველ მათგანს ზმნის სტრუქტურაში თავისი რანგი ექნება. მაგ., მ. დამენია პირის პრეფიქსულ მორფემათათვის ორ რანგს გამოყოფს: სუბიექტისას და ობიექტისას (1982, გვ. 46). თ. უთურგაიძე გამოყოფს სამ რანგს, ვინაიდან, მისი აზრით, საქმე გვაქვს არა ერთ, ზოგადად, პირის კატეგორიასთან, არამედ – სამ კატეგორიასთან (S , O^d , O^{ind}), შესაბამისად, რანგთა სისტემაში ყოველ მათგანს თავისი ადგილი ექნება. თუ ეს კომბინაციები არ ჩანს ზედაპირულ დონეზე, მორფოფონემატური ცვლილებების შედეგია (2002, გვ. 34, 71).

თანამედროვე ქართული ზმნის სტრუქტურაში *შე-ვ-ს-წირე*, *მო-ვ-ჰ-გვარე* ტიპის ფორმები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ორი პირის პრეფიქსული მორფემა ერთდროულადაა წარმოდგენილი და ამით ირღვევა ქართულისთვის, ზოგადად, დამახასიათებელი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი (გამყრელიძე, 1979, გვ. 48), რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში, პირის პრეფიქსულ მორფემათა კომბინაციისას, ბოლომდეა გატარებული (*მიწერ* – $S_2 + O_1^{ind} = O_1$ *მ-*; *გიწერ* – $S_1 + O_2^{ind} = O_2$ *გ-*).

ამგვარი ფორმები სათავეს უძველეს ხანმეტ ტექსტებში იღებს, ოღონდ განსხვავებული რანგებით. *შეხჴაბთ* [ბოლნ. წარწ., *აღხჴმართე* [უკანგ. წარწ.], *ხჴარწმუნოთ* [ხანმ. ლექც. 058: 4], *ხჴტყოდე* [ოქსფ. 305: 17-18] ტიპის ფორმებში *ხ-* მიცემით ბრუნვაში მდგარი III ობიექტური პირის მორფემადაა მიჩნეული (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის), ხოლო *ჴ-* – I სუბიექტური პირის ალომორფად. თ. გამყრელიძის აზრით, ამგვარი გააზრება მეორეულია და შედეგია I სუბიექტური პი-

რის /***ხჟ**-/ პრეფიქსის რეინტერპრეტაციისა $O_3/b-$ და $S_1/ჟ-$ პრეფიქსთა კომბინაციად (1979, გვ. 49). ამგვარი გადააზრების მეორეულობა თავისთავად გულისხმობს მწერლობამდელ ქართულში S_1 პირისთვის /***ხჟ**-/ პრეფიქსის არსებობას. ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე S_1 -ის მორფემა უნდა აღდგეს ***ჟ**-//***ჰჟ**- არქეტიპის სახით,¹ უკანასკნელში ვგულისხმობთ პირის ამ მორფემის ფშვინვიერ შემართვას, ასპირაციას, რომელიც საერთოქართველურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ჟლენტი, 1965, გვ. 112). მეორეულია ***ჰჟ** > ***ხჟ**- პროცესი.²

***ხჟ**- პრეფიქსის რეინტერპრეტაციით, მართალია, დაირღვა „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი, რომელიც სუბიექტურ-ობიექტურ პირთა კომბინირების ყველა დანარჩენ შემთხვევაში ბოლომდეა გატარებული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ენაში მოქმედებს სისტემის უნიფიცირების, რღვევისა და კვლავ განწონასწორების პრინციპი, უკვე ხანმეტ ტექსტებშივე შეინიშნება ამგვარი ე.წ. „პრეფიქსული ბიპერსონალიზმის“ დაძლევის ტენდენცია, რაც გამოიხატა **ხჟ**- > **ჰ**- პროცესში (**ხჟარწმუნოთ** > **ჰარწმუნოთ**). ეს მოვლენა, თავისთავად, მჭიდრო კავშირშია ხანმეტობის რღვევის პროცესთან.

¹ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთის მიხედვით, ამოსავალია **ჟ**-//**ჰ**- პრეფიქსი (შანიძე, 1925, გვ. 182; დონდუა, 1967, გვ. 280; დეცერსი, 1930, გვ. 26; თოფური, 1967, გვ. 26; ჩიქობავა, 1946, გვ. 123; სუხიშვილი, 1986, გვ. 58...); მეორე თვალსაზრისის მიხედვით, პირველი სუბიექტური პირის მორფემა საერთოქართველურის დონეზე აღდგება ***ხჟ**- არქეტიპის სახით (კლიმოვი, 1964, გვ. 225; ონიანი, 1978, გვ. 159; გამყრელიძე, 1979, გვ. 49; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 69).

² დანვრილებით იხ. ციხელაშვილი, 2005, გვ. 253-297.

რა ვითარებაა ამ მხრივ ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებში? როცა რელატიურ ზმნას პირველ სუბიექტურ პირთან ერთად ეწყობა მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირი (როგორც ირიბი, ისე პირდაპირი), ნორმით, მოსალოდნელია *შეხწნირო* ტიპის ფორმები (შესაბამისად, ჰაემეტში – *შეჰწნირო*). ხანმეტი ტექსტების უმეტესობაში ამ მხრივ ხანმეტობის ნორმა დაცულია და არ დასტურდება *ხჟ-* კომპლექსის გამარტივების (*ხჟ- > ვ-*) არცერთი შემთხვევა. ასეთი ვითარებაა: იერემიას წინასწარმეტყველების შემცველი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ოქსფორდულ და კემბრიჯულ ფრაგმენტებში (VI-VII საუკუნეების მიჯნა); „წმიდა ქრისტინას წამებისა“ და „კჰპრიანეს წამების“ ხანმეტ ტექსტებში (რომლებსაც ლ. ქაჯაია V საუკუნის I ნახევრით ათარილებს); ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ უძველეს ტექსტებში (V-VI სს.); იაკობის პირველსახარების (პროტოევანგელეს) ხანმეტ ნაწყვეტებსა (VII ს.) და ხანმეტ ლექციონარში (VII ს.). ეს უკანასკნელი იმით იქცევს ყურადღებას, რომ ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ-ჰაემეტ ხელნაწერთა შორის ერთადერთია, რომელიც პალიმფსესტს არ წარმოადგენს. ცოცხალ მეტყველებაში ხანმეტობის მოშლის შემდეგ იგი საპალიმფსესტე მასალად არ გაუნირავთ, არ გადაუფხეკიათ, მაგრამ, ალბათ, იმ მიზნით, რომ ლიტურგიკულ პრაქტიკაში კვლავ გამოეყენებინათ, ოდენ „ზედმეტი“ ხანები ამოუფხეკიათ (სრულად ან ნაწილობრივ), მაგრამ – უსისტემოდ და ალაგ-ალაგ. მეტწილად *ხ-* ამოფხეკილია ხმოვნების წინა პოზიციაში, თანხმოვნების წინ ერთეული შემთხვევებია.¹ საინტერესოა, რომ, თუ ზმნას ეწყობა S₁ და O₃ პირე-

¹ /ი/ ხმოვნის წინა პოზიციაში ამოფხეკილია 15 შემთხვევაში, /ე/-სა და /უ/-ს წინა პოზიციაში დაახლოებით 12-12 შემთხვევაა, /ა/-ს წინ – 4, სონორთაგან /რ/-ს წინ – 11 შემთხვევა (ყველა მოდის რქუმა ზმნაზე, ერთადერთი გამონაკლისია (*ხ*)რწმენა [ხანმ. ლექც. 061: 34], /ჟ/-ს წინ – მხოლოდ 1. თანხმოვანთაგან /ხ/-ს წინ დასტურდება *ხ-*

ბი, ჟ-ს წინ **ხ**- ამოფხეკილი არაა, გარდა ერთი შემთხვევისა: **(ხ)წესავთ** [ხანმ. ლექც. 060: 26]. ყველა სხვა შემთხვევაში **ხ**-თავის ადგილზეა: **ხუეხილვო** [ხანმ. ლექც. 062: 24], **ხურწმენე** [ხანმ. ლექც. 062: 25], **აღხუასრულო** [ხანმ. ლექც. 063: 23], **დახუბეჭდო** [ხანმ. ლექც. 063: 23-24] და სხვ.

ხანმეტი ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის (27 ფურცელი) წინა ერთი ფურცელი, რომელიც აღმოჩნდა პარიზში და გამოსცა ბერნარ უტიემ, ჩვენთვის საინტერესო ფორმებს არ შეიცავს.¹ ამ ტიპის ფორმები არ დასტურდება ასევე ჯონ ბერდზოლის მიერ ამოკითხულ და გამოცემულ ხანმეტ ოთხთავსა და ეზრა პირველის ფრაგმენტებში (VII ს.).

ხანმეტ-ჰაემეტ ძეგლთაგან გამარტივებული, ვ-პრეფიქსიანი შევნირო ტიპის რელატიური ფორმები დასტურდება ხანმეტ ოთხთავში (VII ს.), ხანმეტ მრავალთავსა (VIII საუკუნის I ნახ.) და ჰაემეტ ლექციონარში (VIII ს. II ნახ.).

ხანმეტი ოთხთავის რელატიური ზმნების I სუბიექტურ პირში პარალელური წარმოება გვაქვს: ხანმეტობის ნორმით მოსალოდნელი **განხჴასხამ**² [ლ. 11: 20 X], **ხჯქმ** [მრკ. 11: 29 X] ტიპის ფორმების გვერდით დასტურდება **ვ-პრეფიქსიანი** გამარტივებული ფორმებიც: **განვასხემდით** [მ. 7: 22 X], **მოვგუარე** [მ. 17: 16 X]... აღსანიშნავია, რომ რელატიური ზმნების I სუბიექტური პირის ფორმებში მიმდინარე ეს პროცესი იდენტურია აბსოლუტურ ზმნათაგან **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვა-

პრეფიქსის ამოფხეკის 3 შემთხვევა, /დ/, /ც/ თანხმოვნების წინ – ორ-ორი, ხოლო თითო-თითო – /ბ/, /ც/, /მ/ თანხმოვნების წინ. აღნიშნულ ფონოლოგიურ პოზიციებშიც ეს პროცესი ბოლომდე გატარებული არ არის: **ხ**- ხან ამოფხეკილია, ხან – არა.

¹ ვგულისხმობთ S₁ + O₃ შემთხვევას. ისე, ამ ფურცელზე სულ 5 ხანმეტი ფორმაა.

² გვხვდება **განხვასხამ** [მ. 12: 28 X] ფორმაც.

რის ფორმებში¹ მიმდინარე ცვლილებებისა (საინტერესოა, რომ გამარტივებული, ოდენ **ვ**-პრეფიქსიანი ფორმა (**ხჳყავ >**) **ვიყავ** [ქრისტ. 50: 23-24] უკვე V საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ „წმიდა ქრისტიანას წამების“ ხანმეტ ტექსტში დასტურდება, თუმცა იმავე ძეგლის რელატიურ ფორმებში უგამონაკლისოდ **ხჴ-** კომპლექსია წარმოდგენილი: **ხჴცე** [ქრისტ. 47: 24], **ხჴმსახურო** [ქრისტ. 50: 13]...). რაც შეეხება ხანმეტი ოთხთავის **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის I სუბიექტური პირის ფორმებს, აქაც რელატიურ ზმნათა ანალოგიური ვითარებაა: დასტურდება როგორც **მოხჳვლინე** [ლ. 4: 43 X], ისე **ვიყვენით** [მ. 23: 30 X] ტიპის ფორმები. როგორც ჩანს, იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისათვის სწორედ ასეთი გამარტივებული, **ვ**-პრეფიქსიანი ფორმები უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

ხანმეტ მრავალთავში ეს პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის. ა. შანიძის აზრით, ხელნაწერი VIII საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი, იმ დროს, როცა ცოცხალ მეტყველებაში² უკვე ე.წ. სანწარევობაა საგულებელი. ამ პერიოდში ხანმეტი ხელნაწერის შექმნა შეიძლება აიხსნას დამკვეთ-მომგებლის ნებით, რომელიც, თავის მხრივ, ლიტერატურული ტრადიციით იქნებოდა შეპირობებული. ამიტომ ძეგლში ხანმეტობა, როგორც გარკვეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენა, აშკარად ხელოვნურად, მნიგნობრული გზითაა გატარებული. ხელნაწერის გადამწერი არ არის ოდენ გადამწერი, ის საკმაოდ დაკვირვებული რედაქტორ-გადამწე-

¹ ხანმეტ-ჰანმეტი ტექსტებისთვის ნორმას წარმოადგენს **ხ-//ჴ-** პრეფიქსის არსებობა **ი**-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე სუბიექტური პირის ფორმაში:

1. ხჳყავ	ჴჳყმენ
2. ხიყავ	ჴიჳმენ
3. ხიყო	ჴიჳმნა.

² საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონისთვის მაინც.

რია, რომელიც ცდილობს გაატაროს ხანმეტობის ძველი ნორმებიც და, იმავდროულად, გაითვალისწინოს ენაში მიმდინარე პროცესებიც. სხვაგვარად, **ქმნის ახალ ნორმას**, რომელიც ეფუძნება ძველისა და ახლის სინთეზს. მაგ., თუ ხელნაწერში II სუბიექტური პირის ფორმები, ხანმეტობის ნორმის საფუძველზე, უგამონაკლისოდ **ხ-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, I სუბიექტური პირის როგორც რელატიურ, ისე **ი-**პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში გამარტივებული, **ვ-პრეფიქსიანი ფორმები უკვე ერთადერთ ორთოგრაფიულ ნორმად ცხადდება**. *შევწიროთ* [ხანმ. მრავ. 131: 18], *ვაჩუენოთ* [ხანმ. მრავ. 128: 4-5], *ვევედრებოდით* [ხანმ. მრავ. 125: 13], *ვიქცეოდი* [ხანმ. მრავ. 6: 22], *განვიბანეთ* [ხანმ. მრავ. 8: 12] ტიპის ფორმები, ფაქტობრივად, საწნარევობისა და თანამედროვე ქართულის ვითარების ამსახველია. **ამ ნორმით აღდგა ქართულისთვის ბუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი**, რომელიც შემდეგ კვლავ დაირღვა.

ძეგლში დადასტურებული *შეხჭწირვიდეთ* [ხანმ. მრავ. 127: 11] ტიპის ხუთიოდე ფორმა საერთო სურათს ვერ ცვლის. ვფიქრობთ, ისინი „გაპარული“ უნდა იყოს ხანმეტი დედნიდან გადაწერისას.

ჰაემეტ ლექციონარს პირველი სუბიექტური პირის ფორმებში **ჰჟ-** კომპლექსი, ფაქტობრივად, აღარ ახასიათებს (*ვიტყუ* [ჰაემ. 387: 10], *მოვიძიე* [ჰაემ. 385: 6], *მოველოდეთ* [ჰაემ. 366: 14] და სხვ.). რამდენიმე ძველი ნორმის ამსახველი ფორმა (*მოჰუგუარე* [ჰაემ. 370: 4], *ჰუყოფ* [ჰაემ. 388: 20]...) უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჰაემეტი დედნის არსებობით იხსნება და საერთო ტენდენციას ვერ ცვლის.

ჰაემეტი ლექციონარი იმიტაც იქცევს ყურადღებას, რომ გამოავლენს **ჰ-** და **ჟ-** პრეფიქსების ახლებურ განლაგება-

საც: **და-ვ-ჰ-თესი** [ჰაემ. 385: 1].¹ **ფრაგმენტში დადასტურებული** ეს ერთადერთი ფორმა პირის პრეფიქსულ მორფემათა სწორედ იმგვარ რანგებს ასახავს, რომელიც ტიპურია საშუალო და თანამედროვე ქართულისთვის. ამ ფორმით (რომელსაც, ცხადია, საფუძველი ცოცხალ მეტყველებაში ექნებოდა) **ენაში ერთხელ უკვე დარღვეული სისტემის უნიფიკაციის პროცესი, აღედგინა მისთვის ბუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმი“, კვლავ შეფერხდა.** სამწერლობო ქართულში გამოვლენილმა **დავჰთესი** ფორმამ სათავე დაუდო **ვჰკითხე** [სინ. მრავ. 66: 34]//**ვკითხე** [ამირან. 286: 26], **შევსწირვიდეთ** [შატბ. კრებ. 217: 9] //**შევწირე** [სინ. მრავ. 281: 1], **ვსთხოვე** [ვეფხ. 353: 4]//**ვთხოვე** [შაჰნამე 377: 10]²... ტიპის ფორმებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ **ი-პრეფიქსიანი** ვნებითი გვარის ფორმებმა შეინარჩუნა გამარტივებული, ოდენ **ვ-პრეფიქსიანი** წარმოება (**ვიყავ** [ვისრამ. 193: 23], **ვიმალვი** [შაჰნამე 4821: 3] და სხვ.).

„ვეფხისცყაოსანში“ დასტურდება როგორც **ვ-ჰ-//ვ-ს-**, ისე ოდენ **ვ-პრეფიქსიანი** პირველი სუბიექტური პირის რელატიური ფორმები. თუ ზმნას ეწყობა მესამე ირიბობიექტური პირი, როგორც წესი, პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან ერთად წარმოდგენილია ამ უკანასკნელის ნიშანიც:

მას, არა ვიცი, **შევჰკადრო** შესხმა ხოტბისა, შე-, რისა [ვეფხ. 3: 3]. **შევმართო** DIOUFL.

ძალი მომეც დ შენევნა შენგნით მაქვს, **მივსცე** გონება [ვეფხ. 6: 2].

¹ ძველი სამწერლობო ქართულის ნორმების თანახმად, სახელობითში მდგარი O_3^d . არამარკირებულია, მაგრამ ეს ე.წ. „დაჰჰადა“ ტიპის ზმნაა (შანიძე, 1981, გვ. 172) და ობიექტური პირის ნიშანიც მოსალოდნელია.

² ვისარგებლეთ „ტიტუსის“ კორპუსით: <http://titus.uni-frankfurt.de>

არ მომეშვნეს, **დავჰმორჩილდი**, თაყვანის-მცეს ამირბარად [ვეფხ. 341(338): 4]. **დავმორჩილდი** E.

მერმე ცნობა მომივიდა, **მივჰხვდი** რასმე მიუმხვდარი [ვეფხ. 356(353): 2].

ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემთხვევაში I სერიის ფორმებთან (როცა O^d მიცემითშია) სიჭრელეა: ობიექტის ნიშანი ხან არის წარმოდგენილი, ხან – არა:¹

ანუ **მოვჰკლავ**, ანუ მომკლავს, დაიმაღვოს მეტის-მეტად [ვეფხ. 217(216): 4]. **მოვკლავ** JT, **მოვჰკლავ** RR¹.

ვბურთობდი და ვთამაშობდი, ვით კატასა **ვჰხოცდი** ლომსა [ვეფხ. 330(328): 4].

ვერ **დავმაღავ**, უკეთესი რაცა საქმე გამიცდია [ვეფხ. 277(276): 3].

II სერიაში (როცა O^d სახელობითშია), როგორც წესი, ობიექტის ნიშანი ზმნის ფორმაში არაა წარმოდგენილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა:

დავხოცეთ მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგვფრენია [ვეფხ. 204(203): 4].

მეფე შეჯდა, დაგვეკარგე, კვალი შენი ვერ **მოვკვეთეთ** [ვეფხ. 290(288): 2]. **მოვჰკვეთეთ** FJKOT.

ვპოვე და ლექსად **გარდავთქვი**, საქმე **ვემენ** საჭოჭმანები [ვეფხ. 9: 3]. **გარდმოვსთქვი** E, **გამოვთქვი** FJX.

¹ ცხადია, ხმოვნის წინ **ჰ**- წარმოდგენილი არ არის: *ვიქმ* [ვეფხ. 54(53): 3]... შდრ. ძვ. ქართ.: *ხჟემ* [მრ. 11: 29, 33; ლ. 20: 8 X]; *ჰჟემ* [მ. 21: 27 C].

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“, ძირითადად, მიჰყვება ძველ ქართულს. აბსოლუტური აგებულების ზმნებში **ჰ-//ს-** მოსალოდნელი არაა, იშვიათი გამონაკლისის გარდა:

დღეს არა, ხვალე **მოვკვდები**, სოფელი ასრე მქმნელია [ვეფხ. 37(36): 2].

მე პასუხი ვერა ვუთხარ, ვითა შმაგი **შე-ვე-ვკრთია** [ვეფხ. 353(350): 3]. **შევჰკრთი** CL.

საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლების I სუბიექტური პირის რელატიურ ფორმებში ამ მხრივ, ზოგადად, სიჭრელეა. **ჰ-//ს-** პრეფიქსი ზოგჯერ დასტურდება იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც მის გაჩენას არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ მოეპოვება. ამ შემთხვევაში მისი არსებობა უფრო ექსპრესიული ფუნქციით იხსნება და გამოიყენება კეთილხმოვანების პრინციპით (გავჰკვეთო [შაჰნამე 624: 1], **ესტირი** [შაჰნამე 3180: 3] და სხვ.). ანტონ კათალიკოსმა და მისმა სკოლამ, რომელსაც ახასიათებს **ჰ-** პრეფიქსის გამოყენებით მეტისმეტი გატაცება, უპირატესობა **ვჰკითხე** ტიპის ფორმებს მიანიჭა.¹ I სუბიექტური პირის რელატიურ ფორმებში სიჭრელეა XIX საუკუნის სამწერლობო ქართულშიც. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ამ „რთული“ პრეფიქსის გამარტივება და უპირატესობა მიენიჭა ოდენ **ვ-**პრეფიქსიან ფორმებს (იმნაიშვილი, 1984, გვ. 24). მოგვიანო პერიოდში ამ გამარტივებამ უფრო ინტენსიური სახე მიიღო. დღესდღეობით **ვჰკითხე** ტიპის ფორმები აღარც გამოიყენება.

¹ ანტონის გრამატიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება **შევჰკარ**, **გან-ვჰბანე**, **ვჰკაფე...** ტიპის ფორმები (ანტონი, 1885, VI თ.).

